საქართველო ბეჭე... ...ლო და თბ... ...ვ ჩასმულ...

...ლებ...

№48 ...-7 დეკემბე... ...ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge

გვ. 74
სად არ დასჭირდა ვნებების მოთოკვა გიორგი სუხიტაშვილს და გაუჭირდა თუ არა მას საწოლზე რამდენიმე სექსუალურ გოგონასთან ერთად ენრიკე იგლესიასის როლში ყოფნა

გვ. 14
რა დილემის წინაშე დგომას გადაურჩა ნიკა კიკნაძე და რას არ ელოდა „ბრავოს“ ფინალისტი მაია ასათიანისგან

გვ. 83
როდის მოსდიოდა სერიოზული კამათი ზურა მანჯავიძეს მეწყვილესთან და რა დროს იბმება მასა და მზია ორველაშვილს შორის ინტიმურ-სასიყვარულო უხილავი ძაფები

გვ. 18
რის გაკეთებას ვერ ბედავდა თავიდან ბუბა მათნაძე ბაქარის როლის შესრულებისას და რით ჰგავს ის საკუთარ პერსონაჟს

გვ. 82
რამ გააბოროტა ქართველი და რატომ არ განსხვავდება ის ამ კუთხით სხვა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისგან, მამუკა ღლონტის აზრით

გვ. 36
რა ისწავლა საკუთარ შეცდომებზე თამთა შედანიამ და რატომ დაშორდა ის მეუღლეს, ერეკლე მანგოშვილს

გვ. 78
რატომ არ გადადის ჭკუიდან შეყვარებული დათო ხუჯაძე და რა აძლევს მას სტიმულს ცხოვრებაში

გვ. 63
რატომ ვერ გახდა იური მეჩითოვი დონჟუანი

კვირის ფრაზები

- ქალი თავის მიერვე მოკლული ბიჭისთვის წნევის გაზომვას ცდილობდა
- ჩემი მკერდი უფრო პატარა და დაბრტყელებული მეგონა
- დამიჯერეთ, მამაკაცობას ბეწვი ვერ წაიღებს, სხვა რაღაცეებს გაუფრთხილდნენ
- უპატრონოდ დარჩენილი ჰარამხანიდან სულთნის ყველაზე ლამაზი ცოლი შეურჩევია

ფონდი „სიცოცხლის ხის“ მეშვეობით და „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, საქართველოში პირველად ჟესტების ონლაინ ლექსიკონი შეიქმნა

ფონდი „სიცოცხლის ხე“ – „საქართველოს ბანკის“ მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდია, რომლის მიზანია, მხარი დაუჭიროს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და, საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, სწორედ მისი პრიორიტეტები ყალიბდება. ამჯერად ფონდ „სიცოცხლის ხის“ დაფინანსებით და საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ, საქართველოში პირველად შეიქმნა 500-სიტყვიანი, ჟესტების ონლაინ ლექსიკონი და ვებ-გვერდი. ამ დრომდე საქართველოში არ მოიპოვებოდა რესურსი ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის, რომლის მეშვეობითაც ისინი შეისწავლიდნენ როგორც ქართულ, ასევე, ჟესტების ენას. ონლაინ ლექსიკონი სწორედ სკოლამდელი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, რომლის მეშვეობითაც, საქართველოში მცხოვრები სმენის პრობლემის მქონე ბავშვები, მათი მშობლები, ოჯახის წევრები და ინკლუზიური სკოლები შეძლებენ, დაეუფლონ ჟესტების ენას, შშმ ბავშვი კი ისწავლის როგორც ქართულ, ასევე, ჟესტების ენას. ენის არცოდნის გამო, ბავშვებს აღარ მოუწევთ, იყვნენ საზოგადოებისგან სრულ იზოლაციაში.

თორნიკე გურული *(ფონდი „სიცოცხლის ხის“ დირექტორი):* მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთ დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა მათთვის, ვისაც განსაკუთრებით სჭირდება ზრუნვა და მხარდაჭერა. ჩვენ ერთი წლის წინ, დეკემბერში, გავაკეთეთ განაცხადი ამ პროექტთან დაკავშირებით; ზოგადად კი, მოგეხსენებათ, 26 პროექტი გვაქვს განხორციელებული, რომელთაგანაც ზოგი მთავრდება, ზოგი მიმდინარეობს და, აქედან ერთ-ერთია ეს უმნიშვნელოვანესი გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად განახორციელა. მიმდინარე წელს ორი საგრანტო კონკურსი გაიმართა, რომელთა ფარგლებშიც დაფინანსდა 24 პროექტი და 500 000 ლარზე მეტი მოცულობის თანხა გამოიყო. საგრანტო კონკურსის ყველა გამარჯვებულ პროექტს ზრუნვისა და ყველა კეთილი საქმის სიმბოლოს – „სიცოცხლის ხის“ სტატუსი ენიჭება. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, ჟესტების ონლაინ ლექსიკონი იხილოს შემდეგ ვებ-გვერდზე: www.geodeaf.ge

ჩვენი მიზანია, ვიმუშაოთ ყოველთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან თემებზე, მხარდაჭერა გავუწიოთ საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და ამით გავაკეთოთ საერთო საქმე.

მაია მეტონიძე *(ყრუთა კავშირის თავმჯდომარე):* თავდაპირველად, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და ამ ლექსიკონის შექმნა ნამდვილად ისტორიული მოვლენაა, რადგან, ბავშვებს ეცოდინებათ ჟესტების ენა, ადაპტირებულები იქნებიან საზოგადოებასთან და ამით შეძლებენ როგორც თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას, ისე პიროვნების დამკვიდრებასაც. რაც შეეხება პროექტს, მასში ჩართული იყვნენ ენათმეცნიერები, ჩვენი პედაგოგები და ასევე, თვითონ სმენადაქვეითებულები. ყველას ძალიან დიდი მადლობა ამ მხარდაჭერისთვის! დიდი მადლობა „საქართველოს ბანკს“ პატრონაჟისთვის და, ვისურვებდი, კიდევ ბევრი ასეთი პროექტი განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში.

სოფი ლორია

რატომ მიაჩნია ნათია ხვედელიძეს მშენებლობა ქალის საქმედ და რა არის მისთვის ბიზნესში მთავარი კრიტერიუმი

ნათია ხვედელიძე – 31 წლის, მშვენიერი და ამავდროულად, გონიერი და წარმატებული მენეჯერი, ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრია. მისი შრომითი ბიოგრაფია იურისპრუდენციიდან იწყება, მაგრამ მოგვიანებით, ახალგაზრდა წარმატებული ქალბატონი სამშენებლო ბიზნესში ცდის ბედს და არცთუ უშედეგოდ.

2010 წელს ნათია ხვედელიძემ ჩამოაყალიბა სამშენებლო კომპანია „დიკა“, რომელიც სახელმწიფო ტენდერებზე მუშაობდა. „დიკამ“ გაიმარჯვა სკოლების რეაბილიტაციაზე გამოცხადებულ ტენდერში. „დიკას“ საშუალებით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ გორის თეატრს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ასევე, მათ ააშენეს თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი. როგორც ნათია ხვედელიძე ამბობს, ეს ერთგვარი გამოცდილება იყო სამშენებლო ბიზნესში და ამის შემდეგ გადაწყვიტა, მეგობრებთან ერთად დაეფუძნებინა დეველოპელური კომპანია – „ნიუ დეველოპმენტ გრუპი,“ რომელიც მაღალსართულიან კორპუსებს ააშენებდა.

ნათია ხვედელიძე: „ბიზნესში, ისე როგორც ცხოვრებაში, ჩემთვის მთავარია სიმართლე, კეთილსინდისიერება და მაღალი პასუხისმგებლობა“

ნათია ხვედელიძე: რამ მიბიძგა ძალები მომესინჯა სამშენებლო დარგის ბიზნესში? – ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე სამშენებლო კომპანიაში მომიწია მუშაობა როგორც იურისტს. დავინტერესდი ამ საქმით. გარდა ამისა, მე მიყვარს შენება, მიყვარს, როცა რაღაცას ვიწყებ და წარმატებით ვასრულებ. ესთეტი ვარ და მიყვარს, როდესაც ჩემი აშენებული, ლამაზად გამოიყურება. ჩვენი კომპანიის მიერ ამჟამად მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის პლატოს შემაერთებელ გზაზე. არის რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც შევარჩიეთ ეს ადგილი. უპირველესად, ეს არის უნიკალური და თბილისში თითქმის განუმეორებელი ხედი ყველა რაკურსით, საიდანაც დედაქალაქი ხელისგულზე ჩანს. პლუს ამას, აქ გზა ახალი გაყვანილია და ეკოლოგიური ფაქტორებიც უფრო მაღალია, ტერიტორიის ურბანულად ნაკლები დატვირთვის გამო. ქალაქის დაგეგმარებაც ამ ადგილების განაშენიანებისკენაა მიმართული. ამასთანავე, გადავწყვიტეთ, მომხარებლისთვის შეგვეთავაზებინა კარდინალურად დაბალი ფასი საბურთალოსგან განსხვავებით. როდესაც მიწის ნაკვეთი შევიძინეთ, ის ადგილი, ფაქტობრივად, ტყით იყო დაფარული. ახლა სხვა სურათია, ირგვლივ მიმდინარეობს აქტიური მშენებლობა. ჩვენმა გაყიდვებმა კი, ფაქტობრივად, მოლოდინს გადაჭარბა. ბინების 80 პროცენტი უკვე გაყიდულია. ვფიქრობ, ეს იქნება თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული კორპუსი და მიხარია, რომ მეც მექნება ამაში წვლილი შეტანილი. ეს არის თავისი ხედებით უნიკალური ადგილი თბილისში. ეს იქნება 10-სართულიანი, ლამაზი საცხოვრებელი კორპუსი, პარკინგითა და დიდი ეზოთი. კომპანია მუშაობს „ჰაიდელბერგის“ ბეტონით, რაც კორპუსის მაღალი ხარისხით მშენებლობას განაპირობებს. თუმცა, კომპანიის აქტივობა ამით არ შემოიფარგლება, ჩვენ ამ ტერიტორიის მიმდებარედ, ვაპირებთ კიდევ ახალი კორპუსების აშენებას და ასევე, ახალი პროექტების განხორციელებას რეგიონებში – კერძოდ, ბათუმსა და ბაკურიანში ახალი ინვესტიციების განხორციელებას სამშენებლო მიმართულებით.

– ნათია, მშენებლობა ცოტა არ იყოს „არაქალურ“ საქმიანობად მიიჩნევა საქართველოში... როგორ ართმევთ თავს?

– გამოგიტყდებით, თავდაპირველად, ცოტა გამიჭირდა კიდეც, როდესაც ძალიან ბევრ, მანამდე ჩემთვის უცხო საკითხში მომიწია გარკვევა. თუმცა, მალევე ავუღე ალღო და ახლა ჩემი პარტნიორები ხუმრობენ, ნახაზებს უფრო კარგად კითხულობ, ვიდრე – კანონებსო. ხუმრობა იქეთ იყოს და ნამდვილად რთული საქმეა ყოველდღიურად სამშენებლო მასალებზე, არმატურასა და ბეტონზე ფიქრი, ზრუნვა. მაგრამ, იმდენად დიდია უკვე აშენებულის, მიღწეული შედეგის ხიბლი, რომ ეს ყოველდღიური დაძაბული რეჟიმი, ძალიან უმნიშვნელოდ მეჩვენება. იქ, სადაც ტყე იყო, ახლა შენობა დგას. იქ სადაც ნანგრევები იყო, ახლა გარემონტებული ნაგებობაა და ვფიქრობ, რომ ჩემი ნარმატებული სამუშაოს პოზიტივიც სახეზეა. განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა, ჩემი მეორე კომპანიის „დიკა 2010-ის“ მიერ წარმოებულ სამუშაოებს, რომელთაგან ზოგი თავისი არსით, საშვილიშვილოც კია: დაწყებული გორის სახელმწიფო თეატრიდან, უამრავი სკოლის გარემონტებით დამთავრებული.

ზოგადად, ბიზნესში, ისე როგორც ცხოვრებაში, ჩემთვის მთავარია სიმართლე, კეთილსინდისიერება და მაღალი პასუხისმგებლობა. მეც ვცდილობ, რომ ჩემს საქმიანობაში არავის ვუღალატო, კლიენტი, მომხმარებელი და დამკვეთი მოტყუებული და იმედგაცრუებული არ დავტოვო. მიხარია, რომ ეს გამომდის.

– ნათია, ასეთი დაძაბული გრაფიკი შვილთან ურთიერთობებში ხელს არ გიშლით?

– თათა 12 წლისაა და ბუნებრივია, საქმე არ მაძლევს საშუალებას, დიდი დრო დავუთმო მას. თუმცა, ვცდილობ, ხშირად ვეკონტაქტო, მისთვის მნიშვნელოვანი დეტალები არ გამომრჩეს და ხშირად ერთად ვგეგმავთ სასიამოვნო საღამოების გატარებას.

p.s. ქალბატონი ნათია ხვედელიძე იუბილარია, მას 3 დეკემბერს დაბადების დღე აქვს. ჟურნალი „თბილისელები“ ულოცავს მას დაბადების დღეს და უსურვებს ბედნიერებასა და წარმატებებს სამომავლო საქმიანობაში!

ბაია ნაკაიძე

სახელმწიფობანა

უნივერსალური დამაკმაყოფილებელი

თუკი ჩვენებურმა ოსმა სეპარატისტებმა დონეცკისა და ლუგანკსის სეპარატისტული წარმონაქმები სახელწოდებით – „სახალხო რესპუბლიკა“, ჯერ კიდევ **ზაფხულში აღიარეს** (თუმცა **ამაო აღმოჩნდა** მათი წინმსწრებობა, ვინაიდან, **რფ-მ ინტეგრაციის შეთანხმება შორიდანაც კი არ დაანახვა**), ჩვენებურ **აფხაზ არანაკლებ სეპარატისტებს ეს იდეა სულ ახლახან დაებადათ.**

„პრემიერ-მინისტრი“ **ბესლან ბუთბა „სობსტვენნოი პერსონოი“ დაჰპირდა დონეცკელი სეპარატისტების ლიდერ ალექსანდრ ზახარჩენკოს**, რომ **დე-ფაქტო აფხაზეთი დე-**

ფაქტოვე დონეცკის სახალხო რესპუბლიკის აღიარებას არ დაუჭერს და ამ საკითხს ორ კვირაში მოაგვარებს.

უფრო მეტიც, **ბუთბა სეპარატისტ კოლეგას ჰუმანიტარულ დახმარებასაც კი შეჰპირდა** (და მერე რა, რომ, **ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა?!).** მეორე მხრივ, **აფხაზური მედია ირწმუნება, რომ აფხაზეთი შეძლებს, დაფაროს რფ-ის ბაზარზე შექმნილი ხილის დეფიციტი.** –

სახელდობრ, გვამცნობენ, რომ **ამჟამად ფსოუზე ყოველდღიურად 200 ტონა ხილი ფორმდება, დეკემბერში კი**, რაკი მანდარინებიც დაემატება, **დღე-ღამეში 700 ტონის გატანას გეგმავენ**.

ხოლო, თუ **რფ-მ ასეთი ტემპით გააგრძელა „სახელმწფიოების“ შექმნა,** საკითხავი მხოლოდ ისაა, **შეძლებს კი აფხაზეთი ყველას დაკმაყოფილებას?!**

ამღერებულები

გასულ კვირას დედაქალაქის მესვეურებმა **ჩინეთი მოიარეს** (**მთლად მთელი ჩინეთიც ვერა – ჯერჯერობით ოდენ** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ **გუანჯოუში გაემგზავრნენ**) იმ მიზნით, რომ **თბილისი და გუანჯოუ დაამეგობრონო**.

გავრცელებული ინფორმაციით, **ორ ქალაქს შორის ურთიერთანამშომლობის ხელშეკრულება გაფორმდება**, რისი მიზანიც **ჩვენ ორს შუა საინვესტიციო და ურბანული განვითარების, ასევე, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში თანამშრომლობაა**. –

ეს **ვიზიტი საპასუხოა**, ვინაიდან **ორიოდე თვის წინათ თბილისს გუანჯოუს მერი სწვევია**, ღირშესანიშნობებიც დაუთვალიერებია და თბილისის მოსახლეობის ეკონომიკურ საჭიროებებსაც გასცნობია.

თავის მხრივ, **თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესიით ფილოლოგი,** ბ-ნი ალიბეგაშვილი, **ჩინური ენის სწავლების ინიციატივითაც გამოსულა**. თუმცა ეს **ინიციატივა არახალია** ამჯერად **ინგლისურის ათვისებაზე გამეცადინებული საქართველოს მოქალაქეებისთვის**.

ჩინური ენის შესწავლის აუცილებლობაზე თვით მიხეილ სააკაშვილიც საუბრ-

ანუ თბილისი და გუანჯოუ დაძმობილდნენ

ობდა (ვაი რომ, ვერ მოასწრო), ხოლო, **უფრო ადრე,** თვითმხილველთა თქმით, **ეს საკითხი, სახელდობრ, მთავრობის სხდომაზე თვით ედუარდ შევარდნაძესაც წამოუწევია**: მომავალში სახელმწიფომ მანდარინის სწავლაც (ჩინურის ოფიციალური დიალექტის) უნდა დააფინანსოსო.

ჩვენ, ბუნებრივია, **არ ვაყენებთ ეჭვქვეშ არც ჩინური ენის სიდიადეს, არც** მის **მნიშვნელობას** და არც იმას, რომ, **რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ**, თუმცა, **თუ ჩინურისადმი სამივე ხელისუფლების წარმომადგენლების დაუოკებელ სწრაფვას გავიხსენებთ,** იბადება რიტორიკული კითხვა – ნეტავ, **ვის და რატომ მისცა ასეთი პირობა ჩვენმა სახელმწიფომ?!**

P. S. „– ***დღეს ანგელოზია რომელიმე, დღეობაა თუ რაა, ნეტავი, ეს ხალხი რომ მღერის და მხიარულობს? – იკითხა დათამ.***

– არაფერი დღეობა და ანგელოზი არ არის დღეს.

– აბა, რა დაემართათ?

– რომ დამართიათ და არ აწუხებთ არაფერი, იმიტომ მღერიან სწორედ (ჩვენს შემთხვევაში, იმიტომ აპირებენ ჩინურის შესწავლას).“ –

ვინ გაადაიხდის მეჯს

ისე მოხდა, რომ **ენგურს გაღმა მყოფმა ჩვენებურმა სეპარატისტებმა** საკუთარი **სუვერენიტეტი**, სულ რაღაც, **5 მილიარდ რუბლად გაასხვისეს,** თუმცა **„განტევების ვაცი“** მაინც **გამონახეს** – რა თქმა უნდა, **თბილისის სახით,** მოტივით – **რომ გელიარებინეთ, ამ შეფასების გაფორმებაც არ დაგვჭირდებოდაო.**

ჩვენ **არ ვიცით, რამდენზე ჩამოქვეითდება,** რუსული ვალუტის ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით, **5 მილიარდი რუბლი**, თუმცა, **უკვე ვიცით, რომ სოხუმის აეროპორტი რუსულ კომპანიას გადაეცემა,** ოღონდ, როგორც **სოხუმელი „პრემიერ-მინისტრი“ ბუთბა ირწმუნება**, ასაფრენი ბილიკი და სადისპეტჩერო აფხაზურ „სახელმწიფოს“ დარჩება, მხოლოდ დანარჩენი გასხვისდება.

უფრო მეტიც, არც იმას მალავს, რომ **მომავალში აფხაზეთის სატრანზიტო ქვეყნად ქცევაა განზრახული,** ზედაც – რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წყალობით (ნეტავ, რა მანქანებით?!).

თუმცა, თუ **რუსეთ-აფხაზეთს შორის გაფორმებულ ფინალურ ხელშეკრულებას გავიხსენებთ** და იმასაც, რომ **პრ. პუტინი მინების შეროვებითაა დაკავებული,** ტრანზიტული ქვეყნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აი, **რფ-ის სამხრეთის ფედერალურ ოლქთან შერწყმის პერსპექტივა აშკარაა... –**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, შუანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, შუანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა ნერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეგუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერკავლიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

მეტროული ვნება

ანუ „კუს თუ გეკუსების“?!

რაკი **ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა აქტუალური გახდა** (ან კი **როგორ არ გახდებოდა**, როდესაც მხოლოდ ამ **წელს ქალთა მკვლელობამ ორ ათეულს გადააჭარბა** და, როგორც გაირკვა, **არც წინა წლებში ვუჩიოდით ამ ტიპის მკვლელობათა ნაკლებობას),** 2014 წლის სექტემბერში **ქალთა საინფორმაციო ცენტრმა თბილისის მეტროსადგურში სექსუალური შევიწროების სწრაფი შეფასება ჩაატარა.**

ჩვენ არ ვიცით, რა პრინციპით შეარჩიეს, თუმცა, **200 ქალი გამოუკითხავთ** და დაუდგენიათ, რომ **ამ ორასთაგან 90-ს მეტროთი მგზავრობისას სხვადასხვა ტიპის სექსუალური შევიწროება განუცდია.**

უშუალოდ მეტროს მატარებელში ეს ამბავი 78 პროცენტს დამართნია, ბაქანზე – 14 პროცენტს, შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმდენივეს, ხოლო **6 პროცენტს – მეტროპოლიტენის სხვა ადგილებში.**

ყველაზე საინტერესო მაინც **სექსუალურ შევიწროებათა სახეობებია**: ყველაზე ხშირი ყოფილა **დაჟინებული მზერა** (ასეთი ტიპის შევიწროება გამოკითხულთა 73 პროცენტს განუცდია); **სექსუალური კომენტარისა და ხმის** (კომენტარი გასაგებია, მაგრამ, აი, ხმის სექსუალობა ნეტავ რა პრინციპით დადგინდა?!) **მსხვერპლი 31 პროცენტი გამხდარა; შეხება-მიწოლა-მიხახუნებას 52 პროცენტი შეუწუხებია**, მაგრამ, **სექსუალურ შევიწროებაზე რეაქცია გამოკითხულთა თითქმის 80 პროცენტს არ ჰქონია** (თუმცა უგრძვნია –).

თუ გავითვალისწინებთ, რომ, კვლევის მიხედვით, **ყველაზე ხშირად სექსუალურ შევიწროებას ქალბატონები**, თურმე, **საღამოს საათებში განიცდიდნენ**, სავარაუდოა, რომ **ჩვენს მეტროპოლიტენში სექსუალური მუხტი საღამოს საათებში იკრებს ძალას** (ანუ, ერიდეთ მამაკაცებს, განსაკუთრებით, მეტროპოლიტენის ტერიტორიაზე, თანაც, შებინდებისას).

ხოლო, რაკი კვლევით დადგინდა, რომ **არათუ სექსუალური ხმით, თვით მიწოლა-მიხახუნებით შევიწროებულებსაც კი, პოლიციისთვის არასდროს მიუმართავთ**, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა მთავრობისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა და ურჩია, რომ, ერთი მხრივ, ასამაღლებელია საზოგადოების ცნობიერება, ხოლო, მეორე მხრივ, სექსუალური შევიწროება კანონდარღვევად უნდა განისაზღვროს (**ჩვენც რომ მივანვეთ?!**).

ზემოთქმულს, ჩემდა თავად, დავამატებ: **თუ სექსუალურ ხმას ხშირი და ღრმა სუნთქვაც ახლავს, ეს დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს!** –

ყოფილების ფასი

გარანტირებულად დასაქმებულები

მართალია, **ისე ინტენსიურადაც არა**, მაგრამ, ჩვენი **მონატრების გაქარვებას ჩვენი მშობლიური „რუსთავი 2“ მაინც ახერხებს** და, თუ **მთლად ძველი ინტენსივობით ვერა** (თუ – არა), **პრეზიდენტყოფილისთვის თვალს მაინც მოგვაკვრევინებს ხოლმე** (რათა **უნახაობის კაეშანმა ბოლო არ მოგვიღოს**).

ასე და ამგვარად, **გასულ კვირასაც მოგვაკვრევინა**, პრეზიდენტყოფილმა კი მოგვახსენა, რომ **ჩვენი პრემიერყოფილის ბ-ნი გილაურის უკრაინის ბიზნესომბუდსმენად დანიშვნას საქართველოს ახლანდელმა მთავრობამ შეუშალა ხელი**, თან, **რკინისებური არგუმენტიც მოიშველია – „ეს იყო ევრობანკის პროექტი“!** ჯობს, სრულ ციტატას მოგიტანთ: **„თუმცა საქართველოს მთავრობამ გაგზავნა ნოტა და უთხრა, რომ, თუ გილაურს დანიშნავთ უკრაინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე, საქართველოს მთავრობა შეწყვეტს ურთიერთობას ევროპულ ბანკთან!“**

თუმცა ბ-ნმა **გილაურმა ეს ამბავი სოციალური ქსელით განმარტა და საზოგადოებას აუწყა, რომ ხმები მისი დანიშვნის შესახებ გადაჭარბებული იყო**. კერძოდ (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): **„უკრაინის ბიზნესომბუდსმენად დანიშვნაზე უარის თქმა იმის გამო მომწია, რომ ეს პოზიცია იურიდიულ წინააღმდეგობაში მოდიოდა ჩემს სხვა მოქმედ ხელშეკრულებებთან.“**

ჩვენ არ ვიცით, რატომ მოქმედებს ბ-ნი სააკაშვილი ძველებური სტილით, როდესაც მის უკითხავად მედია სიზმარს ვერ ნახულობდა, **მაგრამ, ვიცით, რომ ჩვენი შსს მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ქ-ნ ზღულაძეს ეპატიჟებიან უკრაინაში ძალოვან სტრუქტურებში**

რეფორმის ჩასატარებლად, რაც, ლოგიკურად, ნიშნავს, რომ **გათავისუფლების შემდეგ ბ-ნ ახალაიასა და არანაკლებ ბ-ნ მერაბიშვილს სამუშაო ადგილები გარანტირებული აქვთ,** რაც, მეორე მხრივ, ბადებს რიტორიკულ კითხვას: **უსასყიდლოდ რატომ უნდა დავუთმოთ?!** –

არც – ძალა, არც – ჭკუა?

შენ რომ ჩემთვის არ მოგისმენიაო?!

ეგრეთ წოდებული მოსმენების შესახებ კანონმა, ანუ – ბოლოს და ბოლოს, **ვის უნდა ჰქონდეს გასაღები – ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, ლამისაა დემოკრატია თავზე დაგვემხოს**. განსაკუთრებით **გააფთრებულად ყოფილი ხელისუფლება იბრძვის,** პათოსით – **შსს-ისთვის გასაღების დატოვება კაცობრიობის იდეალების ღალატიაო**.

თუმცა, რასაკვირველია, მათი ეს პათოსი არ ეხება იმ პერიოდს, როდესაც თავად უსმენ-უთვალთვალებდნენ, რადგან, **„ნაციონალური“ თვალ-ყურები წმიდათაწმიდაა! –** .

ჰოდა, **რაკი დაპირისპირება სამკვდრო-სასიცოცხლოა**, ადამიანის უფლებათა დაცვის **კომიტეტის სხდომაზე თითქმის ხელჩართული ჩხუბი „აინია“.** ყოველივე იმით დაიწყო, რომ **უმრავლესოელმა დეპუტატმა,** ბ-ნმა კაჭახიძემ, **უმცირესოელ დეპუტატ** ქ-ნ თაქთაქიშვილს **ავადმყოფი უწოდა**. თანაგუნდელს ბ-ნები **მინაშვილი და წიკლაური შემოეშველნენ** და **კოლეგა კაჭახიძეზე გაიწიეს**. მთლად **ცხრა უღელი ხარ-კამეჩის გამოძახება საჭირო არ გამხდარა**, ვინაიდან **ვითარების განმუხტვა მანდატურებმაც მოახერხეს.**

ჩხუბია დეპუტატები **დერეფანში** გაიყვანეს, სადაც **ალიაქოთს სხვა უმცირესოელებიც** (გივი თარგამაძე, გოკა გაბაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი თევდორაძე და დავით საყვარელიძე) **შეუერთდნენ**. საბოლოოდ, **ინციდენტი ამოიწურა (**შეიძლება, **იმიტომაც, რომ ბრძოლაში წინა მოწვევიდან უმცირესოელთა მთავარი ფალავანი – აკაკი ბობოხიძე არ ჩართულა).**

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც **ოკუპანტური შეგონება: „сила есть, ума не надо,** შემდეგნაირად **ითარგმნება: – არც ერთი, არც მეორე**. –

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

ნდობის ტელეფონი
ინფიმი

0902 200 206
0902 200 244

მობილურებიდან

ზარი ფასიანია

– რატომ დაინტერესდით მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებით?

– ამ თემით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ დამეუფლა უსამართლობის გრძნობა, უფლებადამცველთა მოქმედებებიდან გამომდინარე. ისინი მუდმივად საუბრობდნენ რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევაზე, რაც ცუდი არ არის, პირიქით, მისასალმებელი და მხარდასაჭერია, თუმცა გულსატკენი იყო ის, რომ არავინ ლაპარაკობდა მართლმადიდებლების უფლებადარღვევის ფაქტებზე. საქართველო მცირე ქვეყანაა და ძალიან ადვილად ვრცელდება ნებისმიერი ინფორმაცია, ამიტომ ყველა ვხედავდით, რომ მხოლოდ ერთ მხარეს არ ირღვეოდა უფლებები, უმრავლესობის უფლებადარღვევის ფაქტები არც რაოდენობით და არც სიმწვავით არ ჩამოუვარდებოდა იმ დარღვევებს, რაც რელიგიური უმცირესობების მიმართ ხდებოდა. მაგრამ, რატომღაც, უმრავლესობის უფლებები იგნორირებული იყო. თავიდან მეგონა, რომ ეს ზედმეტად მგრძნობიარე დამოკიდებულება განპირობებული იყო იმით, რომ უმცირესობები გადამეტებულ სიბრალულსა და მხარდაჭერას იწვევდა.

– რადგან უმრავლესობაა მისი უფლებები იმდენად აქტუალური არ არის, სწორედ უმრავლესობის ფაქტორიდან გამომდინარე?

– დიახ, მაგრამ, როდესაც პირადად დავიწყე ამ ფაქტების შესწავლა და მომიწია უშუალო შეხება უფლებადამცველებთან, ასი პროცენტით დავრწმუნდი, რომ ეს ხდება მიზანმიმართულად და მათი მიზანია, ყველანაირად გაუტეხონ სახელი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, განსაკუთრებით, მსოფლიო უფლებადამცველი ორგანიზაციების წინაშე. შეიძრა ქვეყანა იმის გამო, რომ ირღვევა რელიგიური უმცირესობების უფლებები და ისიც ფაქტია, რომ ასეთი პანიკური სურათის შექმნის შემდეგ დიდი გრანტები მოდის და ბევრი რელიგიური დაპირისპირება, რაც ამ ბოლო პერიოდში მომხდარა მართლმადიდებლებსა და არამართმადიდებლებს შორის, ხშირად ხელოვნურად ყოფილა გამოწვეული. შეიძლება, ვიღაცას, მართლაც, სძულს მართლმადიდებლობა, მაგრამ ვერსად წაუვალთ იმ ფაქტს, რომ დიდი გრანტები მოდის ასეთი ვითარების შემდეგ. ეს ფსევდო-ლიბერალური აზროვნება მოიცავს ერთგვარ ფანატიკურ და რადიკალურ დამოკიდებულებას. ამგვარად მოაზროვნე ადამიანები მართმადიდებლებს სდებდნენ ხოლმე ბრალს ფანატიზმში, რეალურად კი ისინი უფრო რადიკალურები, ფანატიკურები და ტენდენციურები არიან იმ საქმეში, რასაც უფლებადამცველობა ჰქვია.

– ფაქტია, რომ მართლმადიდებლებს შორისაც არის რადიკალურად განწყობილი მცირე ჯგუფი, მაგრამ საოცარი ისაა, რომ უკლებლივ თითქმის ყველა ჩვენებური ლიბერალი სწორედ რადიკალიზმით ხასიათდება. ჩვენთან ძალიან უცნაური, რადიკალიზმზე დამყნობილი ლიბერალიზმი ჩამოყალიბდა.

– ამიტომ ვუწოდებ მათ ფსევდო-ლიბერალებს, ნამდვილ ლიბერალიზმს სწორედ ქრისტიანობა ქადაგებს. ვერ გეტყვით, რატომ არიან ყველანი ასეთი რადიკალურები და ტენდენციურები, მაგრამ ამ ძალებს ჰგონიათ, რომ მათ აქვთ მონოპოლია, განსაზღვრონ საქართველოში, რა არის დემოკრატიული ნორმები, რა არის და არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა. საბოლოოდ, მათ შეძლეს ისეთი გარემოს შექმნა, რომ თუ მართლმადიდებელი ლანძღავს ან ცუდად ექცევა სხვა რელიგიის წარმომადგენელს, ეს არის ქსენოფობია და დანაშაული, ხოლო, თუ სხვა რელიგიის წარმომადგენელი ერჩის მართლმადიდებელს სიტყვიერად თუ საქმით, ეს გამოხატვის თავისუფლება და დემოკრატიულობის ნიშანია. ჩემი აზრით, ასეთი პოლიტიკა უკვე ქმნის რელიგიური დაპირისპირების ფონს, რაც ყველა ქვეყანასა და ეპოქაში უდიდესი სიმწვავით გამოირჩევა და რასაც ყველა უნდა უფრთხოდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, გრანტები სწორედ ასეთ თემებზე მოდის.



აღმოჩნდა, რომ იმ სოფელში მართლაც ყოფილა კათოლიკე მღვდელი, რომელმაც მოზარდები დასასვენებლად წაიყვანა. აუზში ერთად ბანაობისას, მღვდელს საცვალი დაუკარგავს და ლოცვა-კურთხევა მიუცია ბავშვებისთვის, საცვალი მომიძებნეთო

– გრანტის მიღების იმედით, როგორც პირადი საუბრებიდან გავიგე, ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაცია აპირებს, უჩივლოს საპატრიარქოს, რომ სასულიერო აკადემიის მაგისტრატურაში არ იღებენ გოგონებს.

– მე ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთი სექტა, რომლის სახელიც ახლა არ მახსენდება, აპირებს, უჩივლოს საპატრიარქოს იმის გამო, რომ არ გაუუქმონ საგადასახადო შეღავათი.

– როგორც ვიცი, ამისთვის ხელმოწერებს აგროვებენ კვაკერები.

– სახალხო დამცველის აპარატმა, განსაკუთრებით, წინა ომბუდსმენის დროს, ბევრი იბრძოლა, რომ ეკლესიას ეს უფლება ჩამორთმეოდა. ასევე, ის უფლება, როდესაც საპატრიარქოს ჰქონდა განსაკუთრებული როლი და საპყრობილეში მხოლოდ მასთან შეთანხმებით უშვებდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენელ სასულიერო პირებს, რაც ყველა იმ ქვეყანაშია, სადაც არის დომინანტი ეკლესია.

– ევროპაში საკმაოდ ბევრ ქვეყანაშია დომინანტი ეკლესიის ცნება.

– დიახ, მაგრამ საქართველოში უნდათ, რომ ყველაფერი გაათანაბრონ და ისტორიული სამართლიანობაც დაიკარგოს და გაუთანაბრონ გუშინ გამოჩეკილ სექტას ის ღვაწლი, რაც საუკუნეების განმავლობაში მიუძღვის საქართველოს ეკლესიას.

– რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათი უფლებები უნდა შევლახოთ.

– უბრალოდ ასეთი დამოკიდებულება არის პროვინციალიზმი.

– რა ტენდენციაა მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით?

– განსაკუთრებით 2003 წლიდან, რაც „ნაციონალური ხელისუფლება“ მოვიდა და გაძლიერდნენ ფსევდო-ლიბერალური მსოფლმხედველობის ადამიანები, მას შემდეგ დაიწყო ის, რაზეც ვისაუბრეთ: არაობიექტური დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, ტენდენციურობა მართლმადიდებელთა უფლებებისადმი, ასეთი ფაქტების მიჩქმალვა და მხოლოდ რელიგიური უმცირესობების უფლებების წინ წამოწევა. ამ პერიოდიდან დაიწყო და აღზევებულია დღემდე. მე არ მახსენდება შემთხვევა, რომ რომელიმე უფლებადამცველი ინსტიტუტიდან, გნებავთ, ამ პერიოდში რომელიმე სახალხო დამცველს, სამწუხაროდ, დღევანდელის ჩათვლით, ერთხელ მაინც აემაღლებინოთ ხმა მართლმადიდებელთა უფლებებზე. მე შევხვედრილვარ წინა სახალხო დამცველს, ბატონ ტულუშს, გადავეციით მას ყველა ფაქტი, თუმცა მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მართლმადიდებელთა უფლებადარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულიყო მის მოხსენებაში. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც მართლმადიდებლები მართლები იყვნენ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, მაგრამ მას მაინც დამნაშავეებად გამოჰყავდა.

მაგალითად, 2010 წლის მოხსნებაში ტულუშს ეწერა იეღოველთა უფლებების დარღვევის 7 ფაქტი. ამ შვიდი ფაქტიდან ერთ-ერთი ის იყო, რომ იეღოვას მოწმემ მართლმადიდებელს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება დააბრალა, შემდეგ გაირკვა, რომ ეს სიცრუე იყო, მაგრამ ტულუშმა თავის მოხსენებაში ეს მაინც ჩაწერა, როგორც იეღოველთა უფლებების დარღვევის ფაქტი და ამით რაოდენობა გაამრავლა: ექვსის ნაცვლად შვიდი ფაქტი გამოვიდა. ასეთ დონეზე დაწვრილმანდა. იყო შემთხვევა, როდესაც ახალციხის ერთ-ერთ რაიონში მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა ანტიკათოლიკური ბროშურები გაავრცელა და ესეც დაფიქსირდა, როგორც რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევა. როდესაც ამ ფაქტით დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ იმ სოფელში მართლაც ყოფილა კათოლიკე მღვდელი, რომელმაც მოზარდები დასასვენებლად წაიყვანა. აუზში ერთად ბანაობისას, მღვდელს საცვალი დაუკარგავს და ლოცვა-კურთხევა მიუცია ბავშვებისთვის, საცვალი მომიძებნეთო. შემდეგ ამ ბავშვებთან ჩაატარა კონკურსი, თუ ვინ აკოცებდა შას უფრო მაგრად. შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ატეხა დიდი ამბავი და ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ის სასულიერო პირი გამოიხმო. ეს ფაქტი არსად დაფიქსირებულა, მაგრამ სახალხო დამცველმა თავის მოხსენებაში დააფიქსირა მართლმადიდებლების მიერ რელიგიურ უმცირესობათა დევნა, იმიტომ რომ მათ ანტიკათოლიკური ბროშურები გაავრცელეს.

– მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მიერ გავრცელებული ბროშურები იმ ფაქტს შეეხებოდა, რაც მიამბეთ?

– ეხებოდა კათოლიკეებში პედოფილობას, რასაც მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები გადაცემებს უთმობენ და რა გახდა ერთი ბროშურის დარიგება?! თან, ეს ბროშურა გაავრცელეს იმ ფაქტების შემდეგ, რაც გიამბეთ. როგორც გითხარით, არც ერთ სახალხო დამცველს არ დაუფიქსირებია მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევა. მაგალითად, ახლახან ნიგვზიანსა და წინწყაროში მომხდარი მოვლენების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ამბობდა, რომ ეს იყო საბოტაჟი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ადამიანები პერიოდულად მიდიოდნენ ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფთან და განხეთქილებას ხელოვნურად აღვივებდნენ. თავდაპირველად, მართლმადიდებელთა საფლავებზე ვიღაცამ ჯვრები დაამსხვრია, რაზეც მართლმადიდებლები გაბრაზდნენ და მუსლიმანებს აუკრძალეს ლოცვა. ამ ყველაფრის უკან ძალიან ბევრი რამ იდგა და ამ საბოტაჟის შესახებ არაფერი თქვა ახლანდელმა სახალხო დამცველმა. ყველაზე მეტად იმან გამ-

თეოლოგი და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ლაშა ცაიშვილი წლებია, რაც მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს აღნუსხავს და შეისწავლის, თუმცა მის მიერ მოპოვებული მასალები არასდროს გაუხდიათ თავიანთი ყურადღების ღირსი მრავალრიცხოვან უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და თვით სახალხო დამცველსაც კი (თითქმის ყველა მთავრობის). რატომ არ აღიქმება მართლმადიდებლების უფლებათა დარღვევა უფლებადარღვევად? – ამ თემაზე ლაშა ცაიშვილი გვესაუბრება.

რა კუთხით ირღვევა საქართველოში მართლმადიდებლების უფლებები და რაჭომ ითვლებიან კონფლიქტურ სიტუაციაში რელიგიური უმცირესობები იმთავითვე მართლებად

საახალწლო აქცია
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“

უფასო გულ-სისხლძარღვთა სისტემის კომპიუტერული გამოკვლევა + 50-პროცენტიანი ფასდაკლება სისხლძარღვების დოპლეროგრაფიულ გამოკვლევაზე!

უფასო კონსულტაციები

1. **რევმატოლოგი, მედიცინის დოქტორი, ო. ანთელავა**
   სამშაბათი-ხუთშაბათი – 12-13.00 საათამდე + 50-პროცენტიანი ფასდაკლება სახსრების ულტრაბგერით გამოკვლევაზე;
2. **გასტროენტეროლოგი, მედიცინის დოქტორი, ბ. ცუცქირიძე**
   შაბათი 12-13.00 საათამდე;
3. **ანგიოლოგი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი, ს. ჯაიანი**
   შაბათი 13-14.00 სთ-მდე

აქცია სტომატოლოგიაში!

* უფასოდ კბილების წმენდა და კბილის ნალექისა და ნადების მოცილება
* უფასოდ კბილების ამოღება პროთეზირების დროს
* პროთეზირება - 25-პროცენტიანი ფასდაკლებით
* კბილების მკურნალობა - 50-პროცენტიანი ფასდაკლებით.

საყოველთაო დაზღვევა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსში“

სახელმწიფო საყოველთაო სადაზღვევო პროგრამით მომსახურებისთვის აირჩიეთ ცენტრი „ანტროპოსი“

მხოლოდ ჩვენთან დაზღვეულ პაციენტებს შემოგთავაზებთ გამოკვლევებისა და მკურნალობის უნიკალურ დამატებით პაკეტს – 50-პროცენტამდე ფასდაკლებები სტომატოლოგიაზე, ფიზიოთერაპიასა და მასაჟზე!

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00; 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

აკვირვა, რომ ამ ხელისუფლების მიერაა ეს ადამიანი დანიშნული ომბუდსმენად და თავის მოხსენებაში ერთი სიტყვითაც არ უხსენებია, არჩევნების დროს სასულიერო პირებს იარაღს რომ ადებდნენ „ნაციონალური“ ხელისუფლების წევრები და ფიზიკურად უსწორდებოდნენ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს.

ამის შემდეგ აზიზიეს მეჩეთის აშენების გამო წინააღმდეგობა სახალხო დამცველმა შეაფასა, როგორც თურქო და ისლამოფობია. მაშინ, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ აკეთებს განცხადებას, რომ ბათუმი არის მათი და, როგორც ევროპა გაერთიანდა უსისხლოდ, ასევე, უნდა აღადგინონ ოსმალეთის იმპერიაც.

– დავით ოღლუ ახლა უკვე თურქეთის პრემიერ-მინისტრია.

– თვითონ ადგილობრივი მუსლიმანებიც კი აზიზიეს მეჩეთის აშენების წინააღმდეგები არიან, რადგან ეროვნული ღირსება ელახებათ, იმიტომ რომ ეს ადამიანი იყო ოსმალეთის სისხლიანი იმპერიის სიმბოლო. თურქი პოლიტიკოსების ასეთი განცხადებების ფონზე, იმის ფონზეც, რომ ადგილობრივი მუსლიმებიც წინააღმდეგები არიან აზიზიეს მეჩეთის აშენების, ამას სახალხო დამცველი მაინც თურქოფობიასა და ისლამოფობიას უწოდებს. მის მოხსენებებში არასდროს მინახავს მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები, რომლებიც უამრავი მოხდა მისი სახალხო დამცველობისას.

მე და ნიკოლოზ მჟავანაძემ, უფლებადამცველმა, ასევე, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ 2013 წლის 13 აპრილს მოვაწყვეთ ბრიფინგი მართლმადიდებელთა უფლებების თემაზე, ასევე, 2014 წლის 28 ოქტომბერსაც „როიტერის“ სტუდიაში. პირველ შეხვედრაზე მხოლოდ „კავკასია“ და „იმედი“ მოვიდნენ, მეორეზე – მხოლოდ „იმედი“, მაგრამ არც ერთს არ გაუშუქებია ეს ფაქტი. არადა, საკმარისია, მცირედად დაირღვეს რომელიმე რელიგიური უმცირესობის უფლება, რომ ტელევიზიები რამდენიმე კვირას უთმობენ ამ თემაზე გაკეთებულ რეპორტაჟებს, მაგრამ, როდესაც მართლმადიდებელთა უფლებადარღვევებზეა საუბარი, არც კი მოდიან. ახლახან დაარბიეს წმინდა ბარბარეს ეკლესია, იქ მხოლოდ ქურდობა არ მომხდარა, სიწმიდეები შეურაცხყვეს, ხატები დაამსხვრიეს, შებილწეს საკურთხეველი, სასულიერო პირთა სამოსელი, მაგრამ თქვენ გაგიგიათ, რომელიმე უფლებადამცველს ან სახალხო დამცველს ამ ფაქტის გამო ხმა ამოეღოს?!

– არა.

– აგრეთვე, ამას წინათ მოხდა ის, რომ მართლმადიდებლები ითხოვდნენ მუზეუმის გახსნას, მუსლიმანი მოსახლეობა კი მეჩეთის აშენებას. არადა, ეს შენობა იდგა მართლმადიდებელი ტაძრის ნანგრევებზე. როდესაც ამ კონფლიქტის შესახებ გახდა ცნობილი, სასწრაფოდ გამოცვივდნენ უფლებადამცველები და განაცხადეს, რომ ირღვევა მუსლიმანთა უფლებები ისე, რომ არ ჰქონდათ გარკვეული, სინამდვილეში რა ხდებოდა იმ სოფელში. ხოლო, როდესაც გაირკვა, რომ ეს სინამდვილეში ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე აგებული შენობა იყო, ხმა აღარ ამოუღიათ. არადა, იმიტომ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო და კონფლიქტი არ დაწყებულიყო, ქრისტიანები თანხმდებოდნენ ბიბლიოთეკის განთავსებაზე, მაგრამ ქრისტიანთა უფლებების დაცვაზე არავის ამოუღია ხმა. მეტიც, მე გამოაცა მუსლიმანთა წარმომადგენლების განცხადებებმა, რომლებმაც კონფლიქტის გაღვივებაში მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და იერარქებს დასდეს ბრალი. მაშინ, როდესაც სწორედ მათი პოზიტიური ქმედებების გამო შეჩერდა მართლმადიდებელი მრევლი და დათანხმდა ბიბლიოთეკის გახსნას.

ნინო ხაჩიძე

ზაზა ოქრუაშვილი არის 44 წლის მამაკაცი, რომელსაც აქვს უმძიმესი დაავადება „დილიტაციური კარდიომიოპათია“ 2008 წლიდან იტანჯება ამ დაავადებით, გაუკეთდა სამი ოპერაცია, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო. ახლა იმყოფება რეანიმაციაში, მდგომარეობა არის უმძიმესი. სასწრაფოდ ესაჭიროება გულის გადანერგვა. ოპერაცია საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება, რომელიც შეადგენს 100 000 დოლარს. მივცეთ ამ ადამიანს გადარჩენის შანსი. ნებისმიერი ქსელიდან შეგიძლიათ დარეკოთ ამ ნომერზე: **0901700137 ან გადმორიცხოთ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე GE12LB0711153204004000.**

ლიბერთი ბანკი
GE12LB0711153204004000
მაგთიდან და ბილაინიდან
0 901 700 137

– ეს გადაჯგუფებები პოლიტიკურ იდეათა ჭიდილის შედეგია თუ მაინც პიროვნული შეუთავსებლობის შედეგი?

– ამ ვითარებას კარგად ვიცნობ შიგნიდან და ამიტომ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იდეები, პოლიტიკური იდეალები, პოლიტიკური პლატფორმა და ა.შ. აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, რომ კოალიცია „ოცნება“ შეიკრა სხვადასხვა დაჯგუფებისგან. ხაზს ვუსვამ – საქართველოში ჯერ არ არსებობს პოლიტიკური პარტიები. მეტიც, მათი აღმშენებლობის კონტურებიც კი არ გამოკვეთილა, ეს პროცესი არც კი დაწყებულა, მაგრამ არსებობს დაჯგუფებები, მეტ-ნაკლებად ცნობადი ადამიანების გარშემო გაერთიანებულნი და ეს დაჯგუფებები ნებისმიერ საკითხს ეკიდებიან იმ კუთხით, თუ რა შეიძლება, ააგორონ – ეს მიღებული ტერმინია პოლიტიკურ ისტებლიშმენტში და ამ აგორების შედეგად, დემაგოგიისა და პოპულიზმის მეშვეობით, მოიხვეჭონ ქულები და გაზარდონ საკუთარი რეიტინგი.

მაგალითად, ალასანიასთვის, რომელსაც კარგი პირადი ურთიერთობა აქვს შეერთებული შტატების რამდენიმე კონგრესმენსა და სენატორთან, ასევე, აქაურ ელჩებთან, ასაგორებელი თემა იყო „ნატო“ და „ნატოში“ გაწევრიანება. სინანულით მინდა ვთქვა, რომ მისი განცხადებები, რომლებიც, როგორც მას ეგონა, ემსახურებოდა მისი პოპულარობის ზრდას, ჯერ ერთი, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვინაიდან საქართველოს არ მიიღებენ „ნატოში“ და ეს საჯაროდ არაერთხელ ითქვა, არც „მაპს“ მისცემენ და რომც მოგვცენ, „მაპი“ რისკის გაზრდის გარდა, არაფერს მოგვიტანს. ამას გარდა, „ნატოს“ არანაირი ინფრასტრუქტურა არ იქნება საქართველოში. ეს ყოველივე გადაწყვეტილია და უელსის სამიტზე სექტემბრის დასაწყისში ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მიუხედავად ამისა, ალასანია განუწყვეტლივ აკეთებდა განცხადებებს, ითხოვდა იარაღს; ამტკიცებდა, რომ „ნატოსკენ“ სწრაფად მივდივართ, რომ მალე საქართველოში იქნება „ნატოს“ ინფრასტრუქტურა და ასე შემდეგ. იმ დონეზე, რომ ხან შეერთებული შტატების წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი, ხან – ჯეიმს აპატურაი, „ნატოს“ წარმომადგენელი, ხან – უილიამ ლაჰიუ, თბილისში „ნატოს“ ოფისის ხელმძღვანელი, იძულებულები იყვნენ, გამოსულიყვნენ და უარეყოთ ალასანიას ეს განცხადებები.

– იმას ამბობთ, რომ ამას მხოლოდ ასაგორებლად აკეთებდა? სხვა მოტივი ირიცხება?

– მრავალი წელიწადია, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დომინირებს აზრი, რომ რაღაც საკითხი უნდა მოძებნო, შემდეგ ეცადო ამ საკითხის გაპიარება, ამით დაიწერო ქულები და მაშინ პოლიტიკურ მომავალს გაინაღდებ და წინ წახვალ. იმას კი არ უყურებენ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს და არის თუ არა სასარგებლო ქვეყნისთვის. ალასანიას თითოეული განცხადება, ერთი მხრივ, აღიზიანებდა ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც ამ განცხადებებს უარყოფდნენ; მეორე მხრივ კი, რუსეთის მთავრობას, პუტინის რეჟიმს ეს მალამოდ ედებოდა, რადგან პუტინის რეჟიმს სჭირდება ნებისმიერი საბაბი, არათუ მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი პოლიტიკა. პუტინსა და მის ჩეკისტურ რეჟიმს სხვა სალაპარაკო თავის მოსახლეობასთან კარგა ხანია, არ აქვს, იმას გარდა, რომ არიან დიდი პატრიოტები, ებრძვიან დასავლეთს და „ნატოსგან“ იცავენ რუსეთს. რაც დიდი აბსურდია, რადგან „ნატო“ რუსეთის არანაირი მეტოქე არ არის და „ნატოს“ ხელმღვანელობა კოშმარულ სიზმარშიც კი არ ფიქრობს იმაზე, რომ დაუპირისპირდეს რუსეთს.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში პოლიტიკური ძალები გადაჯგუფდა: „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს (რითაც კოალიციის შიგნით „რესპუბლიკელების“ პოლიტიკური წონა გაზარდეს) და საპარლამენტო ოპოზიციაში გადაინაცვლეს, თუმცა მთლად სრული შემადგენლობითაც არა. ამის საპირწონედ, თავის დროზე, ანუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით პარლამენტში მოხვედრილმა მაჟორიტარებმა შექმნეს ფრაქცია და თავიანთი სადეპუტატო ხმები „ოცნებას“ შეანიეს. ეს ხილული პროცესები მიანიშნებს, რომ შიდა პოლიტიკური დინებები გაცილებით დრამატულია. პეტრე მამრაძესთან ერთად მიმოვიხილავთ ქართული პოლიტიკური ვაჭრობის დეტალებს, სავარაუდო მოტივებსა და შედეგებს.

როგორ მუშაობს „ფასიან დეპუტატთა ბაზარი“, რა შიდა დინებებია უმრავლესობაში და რა რესურსი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს უმრავლესობისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად

„ნატო“ რუსეთის არანაირი მეტოქე არ არის და „ნატოს“ ხელმძღვანელობა კოშმარულ სიზმარშიც კი არ ფიქრობს იმაზე, რომ დაუპირისპირდეს რუსეთს

სოდენა საბაბიც არ მიეცათ. ამიტომ ალასანიას თითოეულ განცხადებას რუსეთის მხრიდან მოჰყვებოდა აგრესიული განცხადებები. მეტიც, რუსეთის მთავრობა ყოველთვის მზადაა კონკრეტული მოქმედებისთვის და ამ მოქმედებაში მათ შეუძლიათ, ნებისმიერი დონისა და შინაარსის ხელშეკრულება გააფორმონ აფხაზეთთან თუ ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთთან“. ეს იცის ყველამ, ალასანიამაც, „ნაციონალებმაც“, როგორც ის, რომ არანაირ სიტუაციაში საქართველოს „ნატოში“ არ მიიღებენ.

– აბა, რა ვქნათ? გამოვაცხადოთ კაპიტულაცია და ჩავბარდეთ რუსეთს?

– რატომ არ დაიპყრო პუტინმა თბილისი, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ დასავლეთი არ დაიცავდა თბილისს, ისევე, როგორც დღეს იცის, რომ დასავლეთი არ დაიცავს კიევს?! არ უღირდა თბილისის აღება და არც კიევის აღება უღირს, რადგან ეს მას უბრალოდ კარგს არაფერს მოუტანს...

მაგალითად, როდესაც საქართველოზე ეკითხებოდნენ თეთრი სახლის სპიკერს, ის მუდმივად იმეორებდა: ჩვენ რუსეთთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ გვექნება უთანხმოება საქართველოსთან დაკავშირებით. ეს დიპლომატიური ფორმულა: შეთანხმება უთანხმოებაზე, ევროპაში ცნობილია შუა საუკუნეებიდან. ანუ მხარეები თანხმდებიან, რომ ამა და ამ საკითხში გვაქვს განსხვავებული მიდგომა, მაგრამ ამის გამო ჩვენ ერთმანეთს პრობლემებს არ ვუქმნით. თუმცა ნებისმიერ ფორუმზე ამ საკითხზე მე ჩემს განცხადებას ვაკეთებ, შენ – შენსას.

„ნაცები“ კარგა ხანია, „ქოცებისთვის“ პოლიტიკურ საშაშვლო რგოლად იქცნენ

– რაღაც ამგვარი ხომ არ ხდება ქართულ პოლიტიკაშიც? ჩვენ ვთანხმდებით, რომ ტრიბუნიდან ან ეთერებიდან ვუპირისპირდებით ერთმანეთს, სხვა ადგილებში კი ვჭუკჭუკებთ ერთმანეთთან?

– ეს ყოველთვის იყო. მე ვფიქრობ, მამუკა არეშიძემ ძალიან სწორად თქვა ამ წლის დასაწყისში: კოაბიტაცია კარგა ხანია, სიმბიოზში გადავიდა და „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. „ნაცები“ კარგა ხანია, „ქოცებისთვის“ პოლიტიკურ სამაშველო რგოლად იქცა. აქვე მინდა, მკითხველს შევახსენო კონფლიქტი ალასანიასთან, როდესაც ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერი და ალასანიას ვიცე-პრემიერის ფრიად სიმბოლური წოდება ჩამოართვა. მაშინ გაიმართა პრესკონფერენცია, ალასანია იჯდა ივანიშვილის გვერდით და ივანიშვილმა თქვა ასეთი რამ: კოალიციაში ყველა თავისუფალია და ყველას შეუძლია, რომ გადახტეს, მაგრამ ვინც გადახტება, კისერს მოიტეხსო. არჩევნებამდე გამოქვეყნებული სატელეფონო ჩანაწერებით ვნახეთ, რომ კოალიციის წევრებს ერთმანეთი ეზიზღებოდათ. მართალია, ის ჩანაწერები უკანონოდ მოიპოვა ვანო მერაბიშვილის უწყებამ, მაგრამ ნამდვილად ავთენტური იყო. ბუნებრივია, პარლამენტში შესვლის შემდეგ მათი ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა. მეტსაც გეტყვით: კოალიციაში შემავალ პოლიტიკური სპექტრის მრავალ წარმომადგენელს გაცილებით ახლო ურთიერთობა აქვს „ნაცებთან“, ვიდრე ერთმანეთთან. ერთმანეთს შურით უყურებენ: ვინ უფრო რეიტინგულია, შესაბამისად, ვინ იქნება მათი მეტოქე... ამიტომ უცხოეთში სხვადასხვა რეზოლუციის მიღებისას, „ოცნება“, როგორც მონოლითი, არ გამოდის და ასეთი განწყობაა: მე რატომ უნდა დავიცვა ქვეყნის პოზიცია, რომ სხვამ მიიწეროს ქულები და უცხოელებთან მე ცუდი გამოვიდე?! ამით ისინი რადიკალურად განსხვავდებიან „ნაციონალებისგან“, რომლებიც მერაბიშვილ-ადეიშვილის მიერ გაკონტროლებული მონოლითი იყო და ნაწილი დღესაც ასეთად დარჩა. ამიტომ ეკლექტურ კოალიციაში ყოველთვის იყო ასეთი შეფასება: ჩვენი საერთო რეიტინგი ეცემა, რომ არ გადავხტე, ჩავყვები პოლიტიკურ სამარეში ღარიბაშვილსა და მის გუნდს.

– მაგრამ რომ გადახტეს, სად უნდა ჩახტეს?

– ფიქრობენ: რომ გადავხტე, მაქვს კი იმის

რესურსი, რომ კისერი არ მოვიტეხო? აი, ამ დილემის წინაშე არიან მუდმივად: გადავხტე – არ გადავხტე?! არ გადავხტე – ვაი და რომ გადავხტე, ხომ არ იქნება – უი?! და აი, ამ ფონზე გამოჩნდა მარგველაშვილი, ჩვენი ვაი პრეზიდენტი, რომელმაც მოკლე დროში ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს და სახელმწიფოს. მარტო ის რად ღირდა, ბელგიასა და ლუქსემბურგს რომ შეატყობინა, რომ ვიზიტით არ ჩადის, იმიტომ რომ, აფხაზეთის ანექსია ხდება. რაც პრეზიდენტი გამოჩნდა, მის გარშემო დაჯგუფდნენ, მათ შორის, „ნაცებთან“ დაახლოებულები ან „ქოცებზე“ ნაწყენი ადამიანები. როგორც ერთმა პოლიტოლოგმა თქვა, ვისაც ტორტის ნაჭერი არ შეხვდა, ყველა, მარგველასკენ მიილტვის. ამის შემდეგ მის გარშემო გარკვეული ცენტრი შეიქმნა. მას შეუძლია ვეტოს დადება, სხვა ქმედებების განხორციელება და, რა თქმა უნდა, „რესპუბლიკელებიც“ და „თავისუფალი დემოკრატებიც“ ამას იყენებენ. მონოლითი, როდესაც ღარიბაშვილის დავალებებს ვოლსკი გადასცემდა უსუფაშვილს და ის ულაპარაკოდ აკეთებდა, დამთავრდა. აგერ უკვე მოსმენებზე გამოჩნდა განსხვავებული აზრი უმრავლესობაში. მანამდე კი პარლამენტმა არც კი მოინდომა, დაეძლია პრეზიდენტის ვეტო. ამას აქვს დადებითი მხარე.

– 9 წელი ვუყურეთ მონოლითის სიმახინჯეს. ამდენად, კარგია, თუ აზრთა მრავალფეროვნება იქნება, თუმცა ცუდია, რომ ამ დაუმორჩილებლობის მოტივი არა იდეების ერთგულებაა, არამედ პირადი გამორჩენა.

– მოტივაციას თავი დავანებოთ, ვთქვათ, მოტივაციაა პირადი ანგარება, პოლიტიკური კარიერის კეთების სურვილი, ფულისა და ქონების მოხვეჭა. მაგრამ, როდესაც კონკურენციაა, ერთმანეთის ქმედებებზე თვალს არ ხუჭავენ, იმიტომ რომ, ეს არ არის მათთვის ხელსაყრელი. ახლა ჩვენს პოლიტიკურ პროცესებში გაჩნდა კონკურენციის ელემენტი და მე ამას მივესალმები.

– მონოლითი არ არის, რაც კარგია, მაგრამ კოალიციას გადაწვეტილებების მისაღებად კონსენსუსი დასჭირდებათ, ამას გარდა, პრემიერ-მინისტრისთვის მნიშვნელოვანია უმრავლესობის ყოლა პარლამენტში. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები შიდა პოლიტდინებების გათვალისწინებით?

– გარკვეულ ეტაპზე განხეთქილებამ პარლამენტში უფრო შეიძლება, იჩინოს თავი, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსი მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია, ისევე, როგორც ფინანსური რესურსი. რაც შეეხება ალასანიასა და მის გუნდს: მას შემდეგ, რაც მოხდა, თუ საღი აზრი ეყოთ, მალე დაინახავენ, რომ დამოუკიდებლად ბარიერსაც ვერ გადალახავენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

– მანამდე? ან რა „რესპუბლიკელები“ გადალახავენ?

– მანამდე შეიძლება, რაღაც კონფიგურაციები შეიქმნას. წლების წინათ, 1995 წელს, „რესპუბლიკელებისგან“ მომისმენია, რომ 20 პროცენტზე მეტს აიღებდნენ საპარლამენტო არჩევნებში და შექმნიდნენ დიდ ფრაქციას, მაგრამ, როგორც მახსოვს, 4 პროცენტიც ვერ აიღეს. ახლა უკვე რეალისტები არიან და იციან, რომ, თუ ისევ ვინმე არ შეიყვანს, როგორც ბიძინა ივანიშვილმა შეიყვანა პარლამენტში 2012 წელს, არაფერი გამოუვათ. ამიტომ, ვფიქრობ, უმრავლესობა არ დაიშლება. ამას გარდა, უკვე ვნახეთ, რომ გამზადებულები იყვნენ მაჟორიტარები უმრავლესობის შესავსებად.

– სხვათა შორის, არც ეს იყო ურიგო: როგორც ჩანს, „ოცნება“ მზად იყო მოვლენების ამგვარად განვითარებისთვის და საოადარიგო გეგმაც ჰქონდათ?

– რა თქმა უნდა. რასაც რომან გოცირიძემ „ფასიან დეპუტატთა ბაზარი“ უწოდა. ახლაც აქვს ეს რესურსი უმრავლესობას: პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ღარიბაშვილი აღქმულია, როგორც „ივანიშვილი დღეს“. მას აქვს პირდაპირი წვდომა ივანიშვილთან, ყველამ იცის, რომ მას ივანიშვილი მხარს უჭერს და ასე შემდეგ. ამდენად, დღეს ღარიბაშვილის ხელშია ივანიშვილის რესურსი. ეს დიდი რესურსია; ამასთან, მართალია, ამომრჩევლის ორი მესამედი არ მივიდა არჩევნებზე, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსისა და იმ სქემის გამოც, რომ ბიზნესმა ვერავინ დააფინანსა, გარდა „ოცნებისა“, ძალაუფლების სადავეები მაინც „ქოცების“ ხელშია, თუ რამე კატასტროფა არ მოხდა.

ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

აფხაზური საჩუქარი – რფ-ის შეიარაღებულ ძალებს

2010 წლის 24 სექტემბრის შეთანხმების მესამე მუხლში ვკითხულობთ, რომ აფხაზური მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ რამდენიმე ობიექტს რუსეთის ფედერაციას კერძო საკუთრებაში გადასცემს და თავის თავზე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ ობიექტებზე რუსეთის ფედერაციის კერძო საკუთრება.

რაც მთავარია, შეთანხმების მიხედვით, რუსეთის მხარე თავად ახორციელებს მისთვის საკუთრებაში გადაცემული ობიექტების დაცვასა და ფუნქციონირებას. თუმცა იქვეა მითითებული, რომ ობიექტების ექსპლუატაციამ არ უნდა მიაყენოს ზიანი აფხაზეთის სუვერენიტეტს.

თავის მხრივ, აფხაზური მხარე უზრუნველყოფს ობიექტებს ელექტროენერგიით, კავშირგაბმულობით, წყალმომარაგებით, გათბობით და ყველა იმ საშუალებით, რასაც მოიცავს ობიექტების მფლობელების საჭიროებები. თუმცა ამ მომსახურების საფასურს იხდის რუსული მხარე.

მერვე მუხლი გვამცნობს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ქვედანაყოფები სარგებლობენ სრული იმუნიტეტით აფხაზეთის ტერიტორიაზე. უძრავი ქონება და ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც დგას ეს ობიექტები ხელშეუხებელია. აფხაზური სტრუქტურების წარმომადგენლებს არ აქვთ ამ ტერიტორიებსა და ობიექტებზე შესვლის უფლება ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე.

ასევე, აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით განლაგებული ქვედანაყოფები, საჰაერო ხომალდები ან სხვა სატრანსპორტო საშუალებები, სამხედრო და სხვა ტექნიკა სარგებლობენ იმუნიტეტით და არავის აქვს მათი შემოწმების უფლება.

იმუნიტეტით სარგებლობს ქვედანაყოფების საბანკო ანგარიშები. მათი არქივი, დოკუმენტები და კორესპონდენცია ხელშეუხებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთსა და ადგილას.

აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული რუსული სამხედრო დანაყოფები თავისუფლდებიან გადასახადებისგან, რომლებიც დადგენილია აფხაზეთის მთავრობის მიერ. აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეები, დანაყოფების სამოქალაქო პერსონალი და მათი ოჯახის წევრები.

ქვედანაყოფების სამსახურებრივი და პირადი სარგებლობის ნივთები შედის და გადის აფხაზეთის ტერიტორიიდან ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე.

ქვედანაყოფები ხელმძღვანელობენ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით. სამხედრო პირები, ობიექტების სამოქალაქო პერსონალი და მათი ოჯახის წევრები იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ და მათი პიროვნებები ხელშეუხებელია. მათი დაპატიმრება ან დაკავება აკრძალულია. მათ ვერ გაასამართლებს აფხაზური სასამართლო. მეტიც, სამხედრო მოსამსახურეები არ არიან ვალდებულები, მისცენ ჩვენება, როგორც მოწმეებმა აფხაზეთის შესაბამის ორგანოებს. სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო პერსონალი თავისუფლდება ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, რასაც ითვალისწინებს აფხაზეთის კანონმდებლობა, თუმცა ისინი ემორჩილებიან რუსეთის ფედერაციის იურისდიქციას.

თუკი სამხედრო მოსამსახურეები ან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირები მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩევენ აფხაზეთს, აფხაზურმა მხარემ ისინი უნდა უზრუნველყოს საცხოვრებლით. მათ აქვთ უფლება, მოახდინონ თავიანთი საცხოვრებლის პრივატიზაცია იმ წესებით, რაც გათვალისწინებულია აფხაზეთის მოქალაქეებისთვის.

ჩვენი საზოგადოება ფრიად შეაშფოთა სულ ახლახან რფ-ასა და რფ-ის მიერვე მხოლოდაღიარებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ. განსაკუთრებულად აღშფოთებულები კი ყოფილი ხელისუფლების, ან კი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, რომლებიც მთავრობას უკიჟინებენ, რომ არავჯეროვნად გამოეხმაურნენ აფხაზეთის ანექსიას. შესაძლოა, კრიტიკა საფუძვლიანია, თუმცა საინტერესოა, რომ რუსეთის ფედერაციისა და „აფხაზეთის რეს-პუბლიკის“ მთავრობებს შორის 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარების შემდეგ რამდენიმე ათეული შეთანხმებაა გაფორმებული და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების რუსეთის ფედერაციისთვის საკუთრებაში გადაცემას ეხება.

ეს შეთანხმება 2010 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა (49 წლის ვადით), თუმცა ამის გამო, თავის დროზე, არათუ აჟიოტაჟი არ ამტყდარა, არამედ საზოგადოებამ ვერც კი გაიგო მისი არსებობის შესახებ.

ამ ვაკუუმის ამოვსების მიზნით, გადავხედოთ ამ კონკრეტული ხელშეკრულების დეტალებს, რომელიც 2008 წლის 17 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და მათ აფხაზ კოლეგებს შორის გაფორმებულ შეთანხმებას ეფუძნება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

რამდენ მილიარდ რუბლად გაიყიდა აფხაზეთი და როგორ დაევალათ აფხაზებს აფხაზეთში ცხოვრების სურვილის მქონე რუსი სამხედროების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

შეთანხმების მოქმედების ვადა 49 წელია, თუ რომელიმე მხარე ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე არ მიმართავს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის შესახებ, ის ავტომატურად გაგრძელდება კიდევ 49 წლით და ასე შემდეგ

ეს შეთანხმება, როგორც მოგახსენეთ, 2010 წლის 24 სექტემბერსაა ხელმოწერილი და ის უკვე ფუნქციონირებს და, თუმცა მისი მოქმედების ვადა 49 წელია, შეთანხმების ბოლოს ნათქვამია, რომ, თუ რომელიმე მხარე ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე არ მიმართავს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის შესახებ, ის ავტომატურად გაგრძელდება კიდევ 49 წლით და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც კი რუსეთის ფედერაციას რჩება საკუთრების უფლება იმ ობიექტებზე, რომლებიც მათ ამ ხელშეკრულებით მიენიჭა.

ორი – ყველასთვის

გასულ ორშაბათს რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის კიდევ ერთ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელსაც ამჟამად ჰქვია – მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ (თითქოს სახელწოდების შეცვლა ხელშეკრულების არსს არბილებდეს).

თუმცა აფხაზი საზოგადოება ფრიად ორაზროვნად შეხვდა მოსკოვის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტს და საპასუხო ვარიანტებიც კი შეიმუშავეს, საბოლოოდ, ყველა ის მთავარი საკითხი, რაც თავდაპირველ დოკუმენტში იყო, საბოლოოშიც აისახა.

ჩვენთვის ყველაზე ყურადსაღები ამ შემთხვევაში რამდენიმე დეტალია. კერძოდ, მეხუთე მუხლში ვკითხულობთ, რომ მხარეები ქმნიან თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიან სისტემას, რაც გულისხმობს კონსულტაციებს ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც ეხება ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უსაფრთხოების ინტერესებს. მხარეები ქმნიან კოლექტიურ შეიარაღებულ ძალებს გარე აგრესიის მოსაგერიებლად (ბუნებრივია, აგრესორში, უპირველესად, ვიგულისხმებით ჩვენ); ასევე, ქმნიან ერთობლივ ძალებს საქართველოსთან სახმელეთო და საზღვაო „სახელმწიფო საზღვრის“ გასაკონტროლებლად.

რუსულ-აფხაზური შეთანხმების მეექვსე მუხლი კი თითქმის „ნატოს“ მეხუთე მუხლის იდენტურია: თუ ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე გახდება აგრესიის მსხვერპლი მეორე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფების მიერ, ეს იქნება განხილული, როგორც თავდასხმა ხელმომწერ მეორე სახელმწიფოზეც, რომელიც ვალდებულია, აღმოუჩინოს როგორც სამხედრო, ისე სხვა ტიპის დახმარება. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებაში აღწერილი ქმედებების დახასიათებისას მოშველიებულია გაეროს წესდება. გაეროსი, რომელიც არ აღიარებს აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

გარე სამხედრო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ქმნიან კოლექტიურ ძალებს, რომლებიც არც რუსეთის და არც აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში არ ირიცხებიან. მხარეებზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემთხვევაში კოლექტიური ძალების ხელმძღვანელს ნიშნავს რუსეთის ფედერაცია, აფხაზეთის წარმომადგენელი კი მოკავშირის სტატუსს სჯერდება. თუმცა იქვე ნათქვამია, რომ კოლექტიური ძალების სარდალი თავის ქმედებებს თვით აფხაზეთის შეირაღებული ძალების მთავარსარდალთან ათანხმებს. ამასთან, ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზება.

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

რამდენი ავტომანქანა ჰყავთ კობა ნაყოფიას, მის მეუღლესა და ვაჟს და რამდენი ბინა აქვთ მათ მოსკოვსა და კანარის კუნძულებზე

აწ უკვე ორი მოწვევის პარლამენტის წევრი (2008-სა და 2012-სა) კობა ნაყოფია, დაბადებული 1969 წელს, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატია „ნაციონალური მოძრაობიდან“. მას აქვს ორი დიპლომი: თსუ-სი (ეკონომისტისა და ბიზნესსამართალმცოდნის) და ერთიც მსმენელისა, რაკი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის მსმენელი იყო (სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები). მისი სამუშაო ბიოგრაფია 1993 წელს დაწყო ფირმა „ოქროს საწმისის“ გენდირექტორობით. 1996-ში კი დსთ-ის ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის მრჩეველი გახდა. 1999 წელს შპს „შტორმის“ გენდირექტორად დაინიშნა (2004 წლამდე), ხოლო 2000 წელს – შპს „ინვესტმენტ მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორადაც (ასევე, 2004 წლამდე), იმავე წლებში სს „ორლოვის სამრეწველო კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრიც იყო და „პრომიშლენნიე ინვესტორის“ ვიცე-პრეზიდენტიც. 2003-2005 წლებში „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლდათ, 2004-2006-ში – „მადნეულის“ გენდირექტორი, 2004-2008 წლებში – „რმგ კოპპერი მადნეულის” გენდირექტორი, 2004-2006 წლებში – „კვარციტის“ გენდირექტორი და 2008 წლამდე „კვარციტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც. 2008-2012 წლებში – პარლამენტის წევრად მოგვევლინა, რაც 2012 წელსაც გაიმეორა.

კობა ნაყოფიას მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება, რომელშიც ოჯახის წევრებად მიუთითებს მეუღლეს, ელგა სოფიას, დაბადებულს გალში, ორ შვილს: 1989 წელს გალში დაბადებულ ნიკოლოზს და 1996 წელს მოსკოვში დაბადებულ ნატალიას, დედას, ქალბატონ ლიანა ქარდავას და ვენაში დაბადებულ შვილიშვილს – ნიკოლოზს.

ნაყოფიების უძრავი ქონება შემდეგნაირია: კობა ნაყოფიას საკუთრებაა ბინა მოსკოვში, კაშერსკოე შოსეზე (55 კვ.მ.), საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გალში (360 და 1 200 კვ. მ.), მიწის ნაკვეთი დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (11 301 კვ.მ.) და იმავე მისამართზე მშენებარე საცხოვრებელი სახლი; ბინა თბილისში, ჭავჭავაძეზე (198 კვ.მ.), კიდევ ერთი ბინა ჭავჭავაძეზე (223 კვ.მ.) და აგარაკი კანარის კუნძულებზე (300 კვ.მ.).

ელგა სოფიას საკუთრებაა: ბინა მოსკოვში, მალაია ორდინკაზე (167 კვ.მ.), ორი ბინა თბილისში, ამბროლაურის ქუჩაზე (31 და 83 კვ.მ.), ბინა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე (231 კვ.მ.) და იმავე მისამართზე მდებარე მეორე ბინა (173 კვ. მ.).

ნიკოლოზ ნაყოფიას კი ეკუთვნის ბინა ჭავჭავაძეზე, – 204 კვ. მ. ფართობის და ასევე, 14 კვ. მ. ფართობის ავტოფარეხი. ელგა სოფიას ორი ავტოფარეხი აქვს, კობა ნაყოფიას – მხოლოდ ერთი.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას: კობა ნაყოფიას ჰყავს 2 ავტომანქანა – 2010 წლის „მერსედესი“ და 2011 წლის „როლს როისი“; ელგა სოფიას – 3 ავტომანქანა: 2008 წლის „მერსედესი“, ასევე, 2011 წლის „მერსედესი“ და 2008 წლის „ლენდ როვერი“; ნიკოლოზ ნაყოფიასაც ორი ავტომანქანა ჰყავს: 2008 წლის „მერსედესი“ და კიდევ ერთი „მერსედესი“ რუსულნომრიანი. ასევე, კობა ნაყოფიას აქვს ლადო გუდიაშვილის 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ფერწერული ტილო.

დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფული ჰქონდა მხოლოდ კობა ნაყოფიას – 30 000 ლარი.

სამეწარმეო საქმიანობას კი ოჯახში მხოლოდ ნიკოლოზ ნაყოფია ეწევა: ის არის 2008 წელს ოფშორში, კერძოდ, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული საწარმოს პარტნიორი (მინდობილობით), ასევე, ვირჯინიის კუნძულებზე 2011 წელს რეგისტრირებული „აი ელ ეს ფიდუციარი ლიმიტედის“ პარტნიორი; 2009 წელს აშშ-ში, ლოს-ანჯელესში რეგისტრირებული Georgia International Films LLC0-ის პარტნიორი; 2008 წელს თბილისში რეგისტრირებული შპს „მუვინგ პიქჩერსის“ პარტნიორი და, ამას გარდა, თბილისში 2006 წელს რეგისტრირებული შპს „გოლდინვესტის“ პატრნიორი, ოღონდ ამჯერადაც მინდობილობით.

დეკლარაციის თანახმად, არც ერთი ზემოჩამოთვლილი საწარმოს საქმიანობიდან ნიკოლოზ ნაყოფიას არანაირი შემოსავალი არ მიუღია. შესაბამისად, ოჯახში 2013 წელს შემოსავალი ჰქონია მხოლოდ კობა ნაყოფიას: პარლამენტის წევრობამ 2013 წლის განმავლობაში მას 55 593 ლარი მოუტანა.

ნაყოფიების ოჯახის საბანკო ვალები შემდეგნაირია: კობა ნაყოფიამ 2008 წელს სამი ათწლიანი იპოთეკური სესხი აიღო: 481 000, 453 000 და 90 000 აშშ დოლარის ოდენობით (რომელთა მომსახურებაც 2013-ში 88 066, 82 928 და 16 157 აშშ დოლარი დაუჯდა), 2007 წელს 7-წლიანი იპოთეკური სესხი აიღო 247 000 აშშ დოლარის ოდენობის (გასულ წელს მისი მომსახურება 57 320 აშშ დოლარი დაუჯდა); ასევე, 10-წლიანი 150 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი (რომლის მომსახურებაც 2013-ში 17 506 აშშ დოლარი დაუჯდა); 2011 წელს მამა-შვილმა, ორივემ, აიღო ავტოსესხი, 57 404 და 60 960 აშშ დოლარის ოდენობით, რომელთა მომსახურებაც გასულ წელს 34 000 აშშ დოლარი დაუჯდათ. 2012 წელს კობა ნაყოფიამ სამომხმარებლო სესხიც აიღო – 63 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უკვე გაისტუმრა 2013-ში. 2012 წელსვე აიღო მან 30 000 და 100 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხები (ოვერდრაფტი) და მილიონ 420 000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტიც; 2013-ში აიღო 500 000 (სამომხმარებლო სესხი) და 1 895 000 აშშ დოლარი; ამას გარდა, კომერციული სესხი – მილიონი აშშ დოლარის ოდენობის და კიდევ ნახევარმილიონიანი კრედიტიც. გარდა ამისა, ერთი-ორი მცირე სესხიც აქვს – 20 000-25 000 აშშ დოლარის ოდენობით.

გასულ წელს ნიკოლოზ ნაყოფიამ ავტომანქანა 77 000 აშშ დოლარად გაყიდა.

2013 წელს კობა ნაყოფიას გასავალიც ჰქონდა: ვაჟისა და რძლის სწავლის საფასური 8 500-8 500 ევრო დაუჯდა, ხოლო ქალიშვილის სწავლაში 23 500 აშშ დოლარი გადაიხადა.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ

ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲗ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ, *57 წლის (ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲛᲫᲦᲝᲚᲘ).* **ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ** – კისრის და წელის ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია: – სტაჟიანი პაციენტი ვარ. პროფესია მაიძულებს, მუდმივად საჭესთან ვიჯდე, სიმძიმესაც ვეწევი და გაციებაც არ მაკლია. მრავალი წელია, მტკივა წელი, კისერი. დროდადრო ვმკურნალობდი კიდეც, ბოლო დროს კი ტკივილი ძალიან გამიმძაფრდა, კისრიდან მხარში გადავიდა და მუშაობას ვეღარ ვახერხებდი. ექიმმა კისრის გამოკვლევა ჩამიტარა

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

და მ.რ.ტ. დისკოზი აღმომაჩნდა. დამინიშნა ნემსები, ტაბლეტები, გელები, მაგრამ, არც ამან მიშველა. ახლობლის რჩევით, მანანა ალექსიშვილის კლინიკაში მოვედი. გაოცებული ვარ ჩემი დღევანდელი მდგომარეობითა და მკურნალობის შედეგით, თან – ასე სწრაფად. ტკივილი იმ საღამოსვე გამინახევრდა, ორ დღეში კი მთლიანად გაქრა. დღეს მეშვიდე დღეა და, უკვე საჭესთანაც დავჯექი და ვმუშაობ. ძალიან კმაყოფილი ვარ. გაიხარეთ ქალბატონო მანანა, თქვენ რომ არა, საოპერაციოში ამოვყოფდი თავს. ღმერთმა დაგლოცოთ!

ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲐᲓ ᲘᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐ

ᲪᲘᲠᲐ ᲪᲘᲠᲐᲛᲨᲣ, *62 წლის (ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘᲚᲘ, ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲜᲐ),* **ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ** – ანალური ნაპრალი, ჰემოროიდული დაავადება, 3 ხარისხი, კოლიტი.

ბევრი რამ მოვსინჯეთ მე და ჩემმა ოჯახმა და მაინც გავხდი თბილისში ჩამოსასვლელი. რაიონში ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მითხრეს, ოპერაციის გარეშე ვერ გიშველითო. თბილისში ეს კლინიკა მოგვასწავლეს. ქალბატონმა მანანამ არაჩვეულებრივი მკურნალობა ჩამიტარა ნატურალურ პროდუქტებზე დამზადებული წმლებით, ნახარშებითა და მალამოებით. აშენდა მისი ოჯახი, ეს რა ტკივილები მომაშორა, თანაც, ორ-სამ დღეში! აღარც სისხლდენა მაქვს, აღარც შეკრულობა. ამოვისუნთქე და თვალებში გამოვიხედე. უზომოდ მადლიერი ვარ, სიტყვებიც კი არ მყოფნის!

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔ

ნატა ფერაძე: „მერების ხელშეკრულების" მიხედვით, რომლის წევრიც არის საქართველო, ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია მოთხოვნა, რომ ქალაქში გამწვანებული ტერიტორია უნდა იყოს არა ნაკლებ 9 კვადრატული მეტრი ერთ სულ მოსახლეზე. ევროკონვენციის მიხედვით, თუ ქალაქში გამწვანებული ტერიტორია ერთ სულ მოსახლეზე 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია, ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტს და ვერ გახდება ამ ხელშეკრულების წევრი. კრიტიკულ ზღვრად სწორედ ეს მაჩვენებელია მიჩნეული. თბილისში დღეს რეალურად ეს მაჩვენებელი გვაქვს, თუმცა მას შემდეგ, რაც თბილისს ადმინისტრაციულად მიუერთდა ქალაქგარე ტერიტორიები – წყნეთი, წავკისი, ეს მონაცემი ხელოვნურად არის გაზრდილი. თბილისის საზღვრების გაფართოება სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როცა გააქტიურდა თემები ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ, სტატისტიკაში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიის გაზრდა რეალურად ვერაფერს ცვლის. ის გამწვანებული ტერიტორიები, რომელიც თბილისს აკრავს გარს, დედაქალაქის რეალურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენს. კომპანია, რომლის აპარატებითაც ხდება ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის გაზომვა, იძლევა მონაცემებს, რომ თბილისის ზოგიერ რაიონში, ჰაერში მტვერი და სხვა მავნე ნივთიერებები, ზღვრულ ნორმაზე ხუთ-ექვსჯერ მეტია. ეს არის ხანგრძლივი ქრონიკული დაავადებების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

მცხეთა-შიომღვიმის გზაზე ჯანმრთელი ბზა იჭრება გზის გასაფართოებლად

– შემოერთებული ტერიტორიების რეკრეაციული ზოლი რატომ ვერ შველის თბილისს?

– ვერ ვიტყვით, რომ ვერ შველის, ამ ტყეებს, რა თქმა უნდა, მაინც მოაქვს თბილისში სუფთა ჰაერი. თბილისის გარშემო ტყეები ხელოვნურად არის გაშენებული. მათ არ აქვთ თვითაღდგენის საშუალება. შესაბამისად, მათ მოვლაში საჭირო იყო პროფესიონალი მეტყევეების ჩართვა. ბოლო ათეულ წლებში საქართველოში სიტუაცია ისეთი არეული იყო, ვის ეცალა ტყეებისთვის. შესაბამისად, თბილისის გარშემო ტყეები უკვე დაავადებულია. სოკო და პარაზიტი აქვს მოდებული ფიჭვებს, 60 პროცენტი მთლიანად გამხმარია, დანარჩენი საჭიროებს ინტენსიურ მკურნალობას. უპირველესად, უნდა მოხდეს მათი შეწამვლა ვერტმფრენით. ამათ დადგეს „სათაგურები,", ეგრეთ წოდებული „ხაფანგები" რაც პროფილაქტიკის ზომაა. თუმცა, ეს რეალურად, ტყეს ვერ შველის. ჩვენ სულ ვამბობთ, რომ ქალაქდაგეგმარება და გამწვანება კომპლექსურად უნდა იყოს განხილული. მაგალითად, შვეიცარიაში წელიწადში ერთხელ ყველა ინვესტორი, ბინის მყიდველი თუ გამყიდველი, ელოდება ინფორმაციის გამოქვეყნებას, თუ როგორია იმ რაიონში ჰაერის მაჩვენებელი. ამის მიხედვით იცვლება ფასები უძრავ ქონებაზე. მაღალია ფასი იქ, სადაც უკეთესი ეკოლოგიური სიტუაციაა. თუ სადმე აღმოაჩინეს, რომ ჰაერი დაბინძურებულია, იწყება მთელი რიგი სამუშაოები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ სამუშაოებს შორის, უპირველესი ხეების დარგვაა. ასევე, საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვა, ზიგზაგისებური გამყოფი ზოლებიც კი გააკეთეს, რომ მანქანებმა ნელა იარონ და ნაკლები გამონაბოლქვით დააბინძურონ ჰაერი. რა ხდება თბილისში? ძველ უბნებში ფასები უძრავ ქონებაზე დაბლა ეცემა, იმიტომ რომ, იქ ცხოვრება უკვე გაუსაძლისია. იქ, სადაც არაა რეკრეაციული ზონა, გაკაფულია ხეები, ძალიან რთული მდგომარეობაა საცხოვრებლად მოსახლეობისთვის, რომელიც აბსოლუტურად დაუცველია ეკოლოგიური საფრთხეებისგან.

– როგორ შეიცავლა მდგომარეობა იმ უბნებში, სადაც ძველი ჭადრები დაჭრეს?

– საკმაოდ რთული მდგომარეობაა აღმაშენებლის გამზირზე. ჭადრების მოჭრის შემდეგ ტემპერატურამ 2-3 გრადუსით მოიმატა. მთაწმინდიდან აღმაშენებელზე თუ გადახედავთ, ამ უბნის თავზე მუდმივად შავი ზოლია. ძველი ჭადრების მოჭრა იყო, ფაქტობრივად, ეკოციდი. ეს იყო უგუნური პოლიტიკა. აღმაშენებელზე ჭადრები დარგეს მჟავანაძის მმართველობის დროს. ეს ხე მარტო ფოთლით არაა გამორჩეული, მისი ქერქიც ფილტრავს ჰაერს. ეს არის საუკეთესო პერიოდი, რომ ჭადარს დააკვირდეთ. თითქმის ყველა ხეს ფოთოლი უკვე დაცვენილი აქვს, ჭადარს კი მთელი დეკემბერი და იანვარი აქვს ფოთოლი, რომელიც კიდევ ახერხებს ჰაერის ფილტრაციას. ჭადარი ასევე ხელს უწყობს წყლის ნამეტის ამოღებას, რაც დგება სახლების სარდაფებში და რაც სერიოზული პრობლემაა არქიტექტორებისთვის. მინდა გითხრათ, რომ, ევროპამ 2013 წელს ჭადარი აღიარა, როგორც ქალაქის ფილტვები. ჭადარი არის ხე, რომელიც გვიმცირებს კომუნალურ გადასახადებს, ზაფხულში აგრილებს ტემპერატურას, ზამთარში ქარს აკავებს.

– რას იტყვით იმ ნარგავებზე, რაც დაირგო ძველი ჭადრების ნაცვლად?

- ეს არის იტალიიდან იმპორტირებული, ძვირად ღირებული გავჯუჯავებული კატალპა „ნანა". არსებობს კატალპის სახეობა, რომელიც იზრდება ხესავით, დიდი და ურბანულია. კატალპა „ნანა" არის დეკორატიული, სიმპათიური ხე, რომელიც უნდა დაირგოს პატარა სკვერში. მისი დარგვა გამზირზე ურბანისტულად, სრულიად გაუმართლებელია. ის ვერ აკმაყოფილებს იმ პარამეტრებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ურბანული ხე. იმდენად უგუნური, სასაცილო იყო წინა მთავრობის მიერ კატალპების დარგვა არგუმენტით, რომ აღმაშენებლის გამზირზე გარემონტებული ფასადები გამოჩენილიყო, ვერც ერთ საპირისპირო არგუმენტს ვერ უძლებს. სინამდვილეში, მოხდება პირიქით, ჭადარი შეიძლებოდა, გაგვეკრიჭა და დაგვეტოვებინა ვარჯი კორპუსების თავზე, რის საშუალებასაც გვაძლევს ჭადრის სიმაღლე. კატალპა „ნანა" კი, ზრდასრული, ზუსტად მეორე-მესამე სართულის სიმაღლეზე გაიკეთებს უზარმაზარ ვარჯს ისე, რომ შენოებები საერთოდ აღარ გამოჩნდება. საქმე ისაა, რომ გამწვანების სამსახურში კეთდებოდა ძალიან დიდი ფული ხეების იმპორტზე. ეს პროცესი მორგებული იყო კონკრეტულ ადამიანებზე.

– დღეს რა სიტუაციაა?

– დღეს მეორე უკიდურესობაში ვართ. ახლანდელი ქალაქის ხელმძღვანელობაც არასწორ ნაბიჯებს დგამს. რატომ აღარ აქვთ ჩვენს სანერგეებს იმდენი ნერგი, რაც ჰქონდათ ადრე? იმიტომ რომ, ზუსტად იცოდნენ, არ გამოცხადდებოდა ტენდერი და გასაყიდი დარჩებოდათ დიდი რაოდენობით ნარგავი. მარტო კერძო შეკვეთების ამარა, სანერგეს ვერ განავითარებ. ახლა მხოლოდ ის სანერგეები ყვავის, რომლებიც არ ვიცი, გარიგებულნი იყვნენ ხელისუფლებასთან თუ რა იყო, მაგრამ მათ ზუსტად იცოდნენ, რაზე გამოცხადდებოდა ტენდერი. არასწორი დაგეგმარების გამო, ეს ბიზნესი დღეს სრულიად გაჩერებულია. ახალი ხელისუფლების პოლიტიკა დედაქალაქში მილიონი ხის დარგვასთან დაკავშირებით ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ერთი რეპორტაჟი არ გავა, დავით ნარმანია ნიჩბით ან ბარით არ იყოს კადრში. საქმე ისაა, რომ თუ ნახავთ, რა სახეობის ხეებმა გაიმარჯვა იმ ტენდერებში, რაც გამოაცხადა მერიამ, მიხვდებით, როგორია ამ ხელისუფლების პოლიტიკა. სულ ექვსი სახეობის ხეა, მათ შორის: ცაცხვი, ფიჭვი, მინდვრის ნეკერჩხალი, იფანი. რამდენიმე სახეობა ნამდვილად კარგია ქალაქისთვის, მაგრამ ეს არ არის ქალაქში დასარგავი ნერგები, ისინი ტყეში დასარგავი ნერგებია. ქალაქში უნდა დაიგოს უფრო დიდი ზომის ნერგები, რომლებიც იოლად არ დაზიანდება. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ველოდოთ 20-25 წელს, რაც სჭირდება ხეს იმისთვის, რომ მან „მუშაობა" დაიწყოს ეკოლოგიაზე. ქალაქში წკეპლების და მინდვრიდან ამოხშირული ამონაყარის დარგვა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია. პარამეტრების დარღვევა საკმაოდ ცუდად მოგვიტრიალდება, ვერავინ დაითვლის რამდენი ხე გაიხარებს მილიონი ხიდან, რომლის დარგვასაც მერია გეგმავს. თუმცა, რეალურად, ამ პოლიტიკით გაიხარებს ამ რაოდენობიდან მხოლოდ 20-25 პროცენტი.

სამოქალაქო მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის" წარმომადგენელი, ნატა ფერაძე გარემოს დაცვის საკითხებში 2008 წლიდან აქტიურად არის ჩართული. ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ხმაურიანი აქციები, რომელიც პარტიზანმა მებაღეებმა წამოიწყეს თბილისის რეკრეაციული ზონის გადასარჩენად. ამ დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თბილისში კატასტროფული სიტუაციაა – დედაქალაქის ახალ ბიუჯეტში ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად ორი მილიონი ლარია გათვალისწინებული. როგორ და რა პროექტებზე დაიხარჯება ეს თანხა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

რომელი ხე გვიმცირებს თბილისელებს კომუნალურ გადასახადებს და რატომ ვერ გაიხარებს ცნობილი „მილიონი ხიდან" 25 პროცენტზე მეტი

თამუნა სამადაშვილი

„კამელინის“ სამკურნალო უნიკალური თვისებების შესახებ ჩვენს მკითხველს არაერთი ინფორმაცია მივაწოდეთ, რადგან თაფლზე დამზადებული ბუნებრივი ქართული პრეპარატი დღეს გავრცელებული არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, მათ შორის ისეთის, როგორიც სიმსივნეა. „კამელინის“ გამოყენება ამ დაავადების სამკურნალოდ ხშირად ძალიან ეფექტურია, რასაც მისი სხვადასხვა თვისება განაპირობებს: „კამელინი“ 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური პრეპარატია; ჰიპოალერგიულია; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი; არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. თუმცა „კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, მაგრამ ის უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს და დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. პრეპარატის გამოყენება შეიძლება როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილის და, ასევე, დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის იმუნური სისტემის ოპტიმიზაცია. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარეც, უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მკურნალობით მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება.

როგორ მოქმედებს „კამელინი“ ადამიანის იმუნურ სისტემაზე და რა განაპირობებს მის ეფექტურობას სიმსივნისა და სხვა დაავადების დროს

პრეპარატი „კამელინი“ აძლიერებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს სიმსივნის უჯრედებს და აფერხებს მათ გამრავლებას. რაც მთავარია, ამ პრეპარატმა ადრეც და ახლაც ბევრი ადამიანი სრულიად განკურნა სიმსივნისგან. ბევრ შემთხვევაში კი მოხდა სიმსივნური უჯრედების გამრავლების შეჩერება და მეტასტაზები გაქრა. პირადად მე შევიტყვე, თუ როგორ გაუქრა ერთ-ერთ პაციენტს სარკომა, ისე რომ, როდესაც მას კომპიუტერული ტომოგრაფია გადაუღეს, ექვიც კი შეეპარათ, საერთოდ ჰქონდა თუ არა მას სიმსივნე. ერთ-ერთ პაციენტს კი, რომელსაც ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე, გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ მაინც ძალიან მძიმედ იყო და მან მხოლოდ „კამელინით” განაგრძო მკურნალობა. ხუთი კურსის შემდეგ იგი გამოკეთდა – შეჩერდა სიმსივნური წარმონაქმნის ზრდა და გაქრა მეტასტაზები. ერთ პაციენტს კი, რომელიც 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა ჯერ უშვილობის გამო, შემდეგ წყლული გაუჩნდა, რომელიც არ შეხორცდა, მერე დაემართა მედიკამენტური ინტოქსიკაცია. ბოლოს ყველანაირ მკურნალობას დაანება თავი, „კამელინის“ გამოყენებაზე გადავიდა და, როგორც თავად თქვა, პირველი კურსის ჩატარების შემდეგ მოეხსნა ინტოქსიკაცია, ექვსი კურსის ბოლოს კი წყლული შეუხორცდა. ხშირია ისეთი პაციენტების რაოდენობა, რომლებიც „კამელინით“ მკურნალობენ ვაგინალურ ინფექციებზე; ასევე, არაერთი პაციენტია, რომლებიც, ბაქტერიულ-ვირუსული ვაგინიტების დროს, როდესაც აქვთ ჭარბი გამონადენი და ქავილი, იწყებენ მკურნალობას „კამელინის” სანთლებით.

ქალბატონი თამუნა: ჩემს დას 33 წლის ასაკში აღმოაჩნდა თავის ქალის სიმსივნე, რომელიც არ ექვემდებარებოდა მკურნალობას, ნელ-ნელა უფრო ცუდად ხდებოდა და უარესდებოდა მისი მდგომარეობა. გავუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ შედეგი არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, ამიტომ, გადავწყვიტეთ, მკურნალობის სხვა გზები და საშუალებები გვეცადა. პირადად მე ჩემი ახლობლისგან გაგებული მქონდა „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ. მას ჰქონდა ფილტვის სიმსივნე, იმკურნალა „კამელინით“ და დღეს თავს კარგად გრძნობს. ამიტომ, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ ჩემი დისთვის „კამელინით“ დაგვეწყო მკურნალობა. იმ დროს ის საკმაოდ ცუდად იყო, ვერ ამოძრავებდა ხელებს, ფეხებს. „კამელინის“ გაკეთებისთანავე ორგანიზმმა მუშაობა დაიწყო. რამდენიმე კურსის შემდეგ კი ავუღეთ ანალიზიები და პასუხები უკეთესი იყო. უფლისა და „კამელინის“ დახმარებით ჩემმა დამ სიარულიც შეძლო.

40 წლამდე ასაკის ქალბატონს ათი წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ, უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მდგომარეობა კი მაინც თანდათანობით უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად ინვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს და მისი მდგომარეობა ნელ-ნელა გაუმჯობესდა.

ქალბატონი მანანა: ჩემს ახლობელს რამდენიმე წლის წინ დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი. საკმაოდ ცუდად იყო. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართა, რა არ სცადა, მაგრამ, უშედეგოდ. იმ დროს „კამელინის“ შესახებ ბევრმა არ იცოდა და შემთხვევით გაიგო ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. მე თვითონ ვუკეთებდი „კამელინის“ ნემსებს. მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, რადგან, მას შემდეგ 6 წელი გავიდა. მალევე გამოკეთდა, მოძლიერდა და დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს – მუშაობს და ჩვეულებრივი ადამიანივით ცხოვრობს.

კობა გურიელიძე *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და შედეგად კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთ შესანიშნავ იმუნომოდულატორს წარმოადგენს პრეპარატ „კამელინის“ ინიექციის, კაფსულების, მალამოსა და სანთლების ფორმა. მინდა, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება და, სიამაყით უნდა ვთქვა, რომ „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გაიარა მეტად პრესტიჟული და რთულად გადასალახავი ბარიერი, რომელსაც ჰქვია „ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტო” (FDA) და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე. მისით დღემდე არაერთი ქვეყანა ინტერესდება. ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ონკოლოგიური პაციენტები არიან. მართალია, ეს უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ, ძალიან კარგი პრეპარატია – ძლიერი იმუნომოდულატორი. ამიტომაც, პროფილაქტიკისთვის და სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად ძალიან კარგი საშუალებაა. ანუ, პროფილაქტიკის მიზნით, ჯანმრთელ ადამიანსაც შეუძლია, წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს მკურნალობის თითო კურსი ისე, რომ გვერდითი მოვლენები არ ექნება. „კამელინის“ ამ თვისებებით განსაკუთრებულად იხიბლებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები და სურთ, რომ მათ ბაზარზე „კამელინი“ შევიდეს არა მხოლოდ დაავადების აღმოფხვრის ან შეჩერების, არამედ, პრევენციის მიზნითაც.

– კიბოს საწინააღმდეგოდ რომელი ფორმის პრეპარატი „კამელინი“ გამოიყენება?

– საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში; ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს. მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებით.

***P.S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია და დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

ნათია უტიაშვილი

ნიჭიერმა მომღერალმა ნიკა კიკნაძემ მაყურებელს ჯერ კიდევ „X ფაქტორიდან“ დაამახსოვრა თავი. ახლა კი საზოგადოების წინაშე ის პროექტ „ბრავოში“ წარდგა თავის ლობისტთან, მაია ასათიანთან ერთად, რომელიც ნიკას გამო მაყურებლის წინაშე სრულიად ტრანსფორმირდა და ჯერ სიმღერით გამოიჩინა თავი, შემდეგ კი სექსუალური ცეკვითა და სამოსით. თუმცა, ნიკა იმდენად ნიჭიერი მომღერალია, ისეთი საოცარი ხმა და შესრულების მანერა აქვს, რომ, თავისი მონაცემებით არა მხოლოდ მაია ასათიანის, ბევრი სხვა მანდილოსნის საკუთარ გუნდში გადაბარგებაც შეუძლია.

რა დილემის წინაშე დგომას გადაურჩა ნიკა კიკნაძე და რას არ ელოდა „ბრავოს“ ფინალისტი მაია ასათიანისგან

ნიკა კიკნაძე: პასპორტში ნიკო კიკნაძე ვარ; მამამ დამარქვა, თუმცა, ნიკოს არავინ მეძახის, ძირითადად, ნიკას მეძახიან, ან, გვარიდან გამომდინარე – „კიკნას“. 1991 წლის 16 ივნისს დავიბადე ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სამშობიაროში – სხვაგან ვერც დავიბადებოდი, რადგან, მეტი სამშობიარო ფიზიკურად არ არსებობდა. მამა ძველი როკ-მუსიკის მოყვარული იყო, ჩუმად რომ შემოჰქონდათ „პლასტინკები“ – ასეთ ამბებს მიყვებოდა ხოლმე. თუმცა, ის, ალბათ, არც იფიქრებდა, რომ ამ გზით წავიდოდი. ჩემში მუსიკალური ნიჭი დედამ აღმოაჩინა, თან, ადრეულ ასაკში. შემდეგ მუსიკაზე მატარებდნენ, ოღონდ, ძალით, არ მინდოდა – 6 წლის ასაკში არავის არ უნდა ფორტეპიანოზე დაკვრა. ბოლოს გამოიღო შედეგი ჩემმა წუწუნმა და მეოთხე კლასიდან გამოვედი, თუმცა, როცა სკოლაში მეშვიდე კლასში ვიყავი, თავად დავინტერესდი მუსიკით.

– მუსიკის გარდა, კიდევ სხვა რამით თუ იყავი დაკავებული, მაგალითად, სპორტით?

– სპორტში დიდი წარმატებები არ მქონია, თუმცა, ძალიან მინდოდა ფეხბურთელი გამოვსულიყავი. არ მქონდა ამის ნიჭი, მაგრამ ძალიან მიყვარს. დღემდე ვამბობ ხოლმე: ალბათ, ფეხბურთის ნიჭი რომ მქონოდა, სერიოზული დილემის წინაშე აღმოვჩნდებოდი – ან მუსიკა, ან ფეხბურთი. მაგრამ, არ დამაყენა ბედმა არჩევნის წინაშე და ამისთვის მადლობელი ვარ – არ ვინანებ მაინც.

არ მომწონებია ისეთი გოგო, რომელიც მთელ სკოლას მოსწონდა. იმიტომ კი არა, რომ მე განსხვავებული ვარ და სხვანაირი გოგონები მომწონს, უბრალოდ, არ მომხდარა ასეთი რამ

– შემდეგ როგორ გავითარდა შენი კარიერა?

– თავიდან უფრო ვუკრავდი: ჯერ ფორტეპიანოზე, შემდეგ – გიტარაზე. ვერ გეტყვით, რომ 12-13 წლის ასაკში რაღაც განსაკუთრებული ვოკალური მონაცემები მქონდა, რადგან, მაშინ ეს ჩემი „კანიოკი“ არ ყოფილა; უფრო დაკვრას ვაწვებოდი, ინსტრუმენტულ მხარეს. გარდატეხის ასაკის შემდეგ რაღაც მოხდა – ცოტა ხმა ამოვუშვი და ვთქვი: ჩემს დაწერილ სიმღერას მე მაინც ვიმღერებ-მეთქი. ნელ-ნელა უფრო და უფრო ვიხსნებოდი, არა ხმის, არამედ, გამბედაობის მხრივ – მივხვდი, რომ გამბედაობა მჭირდებოდა. შეიძლება, მანამდეც მქონდა ხმა, მაგრამ ვერ ვბედავდი. სანამ „X ფაქტორში“ მოვიდოდი, მანამდე „ანდერგრაუნდ-დვიჟენიაში“ ვიყავი – ბენდთან მუშაობის გამოცდილება მინდოდა მქონოდა. ჯერ ერთ ბენდში ვიყავი, შემდეგ მეორეში, ჩვენს სიმღერებს ვაკეთებდით, არც მაინტერესებდა რაღაც პროექტები. დღესაც მგონია, რომ მე უფრო სხვაგან ვარ. ბარებში, ძირითადად, ქალებს უკრავენ, ჩვენ კი გვინდოდა, ჩვენი სიმღერებით წავსულიყავით.

– „X ფაქტორში“ როგორ აღმოჩნდი?

– თვითონაც არ ვიცი. ერთ დღეს გავიღვიძე და ვთქვი, წავალ პრექასთინგზე-მეთქი. წავედი, ჩავწერე... მერე დამირეკეს, მივედი ვიმღერე და ასე მოვხვდი, ანუ, მივედი და გავედი, რამაც, საბოლოოდ, ბევრი რამ მომცა. კონკურსები, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში, კარგია იმისთვის, ვინც სოლო კარიერაზე ფიქრობს, ანუ, უნდა, რომ ბენდი კონკრეტულად ვიღაცის სახელით გამოდიოდეს. მე, არ მიყვარს ქალების სიმღერა, თუმცა, ბარში მიწევს ხოლმე – სხვა გამოსავალი არ არის. არ მიყვარს ჩარჩოებში ყოფნა: ეს ასე გააკეთე, ის – ისე. ეს არ ეხება მხოლოდ მუსიკას, სხვა რამესაც ეხება. შემიძლია, ადამიანის რჩევა მოვისმინო – ზოგადად, მიყვარს მოსმენა, მაგრამ, საბოლოოდ, 95 პროცენტ შემთხვევაში, ისე ვიქცევი, როგორც მე მიმაჩნია სწორად.

– თუმცა, ეს პროექტები მომღერალს მაინც აქცევს გარკვეულ ჩარჩოებში.

– რა თქმა უნდა. „X ფაქტორში,“ ვცდილობდი, კონფლიქტური არ ვყოფილიყავი და ისეთი რაღაცეები ამერჩია, რაც ჩემთანაც ახლოს იქნებოდა და პროექტის ფორმატშიც კარგად ჩაჯდებოდა – გადავწყვიტე, რომ ასე აჯობებდა. ვინც მე ოდესმე ჩარჩოებში მსვამდა, („X ფაქტორს“ არ ვგულისხმობ), სადაც ადრე ვყოფილვარ ან ვინმესთან ერთად მიმუშავია, მათთან აღარ ვარ, არ მიყვარს ეს ჩარჩოები. თან, ზოდიაქოთი „ტყუპები“ ვარ, გაორებები და რაღაცეებიც არის, მაგრამ, ხშირად არა, თუმცა, რაღაცეებში ვგავარ ამ ნიშანს, რაღაცეებში – არა. არასტაბილური არ ვარ. თუ რაღაც მინდა, იმას კარგად გავაკეთებ და, თუ არ მინდა, – აი, ხათრით გაკეთებული საქმე ხომ გაგიგია, – ეს კი არ გამოდის კარგი; ამიტომაც, ხათრის გამო არაფერს ვაკეთებ. რაც მთავარია, არ ვარ ჩაკეტილი ადამიანი და არც, ჩაკეტილ ადამიანებთან ურთიერთობა შემიძლია. თუ კარგი მოსაუბრე ვერ ვნახე, არ შემიძლია ყველასთან დროის გატარება, ანუ, მეც, შესაბამისად, არ ვარ ისე, როგორც საჭიროა.

– კონფლიქტური ხარ?

– რაღაც ასპექტში ყველა კონფლიქტურია. თუ ვიღაცას რაღაც არ აწყობს, ყველაზე ლმობიერი ადამიანიც კონფლიქტური ხდება. კონფლიქტურ სიტუაციებს ყოველთვის თავს ვარიდებ; ვცდილობ, საერთო ენა გამოვნახო და, თუ არ გამოდის, შესაბამისად, ის სიტუაცია მერე კონფლიქტში გადაიზრდება ხოლმე.

– გოგონების გამო რომ ჩხუბობენ ხოლმე...

– არ მომწონებია ისეთი გოგო, რომელიც მთელ სკოლას მოსწონდა. იმიტომ კი არა, რომ მე განსხვავებული ვარ და სხვანაირი გოგონები მომწონს, უბრალოდ, არ მომხდარა ასეთი რამ და, შესაბამისად, გოგოს გამო დიდად არ მქონია კონფლიქტები.

– როგორი გოგონები მოგწონს?

– გარეგნობას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს – პირველი კონტაქტი ხომ მაინც ვიზუალურია, მაგრამ, როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს, ორ კვირაში მაგის ვიზუალი კაცს აღარ უნდაო – იმიტომ, რომ გბეზრდება. სილამაზე კარგია, მაგრამ, გოგოს თავშიც ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც, მის გვერდით მყოფმა კაცმა ხომ უნდა იგრძნოს, რომ ერთნი არიან?! ისე, როცა ვიღაცას ხედავს ადამიანი, გარკვეული ურთიერთობის შემდეგ ხვდება, „ის“ თუ არის.

– „ბრავოზე“ ვისაუბროთ. შენმა ლობისტმა, მაია ასათიანმა, ისე დაგიჭირა მხარი, ისეთები გააკეთა შენ გამო, აბსოლუტურად სხვა მაია ვიხილეთ.

– „ X ფაქტორში“ საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. მანანა მორჩილაძე ვოკალის ძალიან კარგი პედაგოგია და მასთან მუშაობამ ბევრი რამ მომცა; გარდა ამისა, ბევრი მეგობარი შევიძინე, ხალხმა გამიცნო. კი მეწყინა, რომ გამოვვარდი, მაგრამ, სადამდეც მივედი, ისიც ძალიან კარგი იყო ჩემთვის და დიდი გამოცდილებაც მივიღე და დაწუწუნების მიზეზიც კი არ მაქვს. რაც შეეხება „ბრავოს,“ – ეს უფრო გასართობი შოუა და აქ უფრო საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეები გამოდიან. კარგია, რომ კიდევ ერთხელ გავახსენე ხალხს თავი – აქ ვარ, არსად წავსულვარ! ლობისტზე არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, ძალიან გამიხარდა. არ ვიცნობდი მაიას, მერე დავუახლოვდი და ძალიან კარგი პიროვნება აღმოჩნდა, კარგი იუმორის გრძნობით. ზალიკო ბერგერსაც კარგი იუმორი აქვს და, საბოლოოდ, შოუ სასაცილო და კარგი გამოვიდა. რაც მაიამ გააკეთა, ამას მე კი არა, მგონი, არავინ ელოდა. გენერალურ რეპეტიციაზე ვნახე პირველად და, ამდენი თუ შეეძლო, არ ვიცოდი. დიდი მადლობა! დიდწილად მისი დამსახურებაა, რომ ფინალში ვარ. ძალიან აქტიური იყო. ზურა ბალანჩივაძე ჩემი მეგობარია და, ძალიან რთული იყო, მეგობარს რომ ვუპირისპირდებოდი. გამიხარდა, რომ ზურა ჩემს გადასვლას კარგად შეხვდა – ისე, როგორც მეგობარი შეხვდებოდა ამას და ამიტომ ყოველთვის და ყველგან ვუხდი მადლობას.

– ახლა ნახვალ და შენს სასიყვარულო ისტორიებს „პროფილში“ მოყვები?

– მიუხედავად ჩემი უდიდესი „რესპექტისა“ მაიას მიმართ, იმედი მაქვს, ამის გაკეთება არ მომიწევს. პირადულ თემებზე საუბარი არ მიყვარს – ეს მხოლოდ ჩემია და არ შემიძლია, ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკო.

ნათია უტიაშვილი

გაანცხადება

ჟურნალ **„თბილისელებს“** ესაჭიროება ჟურნალისტები. მიმართეთ პასუხისმგებელ რედაქტორს, ზაალ ცინაძეს, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ტელ: 5-99-58-73-33

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ
BAKURIANI

ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲚᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ქალების ყოველდღიურობაში თავისი ადგილი უჭირავს საკუთარ სილამაზეზე ზრუნვას. ზოგის დღიურ განრიგში ეს კომპონენტი დიდ ნაწილს იკავებს, ზოგისთვის – შედარებით ნაკლებს. მაგრამ, ასეა თუ ისე, მიზანი – ლამაზად და ახალგაზრდულად გამოვიყურებოდეთ – ალბათ, თითოეული ჩვენგანის ცნობიერში არის ჩაბეჭდილი. სილამაზეზე ზრუნვის რუტინა ყველას ინდივიდუალური აქვს: ზოგი მომეტებული სერიოზულობით უდგება ამ საკითხს და საამისოდ მკაცრად გაწერილი გრაფიკი აქვს, ზოგიც თავისუფალი დროის მცირე მონაკვეთში ცდილობს ხოლმე ამ ყველაფრის ჩატევას. იდეალურ შემთხვევაში ქალების გარკვეული ნაწილი სალონის პირობებშიც უვლის თავს კოსმეტოლოგთან პერიოდული ვიზიტებით და სახლის პირობებშიც ახერხებს დამატებით გარკვეული პროცედურების ჩატარებას.

„პროცედურები“, ალბათ, ხმამაღალი ნათქვამია სახელდახელოდ რამდენიმე წუთში მომზადებული სახის ნიღბისთვის, მაგრამ ასეთ ბუნებრივ, ზედმეტი ქიმიური დანამატებისგან თავისუფალ ნიღბებს ნამდვილად შეუძლია დიდი ეფექტის მოხდენა. დღეს რამდენიმე უმარტივეს, სასარგებლო და ეფექტური სახის ნიღბის რეცეპტს გაგიზიარებთ.

მარტივზე მარტივი და საოცრად მარგებელია ნატურალური თაფლის ნიღაბი: თაფლში შემავალი ენზიმები კანის მკვდარ უჯრედს იწოვს, რაც კანს ხავერდოვანს და სრიალას ხდის. ეს ნიღაბი იდეალურია მგრძნობიარე, ნორმალური და კომბინირებული კანისთვის. მომზადების წესი, ფაქტობრივად, არც გააჩნია: უბრალოდ ვიღებთ ნატურალურ თაფლს, ვისვამთ სახეზე და ვიტოვებთ 15 წუთით. შემდეგ თბილი წყლით ჩამოვიბანთ.

ავოკადოს სასარგებლო თვისებებზე უკვე ბევრი რამ გვსმენია და ჩვენ შორის ყველაზე თავგამოდებულმა ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრებმა მისი ყოველდღიურ საკვებ რაციონში ჩართვაც მოახერხეს. თუმცა, საკვების გარდა, ავოკადოს გამოყენება კოსმეტიკური მიმართულებითაც არაჩვეულებრივ შედეგებს იძლევა. კოსმეტოლოგების თქმით, ავოკადოში შემავალი ზეთი ძალიან უხდება მგრძნობიარე და მშრალ კანს. ნიღბის მოსამზადებლად ვიღებთ ნახევარ ავოკადოს, კარგად ვზელთ პატარა ჯამში. თუ კომბინირებული კანი გაქვთ, ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ 1 ჩაის კოვზი ლიმონის ან ლაიმის წვენი დაუმატოთ და კარგად აურიოთ. დაიდეთ სახეზე და დაახლოებით 10 წუთით გაიჩერეთ, რომ კანმა კარგად მოახერხოს სასარგებლო ნივთიერებების შეწოვა. ბოლოს თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ის ენზიმები, რომლებიც ანანასის შემადგენლობაში შედის, იდეალურია ექსფოლიატორის ფუნქციისათვის – ისინი იდეალურად ათავისუფლებენ კანს მკვდარი უჯრედებისგან. ანანასში შემავალ ბრომელანს კი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია. ნიღბის მოსამზადებლად ვიღებთ ანანასის მოჭრილი კანის შიდა ნაწილს ან ანანასის ხილის პატარა ნაჭერს და გასუფთავებულ, მშრალ კანზე გადავისვამთ ისე, რომ თვალის ირგვლივ ზონას ავარიდოთ. დავიტოვებთ 5-7 წუთით და შემდეგ თბილი წყლით ჩამოვიბანთ.

თუ თქვენ აკნესადმი მიდრეკილი კანი გაქვთ, მაშინ კვერცის გულის ნიღაბი თქვენთვის არის ზედგამოჭრილი: კვერცხის გულში შემავალი სულფური, სწორედ რომ, აკნეს ებრძვის თურმე ძალიან ეფექტურად. ნიღბის მომზადების წესი შემდეგნაირია: პატარა ჯამში გავთქვიფოთ კვერცხის გული და გადავისვათ წინასწარ გასუთავებულ კანზე ისე, რომ თვალის ზონას მოვარიდოთ. დავაცადოთ სანამ კარგად გაშრება და შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით.

აქვე შეგახსენებთ, რომ არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში 2 ლიტრი „ბაკურიანის“ მიღება. საუკეთესო საშუალება კანის ტენიანობის შესანარჩუნებლად ხომ სწორედ „ბაკურიანია“ .

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

რაზე უნდა იფიქროს კაცმა, სანამ კარს მაიხურავს და ქალს გულს ატკენს

ის, რომ მამაკაცების ეგოიზმს სრული საფუძველი გააჩნია, არ არის მითი. რეალურად, ისინი ხშირად და დაუფარავად ავლენენ ეგოიზმს. ზოგიერთი ფსიქოლოგი ამას მათ თავდაცვის ინსტინქტს მიაწერს. ძლიერი სქესი სულაც არ არის სინამდვილეში ძლიერი, ისინი საკმაოდ ემოციურები, ნერვიულები და დაკომპლექსებულები გახლავან. როცა მიდიან და ტოვებენ ერთ დროს საყვარელ ქალს, მაშინაც კი არ შეუძლიათ, არ გამოვიდნენ თავიანთი ვიწრო ეგოისტური ჩარჩოდან, რაც შემდეგ საკმაოდ ძვირად უჯდებათ. პრობლემის, დაბრკოლების გადალახვისას კი ქალები გაცილებით მეტ სიმტკიცესა და ნებისყოფას ავლენენ...

ანი *(41 წლის):* ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამ თემაზე ვილაპარაკებდი, თანაც, ასე საჯაროდ. პირადულზე ყოველთვის ძნელია ლაპარაკი. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქალია ჩემს მდგომარეობაში. ზოგჯერ ვფიქრობ, მარტო ქალებს შეგვიძლია სრულფასოვანი სიყვარული, კაცებისთვის კი ეს გრძნობა ან საერთოდ უცხოა, ან – დროებითი; თანაც, კარგად ვერც ხვდებიან, რას აკეთებენ, როცა არაფრად გვაგდებენ და საკუთარი ეგოისტური ზრახვებით ხელმძღვანელობენ. როცა ჩემმა ქმარმა კარი გაიჯახუნა და წავიდა, მეგონა, ცა ჩამომექცა თავზე. ძალა გამომეცალა და მხოლოდ ერთი კითხვა მაწვალებდა და მიტრიალებდა თავში – ახლა როგორღა უნდა ვიცხოვრო-მეთქი. ოცი წელი ვიცხოვრეთ ერთად. დღეს ეს ლამის ფანტასტიკის სფეროა. გვქონდა პრობლემები, მაგრამ, კატასტროფამდე არასოდეს მივსულვართ, ალბათ, იმიტომ, რომ ზოგჯერ თვალს ვხუჭავდი, უფრო სწორად, ფართოდ არ ვახელდი.

– რას გულისხმობთ?

– ქალი თუ გონიერია, იმასაც ხვდება, როდის უნდა ეძიოს და ქექოს და, როდის – არა. თუ იმის გჯერა, რომ შენი ქმარი განსაკუთრებულია და არ გიღალატებს, სულელი ხარ. მე თავს არ ვისულელებდი, უბრალოდ, ვცდილობდი, შემენარჩუნებინა ოჯახიც და ურთიერთობაც. შეიძლება, კარგად ვერ გადმოვცემ იმას, რისი თქმაც მინდა, მაგრამ, ზოგჯერ ოჯახი მხოლოდ ფორმალურად არსებობს და მე ეს არ მინდოდა.

– არ გიჭირდათ ეჭვებში ცხოვრება?

– არ ვცხოვრობდი ეჭვებში. არ დავუშვი ეს, არ შემოვუშვი ეჭვი ჩემს ცხოვრებაში და ვიყავი ბედნიერი. ჩემს ქმარზეც ვერ ვიტყვი აუგს – საკმაოდ ფრთხილად და თავდაჭერილად იქცეოდა, არასდროს მოუცია ჩემთვის ნერვიულობისა და ეჭვიანობის საბაბი. ჯეროვან პატივსაც მცემდა და მის გვერდით თავს დაცულად და კომფორტულად ვგრძნობდი. იმასაც ახერხებდა, რომ სასურველ ქალად დავრჩენილიყავი. გვაერთიანებდა საერთო საზრუნავიც. ეს კარგია, რადგან, ყოფითი პრობლემები აკავშირებს ოჯახურ წყვილს.

– ანუ, რემონტი – ერთობის გარანტი?

– დიახ, დაახლოებით მაგას ვგულისხმობ. რაღაც საზრუნავი აუცილებლად უნდა იყოს – ბინა, აგარაკი, შვილების განათლება... ეს საჭიროა, ოღონდ, ამ ყველაფერს ცოლ-ქმარი ერთად უნდა აგვარებდეს. ზედმეტი ფულიც, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება არა აქვს და არც კონკრეტულ საჭიროებას უნდა მოხმარდეს, აუცილებლად სადღაც წავა – სავარაუდოდ, სიამოვნებაში და ქალმა ამაზეც უნდა იფიქროს. თუ ის ამ სახსრებს კონკრეტულ მიმართულებას არ მოუძებნის, მისსავე საწინააღმდეგოდ დაიხარჯება.

– ცოტა დამაბნიეთ. რისი თქმა გინდათ?

– როცა ჩვენს ოჯახში გაჩნდა ფული სიამოვნებისთვის, მე მას ჯეროვანი მიმართულება ვერ მოვუძებნე... იმის მაგივრად, რომ საკუთარი თავისთვის მომეკლო, მიმეხედა, პლასტიკური პროცედურები გამეკეთებინა, მაგრად ჩამეცვა, სამოგზაუროდ წავსულიყავი, თუნდაც ქმართან ერთად, საერთოდ არაფერი შევცვალე, რაც სრული უგუნურება იყო ჩემი მხრიდან. სამაგიეროდ, ქმარმა მოუნახა გზა ამ ფულს: ჯერ მანქანა გამოიცვალა და უფრო ახალი, პრესტიჟული მოდელი შეიძინა, მერე კი სხვანაირად „აცქმუტდა“, ჰო, აცქმუტდა – ამას სხვა სახელს ვერ დავარქმევ... ახალგაზრდულად დაიწყო ჩაცმა და, პირდაპირ, ბანაობდა სუნამოში... თან, სულ დამნაშავის მზერა ჰქონდა, ისეთი, დანაშაულზე რომ წაასწრებენ ადამიანს და გამოიჭერენ. მე კი მაინც არ ვიფიქრე, რომ საფრთხე სერიოზული იყო... ამას იმას ვაბრალებ, რომ არ ვიყავი თავისუფალი, შინაგანმა ჩაკეტილობამ ქნა ეს.

როცა კაცი ატყობს ქალს, რომ უყვარს მხოლოდ ქმარი, მის იქით წასასვლელი გზა არსად აქვს და საკუთარ თავს შეკანა პლანზე აყენებს, ეგოისტურად და უტიფრად იქცევა

– ქმარი გზლუდავდათ და რამეს გიშლიდათ?

– არა, ამას არ ვგულისხმობ. მე თვითონ არ ვიყავი თავისუფალი, თორემ, არ მექნებოდა იმის გაკეთების პრობლემა, რაზეც გელაპარაკეთ. სულ ვფიქრობდი, რომ საკუთარი თავისთვის ნაკლები ყურადღების მიქცევა ნორმალური იყო; რომ, რადგან სამსახურში დავდიოდი, ვიყავი თვითრეალიზებული და შემდგარი, მაგრამ, ცხოვრებამ დამანახვა, რომ ვცდებოდი.

– ფიქრობთ, საკუთარ გარეგნობაზე მეტად რომ გეზრუნათ, ქმარი სხვასთან არ წავიდოდა?

– ნაკლებად ტოვებენ ასეთ ქალებს კაცები. რამდენიც არ უნდა მიმტკიცონ, რომ ვცდები, საპირისპიროში ვერ დამარწმუნებენ. როცა კაცი ატყობს, რომ ქალს მას იქით წასასვლელი გზა არა აქვს, უყვარს მხოლოდ ქმარი და საკუთარ თავს უკანა პლანზე აყენებს, უფრო ეგოისტურად და უტიფრად იქცევა. კაცი მუდმივად „ტონუსში“ უნდა გყავდეს – იმის განცდით, რომ, თუ ჭკვიანად არ იქნება, ჩაანაცვლებენ... დამავიწყდა მე ეს ჭეშმარიტება და შედეგად მივიღე ის, რომ, ერთ დღესაც, ჩემი ქმარი მოვიდა, ზღურბლზე დადგა და მომაშტერდა. არც ფეხზე გამოუცვლია, არც ქურთუკი გაუხდია, ისე დაიწყო: პირდაპირ გეტყვი – ასე აჯობებს. რა აზრი აქვს გარშემო სიარულს... მე შენგან მივდივარ. სხვა შემიყვარდა, ტყუილში ცხოვრება კი არც მინდა და არც შემიძლიაო...

– პირდაპირ მოგახალათ?

– დიახ. არც კი დაფიქრდა, როგორ ტკივილს მაყენებდა ამით, რა მდგომარეობაში მაგდებდა... საერთოდ არ აინტერესებდა, რას განვიცდიდი იმ მომენტში. მთავარი იყო, თვითონ ეგრძნო თავი კარგად და მე სულ ფეხებზე ვეკიდე. ამის გაცნობიერებამ გამამწარა. მაშინ ვიგრძენი, რომ გავთავისუფლდი შინაგანი ბორკილებისგან, ერთბაშად და ჩემი ჩარევის გარეშე. როგორ გითხრათ... სიტყვებით მიჭირს ამის გადმოცემა. სამწუხაროდ, როცა კაცი მიიღებს ოჯახიდან წასვლის გადაწყვეტილებას და კარს გაიხურავს, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე – ეს ასეა. სხვა რამეზე რომ ფიქრობდეს, თუნდაც შვილებზე, მაშინ ამის გაკეთება გაუჭირდებოდა.

– ქალი არ იქცევა ეგოისტურად, როცა ოჯახის მიტოვების გადაწყვეტილებას იღებს? თუ, ეს მარტო კაცებს სჭირთ?

– ქალებსაც სჭირთ, რა თქმა უნდა, თუმცა, გაცილებით იშვიათად. ქალი დედაა და ეგოიზმი მას ნაკლებად ერევა. მართლა ძალიან უნდა შეუყვარდეს სხვა და მართლა გაუსაძლისი უნდა იყოს მისი ცხოვრება ქმართან, რომ გაიხუროს კარი და წავიდეს. ღალატზე არაფერს ვამბობ – ღალატი ქალსაც შეუძლია. უნდა გენახათ, როგორი ბედნიერი იყო, როცა სათქმელს თავი მოაბა და მითხრა, რისი თქმაც უნდოდა, თუმცა, თვალებში არ შემოუხედავს ჩემთვის... ვერ ვიტირე. მიუხედავად იმისა, რომ ტირილი ძალიან მინდოდა. მერე სულელივით გამეღიმა. ლამის ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი, რადგან, ძალიან კომიკური გამომეტყველება ჰქონდა... ჩემმა ღიმილმა ნეგატიურად იმოქმედა მასზე – გავარდა და კარი გაიჯახუნა. ორი დღის შემდ-

რუსეთში მცხოვრები ქალი და მისი ოჯახი საქართველოში ნათესავებს ეძებენ

ანა ნიკოლოზის ასული ვოლკოვა (მეუღლის გვარზეა) ეძებს თამარ გურგენიძეს (ასაკი უცნობია)

ისტორია: ვეძებ ბაბუაჩემის – გურგენ ალავიძის ნათესავებს, კერძოდ კი, მის შვილს – თამარს. ბაბუა დაბადებული იყო 1919 წელს. ამჟამად ის ცოცხალი აღარაა. მე და ჩემს ოჯახს ძალიან გვინდა თამარის მოძებნა. ვიცით, რომ საქართველოში გურგენ ალავიძეს ნათესავები ჰყავს და მათ თქვენ გარეშე ვერ ვიპოვით, რამეთუ მათ შესახებ არაფერი ვიცით. გიგზავნით ბაბუას ფოტოს. სურათი ომის დროინდელია, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოში მცხოვრები ჩვენი ნათესავები გამოგვეხმაურებიან.

ჟურნალისტის შენიშვნა: ეს ისტორია გადმომეცა როგორც საქართველოში დაკარგული ადამიანების ძებნით დაკავებულ პირს და რუბრიკა „დაკარგულების“ ხელმძღვანელს. დიდი იმედი მაქვს, რომ გარდაცვლილი გურგენ ალავიძის ნათესავები ამ სტატიას გამოეხმაურებიან.

– გვიამბეთ თქვენი ისტორია.

– ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ომის დროს დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე ჩემმა ბებიამ, ანა კოვროვსკაიამ, შემთხვევით გაიცნო ბაბუა – გურგენ ალავიძე. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი. ეს იყო დიდი სიყვარული, რომელიც ბაბუას თანამებრძოლებს დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ. ეს მოხდა 1943 წელს, 1944 წლის თებერვალში კი სოფელ კოვროვოში (ნიეგოროდის მხარე) დაიბადა დედაჩემი, მარია კოვროვსკაია. დედა, რა თქმა უნდა, დედამისის გვარზე იყო, რადგან გურგენი და ანა ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. დედაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ არასდროს უნახავს მამა. ბაბუას თანამებრძოლებისგან შევიტყვეთ, რომ გურგენს საქართველოში ჰყავს შვილი, კიდევ ერთი გოგო, სახელად თამარი. ბაბუა გარდაიცვალა დაახლოებით 1979 წელს. ჩვენ ძალიან გვინდა მისი ნათესავების პოვნა. მთელ ჩვენს დიდ ოჯახს ამის სურვილი გვაქვს. მივმართეთ არაერთ სამძებრო სამსახურს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც თქვენთან გადმოგვამისამართეს. გვაქვს ბაბუას – გურგენ ალავიძის ომის დროინდელი ფოტო და, ასევე, ბებიას (ანა კოვროვსკაიას) ფოტოები. ბაბუას ნათესავებისა და მისი შვილის პოვნის იმედს სწორედ ამ ფოტოებზე ვამყარებთ. ყოველთვის მინდოდა, გამეცნო ჩემი ქართველი ნათესავები, განსაკუთრებით კი, თამარი – გურგენ ალავიძის შვილი, რომელმაც, ალბათ, არც კი იცის ჩემი არსებობის შესახებ. იმედია, როდესაც ის ამ ამბავს გაიგებს, მასაც ენდომება ჩემი გაცნობა და ჩემთან შეხვედრა.

– როგორც გავიგე, მას შემდეგ, რაც დედათქვენი დაიბადა, გურგენი და ანა ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, ანუ, ბაბუამ არ იცოდა, რომ მას შვილი ჰყავს?

– არა, ბაბუამ დედაჩემის შესახებ არაფერი იცოდა და დედასაც არასდროს უნახავს მამამისი. იმ დროს, მოგეხსენებათ, ტელეფონებით შეუძლებელი იყო დაკავშირება და, რა თქმა უნდა, არც ინტერნეტი არსებობდა; ამიტომაც მოხდა ისე, რომ, ომის დასრულებისთანავე, მათი კავშირიც დამთავრდა.

– როგორ ფიქრობთ, თქვენი ნათესავების პოვნის შემთხვევაში, ისინი თუ მოინდომებენ თქვენთან დაკავშირებას?

– მეც და მთელი ჩემი ოჯახიც ამის იმედად ვართ. პირადად მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს იყო დიდი ხნის წინანდელი სიყვარულის ისტორია და, მინდა, რომ ის კარგად და კეთილად დასრულდეს. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ მათ პოვნაში.

– თავად გურგენი სად ცხოვრობდა, თუ არის თქვენთვის ცნობილი?

– მხოლოდ ის ვიცით, რომ ის თბილისში ცხოვრობდა. საწუხაროდ, არც მისი მეუღლის სახელი ვიცი და არც თამარის ასაკი. ჩემი აზრით, თამარი ამჟამად დაახლოებით 68-74 წლის უნდა იყოს.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.

ნატალია მახარაშვილი

ეგ მოვიდა თავისი ნივთების წასაღებად.

– ფაქტობრივად, არ გილაპარაკიათ?

– სერიოზულად არა. გეუბნებით, ჩემმა ქმარმა არაფერზე არ იფიქრა, გარდა თავის ეგოისტური გულისნადების ასრულებისა. იმ მომენტში ძალიან გავძლიერდი...

– თუმცა, ფიქრობდით, რომ ცხოვრება დამთავრდა...

– არა, ეგ არ მიფიქრია. როგორ ვიცხოვრებ ამის მერე-მეთქი, ეს აზრი კი მაწუხებდა, მაგრამ, იმასაც ვგრძნობდი, როგორ ვთავისუფლდებოდი შინაგანად. ამან აღმაფრენა შემმატა და შემაძლებინა, გავთავისუფლებულიყავი.

– რისგან?

– კომპლექსებისა და იმ ბორკილებისგან, რასაც „ცოლი“ ჰქვია. მე ხომ ჩემი თავისთვის არ ვცხოვრობდი. ჩემი ქმარი ვერც ხედავდა ამ მსხვერპლშეწირვას, რადგან, არც არაფერში სჭირდებოდა... ისე წავიდა, ერთხელაც არ მითქვამს, დარჩი-მეთქი, მაგრამ, გულში მაინც ვფიქრობდი: ჩემი ქმარი ახლა კარს გაიხურავს და ერთბაშად უცხო გახდება-მეთქი და, მინდოდა, მთელი ხმით მეყვირა: არ წახვიდე, ძალიან ჩემიანი ხარ, ძალიან მიჭირს და არ მიმატოვო-მეთქი.

მთავარი იქო, თვითონ მგრძნო თავი კარგად და მე სულ ფეხებზე ვეკიდე

– რატომ არ თქვით ეს ყველაფერი ხმამაღლა?

– იმიტომ რომ, ვიცოდი, აზრი არ ჰქონდა. წავიდა და მე არ დავინტერესებულვარ – ვისთან. არ მიძებნია, არ მიქექია... ერთხელაც არ დამირეკავს და არ მიკითხავს მისი ამბავი, ოღონდ, იმიტომ არა, რომ არ მაინტერესებდა. მას, ალბათ, ეგონა, ვერცერთი წუთი ვერ გავძლებდი მის გარეშე და ხვეწნას დავუწყებდი, მაგრამ, ვერ გაითვალისწინა ჩემი ხასიათი და, კიდევ ის, რომ მე უკვე თავისუფალი ვიყავი დიდი და დამთრგუნველი პასუხისმგებლობისგან. გავლაღდი – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; ჩემში სხვა ქალმა გაიღვიძა, გაიშალა მხრებში და საკუთარი თავის ფასი იგრძნო. შევიცვალე და ეს უპირველესად გარეგნობასა და გამოხედვაზე დამეტყო. შინაგან ძალას ვგრძნობდი... ძალიან მალე, როცა ჩემი ქმარი უკან მობრუნდა, გაუჭირდა ჩემი ცნობა – ისე ამაყად თავანებული დავხვდი, გაოგნდა. ალბათ, ელოდა, რომ ცრემლიანი თვალებით ან გაავებული დავხვდებოდი და, არცერთი რომ არ მოხდა, დაიბნა.

– ჩვეულებრივად მიიღეთ?

– სრულიად ჩვეულებრივად და ლამის ენა ჩაუვარდა გაოცებისგან. თითქოს დილით წავიდა და საღამოს დაბრუნდა. ახლაც მუდმივ სტრესშია. ვერ ხვდება, მიხარია, რომ ისევ ჩემთან არის თუ – სულერთია. მე ძალიან მომწონს მისი შოკირებული „სიფათის“ ყურება. ახია მაგაზე, დაიმსახურა!

დალი მიქელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

ქალები სულ იმაზე წუწუნებენ, რომ მამაკაცებს მათი არ გვესმის, მაშინ, როცა თავად საერთოდ არაფრის გაგება არ სურთ. ჩემი ცოლი ძალით დამატარებს საყიდლებზე და ეს ნამდვილი ტანჯვაა. ფული კი არ მენანება. ხომ შეიძლება, ჩემ გარეშე წავიდეს, მაგრამ – არა... უარს თუ ვეტყვი, ისტერიკას მიწყობს. აშკარად ფეხებზე ვკიდივარ. არ შეიძლება, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მინდა?!

გამოხმაურება: თქვენ არ გვწერთ, რა დროს უთმობთ მეუღლესთან ურთიერთობას. შესაძლოა, ის მხოლოდ ამ ფორმით ახერხებს თქვენთან კონტაქტს. შეიძლება, ამით ივსებს თქვენთან ურთიერთობის დეფიციტს. ასე რომ, არ შეიძლება, მიზეზი მარტო მისი ჭირვეულობა იყოს – იფიქრეთ ამაზე.

ფსიქოლოგი
მაგდა როგაძიძე

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ სეზონში მაყურებელმა ბევრი ახალი თემა, სახე და განვითარებული ძველი პერსონაჟი იხილა. მათ შორის არის ბაქარიც, რომლის ეპიზოდური როლი, ახლა ერთ-ერთ მთავარ ხაზად იქცა. ბიჭმა, რომელიც ქალაქში სასწავლებლად ჩამოვიდა და პირველივე შემხვედრი გოგო შეუყვარდა, თან მსუბუქი ყოფაქცევის, შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყნის ალაპარაკება შეძლო. ბაქარმა ყურადღება, გარდა ტრაგიკომიკური როლისა, სახასიათო მეტყველებით, გამორჩეული ჩაცმულობითა და დასამახსოვრებელი ფრაზებით მიიპყრო. შესაბამისად, მისი როლის შემსრულებელი, ახალგაზრდა მსახიობი, ბუბა მათნაძე უცებ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

რის გაკეთებას ვერ ბედავდა თავიდან ბუბა მათნაძე ბაქარის როლის შესრულებისას და რით ჰგავს ის საკუთარ პერსონაჟს

– ბუბა, როგორი რეაქცია აქვს ხალხს ბაქარის დანახვაზე?

– ქუჩაში, სოციალურ ქსელშიც უკვე მცნობენ. ხალხის სიყვარულს და სითბოს ვგრძნობ. ქუჩაში ძირითადად მაშტერდებიან ხოლმე. სამახსოვრო სელფს იღებენ. სოციალურ ქსელში ბევრი მწერს: ბიჭებიც, გოგოებიც, ქალებიც, კაცებიც. მეკითხებიან – „საიდან მოხვდი სერიალში?“, „მართლა ესე ლაპარაკობ?“, ზოგი ბაქარს მეძახის, ძირითადად, პატარა ბავშვები. თუმცა, ამას მასიური სახე არ აქვს.

– ბაქარივით რომ არ ლაპარაკობ, ამას ვხედავ, ამიტომ სერიალში როგორ მოხვდი, ეს მითხარი.

– სერიალში მოვხვდი საბავშვო თეატრ „მეორე სახლიდან“. 9 წლიდან ამ თეატრში ვარ. ერთხელ „ჩემი ცოლის დაქალების“ ქასთინგზე მოვიდნენ ჩვენთან და არ ვიცი, ალბათ, მოვეწონე, რადგან სერიალში მიმიყვანეს. თავიდან ბაქარის პერსონაჟი არ იყო ასე განვითარებული. საერთოდ, ხმასაც არ იღებდა. მერე უკვე სცენარისტმა განავითარა და გახდა ის, რაც არის. ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. როცა ბაქარი პირველად წაიყვანეს ქალებში, მეგონა, ეს იქნებოდა დასასრული და კიდევ რომ დამირეკეს, ძალიან გამიხარდა. თავიდან ცოტა შიშის მომენტი იყო, უფრო მეტად კი, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. როცა ეპიზოდური როლიდან უკვე სერიოზულ როლზე გადადიხარ და სერიალში შენს ხაზს იწყებენ, რამდენიმე სცენა მთლიანად შენზეა აგებული, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობ. ორი უკიდურესობა მქონდა, ან ძალიან კარგი უნდა გამოსულიყო, ან საერთოდ, არაფერი.

ხატიას უნდა მოვფერებოდი მკერდთან ახლოს, ეგ ცოტა გამიჭირდა, ახალი გაცნობილი მყავდა და არ ვიყავი შეგუებული

– შენს პერსონაჟს ყველაფერი სახასიათო აქვს, განსაკუთრებით მეტყველება. როგორია ბაქარად გარდასახვის მომენტი?

– ჩემთვის კამერასთან მუშაობას ეს პლუსი აქვს, როცა ის ირთვება, მომენტალურად მავიწყდება ყველაფერი. მარტო იმაზე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ზუსტად გავაკეთო. მით უმეტეს, ბაქარის პერსონაჟი ისეთია, არც ზედმეტი მოუხდება და დაკლებითაც არაფერი არ უნდა დააკლო. სახასიათო როლები ყოველთვის ზომიერია. მუშაობა ძირითადად ინტონაციაზე დამჭირდა. ერთი და იგივე ფრაზა ათჯერ და ოცჯერ შეიძლება გაიმეორო, სხვადასხვანაირად უნდა მოსინჯო და მერე, იქიდან ამოირჩევა საუკეთესო ვარიანტი. ასე ხდება თითოეული ფრაზის შემთხვევაში.

– ხშირად არის ხოლმე სასაცილო მომენტები?

– ბოლო სერიებში იყო, რომ ვამბობ „დამადევით ყინული, გაყინული ქათამი მაინც დამადევით ვინცხამ“. აი, ამ სცენას რომ ვიღებდით, ძალიან სასაცილო იყო და ვერავინ ვერ ვიკავებდით თავს. ყველა ვიცინოდით და ძალიან გავაბრაზეთ ხალხი, რადგან ბევრი დუბლის ჩაწერა მოგვიხდა. როცა რეპეტიციებს გავდივართ, თავიდან სასაცილოა, მაგრამ მერე იმდენჯერ ვიმეორებთ ერთი და იგივეს, რომ აღარ გვეცინება. ერთ მონაკვეთში ხატიას უნდა მოვფერებოდი მკერდთან ახლოს. ეგ ცოტა გამიჭირდა, ახალი გაცნობილი მყავდა და არ ვიყავი შეგუებული. ამიტომ, თავიდან მერიდებოდა და ვერ ვბედავდი *(იცინის).*

– ბაქარს პროტოტიპი ჰყავს, ვისი წარმოდგენაც გეხმარება მისი განსახიერებისას?

– რა თქმა უნდა. იმ ადამიანის გარეშე ბაქარი ვერ გახდებოდა ისეთი, როგორიც არის. ეს არის ქალბატონი ქეთი ჩხეიძე, რომელიც თამაშობს დედაჩემის – ნუნუკას როლს. მასთან არ მივსულვარ და არ მითხოვია, ინტონაცია მასწავლეთ-მეთქი, უბრალოდ, როცა მას ჰქონდა ტექსტი და მე არა, ვუსმენდი მის მეტყველებას. დავიჭირე ინტონაცია და მერე ჩემს პერსონაჟს მოვარგე. მე დასავლეთთან არანაირი შეხება არ მაქვს, კახელი ბიჭი ვარ და ერთადერთი, ეგ მოვიფიქრე *(იცინის).*

– ბაქარის ჩაცმულობაზეც გკითხავ. მთლიანად თვითონ გმოსავენ თუ შენც შეგაქვს პატარა შტრიხები?

– არა, ჩაცმულობას მთლიანად კოსტიუმების მხატვარი წყვეტს. მე არ ვერევი, არა მხოლოდ ბაქარის, ჩემს ჩაცმულობაშიც კი ამას ძირითადად დედაჩემი აკეთებს *(იცინის).*

– რა განსხვავება და მსგავსებაა ბუბას და ბაქარს შორის?

– ბაქარი არის, უპირველესად, მიზანდასახული. რაც არ უნდა წინააღმდეგობა შეხვდეს, მაინც იმას გააკეთებს, რაც უნდა და როგორც უნდა. სხვათა შორის, მეც ასეთი ვარ – რაც არ უნდა ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობდეს, მაინც გავაკეთებ იმას, რაც მინდა. ბაქარი არის ძალიან მორცხვი, თავის თავში ჩაკეტილი. ისეთი დედა ჰყავს და ისეთი ოჯახი აქვს, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. ყველასთან ისეთია, როგორსაც სიტუაცია მოითხოვს. დედამისს ვერ შეეწინააღმდეგება, აზრი არ აქვს და ამიტომ ურჩევნია, თავი დაუხარო. ძმაკაცებს რაც შეეხება, ერთი სცენა იყო ამაზე და ჩანს, რომ ძმაკაცურია. ბაქარისგან განსხვავებით, მე ბრაზიანი და საკმაოდ ნერვიული ვარ *(იცინის).* სიყვარულის ამბებში ის რომანტიკულია. მე არ ვარ რომანტიკული. სასტიკად არ ვარ *(იცინის).* ვარდები და მსგავსი რაღაცეები არ მიყვარს. მე უფრო სიტყვით მირჩევნია ყველაფრის გამოხატვა – წყნარად და მშვიდად, ნერვების აყოლის გარეშე. ბაქართან შედარებით უფრო „დასტოინი“ ვარ. ის უფრო გულს არის აყოლილი. თუმცა, ამასაც თავის მიზეზი აქვს. ის პირველად ჩამოვიდა ქალაქში და პირველივე გოგო შეუყვარდა. მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს არც არის გასაკვირი.

– სიყვარულის გამო, შენ თუ მოიქცეოდი ბაქარივით?

– გააჩნია ვინ მიყვარს. თუ ადამიანი მართლა მიყვარს და მისგანაც იგივეს ვგრძნობ, რატომაც არა, ბევრ დათმობაზე წავალ. მაგრამ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვერ შემიყვარდება, იმიტომ რომ ძალიან ეჭვიანი ვარ. ეს ერთი ცუდი თვისება მაქვს, ამის გამო თამუნასნაირი გოგო არ შემიყვარდება. გოგოების ამორჩევაში მე ძალიან ფრთხილი ვარ. უპირველესად, მასთან დიდი დრო უნდა მქონდეს გატარებული, კარგად უნდა ვიცნობდე მის ფსიქოლოგიას და შეხედულებებს. უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს ზოგადად. არ მიყვარს ცანცარა გოგოები. ძალიან კარგია, როცა გოგო განათლებულია და რა თქმა უნდა, გარეგნობასაც მნიშვნელობა აქვს.

– უპირველესად, მის გარეგნობას აქცევ ყურადღებას თუ განათლებას?

– სხვათა შორის, არც ერთს. თავიდან ვაკვირდები, რამდენად უკომპლექსოა გოგო. ეს არ ნიშნავს, რომ ვულგარული უნდა იყოს და ზედმეტობაში გადადიოდეს, თუმცა კომუნიკაბელური უნდა იყოს. თუ შემიყვარდა და ვინმეზე გადავირიე, მერე, ალბათ, სხვანაირად ვილაპარაკებ.

– აი, ბაქარს შეუყვარდა და გადაირია. შენ არასდროს გყვარებია ასე?

– ორმხრივად არა, მაგრამ მარტო მე მყვარებია. ეს რაღაც ბავშვური გატაცება იყო, სერიოზული არაფერი. როცა ცოტა იზრდები, მერე ხვდები, რომ სისწრაფე და სიჩქარე აქ საჭირო არ არის. დაელოდები და თავისით მოვა. ახლა ერთი გოგო მომწონს და ვნახოთ, რა იქნება.

– ბაქარის პერსონაჟი როგორ განვითარდება?

– სახალისოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ტრაგიკომედია იქნება.

– სერიალის გარდა, რა ხდება შენს ცხოვრებაში?

– თეატრში ვდგამთ სპექტაკლებს, გავდივართ ფესტივალებზე. მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვარ, თუმცა, ისე გამოვიდა, რომ ამჟამად სკოლას ცოტა ნაკლებ დროს ვუთმობ, რადგან თუ გადაღებაზე არ ვარ, თეატრში ვარ და დრო აღარ მრჩება.

– როგორია შენი სამომავლო გეგმები?

– ჯერჯერობით არაფერი მაქვს გადაწყვეტილი. მეთეთმეტე კლასში ვარ და კიდევ მაქვს წელიწად-ნახევარი მოსაფიქრებლად. გააჩნია, როგორ განვითარდება სერიალს მიღმა ჩემი ცხოვრება. რაღაც ვარაუდები მაქვს, თუმცა კონკრეტული გეგმები არა.

ქეთი კაპანაძე

ალექსი წერეთელს, საქართველოს დიდი მგოსნის, აკაკის ერთადერთ შვილად ყოფნა არგუნა ბედმა. თუმცა, მას მხოლოდ საკუთარი ცხოვრება ჰქონდა – იცხოვრა ისე, რომ რუსეთის თეატრალურ სამყაროს ალექსი აკაკის ძე წერეთელი არ დაევიწყებინა. თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას მამასთან, საქართველოსთან და რა ტექსტის დეპეშებს უგზავნიდა აკაკის, ამ და სხვა თემებზე ვისაუბრებთ ჩვენს რუბრიკაში.

ვის გამო იღებდა გამუდმებით ვალს აკაკი წერეთელი და რაზე იყო დამყარებული მისი ქორწინება

აკაკის პირადი ცხოვრების შესახებ ძალიან ბევრი ჭორი არსებობს, რაც საერთოდ, თანმხლებია საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისთვის. ერთ-ერთი აქტუალური თემა, რომელსაც პოეტის სიცოცხლეშიც ხშირად განიხილავდნენ, იყო მისი და ნატალია ბაზილევსკაიას ქორწინება.

ნატალია ბაზილევსკაია იყო ოქროს მადნების რუსი მაგნატის, პეტრე ბაზილევსკის, ქალიშვილი. 1869 წელს სხვიტორში დაიბადა მათი ვაჟი – ალექსი. სამწუხაროდ, აკაკის არც ცოლმა და არც შვილმა არ იცოდნენ ქართული ენა და ერთი სტრიქონიც არ ჰქონდათ წაკითხული პოეტის შემოქმედებიდან, რომელსაც ერმა „საქართველოს ბულბული" უწოდა.

ალექსი საოპერო დასის ანტრეპრენიორი იყო და ერთ ხანს წარმატებითაც მოღვაწეობდა. თუმცა, სულ მუდამ კრედიტორების ვალი ჰქონდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში, ამ ვალების გადახდა აკაკის უწევდა. ალექსი მაღალი, კარგი გარეგნობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა ყოფილა. მამას ამსგავსებდნენ. აკაკის სიცოცხლის ბოლოს ქუთუთოს დამბლა დაემართა და კარგად რომ დაენახა, თავს მაღლა სწევდა თურმე. მისთვის უთქვამთ: ალექსი თავაწეულ სიარულსა და გამოხედვაშიც შენ გგავსო, რაზეც პოეტს უხუმრია: რაღა თავის აწევაში დამემსგავსა ეს დალოცვილიო. რაც შეეხება ნატალიას, ის მეტად მომთხოვნი, პრეტენზიული და ფუფუნების მოყვარული ქალი იყო და აკაკი მას აქ, შესაფერის პირობებს ვერ შეუქმნიდა. ისინი სხვადასხვა ინტერესით ცხოვრობდნენ, ერთმანეთისაგან შორს, სხვადასხვა ქვეყანაში. ნატალია საქართველოში ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა. არც აკაკი რჩებოდა მასთან წლობით. თუმცა, სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდათ ურთიერთობა. ბოლოს, როდესაც აკაკი ავად გახდა, ნატალიამ მოისურვა, რომ ჩამოსულიყო და მოევლო ქმრისთვის.

ქართველები ალექსი წერეთელს ძირითადად პეტერბურგში, მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახში ეცნობოდნენ ხოლმე და მაშინვე დიდი სიყვარულით უწყებდნენ მამაზე და მის პოეზიაზე საუბარს. რას წარმოიდგენდნენ, რომ აკაკი წერეთლის ვაჟმა ქართული ენა არ იცოდა. ალექსი მისთვის გაუგებარ ენაზე დასმულ შეკითხვებს დელიკატურად პასუხობდა. შედეგად, ყველასთვის გასაგები ხდებოდა, რომ არც ქართულის და არც მამის პოეზიისა, მას არაფერი გაეგებოდა.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ინტერესი არ ჰქონდა. ის დაინტერესებული იყო ქართული კულტურითაც და მამითაც.

ერთხელ ალექსის უცდია მამისთვის წერილი ქართულად მოეწერა, რა თქმა უნდა, სხვების დახმარებით. ამით გახარებულ აკაკის მიუწერია: „შენმა წერილმა ძალიან გამახარა. არასოდეს საეჭვოდ არ მიმაჩნდა შენი ნიჭიერება და ენერგია. შეგეძლო, ჩემს ახლოს ასჯერ მეტი სარგებლობა მოგეტანა და მეც არ გავმწარდებოდი". დასანანია, რომ მოგვიანებით, ქართული ინტელიგენციის მცდელობას აკაკი წერეთლის ერთადერთი შვილი მამის სამშობლოში, ქართულ გარემოცვაში შემოეყვანათ, უშედეგო გამოდგა.

აკაკის ცხოვრების თავისუფალი რეჟიმი ჰქონდა, შეიძლება ითქვას, მოუწესრიგებელიც. თუმცა, ამის მიუხედავად, ის ძალიან ბევრს მუშაობდა და თითქმის არც ერთ ღონისძიებას არ აკლდებოდა. წარმოიდგინეთ, მას სახლი არ ჰქონია არც თბილისში და არც ქუთაისში. ის მუდამ სტუმარი იყო სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის ოჯახში და ეს სტუმრობა ხშირად თვეობით გრძელდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი არ მუშაობდა და სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებით თავისი შეხედულება ჰქონდა. მას მიაჩნდა, რომ პოეტი, არ უნდა მუშაობდეს, რადგან ბიუროკრატიული სამსახური კლავს შემოქმედის ნიჭს. ეს პრინციპი მან ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა.

აკაკის ვალების აღება უყვარდა, რომლებსაც შემდეგ აღარ აბრუნებდაო, – თავის დროზე ამასაც ამბობდნენ... ალბათ, ის ფაქტი, რომ აკაკი ხშირად სესხულობდა თანხას და ამით ხელს ინაცვლებდა, ასეთი ჭორების საბაბი ხდებოდა. მაგრამ, აკაკი ძალიან ბევრს მუშაობდა და ძალიან ხშირად ბეჭდავდა თავის ნაწერებს. გარდა ამისა, მას ჰქონდა მამული სხვიტორში. ასე რომ, მისი შემოსავალი სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო მარტოხელა კაცისათვის, მაგრამ ვალებს იღებდა იმიტომ, რომ მას ხშირად სთხოვდა ცოლ-შვილი დახმარებას. არსებობს არაერთი მოგონება, რომელთა ავტორების ცნობით, აკაკის მოსდიოდა წერილები ალექსისგან, რომელიც მას ფულის გაგზავნას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის მოკვლით იმუქრებოდა. აკაკის მუდმივი შემოსავალი არ ჰქონდა, ამიტომ, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, იძულებული იყო, ვალი აეღო. თუმცა, მისი თანამედროვეების ცნობით, ის, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ვალებს აუცილებლად უბრუნებდა პატრონს.



მანთაშოვს უთქვამს: ნეტავი, ბატონო აკაკი, ან თქვენ იყოთ სომეხი პოეტი, ან მე ვიყო ქართველი. ისე ამდენი თანხა როგორ მოგცეთო. მერე მაინც დახმარებია

ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ელიაშვილი, რომელიც ბაქოში მუშაობდა და აკაკისთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა, იხსენებს: „ერთხელ აკაკი ჩამოვიდა ძალიან შეწუხებული და მითხრა, ალექსისგან დეპეშა მივიღე: თუ სასწრაფოდ არ გამომიგზავნი 2 500 მანეთს, თავს მოვიკლავო. როგორც ჩანს, ალექსი ბანქოს თამაშობდა. დავტრიალდი, მაგრამ ამხელა თანხა, სად უნდა გვეშოვნა. მერე თვითონ აკაკის უთქვამს, როგორც თბილისში მითხრეს, ცნობილი სომეხი მეწარმე ალ. მანთაშოვი ახლა ბაქოშია და იქნებ მას მივმართოთო. ასეც მოქცეულან. მანთაშოვს უთქვამს: ნეტავი, ბატონო აკაკი, ან თქვენ იყოთ სომეხი პოეტი, ან მე ვიყო ქართველი. ისე, ამდენი თანხა როგორ მოგცეთო. მერე მაინც დახმარებია, ოღონდ ვექსილი მოუთხოვია, რომელიც ინჟინერ ბრაილოვს მიუცია. ფული სამ თვეში უნდა დაებრუნებინა აკაკის. ელიაშვილი ძალიან შეწუხებულა, თუმცა, 2 თვის თავზე აკაკის 1500 მანეთი გაუგზავნია მანთაშოვისთვის. ამის შემდეგ, ბრაილოვს აღარ უკისრია ამ ვექსილის განაღდება. მეგობრებს კი აკაკისთვის შეუთვლიათ: შენი ვალი გადახდილიაო. მიუხედავად ამისა, აკაკის ანდერძში ყველას ვალი ჰქონია შეტანილი, მათ შორის ეს 1 000 მანეთიც.

ივანე ელიაშვილი იმოწმებს გადმოცემას იმდროინდელი ცნობილი პიროვნების, ივანე ერისთავისას, რომელსაც გარუსებული ქართველი მილიონერის ქალიშვილზე უქორწინია და მთელი ქონება გაუნიავებია. ერთხელ ის ერთ-ერთი თავყრილობის დროს აკაკის ვალებზე საუბარს შესწრებია და გაუხსენებია ასეთი რამ: ახალგაზრდა იყო აკაკი, როცა მოვიდა ჩემთან და 6 000 მანეთი ისესხა ორი კვირით. გავიდა ორი, სამი, შვიდი კვირა და თანხის დაბრუნების იმედიც თანდათან გამიქრა, მაგრამ ორი თვის შემდეგ გამომეცხადა აკაკი და ფულიც უკლებლივ მომიტანა. თქვენ კარგად იცით, სად და როგორ გაქრა ჩემი ქონება, მაგრამ გთხოვთ, იცოდეთ, აკაკი იყო ის ერთადერთი კაცი, რომელიც სრული სინდისით მომეპყრაო.

მისმა ცხოვრების წესმა ჯანმრთელობაც გაუფუჭა. ხან სხვიტორში იყო, ხან ქუთაისში, ხან თბილისში, ხან მოსკოვში. 1914 წლის შემოდგომაზე მორიგი შეტყობინება მიუღია ალექსისგან: სასწრაფოდ გამომიგზავნე ფული, თორემ თავს მოვიკლავო. ვერსად რომ ვერ უშოვია ფული, სასწრაფოდ პოემის წერა დაუწყია პოეტს. მძიმე პირობებში წერდა. ქუთაისის ერთ-ერთ სასტუმროში, გაყინულ ოთახში. ნახევრად მშიერი. როცა მოურავმა სხვიტორში გადაიყვანა, პოეტი უკვე ლოგინად ჩავარდა. ეს იყო დეკემბერი, 1915 წლის 31 იანვარს აკაკი გარდაიცვალა. ანდერძში ყველა ვალი აღნუსხული ჰქონდა, თავისი ქონება და ადგილ-მამული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უანდერძა. ასე რომ, აკაკი ყველანაირად ვალმოხდილი წავიდა საქართველოდან როგორც მოღვაწე, როგორც მამულიშვილი, როგორც მამა, როგორც პიროვნება და როგორც „მევალე".

რაც შეეხება ალექსის, რუსული მუსიკის ისტორიაში ხაზგასმულია, რომ რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლისა" და „პან ვოევოდას" დადგმა მთელ რუსეთში პირველად განახორციელა ალექსი წერეთელმა. ასევე, ცნობილია, რომ 1908-1910 წლებში ალექსი წერეთელმა ამერიკელებს გააცნო ფიოდორ შალიაპინი, რის შემდეგაც, მათი შემოქმედებითი კავშირი არც შეწყვეტილა. 1917 წლის ოქტობრის მოვლენების შემდეგ, ალექსი თავისი დასით ევროპაში მართავდა საოპერო სპექტაკლებს.

ალექსი წერეთელი 1943 წელს გარდაიცვალა პარიზში, მაშინ, როცა ამ ქალაქში ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებდა. ამის მიუხედავად, ალექსის დაკრძალვას უამრავი ადამიანი დაესწრო. მას მემკვიდრე არ დარჩენია. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, ალექსი წერეთელმა მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა პარიზის ქართველობას უანდერძა.

ეკა სალაღაია

დღეს საქართველოში მიცვალებულის დაკრძალვასთან და გლოვასთან დაკავშირებით გარკვეული ტრადიციები არსებობს, რომლებსაც ხშირად ეკლესიას მიაწერენ, თუმცა, სინამდვილეში მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ეკლესიასთან. გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):

შეიძლება თუ არა მიცვალებულის დასაფლავება კვირის ნებისმიერ დღეს და რატომ ხდება დღეს გარდაცვლილების ეკლესიაში დასვენება

– ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და ის ყოველთვის ფუნქციონირებს. არის, ასევე, ტრადიციები, რომლებიც ეკლესიის წიაღში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ კვირა დღეს არ შეიძლება საფლავზე გასვლა ან მიცვალებულის დაკრძალვა, ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ სახარება კრძალავს ან ეს სადმე წერია და ამაზე კონკრეტული მკაცრი კანონები არსებობს. ანუ, ასეთ დროს კარგია, თუ ვიტყვით, რომ, უმჯობესი იქნება, ამ დღეს თუ არ მოხდება მიცვალებულის დასაფლავება ან საფლავზე გასვლა, რადგან, როგორც ეკლესიური სწავლებით ვიცით, კვირა ყოველთვის არის დღესასწაული, აღდგომის ტოლფასი დღე და ეს დღე ჩვენში უნდა ატარებდეს აღდგომის სიხარულს, რომელიც თავისი საკრალური მნიშვნელობით ეხება როგორც ცოცხლებს, რომლებიც დედამიწაზე ცოცხლობენ, ასევე, იმ გარდაცვლილებს, რომლებიც უფლისთვის მაინც ცოცხლები არიან. ისეთი მიდგომაც არასწორია, რომ, თუ წესიერი, მოსიყვარულე, გამრჯე ადამიანი საფლავზე გავიდა, ამის გამო მას დასჯის ღმერთი. ასე მშრალად არ უნდა მივუდგეთ საკითხს, არავინ არ ისჯება ამის გამო. უბრალოდ, თუ ამ ყველაფერს ადამიანი სწორად და მართებულად გააკეთებს, უფრო მეტად დასაფასებელი იქნება. ზოგადად, შაბათი ითვლება მიცვალებულების დღედ, მაგრამ, ვისაც როდის უნდა, მაშინ გავა საფლავზე – ამაზე რაიმე აკრძალვა არ არსებობს.

მივდივართ ეკლესიაში, მოძღვარს ვუტოვებთ ჩამოწერილ სახელებს და მერე გავრბივართ, რადგან გვეჩქარება – ასეთი მოქცევა, რა თქმა უნდა, არასწორია; ეს არ არის ქრისტიანობა, ეს წარმართობაა

– მამაო, საქართველოში მიცვალებულის დასაფლავებისთვის კვირაში რამდენიმე დღეა გამოყოფილი: სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი. თუმცა, როგორც ცნობილია, მიცვალებულის დასაფლავება შეიძლება, ნებისმიერ დღეს მოხდეს და ამის შესახებ არანაირი აკრძალვა არ არსებობს.

– იმას, თუ რომელ დღეს უნდა დასაფლავდეს ადამიანი, რა თქმა უნდა, არ აქვს მნიშვნელობა, ეს მაინც ხალხური ტრადიციაა. როდესაც ადამიანი გარდაიცვლებოდა, მისთვის, მისი სულის საოხად, ჭირისუფალი ყველაფერს აკეთებდა. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო სუფრის საკითხი, ანუ ტრაპეზი. ამიტომაც, ცდილობდნენ სუფრა არასამარხვო ყოფილიყო და, შესაბამისად, ირჩევდნენ კვირის ისეთ დღეებს, როდესაც არ იყო მარხვა. თუმცა, ეს არსად წერია, ტრადიციაა მხოლოდ. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია მიცვალებულისთვის პანაშვიდის გადახდა; ასევე, კარგია, რომ გარდაცვალებიდან ორმოცამდე და მერე ჭირისუფლებმა წაუკითხონ ფსალმუნები. თუ შეუძლიათ, ეკლესიაში გადაუხადონ პანაშვიდები; გავიდნენ საფლავზე მესამე, მეცხრე, 21-ე დღეს; გადაუხადონ მიცვალებულს შეკვეთილი წირვა ორმოცი დღის განმავლობაში ან მეორმოცე დღეს. მაგრამ, ეს მაშინ არის მიცვალებულის სულისთვის ქმედითი, თუ ამას არ ვაკეთებთ იმიტომ, რომ, უბრალოდ, უნდა გავაკეთოთ ან ვინმემ გვირჩია; ეს კარგია გარდაცვლილის სულისთვის. როცა მივდივართ ეკლესიაში, მოძღვარს ვუტოვებთ ჩამოწერილ სახელებს და მერე გავრბივართ – ასეთი მოქცევა არასწორია, ეს არ არის ქრისტიანობა. შეიძლება, ეს ყველაფერი ზედმიწევნით შევასრულოთ, მაგრამ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ გაცნობიერებულად, ანუ, რატომ ვაკეთებთ და რისთვის; სჭირდება თუ არა ეს ჩვენს მიცვალებულს და გვჯერა თუ არა იმის, რასაც ვაკეთებთ. მთავარია: თუ გვინდა, რომ ჩვენს მიცვალებულს დავეხმაროთ, უპირველეს ყოვლისა, უკეთესობისკენ, სიკეთისკენ უნდა შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება. ჩემი სულიერი ცხოვრება თუ არ არის ღირებული და არ ვზრუნავ ამაზე, თუნდაც ისეთი მღვდელი შემხვდეს, რომელიც მართლა კარგად ილოცებს ჩემი მიცვალებულისთვის, მაინც გამოდის ისე, რომ მე მიცვალებულისთვის არაფერი გამიკეთებია. კი, შეიძლება, რაღაც გავაკეთეთ, მაგრამ, ეს საკმარისი არ იქნება, რადგან, ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ თავად ვერ გავიგე მისი არსი, ან, უბრალოდ, მოვალეობა მოვიხადე. ამქვეყნად, ჩვენი სწორად ცხოვრება პირდაპირპროპორციულია ჩვენი მიცვალებულების ხვედრისა.

– ბევრი ამბობს, რომ თითქოს ეკლესია კრძალავს მიცვალებულის ბალზამირებას და ამის გამო ხშირად ამაზე უარსაც ამბობენ.

– ეკლესია ყოველთვის ასწავლიდა იმას, რაც სახარებამ განუცხადა ეკლესიასა და კაცობრიობას. როგორც ვიცით, ქრისტეს სახარებაში ასეთი რამ არ წერია. ძველი ერების ტრადიციებს თუ გავიხსენებთ, გარდაცვლილს ბალზამირებას უკეთებდნენ; რა თქმა უნდა, არა იმ სახით, როგორც თანამედროვეობაში ხდება, არამედ, გარეგნულად ხდებოდა ბალზამირება. არსად არცერთ რელიგიას, მათ შორის მართლმადიდებლობას, არ აუკრძლავს მიცვალებულის ბალზამირება. თუ დღეს ვინმე გამოდის და ამას აცხადებს და ამბობს, რომ ეკლესიური სწავლებაა, მე ვეტყვი, რომ ეს არის ბოდვა. ბალზამირების გაკეთებით ან არგაკეთებით არ წყდება ადამიანის საიქიო ბედი; მას არც მინუსები და არც პლუსები არ ეწერება იმის გამო, გაუკეთეს თუ არა გარდაცვალების შემდეგ ბალზამირება; რომ სამოთხეში ბალზამგაუკეთებლები შედიან, ხოლო ჯოჯოხეთში – ბალზამირებულები. ადამიანი თავისი ცხოვრებით იმსახურებს სამოთხეს ან ჯოჯოხეთს, ბალზამირება აქ რა შუაშია. ეკლესიაში არც არსებობს წესი, რომ მიცვალებული აუცილებლად სამ დღეში ან ერთ კვირაში უნდა დაიკრძალოს; შეიძლება, ის ერთ დღეშივე დაასაფლავონ, მაგრამ, რადგან ჩვენთან არსებობს დასფლავების ტრადიცია 3 ან 4 დღეში, ამიტომ, პრაქტიკული გამოცდილებიდან ჩანს, რომ მიცვალებულს სჭირდება ბალზამის გაკეთება და ამას არანაირი რელიგიური დატვირთვა არ აქვს.

– ბოლო პერიოდში ტრადიციად იქცა მიცვალებულის ეკლესიაში დასვენება და იქიდან გამოსვენება. ეს რამდენად მართებულია?

– ეს ტრადიცია იყო ადრეც, ოღონდ, შემდეგ დაიკარგა და ახლა იწყებს დაბრუნებას, თუმცა, გარკვეული ტრანფორმაცია განიცადა და ზოგ შემთხვევაში გარკვეული პერფორმანსივით არის. ძველად, სოფლებში და თემებში ადამიანებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან და სოფლის მღვდელიც ყველას იცნობდა. რომ გარდაიცვლებოდა ვინმე, მას ტაძარში ასვენებდნენ და სამი დღის განმავლობაში, ყოველ ღამე, განსაკუთრებული ლოცვები ეკითხებოდა, რასაც სასულიერო პირი აღასრულებდა. დღეს კი ხშირად იმიტომ კი არ ასვენებენ ეკლესიიდან, რომ დიდი მორწმუნე იყო ან მისი ოჯახის წევრები არიან მორწმუნეები, უბრალოდ, ასეა მიღებული, ასეა კარგი. ჩვენს ცნობიერებაში, სამწუხაროდ, ღმერთი ეკლესიაში ზის. ღმერთი ადამიანში უნდა იყოს და, თუ ის მასში არ არის, მაშინ, რა აზრი აქვს, გასვენდება თუ არა ეკლესიიდან?! კარგია, თუ გარდაცვლილი მორწმუნე იყო და მისი ჭირისუფლებიც მორწმუნეები არიან, მაგრამ, თუ არც მიცვალებულს სწამდა ღმერთი და არც მის ჭირისუფლებს სწამთ, ასეთ დროს საქმე გვაქვს ქრისტიანულ მინიმალიზმთან, რაც წარმართობაა და მეტი არაფერი. თუ არ იცნობს მიცვალებულს ან მის ჭირისუფალს, ასეთ დროს მოძღვარს აქვს ვალდებულება, გამოიკითხოს, იყო თუ არა გარდაცვლილი მორწმუნე. ხომ შეიძლება, ის ცხოვრებაში ეკლესიას კი არა, ღმერთსაც არ აღიარებდა? – ასეთ დროს, შეიძლება, არც მოხდეს მისი ეკლესიაში დასვენება; მაგრამ, თუ არ ცხოვრობდა ეკლესიურად, მაგრამ, არც ღვთისმგმობი იყო, მაშინ, არა მგონია, რომელიმე მღვდელმა უარი თქვას ეკლესიაში მის დასვენებაზე. ქრისტემ ეკლესიას ძალაუფლება კი არ მისცა, მისცა სულიწმიდა, სიყვარულის ხელმწიფება და ჩვენც ვალდებულები ვართ, ადამიანებს მადლმოსილება გადავცეთ და ძალაუფლების სტატუსით არ გამოვიდეთ.

– ეკლესიაში დასვენებისთვის თუ არის გარკვეული თანხა დაწესებული?

– სამწუხაროდ, ხალხი ეკლესიის მსახურებთან მიმართებაში ვერ აცნობიერებს თავის ვალდებულებას. მღვდელს მრევლი ინახავს თავისი შემოწირულობით, რადგან მას სხვა სამსახური არ უნდა გააჩნდეს – წესით, ასე უნდა იყოს. მოძღვრის შრომა ხშირად დაუფასებელია. ამიტომაც, არიან სასულიერო პირები, რომლებიც გარკვეულ მსახურებაზე პრეისკურანტებს აწესებენ, რადგან, იციან, რომ, შეიძლება, აღასრულოს მსახურება, საიდუმლო, ადამიანი კი ისე წავიდეს, კაპიკი არ გაიღოს. მე ამას არ ვამართლებ, მაგრამ, ვერც მივცემ იმის უფლებას თავს, რომ სასულიერო პირები განვიკითხო, რადგან, ყველას თავისი ოჯახი ჰყავს სარჩენი და, ჩვენ არ ვიცით, ვის რა პრობლემა აქვს, მის შვილებს იმ მომენტში რა სჭირდებათ. როცა მიცვალებულს ასვენებენ ტაძარში, ზოგიერთ ეკლესიაში ხდება გასამრჯელოს მოთხოვნა. ცუდი ის არის, რომ ითხოვენ, მაგრამ, თუ მრევლსაც გაცნობირებული ექნება რელიგიური სწავლება და ცხოვრება, ეს მოთხოვნა აღარ დაგვჭირდება, და თუ საკუთარ თავს დავავალდებულებთ, რომ მოძღვარს შრომის საზღაური გადავუხადოთ, ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება და ჩვენი მიცვალებულისთვისაც.

ნათია უტიაშვილი

ქრისტიანული სასწაულები

კუნძულ სალამინის უმშვენიერეს ნაპირზე, რომელსაც „დიდი ფიჭვი“ ეწოდება, მდებარეობს მონასტერი ფანერომენი. ის მეჩვიდმეტე საუკუნეში ააგო ღირსმა ლავრენტიმ ძველი მონასტრის ნანგრევებზე. ღირსი ლავრენტი ჯერ კიდევ ერისკაცი იყო, როცა ერთ ღამეს ხილვაში ღვთისმშობელმა უბრძანა:

– კუნძულ სალამინის ჩრდილოეთ ნაწილში ერთი ჩემი სრულიად დანგრეული მონასტერია, წადი და აღადგინეო.

ლამბროს კანელოსმა (ასე ინოდებოდა ღირსი მამა ერისკაცობაში) არ ირწმუნა ეს ხილვა, ამიტომ ღვთისმშობელი მეორედ, შემდეგ კი მესამედაც გამოეცხადა და მკაცრად, დაჟინებით მოსთხოვა, დამორჩილებოდა ბრძანებას.

ლამბროსი ზღვის ნაპირზე გავიდა, რომ ნავი ეპოვა და კუნძულზე გადასულიყო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ზღვა ღელავდა და არც ერთი მენავე არ აღმოჩნდა, რომელიც ასეთ შტორმში გაბედავდა ნაპირის დატოვებას. დამწუხრებულ ლამბროსს, რომელიც ჩაფიქრებული იჯდა ნაპირზე, ზემოდან ჩამოესმა ღვთისმშობლის ბრძანება:

„მოიხსენი მოსასხამი, ჩააგდე ზღვაში და ის გადაგიყვანს კუნძულზე“.

ლამბროსი არც კი შეყოყმანებულა, სასწრაფოდ ჩაუშვა მოსასხამი წყალში, რომელმაც ნავივით გააპო ტალღები და უვნებლად გადაიყვანა ღირსი მამა მოპირდაპირე ნაპირზე. კუნძულზე, ღვთისმშობლის მიერ მითითებულ ადგილზე, ღირსმა ლავრენტიმ იხილა მონასტრის ნანგრევები. ტაძარში დასვენებული იყო დედაღვთისას ხატი, რომელსაც „ფანერომენი“ (მოვლენილი) ეწოდა. შემდგომში ამ სასწაულთმოქმედი ხატის სახელი მონასტერსაც დაერქვა.

ლამბროს კანელოსმა აღადგინა ტაძარი, სენაკები და მონაზვნად აღიკვეცა. მისმა წმიდა ცხოვრებამ და კეთილმსახურებამ, მონასტერში მრავალი ერისკაცი და ბერი მოიზიდა.

ძველი მონასტერი ადრე მრავალ მიწის ნაკვეთს ფლობდა, რომლებიც შემდეგ მეზობლებმა მიითვისეს. ღირსმა ლავრენტიმ ისინი თითქმის უკლებლივ დაუბრუნა მონასტერს (თავად ღვთისმშობელი ეცხადებოდა მას და აუწყებდა, თუ რომელი ნაკვეთები ეკუთვნოდა მონასტერს). დარჩა მხოლოდ ზეთისხილის ხეივანი, რომელიც ერთი ძალიან გავლენიანი ფანატიკოსი მაჰმადიანის უკანონო მფლობელობაში იყო გადასული. ღირსმა ლავრენტიმ თავად ინახულა ოსმალო და გადასცა პატრიარქის თხოვნა, დაებრუნებინა მიწა კანონიერი მეპატრონისთვის, მაგრამ მაჰმადიანი გაჯიუტდა. მაშინ, თავად ღვთის სამსჯავრომ გადაწყვიტა ეს დავა – ოსმალოს ცოლი ავად გახდა, მდგომარეობა უიმედო იყო; ვერც ერთმა ექიმმა და ვერანაირმა წამალმა ვერ შეძლო, შეემსუბუქებინა ავადმყოფისთვის ტანჯვა. ქალი ევედრებოდა ქმარს, ღირსი ლავრენტისთვის ეთხოვა დახმარება, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილი უკვე გარდაუვალი გახდა, გაკერპებული ურჯულო გონს მოეგო, ღირსი მამა შინ მიიწვია და შეევედრა, დახმარებოდა. ბერმა ჯვარი გადასახა ქალს თავზე და ის მალე განიკურნა.

ამ სასწაულმა გულის სიღრმემდე შეძრა ოსმალო, მან სასწრაფოდ დაუბრუნა მონასტერს მის მიერ უკანონოდ მისაკუთრებული ზეთისხილის ხეივანი და დიდი თანხაც შესწირა.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

შეუნდე შენს მოყვასს, რათა უფალმა შენც შეგინდოს შეცოდებანი

(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ქადაგებიდან)

წმიდა მოწამე ნიკიფორესი დაიბადა სირიის ანტიოქიაში მესამე საუკუნეში და იქ მოღვაწეობდა. მის ცხოვრებაში წერია, რომ ის განსაკუთრებით მეგობრობდა ერთ მოძღვართან და ისეთი სიახლოვე ჰქონდათ, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ რაიმე ძალა დააშორებდა მათ. მაგრამ, ეს მეგობრობა და სულიერი კავშირი შეშურდა ეშმაკს და მათ შორის მტრობა ჩამოაგდო. ამ დროს იყო საშინელი დევნა ქრისტიანებისა. მივიდა ნიკიფორე თავის მეგობარ მოძღვართან და პატიება სთხოვა, დამნაშავე ვარ შენს წინაშე და შემინდეო, მაგრამ მოძღვარმა ვერ აპატია. და აი, ერთ დღესაც შეიპყრეს ეს მოძღვარი და საწამებლად წაიყვანეს. ეს რომ ნიკიფორემ დაინახა, დავარდა მუხლებზე მის წინაშე და შეევადრა: რამდენიმე წუთში შენ უკვე წმიდა მოწამე გახდები და გევედრები, შემინდე ჩემი შეცოდება შენს წინაშეო.

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ცოტა ხანში მას წამება ელოდა, მან მაინც ვერ მოიბრუნა გული და ვერ აპატია ნიკიფორეს ცოდვა. და მოხდა საოცრება, მოულოდნელად, მადლი განეშორა ამ მოძღვარს, მან უარყო ქრისტე და იქვე მსხვერპლი შესწირა კერპებს. ეს რომ ნიკიფორემ იხილა, მეტად შეწუხდა, მის ნაცვლად მტარვალთა წინაშე უშიშრად წარდგა, აღიარა თავისი ქრისტიანობა და ამის გამო, იქვე აწამეს.

დღეს ის ცნობილია, როგორც დიდი მოწამე ნიკიფორე.

წარმოიდგინეთ, რამდენიმე წუთში იმ მოძღვარს მოწამის გვირგვინი უნდა მიეღო, მაგრამ გულქვაობამ და შეუნდობლობამ მადლი დააკარგვინა და ქრისტეს უარმყოფელი შეიქნა. ამიტომ, ყოველი ჩვენგანი უნდა ფიქრობდეს, გვაქვს თუ არა შენდობის უნარი. თუ არ შეგვიძლია შევუნდოთ მოყვასს, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან საშიში გახდება ჩვენი ცხოვრება. ამიტომაც უნდა ვთხოვოთ უფალს, რომ მოგვანიჭოს მადლი შენდობისა.

ღირსი მამა არსენი

ბერი იოსებ დიონისიელი

დიდი თავმდაბლობის გამო, მამა არსენი არასდროს გამოსულა სიტყვით დიდ შეკრებაზე. მისი სენაკი ჰგავდა მცირე სასწავლო აუდიტორიას, რომელშიც მუდამ იყვნენ რჩევა-დარიგებისათვის მისული ადამიანები.

ბერი არსენი 1983 წელს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა.

***

მამა არსენს ჰკითხეს: „მამაო, თუკი დაღლილობისა გამო ფეხზე ვეღარ ვდგებით, შეიძლება თუ არა, დაწოლილი ვილოცოთ?“ მამა არსენმა მიუგო: „ქრისტე ჩვენგან იმაზე მეტს არაფერს მოითხოვს, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. თუკი მართლა არ ძალგვიძს ფეხზე დგომა და ჯდომაც კი გვიჭირს. ასეთ შემთხვევაში, ის ჩვენთანაა მაშინაც, თუნდაც რომ ვიწვეთ. მაგრამ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩვენ კიდევ შეგვწევს ლოცვის ძალა, სატანა კი შთაგვაგონებს ძლიერ დაღლილობასა და ძილს გვგვრის. უფრო მძიმე ცდუნებებიც შეიძლება, გვქონდეს. ამიტომ, მარად სიფხიზლე გვმართებს“.

კითხვაზე – შეიძლება თუ არა ღვინის სმა, მამა არსენმა მიუგო: „ეს თქვენს სულიერ მოძღვართან უნდა გაარკვიოთ. მაგრამ ფრთხილად იყავით. იმიტომ, რომ ჭაბუკის ორგანიზმში ღვინო სისხლად გარდაიქცევა, მოხუცის ორგანიზმში კი – წყლად. რაც შეეხება კვებას, თუ მარხვაში დილით საზრდოს არ იღებ, იცოდე, რომ ეს ზიანს არ მოგიტანს. თუმცა, არც მძიმე მარხვაა მისაღები. როგორც წმიდა იოანე კლემაქსი ამბობს, ჯობია, დღეში ორგზის მიირთვა და ამპარტავნების ცოდვას სძლიო, ვიდრე ერთგზის ღებულობდე მცირე საზრდოს და სულ იმაზე ფიქრობდე, თუ რა ღვაწლში ხარ“.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: რატომ მოეთხოვება ქრისტიანს ცოდვილთა სიყვარული?

პასუხი: ქრისტიანს უნდა უყვარდეს ცოდვილნი, როგორი მძიმეც უნდა იყოს მათი ცოდვები. თუმცა ისინი ცოდვილნი არიან, მაინც თქვენს მოყვასებად რჩებიან, შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი და ვინ იცის, შემდგომ ვინ აღმოჩნდება ცათა სასუფევლის ღირსი?! ჩვენ უნდა გვიყვარდეს ცოდვილნი, როგორც ჩვენი მამის შვილები, როგორც ჩვენი ძმები, მაგრამ უნდა გვძულდეს მათი ცოდვები.

კითხვა: რა ვიღონო, რომ განსაცდელის შემდეგ არ ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში?

პასუხი: ყოველნაირად სცადეთ სიმშვიდის შენარჩუნება და ამაში დახმარება უფალს სთხოვეთ. იფიქრეთ იმაზე, რომ ეს იყო გამოცდა, განსაცდელი დაიშვა თქვენზე თქვენივე ცოდვების გამო.

კითხვა: როგორ მოვიქცე, როდესაც ჩემი ახლობელი ჩემს კეთილ რჩევას არ იღებს და თავის მცდარ გადაწყვეტილებას ამჯობინებს?

პასუხი: სრულიად არ აღელდეთ ამის გამო, არც გაბრაზდეთ და მით უმეტეს, არ ეჩხუბოთ. ჩვენც ხომ ხშირად ვეურჩებით უფალს და ის ჩვენ არ გვსჯის ამის გამო.

კითხვა: ისჯება თუ არა ნაქურდალის მიმღები?

პასუხი: თუ ადამიანმა იცის, რომ ის ნივთი ნაქურდალია და მაინც მიიღებს, ისევე დაისჯება, როგორც ქურდი.

– ბატონო დავით, 2014 წელი მშვიდი ნამდვილად არ იყო როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. რას გვპირდებიან ვარსკვლავები? რას უნდა ველოდოთ ამ მხრივ მომავალ, 2015 წელს?

– დიახ, გეთანხმებით, 2014 წელი მშვიდი ნამდვილად არ იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ის, ერთგვარად, ძალაუფლების გამოცდის წელიწადი გახლდათ, როცა, პოლიტიკურ ასპარეზზე ბევრი რამ გამოიკვეთა. 2015 წელი, თხის წელიწადია. მოსალოდნელია, მთელი რიგი ცვლილებები, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. მოხდება პოლიტიკოსთა შორის ხელმძღვანელ პირთა გადარჩევა.

– და ეს, რამდენ ხანს გასტანს და რა შედეგები მოჰყვება?

– ეს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები საკმაოდ კარგი შედეგების მომტანი იქნება საქართველოსთვის. პროცესი კი გაგრძელდება მანამ, სანამ რეალურად არ დავდგებით პოლიტიკოსთა მოქმედების შედეგთა წინაშე. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ეს პროცესი, ასტროლოგიური თვალსაზრისით, კოსმიური ბიორიტმების გავლენით მოხდება და არა თავად, ადამიანების ნებით. ეს გარდაუვალი პროცესია და დედამიწაზე არაფერი ხდება, უბრალოდ, კანონზომიერების გვერდის ავლით. წელი დაიწყება საკმაოდ აქტიურად და თხის წელიწადში საქართველოში ძალიან დიდი სოციალური მღელვარებაა მოსალოდნელი. ვგულისხმობ, საზოგადოებისგან, სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნას. ანუ, მოსახლეობა, რასაც ადრე უძლებდა და ითმენდა, ამაზე თვალს აღარ დახუჭავს და მწვავე რეაქციის ფონზე, ეცდება, საკუთარი სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას. შესაბამისად, 12 აგვისტომდე პერიოდში, ამ სოციალური და ეკონომიკური მღელვარების ფონზე, მოსალოდნელია, საქართველოში აქტიური ნაბიჯები გადაიდგას – გატარდეს პოზიტიური რეფორმები ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროში. ეს კი მოსახლეობაზე ფინანსურად დადებითად აისახება. ამის ყველა წინაპირობა შეიქმნება 12 აგვისტომდე, რომ შემდგომ, თვალნათლივ დავინახოთ ამ მოვლენების სასიკეთო ძვრები. მეტ-ნაკლებად ყველა კმაყოფილი დარჩება. მოსალოდნელია საშუალო ბიზნესის განვითარება, რაც, ასევე ხელს შეუწყობს ხალხის დასაქმებას. ასე რომ, 2015 წელს საქართველოში ეკონომიკური რეფორმები გარდაუვალია. ზოგადად, თხის წელიწადი, საკმაოდ მოუსვენარია და დატვირთული იქნება მთელი რიგი მოვლენებით. მთავარი ტენდენცია კი იქნება, ყველამ იპოვოს სამუშაო, რომლიდანაც შემოსავალს მიიღებს, რაც მის ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობას წაადგება. საკმაოდ კრიტიკულ ფაზაში შევა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობები. მოსალოდნელია, პოლიტიკურ პარტიათა ერთმანეთთან ურთიერთობისას კულმინაციური დაძაბულობა.

წელი დაიწყება საკმაოდ აქტიურად და თხის წელიწადში საქართველოში ძალიან დიდი სოციალური მღელვარებაა მოსალოდნელი

– ეს საზოგადოებისთვის რა შედეგს გამოიღებს?

– საზოგადოება მოგებული დარჩება, რადგან დაკვირვების ფონზე გაუადვილდება მათ შორის არჩევნის გაკეთება. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლების დაკომპლექტება მოხდება ისე, რომ მათი ძალისხმევა საქართველოში ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული. ამის შედეგებს კი, მოსახლეობა, წლის ბოლოს ნამდვილად დაინახავს.

– სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა როგორია 2015 წელს? უმუშევრობის დონე კიდევ ხომ არ აიწევს? რას გვპირდებიან ამ კუთხით ვარსკვლავები?

– 2015 წელს, მოსალოდნელია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამით, სოციალური მღელვარება მეტ-ნაკლებად ჩაცხრება. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ, წლის პირველ ნახევარში, სოციალური მდგომარეობით განრისხებული ადამიანების მღელვარებაა მოსალოდნელი, რაც ევროპის ქვეყნებში კულმინაციას მიაღწევს. თუმცა, წლის მეორე ნახევარში, სიტუაცია გამოსწორებას დაიწყებს. ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ ექნება და დაიწყებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვას. შედარებით რთული წელინადი იქნება ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, რადგან პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ყურადღება უფრო მეტად გადატანილი იქნება სოციალურ და მატერიალურ საკითხებზე.

– რაც შეეხება საომარ და ტერორისტულ აქტებს, თუ არის მოსალოდნელი?

– მოსალოდნელია, სხვადასხვა რადიკალური რელიგიური ორგანიზაციის გააქტიურება, მათ შორის, ისლამურისაც და არ გამოვრიცხავ, ტერორისტულ აქტებს მარტსა და თებერვალში, ანუ წლის პირველ ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში. 20 იანვრიდან 18 თებერვლამდე, დედამიწა, ეგრეთ წოდებულ, რევოლუციურ ეტაპს გადის. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში, მთელ რიგ ქვეყნებში, ხელისუფლების შეცვლა მოხდეს. ამ მხრივ, არ გამოვრიცხავ, უკრაინაში, სიტუაცია დაიძაბოს და გასული წლის კადრები კვლავ განმეორდეს. ასეთი პოლიტიკური დაპირისპირებების წინაშე აღმოჩნდება რუსეთიც 20 იანვრიდან 20 მაისამდე პერიოდში. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთისთვის 2015 წელი რთული გასავლელია – მოსალოდნელია ფინანსური კრიზისი, მასობრივი პრობლემები და ინვესტიციების შეჩერება. აგვისტოს შემდგომი პერიოდი, კი შედარებით პოზიტიური ცვლილებების მომტანი იქნება ამ ქვეყნისთვისაც, როგორც მთლიად მსოფლიოსთვის. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის წლის პირველი ნახევარი საშუალოა, მაგრამ 12 აგვისტოს შემდგომ იწყება რთული პერიოდი. მოსალოდნელია, ბევრი ადამიანი დარჩეს უბინაოდ და ამან სტატისტიკურად, კატასტროფულ ზღვარს მიაღწიოს ასევე, იპოთეკით დაზარალებული ადამიანების მასობრივი გამოსვლები დაიწყოს და ამაზე ხელისუფლება თვალს ველარ დახუჭავს. მთელი რიგი ეკონომიკური კრიზისი იჩენს თავს ევროპაშიც ამ პერიოდში.

– 2015 წელს, შედარებით პოზიტიური პერიოდი როდის დგება?

– 2015 წელს საკმაოდ კარგი პერიოდი იქნება 23 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე, როცა მოსალოდნელია პოზიტიური სიახლეები, ახალი საქმის დაწყება, სასიამოვნო შემოთავაზებები. ანუ, ამ პერიოდში ადამიანების უმრავლესობის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. მთავარია, არ თქვათ უარი შემოთავაზებებზე და მიიღოთ თამამი გადაწყვეტილებები სწორედ ამ პერიოდში. რაც მთავარია, საზოგადოება ორიენტირებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში, ირგვლივ მიმდინარე პროცესებსა და აქედან გამომდინარე მიღებულ ინფორმაციაზე.

– სერიოზული ეკოლოგიური კატაკლიზმების ალბათობა არ არის მოსალოდნელი მომავალი წლისთვის საქართველოში?

– დეკემბერში მოსალოდნელია მთელი რიგი კატაკლიზმები მაგალითად ჩინეთში, აღმოსავლეთში, მაგრამ არა საქართველოში. ამ მხრივ დაცული ვიქნებით, მთელი წლის განმავლობაში. რასაკვირველია, პატარა-პატარა ეკოლოგიური სირთულეები იქნება საქართველოშიც, მაგრამ მასშტაბური ნგრევა მიწისძვრის ფონზე, ან საშიში წყალდიდობები, ნამდვილად არ გვემუქრება. სხვათა შორის, კარგი წელინადია ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რადგან ჯანდაცვის სფეროში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოსალოდნელია სასიკეთო გარღვევები. არ არის გამორიცხული, ადვილად დაამარცხონ ვირუსები და მათ შორის, ებოლაც, რომელიც დღეს ასე საშიში დაავადებაა და მრავალთა სიკვდილიანობას იწვევს. წლის მეორე ნახევარში, ჯანმრთელობის მხრივ ადამიანები ამოისუნთქავენ და დაიკლებს სიკვდილიანობის მაჩვენებელიც. ბევრი განიკურნება 2015 წელს, რადგან ჯანმრთელობის ენერგეტიკა ამ დროს დედამიწაზე მოიმატებს. ზოგადად, საქართველოსთვის და მთელი მსოფლიოსთვის, პოლიტიკურად დაძაბული წელიწადი გველის წინ – 2015, მშვიდი ნამდვილად არ იქნება. ამიერკავკასიაში ეკოლოგიური კატასტროფები მოსალოდნელი არ არის, რასაც ევროპაზე ვერ ვიტყვით. ეკონომიკა ამიერკავკასიის ქვეყნებში განვითარებას დაიწყებს, ევროპაში კი, ცოტა კრიზისის გამწვავებაა ამ მხრივ მოსალოდნელი. ასევე, წელს გატარდება რეფორმები და ხელისუფლებას სხვა გზა არ ექნება, გარდა იმისა, რომ მოსახლეობა უზრუნველყოს ახალი სამუშაო ადგილებით და ამით ხელი შეუწყოს მათ მატერიალურ უზრუნველყოფას. კიდევ ვიმეორებ, ზოგადად, საქართველოსთვის რთული წელი არ არის, თუმცა რთულია ის იმ ხელმძღვანელი პირებისა და პოლიტიკოსებისთვის, ვინც ქვეყნის ფინანსურ მხარეს განაგებენ. მათ მოუწევთ ბევრი კრიტიკის მოსმენა და, შესაბამისად, აქტიური მუშაობა. ეს კი, ხალხისთვის, ანუ საქართველოს მოსახლეობის საშუალო ფენისთვის, დადებითი შედეგების მომტანი აღმოჩნდება.

ნონა დათეშიძე

მომავალი 2015 წელი, ლურჯი-მწვანე, ხის თხის წელიწადია. როგორც ასტროლოგი, ბატონი დავით ბუტიკაშვილი ამბობს, ის ერთგვარად ძალაუფლების გამოცდისა და წარსულ ქმედებათა შედეგების მომკის წელიწადია. ეს, ყოველივე, როგორც ჩანს, ამ წლის მთავარი ტენდენციაა.

რომელ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის აღმოჩნდება მომავალი წელი რთული გადასატანი და მოსალოდნელია თუ არა 2015 წელს ტერორისტული აქტები საქართველოში

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში არსებობენ მცველები, რომლებსაც თავდამსხმელებზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. მათ შორის ყველაზე ცნობილები, შედეგიანობასთან ერთად, საიმედოობითაც გამოირჩეოდნენ და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც ზრუნავდნენ.

ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲙᲣᲛᲐᲜᲘ – 253 ᲒᲝᲚᲘ

„აიაქსის", „პსჟ-ს", „ბარსელონისა" და „ფეიენოორდის" ლეგენდარული მცველი რონალდ კუმანი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მცველია. მის ანგარიშზე 253 გოლია, რაც ბევრი ფორვარდისთვის დღემდე მიუღწეველი შედეგია. 17-წლიანი კარიერის განმავლობაში კუმანმა ესპანეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატებში ჯამში 239 გოლი გაიტანა, ხოლო ჰოლანდიის ნაკრების რიგებში 14-ჯერ გამოიჩინა თავი. კუმანის საფირმო ნიშანი იყო ყუმბარისებური საჯარიმო დარტყმა, ხოლო მისი ყველაზე ცნობილი გოლით „ბარსელონამ" 1992 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში „სამპდორია" დაამარცხა.

ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲘᲔᲠᲝ – 162 ᲒᲝᲚᲘ

ლეგენდარული ესპანელი ცენტრალური მცველი, რომელსაც სეზონში ათ ბურთზე ნაკლები არ გაჰქონდა. იეროს ფენომენალური შედეგიანობა უკავშირდებოდა მის მუდმივ ჩართულობას შეტევაში, რა დროსაც ის თანაგუნდელ რაულზე ან ივან სამორანოზე არანაკლებ სახიფათო იყო. 1991-1992 წლების სეზონში იერომ „რეალის" რიგებში 26 გოლი გაიტანა, რაც მცველისთვის თითქმის ფანტასტიკური შედეგია.

ᲚᲝᲠᲐᲜ ᲑᲚᲐᲜᲘ – 146 ᲒᲝᲚᲘ

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ცენტრალური მცველი, რომელმაც კარიერის განმავლობაში არაერთ კლუბში ითამაშა, მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და, ასევე, სახელი გაითქვა როგორც ბომბარდირული თვისებების მქონე მცველმა. სტანდარტული მდგომარეობების დროს ლორან ბლანი განსაკუთრებით საშიში იყო მეტოქისთვის, რაც არაერთხელ დაგვირგვინებულა შედეგიანი დარტყმით. ბლანის ანგარიშზეა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი „ოქროს გოლი", რომელიც მან პარაგვაის ნაკრებს ბოლო წუთებში გაუტანა.

ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲘ – 115 ᲒᲝᲚᲘ

მაღალი სიჩქარე და ყუმბარისებური დარტყმა – ამ ორი ფაქტორით დაამახსოვრა თავი ფეხბურთის მოყვარულებს ლეგენდარულმა რობერტო კარლოსმა, რომლის ვარსკვლავური კარიერის საუკეთესო წლებმა მადრიდის „რეალში" ჩაიარა. ბრაზილიის ნაკრების რიგებში ჩატარებულ 125 მატჩში რობერტო კარლოსმა 11-ჯერ აიღო მეტოქის კარი, თავისი ყველაზე ცნობილი გოლი კი 1997 წელს საფრანგეთის ნაკრების კარებში გაიტანა, როდესაც ეგრეთ წოდებული „მშრალი ფოთლის" დარტყმა შეასრულა და ბურთი წარმოუდგენელი ტრაექტორიით გაუშვა ფაბიენ ბარტეზის კარში.

ᲡᲘᲜᲘᲨᲐ ᲛᲘᲰᲐᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘ – 104 ᲒᲝᲚᲘ

იუგოსლავიური და მოგვიანებით სერბული ფეხბურთის ვარსკვლავი. სინიშა მიხაილოვიჩის კარიერის საუკეთესო წლებმა იტალიაში გაიარა („რომა", „ლაციო", „სამპდორია", „ინტერი"). მისი საფირმო ნიშანი საჯარიმო დარტყმა იყო, რომლის უბადლო შემსრულებლად დაამახსოვრდათ ფეხბურთის ქომაგებს. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში სინიშას სულ 10 გოლი დაუგროვდა, ხოლო საკლუბო დონეზე – 94 გოლი.

ᲜᲔᲘᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲝᲒᲝ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ

სერბი ლამაზმანი, მოდელი სორაია ვუჩელიჩი, რომელსაც ევროპული „ყვითელი" პრესა „ბარსელონისა" და ბრაზილიის ნაკრების ლიდერთან, ნეიმართან რომანს „აბრალებს", ამჟამად სრულიად მარტო ისვენებს ჩერნოგორიაში. ჟურნალისტების ვერსიით, ფეხბურთელისა და მოდელის ხანმოკლე რომანი დასრულდა და ამჟამად სორაია ცდილობს, დაივიწყოს ბრაზილიელი, რომელსაც, როგორც ჩანს, ბარსელონაში გადასვლის შემდეგ მექალთანის იმიჯი ჩამოუყალიბდა. ცნობისთვის: ნეიმარმა და სორაიამ ერთმანეთი იბიცაზე გაიცნეს, რის შემდეგაც სერბი მოდელი ხშირად აკითხავდა ნეიმარს კატალონიაში.

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი ქალი, ამერიკელი სერენა უილიამსი, 2014 წლის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად დასახელდა. ნომინაციაში სერენამ აჯობა რუს მარია შარაპოვას, რუმინელ სიმონა ჰალეპს, ჩეხ პეტრა კვიტოვას და ჩინელ ნა ლის. უილიამსების ცნობილი საჩოგბურთო კლანის წარმომადგენელი სერენა მეექვსედ დასახელდა საუკეთესოდ – ჯვილდოს მფლობელი იგი 2002, 2008, 2009, 2012 და 2013 წლებში იყო.

ᲯᲔᲠᲛᲔᲘᲜ ᲞᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕᲘ ᲛᲔᲠᲚᲝᲤᲠᲔᲜᲓᲘ

„ლივერპულისა" და „არსენალის" ექსფეხბურთელის, ჯერმეინ პენანტის მეგობარმა ქალმა, მოდელმა ელის გუდვინმა, სოციალურ ქსელში პიკანტური ფოტოები განათავსა და ამ გზით ბრიტანეთის და დანარჩენი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ერთ დროს ინგლისში იმედისმომცემ ფეხბურთელად წოდებული ჯერმეინ პენანტი ამჟამად ინდოეთში, „პუნ სიტიში" ასპარეზობს, მისი გერლფრენდი კი ინგლისში ცხოვრობს და, როგორც ჩანს, მარტოდ დარჩენილმა ლამაზმანმა გადაწყვიტა, გაერთოს და თავისი ახალნაპერაციები და სილიკონით გაბერილი მკერდი საზოგადოებას „გააცნოს".

ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲘ – „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲢᲝᲠᲜᲐᲓᲝ" ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ

ამერიკელი პოლიტიკოსი – რესპუბლიკელი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი, ჯონ სიდნი მაკკეინი, დაიბადა 1936 წელს, „კოკო-სოლოს" ავიაბაზაზე. მამამისმა სამხედრო კარიერა ოთხვარსკვლავიანი ადმირალის ჩინით დაამთავრა. ამერიკის სამხედრო ავიაციის ადმირალი იყო ბაბუაც და ჯონიც მათ კვალს გაჰყვა: 1958 წელს დაამთავრა სამხედრო-საზღვაო აკადემია და საგემბანო ავიაციის მფრინავი გახდა. 1962 წელს, კარიბის კრიზისის დროს, კუბის სამხედრო-საზღვაო ბლოკადაში მონაწილეობდა, შემდეგ კი იყო ვიეტნამი. მან სულ 22 სამხედრო გაფრენა განახორციელა და... 1967 წელს, მაკკეინის თვითმფრინავი, რომელიც ჰანოის ელექტროსადგურის დაბომბვის ჯგუფში შედიოდა, საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო. ჯონმა მოასწრო კატაპულტირება და ტბაში ჩავარდა. დახრჩობას გადაურჩა, მაგრამ, სასტიკად სცემეს ვიეტნამელმა სამხედროებმა: მოსტეხეს ორივე ხელი და ფეხი, დაუმსხვრიეს მხარი, ორჯერ დაჭრეს და ბოლოს ჰანოის ციხეში ჩასვეს. დაკითხვისას, როგორც ამერიკული სამხედრო წესდებით იყო გათვალისწინებული, მაკკეინმა მცირე ინფორმაცია მხოლოდ საკუთარ თავზე მიაწოდა, თუმცა, მისი გვარით ვიეტნამელებმა დაადგინეს, რომ ტყვედ მაღალჩინოსნის შვილი ჰყავდათ. ამის შემდეგ აღმოუჩინეს მას სამედიცინო დახმარება და საავადმყოფოშიც მოათავსეს, სადაც ექვსი კვირა გაატარა; შემდეგ კი იყო სამხედრო ტყვეთა ბანაკი, სადაც ჯონმა ორ თვეში 26 კილოგრამი დაიკლო. სწორედ ამ დროს შეარქვეს მას „თეთრი ტორნადო".1968 წელს მამამისი წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარსარდლად დაინიშნა და ამან გადააწყვეტინა ჩრდილოეთ ვიეტნამის ხელისუფლებას, პროპაგანდის მიზნით, ჯონი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ, მისგან უარი მიიღეს – ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა ამ წინადადებას, თუ სხვა ტყვეებსაც გაათავისუფლებდნენ. ჯონი ერთადგილიან კამერაში გადაიყვანეს და საშინელი წამება დაუწყეს: ყოველ ორ საათში ერთხელ სცემდნენ და აიძულებდნენ, მათთვის სასურველი ჩვენება მიეცა. მაკკეინიც იძულებული გახდა, დაეწერა „აღიარება", თუმცა, იმის ნიშნად, რომ დოკუმენტი წამების შედეგი იყო, წერისას ჯონმა კომუნისტური ჟარგონები გამოიყენა. წამებამ გამოიწვია ის, რომ მაკკეინი თავს ზემოთ ხელებს ვერ სწევდა, ამიტომ, ახლა კვირაში ორჯერ აწამებდნენ, მაგრამ, ყოველ დილას მაგრად სცემდნენ, რადგან უარს ამბობდა, ზედამხედველისთვის თავი დაეხარა. ერთ-ერთი წამების შემდეგ ჯონმა განაცხადა, რომ თანახმა იყო, დაესახელებინა თავის თანამებრძოლთა გვარები 163-ე ესკადრელიიდან და... ვიეტნამელებს კლუბ „გრინ ბაი პეკერზის" ფეხბურთელთა სია გადასცა. ამ პერიოდში იგი პრინციპულად უარს ამბობდა ამერიკელი პაციფისტების აქტივისტებთან შეხვედრაზე, რათა მათთვის არ მიეცა საშუალება, ეს ქვეყნის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ. 1969 წელს მაკკეინი ციხე „ჰოალოში" გადაიყვანეს, რომელსაც ამერიკელმა მფრინავებმა „ჰანოი ჰილტონი" შეარქვეს. მხოლოდ ხუთ-ნახევარი წლის შემდეგ, 1973 წლის 15 მარტს, პარიზში ამერიკასა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკას შორის მშვიდობიან შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, ჯონ მაკკეინი გაათავისუფლეს.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

იმუნოდეფიციტის დროს მიირთვით ყველი და მაწონი

სტრესებისა და ეკოლოგიური კატასტროფების საუკუნეში სრულფასოვანი და ჯანსაღი საკვების პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, კვების ხასიათი ბევრად განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. ამავე დროს, მთავარია, საკვების არა რაოდენობა და გემო, არამედ მისი ბიოლოგიური ღირებულება. რაციონში ამ მაჩვენებლის გაზრდა, ეგრეთ წოდებული, ფუნქციური კვების პროდუქტების ჩართვით შეიძლება. მთავარია, ორგანიზმში მოხდეს ენერგიის ბალანსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენერგიის ხარჯვა მოხმარებული საკვების შეჯამებულ კალორიებს უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა, რასაც ფუნქციური კვება უზრუნველყოფს.

ადამიანის ორგანიზმისთვის საკვები ითვლება არა მხოლოდ პლასტიკური და ენერგეტიკული მასალის წყაროდ, არამედ მას შეუძლია, მისი ფიზიოლოგიური ფუნქციებისა და ბიოქიმიური რეაქციების რეგულირებაც. ფუნქციური კვების კონცეფციის თანახმად, საკვები ორგანიზმზე თავის მარეგულირებელ ზემოქმედებას ნაწლავების მიკრობული ეკოლოგიის ნორმალიზაციის გზით ახდენს.

დაავადებებისგან თავის არიდება და მათგან განკურნება შეიძლება განსაზღვრული სახის ბაქტერიების შემცველი პროდუქტების მეშვეობით, ან ბაქტერიების ზრდის ხელშეწყობით.

ადამიანის ნორმალური მიკროფლორის მრავალრიცხოვან წარმომადგენელს შორის, დაახლოებით 80 პროცენტი ბიფიდობაქტერიებია. სწორედ ისინი ასრულებენ ძირითად როლს ნაწლავების მიკრობიოლოგიური სისტემების შენარჩუნებაში.

ნაწლავების აშლილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბიფიდობაქტერიების დეფიციტი ითვლება. ეს კი მინერალების, ცხიმებისა და ცილების ცვლის დარღვევას იწვევს. დადგენილია, რომ ბიფიდობაქტერიები მონაწილეობენ შეუცვლელი ამინომჟავების სინთეზში, დაბლა სწევენ სისხლში ქოლესტერინის დონეს და ავლენენ სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას.

ადამიანის ორგანიზმში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლაქტობაცილები. ისინი ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ათვისებას აუმჯობესებენ, ფერმენტულ აქტივობას ავლენენ, ნაწლავებში მჟავე-ტუტის თანაფარდობას არეგულირებენ და პათოგენურ მიკრობებს ანეიტრალებენ. ადამიანის ნაწლავებში დაახლოებით ხუთასამდე სახის სასარგებლო მიკროორგანიზმი ბინადრობს.

ბიფიდობაქტერიებს შეიცავს ყველი, ნაყინი, წვენები, რძე, საკონდიტრო ნაწარმი. მათი მოხვედრა ნაწლავებში სტიმულს აძლევს ბიფიდობაქტერიების ზრდას ორგანიზმში და მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ასევე, კარგია მაწონი, კეფირი, იოგურტი და სხვა. ფუნქციური კვების პროდუქტები სასარგებლოა ყველასთვის. ის აუცილებელია იმუნოდეფიციტისა და სტრესის დროსაც.

ვაშლი კარგია კუჭში შეკრულობის დროს, ქაცვის ზეთი კი კუჭ-ნაწლავის ნამალია

ვაშლი დაბალკალორიული ხილია, შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმს და შედარებით ნაკლებ C ვიტამინს; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, თავიდან აგაცილებთ შეკრულობას, კლავს შიმშილის გრძნობას. ასევე, ის მდიდარია პექტინებით, რომლებიც სკლეროზის, კორონარული დაავადების, გულის ინფარქტის საწინააღმდეგო ეფექტს ახდენს და სისხლში შაქრის ოდენობას ამცირებს.

გახეხილი ვაშლის საფენები აჩქარებს ღია და ჩირქოვანი ჭრილობების შეხორცებას.

ქაცვი სასარგებლო ნივთიერებებისა და ვიტამინების საბადოა. ის შეიცავს ასკორბინის მჟავას, ფოლიუმის მჟავას, ორგანულ მჟავებს, ზეთს, შაქარს, A, B_1 და B_2 ვიტამინებს.

ქაცვის ზეთს კუჭის წყლულის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და კანის წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ ოდითგანვე იყენებდნენ. ის ასევე, კარგია გინეკოლოგიური დაავადებების დროს.

როდის ჩნდება კანზე ალერგიული გამონაყარი

კანზე ჭინჭრით დასუსხულ გამონაყართან მსგავსების გამო, ამ დაავადებას „ჭინჭრის ციებას“ უწოდებენ. ამ დროს კანი წითლდება, იწყება ქავილი. ჭინჭრის ციების მიზეზის დიაგნოსტირებაც და მკურნალობაც ძალიან რთულია. მას იწვევს ორგანიზმში ესა თუ ის დარღვევა, ხშირად კი ალერგიული რეაქცია ამა თუ იმ საჭმელზე, საგნებზე და ასე შემდეგ.

ალერგიას იწვევს საკვებ პროდუქტებზე დამატებული საღებავები, კონსერვანტები და არომატიზატორები; წამლებიდან – ძირითადად, ანტიბიოტიკები; საკვები პროდუქტები; ქრონიკული ინფექციები; სტრესები; კოსმეტიკური საშუალებები.

ჭინჭრის ციების პირველივე ნიშნების დროს რეკომენდებულია:

* უარი თქვათ იმ პროდუქტებზე, რომელთა მიღების შემდეგ ტანზე გამონაყარი გიჩნდებათ;

* არ მიიღოთ ცხელი აბაზანა და შხაპი, რადგან ამ დროს ძლიერდება ქავილი;

* ჭინჭრის ციებისა და ქავილის ძირითადი სამკურნალო საშუალებაა ანტიჰისტამინური წამლები. არ მიიღოთ ეს წამლები ავტომანქანის მართვის დროს, რადგან ყურადღების მოდუნებას იწვევს;

* ქავილის შესამსუბუქებლად კანზე წაისვით გულყვითელას ან მენთოლის ერთპროცენტიანი ხსნარი;

* ყურადღება მიაქციეთ: შესაძლოა, გამონაყარის მიზეზი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებაა.

* სტრესის დროს მიიღეთ დამამშვიდებელი ჩაი: ერთმანეთს შეურიეთ თითო წილი კატაბალახა, პიტნა, გვირილა, კვლიავი და კამის თესლი. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათით, შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ თბილი ნაყენი, დღეში 3-ჯერ.

რომელ დაავადებებს იწვევს ცხვირით სუნთქვის გაძნელება

სინუსიტების განვითარების მთავარი მიზეზი ცხვირით სუნთქვის გაძნელებაა. ცხვირის დანამატი ღრუები ლორწოვანი გარსით ამოფენილი ჰაერის შემცველი წიაღებია. ლორწოვანა ლორწოს გამოიმუშავებს, რომელიც ცხვირის საშუალებით ხახაში გადადის. ამ პროცესში კი ცხვირიდან შესული ჰაერი ეხმარება. თუ რამე მიზეზით ჰაერის შესვლა შეფერხებულია, ლორწო გუბდება. ამას ერთვის ინფექციაც, რაც საბოლოო ჯამში, მწვავე სინუსიტის ჩამოყალიბებას განაპირობებს. სუნთქვის გაძნელებას იწვევს ცხვირ-ხახის ადენოიდების ზრდა. ხშირად სინუსიტი სურდოშიც კი ეშლებათ და მას ყურადღებას არ აქცევენ. ამის გამო, ანთებითი პროცესი მოგვიანებით სხვა წიაღებზეც გადადის და ვითარდება ფრონტიტი ან ჰაიმორიტი. გარდა იმისა, რომ ცხვირით სუნთქვის გაძნელება სინუსიტებს იწვევს, ის ხშირად შუა ყურის ანთებით მთავრდება.

მწვავე სინუსიტების დროს, ადამიანს თავის ტკივილი სტანჯავს. ფრონტიტის დროს კი, ტკივილი შუბლის არეში შეინიშნება. ჰაიმორიტის დროს ტკივილი გადაეცემა, ასევე, შუბლის, ყვრიმალის, საფეთქლის არეს და კბილების ტკივილიც კი აღინიშნება. სხვა სიმპტომებიდან აღსანიშნავია ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენი, ტემპერატურის მატება, სისუსტე.

ქრონიკული ანთების დროს ტკივილი ყრუდ მიმდინარეობს, ჩირქოვანი გამონადენი კი დიდხანს გრძელდება. მკურნალობის დროს აუცილებელია ცხვირით სუნთქვის აღდგენა, დაგროვილი ლორწოს გამოდევნა. ცხვირში უნდა ჩაიწვეთოთ სისხლძარღვთა შემავიწროებელი საშუალებები, დაახლოებით, ათი დღის განმავლობაში. შეგიძლიათ, მარილიანი ხსნარიც გამოიყენოთ. კერძოდ, ერთ ჩაის ჭიქა გადადუღებულ თბილ წყალში გახსენით ერთი ჩაის კოვზი მარილი, გაწურეთ და ორ-ორი წვეთი ჩაიწვეთეთ თითო ნესტოში.

მწვავე ჰაიმორიტის დროს, გარდა ცხვირის წვეთებისა, შესაძლოა, საჭირო გახდეს ანტიბიოტიკებისა და ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება.

ქრონიკული სინუსიტის დროს ადამიანს ხშირად აწუხებს ტკივილი და ცხვირიდან გამონადენი. დანამატი ღრუების ანთებას შეესაძლოა, სერიოზული გართულებაც მოჰყვეს. ცხვირის დანამატი ღრუები მჭიდრო კავშირშია თვალთან. ამიტომ, ჩირქოვანი პროცესი ადვილად აღწევს თვალის ბუდეში და იწვევს აბსცესს. ამას თან ხშირად ქალასში-და გართულებებიც მოჰყვება. ეს კი ადამიანის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

სინუსიტების გამწვავება, ძირითადად, სიცივეში ხდება.

მწვანე ჩაი დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე

ასაკის მატებასთან ერთად, სისხლძარღვების სიმყიფეც მატულობს. იზრდება მათი გამტარუნარიანობა და სისხლჩაქცევების მეტი საფრთხე ჩნდება. სისხლძარღვების კედლების გამაგრება, გამტარუნარიანობისა და შიდა სისხლჩაქცევების შემცირება მწვანე ჩაით შეიძლება. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ მას რეგულარულად სვამთ.

მწვანე ჩაი, ასევე, კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანებისთვის. პირველი და მეორე ხარისხის ჰიპერტონიით დაავადებულებში, რომლებიც ხშირად სვამდნენ ჩაის, არტერიული წნევა ოცი ერთეულით ქვემოთ იწევდა. ეს გამოკვლევებმა ცხადყო. ჰიპერტონიის სამკურნალოდ, სანამ მწვანე ჩაის დააყენებთ, მას ჯერ თბილი წყალი უნდა გადაავლოთ, რათა მასში კოფეინის რაოდენობა შემცირდეს. კოფეინი, როგორც მოგეხსენებათ, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე აღმგზნებად მოქმედებს. შემდეგ ჩაის ადუღებული წყალი დაასხით და დაახლოებით 15-20 წუთი დადგით ოთახის ტემპერატურაზე. დალიეთ დღეში სამჯერ, თითო ჩაის ჭიქა, ჭამის შემდეგ. მთელი დღის განმავლობაში მიღებული სითხის რაოდენობა ლიტრ-ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემა ზედმეტად არ გადაიტვირთოს.

ჩაის რეგულარული სმით თქვენ შეძლებთ, ტვინის ქსოვილების რღვევის შემცირებას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ინსულტი.

ჩაი, ასევე, დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე.

საჭმლის მონელების სისტემის მოშლას კომში შველის

კომში შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, კალიუმს, C ვიტამინს, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს. მდიდარია პექტინით, რომელიც დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე.

საჭმლის მონელების სისტემის მოშლის დროს მიირთვით კომში. ის ანტისეპტიკური, შარდმდენი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებაა. კალიუმის დიდი რაოდენობის გამო, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისა და ჰიპერტონიის დროს. მისი მიღება კარგია ასევე, ასთმის დროს. ამაგრებს გულის კუნთს, დადებითად მოქმედებს ღვიძლისა და კუჭის მუშაობაზე.

ვაშლის ან მისი წვენის რეგულარული მიღება იცავს თავის ტვინის უჯრედებს დაზიანებისგან. მოხუცებულობის დროს კარგია დაქვეითებული მეხსიერების აღსადგენად, რადგან ის დადებითად მოქმედებს თავის ტვინზე.

მოცხარი მდიდარია ჯანმრთელობისთვის საჭირო B, C, D, E, K და PP ვიტამინებით. შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ 600-მდე ნივთიერებას. ამის გამო ის ააქტიურებს სისხლის წარმოქმნას, გამოდევნის ორგანიზმიდან მარილებს, კარგია ავიტამინოზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. შავი მოცხარი არეგულირებს წნევას, ხელს უშლის სახსრების ანთებასა და ალერგიას. წითელი მოცხარი კი კლავს წყურვილს, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

ექიმის რჩევები

კითხვა: ვიცი, რომ ლამინარია იოდდეფიციტის დროს ინიშნება. ეგ ანოტაციაშიც წერია. ჰიპერფუნქციის დროს უფრო საშიშია ხომ მისი მიღება, ვიდრე ფუნქციის დაქვეითებისას (tsh-0,3-ია).

პასუხი: ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მომატების დროს, იოდის პრეპარატები არათუ არ მიიღება, არამედ ამძიმებს მდგომარეობას. შესაბამისად, ის არ გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მომატებისას.

კითხვა: ვარ 60 წლის ქალბატონი. ამ ბოლო ხანებში, საკვების მიღების შემდეგ, კუჭის არეში ვგრძნობ სიმძიმეს, შებერილობას იმ დონეზე, რომ ჰაერის შეხუთვას (გულის პრობლემა არ მაქვს) და ასევე, გულძმარვას და ნვასაც (თითქოს ცხელი ჰაერი ამოდის კუჭიდან). როგორც დავაკვირდი, ეს ხდება მაშინ, როდესაც ვიღებ შედარებით, ძნელად გადასამუშავებელ საკვებს (მაგალითად, მჟავეს, მწარეს... ზოგჯერ ცომეულზეც მემართება). გთხოვთ ამიხსნათ რა პრობლემა მაქვს კუჭზე?

პასუხი: ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, იყოს გასტროეზოფაგური რეფლექსი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, გასტრიტი, დუოდენიტი და ასე შემდეგ.

გირჩევთ, დროულად მიმართოთ გასტროენტეროლოგს. ძირითადი დაავადების მკურნალობის პარალელურად, აუცილებლად უნდა დაიცვათ დიეტა: თავი აარიდეთ მჟავე, ცხარე საკვებს, ცომეულს. იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. დაავადების დროული გამოვლენა კი, გამოჯანმრთელების უმთავრესი პირობაა.

კითხვა: შეიძლება, კუჭ-ნაწლავის რომელიმე დაავადებამ თმის ცვენა გამოიწვიოს?

პასუხი: თმის ცვენა უფრო ხშირად ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებისა და ანემიის დროს იწყება. თუ კუჭის მჟავიანობა დაქვეითებულია, მაშინ ქვეითდება ნივთიერებების შეწოვაც. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება, განვითარდეს რკინადეფიციტური ანემია, რომელიც ხშირად ვლინდება თმის ცვენით.

კითხვა: ეს ბოლო პერიოდი ხშირად მტკივა მარცხენა ქვედა ყბა მთელ სიგრძეზე. გაფუჭებული კბილები არ მაქვს. რისი ბრალია? შეიძლება, რომ რომელიმე კბილი შიგნიდან იყოს დაზიანებული და მან გამოიწვიოს ქვედა ყბის საკმაოდ ძლიერი ტკივილი? გამაყუჩებელი წამლებით ვიყუჩებ. თქვენ რას მირჩევთ?

პასუხი: შესაძლოა, ტკივილი საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ან სამწვერა ნერვის პათოლოგიას უკავშირდებოდეს. უნდა მიმართოთ ყბა-სახის ქირურგს; თუ ის სახსრის პრობლემას გამორიცხავს – ნევროპათოლოგს.

კითხვა: მაინტერესებს, ორსულობის 9-10 კვირაზე თუ არის შესაძლებელი, საანაყოფე წყლების გამოჟონვა, როცა ექოსკოპიის სურათი და ზომები იდეალურად შეესაბამება ვადას, და საერთოდ, თუ დგება ასეთი საშიშროება პრაქტიკაში, ყველაზე ადრე რომელი კვირიდან შეიძლება, მოხდეს?

პასუხი: ორსულობის ადრეული მოშლა ნებისმიერ ვადაზე შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამ დროს ექოსკოპიურად უნდა დაფიქსირდეს საშვილოსნოს ტონუსის მატება, ორსულს კი უნდა ჰქონდეს შესაბამისი კლინიკური გამოვლინებები (სისხლიანი გამონადენი, ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, გავის მიდამოში).

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე

რა ურთიერთობა აქვს მაია ფანჯიკიძეს ავთო ცქვიტინიძესთან და რას წერდნენ მასზე „ფეისბუქზე“

მაია ფანჯიკიძესთან ჩემი შეხვედრის მიზანი სულაც არ ყოფილა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, უბრალოდ, ის საქართველოში საკმაოდ გამორჩეული დიპლომატია და, აქედან გამომდინარე, მინდოდა, ძალიან ახლოდან გამეცნო ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვის როგორია ქალბატონი მაია რეალურად. თუმცა, რამდენიმე შეკითხვა თავისი გადაწყვეტილების შესახებ მაინც დავუსვი.

– ვიცი, მობეზრეული გაქვთ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, მაინც უნდა გკითხოთ: ნაბიჯი, რომლითაც სრულიად გაემიჯნეთ „ქართულ ოცნებას“, რა იყო რეალურად – თქვენი სიძის, ირაკლი ალასანიას მიმართ გამოხატული სოლიდარობა თუ რამე სხვა მიზეზი, რაც ისედაც გიბიძგებდათ თანამდებობის დატოვებისკენ? ცხადია, იცით, რომ საზოგადოებამ მაინც ირაკლისადმი სოლიდარობად ჩაგითვალათ.

– ირაკლის და, ალექსი პეტრიაშვილის სახელითაც შემიძლია, იგივე ვთქვა, რომ არცერთი ჩვენგანი არსად წასვლას არ ვაპირებდით, ძალიან გვიყვარდა ჩვენი საქმე და ძალიან გვინდოდა, გაგვეგრძელებინა ისეთივე წარმატებით, როგორც მოვედით აქამდე. ასე რომ, არანაირი მიზეზი, წამოვსულიყავით სამსახურიდან, არ გვქონია.

– და, მაინც?

– არა, ირაკლის გამო გადადგმულ ნაბიჯს ამას ვერ დავარქმევ. ეს იყო საერთოდ შექმნილი სიტუაცია, რომელიც ელვისებური სისწრაფით განვითარდა. ის ერთი კვირა ნამდვილად ძალიან განსხვავებული იყო ყველა იმ დღისგან, რომლებიც მე ამ მთავრობაში გავატარე. რა თქმა უნდა, როლი იმანაც ითამაშა, რომ ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით და ერთი ოჯახის წევრები ვართ – ამის დამალვა ნამდვილად არ იქნებოდა სწორი, მაგრამ, მთავარი მიზეზი ეს არაა.

– მინდა გაიხსენოთ ის დრო, როდესაც საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყავით ნიდერლანდებში და სააკაშვილმა სრულიად მოულოდნელად უკან გამოგიწვიათ. პირადად ჩემთვის მართლა გაუგებარი იყო თქვენი გათავისუფლების მიზეზი.

– დედამიწაზე, მგონი, არალოგიკური არაფერი ხდება და, ესეც ლოგიკური იყო, რადგან, სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა იმ რეჟიმთან მუშაობა. ფაქტობრივად, მომწიფებული იყო ჩემი დამშვიდობება სააკაშვილის ხელისუფლებასთან, უბრალოდ, ჩემთვის მიუღებელი იყო ფორმა, როგორც მოხდა ეს ყველაფერი და ამან გამოიწვია ჩემში სიბრაზე. გამბედაობა რომ არ გყოფნის და მიზეზად ისეთ რამეს იშველიებ, რაც რეალურად არ არსებობს, ანუ, ვითომდა, მოვალეობის არასწორად და ცუდად შესრულებას ელჩის მხრიდან – ეს იყო ოფიციალური მიზეზი, ხოლო ამის უკან იდგა პოლიტიკური შეუთავსებლობა.

სხვათა შორის, როდესაც გამათავისუფლეს ელჩობიდან და დავბრუნდი საქართველოში, მცხეთის პირველ საჯარო სკოლაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვასწავლიდი გერმანულს და ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო პერიოდი. რადგან მცხეთაში ვცხოვრობ, მინდოდა, ამ ქალაქისთვის რაღაც გამეკეთებინა. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში და ჩემი მისვლა „ქართულ ოცნებაში,” რის გამოც, თავი დავანებე ყველა სხვა სამსახურს, გარდა უნივერსიტეტისა. შემდეგი ეტაპი იყო არჩევნებში გამარჯვება და ჩემი მინისტრობა, ახლა კი ისევ ახალი ეტაპი დადგა. მე ვფიქრობ, რომ ყოველი ახალი ეტაპი ჯობდა წინას – იყო გამოწვევებით აღსავსე და მე მიყვარს გამოწვევები.

დახეული ჯინსების ტიპი არასდროს ვყოფილვარ იმის გამო, რომ ჩემი მთელი შრომითი საქმიანობა ოფიციალური იყო

– გამოწვევები და სიახლეები კარგია, მაგრამ, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ, თქვენი მხრიდან შეცდომა იყო დაშვებული, როცა „ქართულ ოცნებას” შეუერთდით, რადგან, არ გაგიხედავთ ცოტა უფრო შორს? რომ არა ეს ნაბიჯი, რა იქნებოდა მომავალში არა მხოლოდ თქვენს ცხოვრებაში, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ცხოვრებაში?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ სწორ ბრძოლას ვაწარმოებდით და ეს ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო „ქართული ოცნების” გამარჯვებით. ადამიანებს ეშინოდათ და ამის რეალური საფუძველი ჰქონდათ – ზოგმა ქონება დაკარგა ზოგმა სამსახური... მაგალითად, ჩემმა მეუღლემ სამსახური დაკარგა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი მეუღლე იყო. პირდაპირ უთხრეს: ან შენი ცოლი წამოვა იქიდან ან შენ მოგიწევს სამსახურის დატოვება; ბევრს კიდევ სხვანაირად დაემუქრნენ. იმდენად მნიშვნელოვანი იყო სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება, აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, რომ, შეიძლებოდა, ამისთვის უარყოფითი შეფასება მიმეცა.

– არ შემიძლია მამაზე, გურამ ფანჯიკიძეზე არ გკითხოთ. როგორი იყო იგი თქვენთან ურთიერთობისას – მკაცრი, ლმობიერი, რა მოსწონდა, რა არ მოსწონდა?

– 17 წელია, რაც მამა გარდაიცვალა. ჩემს ცხოვრებაში უფრო სერიოზული მომენტები მამის გარდაცვალების მერე დადგა და, ძალიან მწყდება გული, რომ ამას ვერ მოესწრო. ვიცი, რომ ძალიან ამაყი იქნებოდა ჩემი და ირაკლის წარმატებით და, ასევე, ძალიან კარგი მრჩეველი. დარწმუნებული ვარ, ყველა ნაბიჯს, რომელიც მე გადავდგი, მომიწონებდა, იქნებოდა ეს დიპლომატიური სამსახურის სრულიად მიტოვება და მერე ისევ პედაგოგიური საქმიანობის დაწყება, ანუ, სრული ჩამოშორება პოლიტიკიდან, მერე ისევ პოლიტიკაში მთელი თავით გადაშვება, საგარეო საქმეთა მინისტრობა თუ სხვა.

– დიპლომატიური კარიერის მიტოვება ახსენეთ. ეს როდის გადაწყვიტეთ?

– აი, მაშინ, სააკაშვილის მთავრობის დროს, როცა აღარ ვიყავი ელჩი. ჩემი თავი ვეღარ წარმომედგინა სახელმწიფო სამსახურში, ძალიან დაღლილი ვიყავი ყველაფერ იმისგან, რაც მანამდე მქონდა ნაკეთები და, ვხედავდი, რომ, მიუხედავად ჩემი ძალისხმევისა, ეს ყველაფერი არასწორი მიმართულებით მიდიოდა და მე ვერანაირ გავლენას ამაზე ვერ ვახდენდი, – ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. გამიჯვნა მინდოდა, აბსოლუტური დისტანცია. ერთი წამით არ მიფიქრია სხვა რამეზე, გარდა იმისა, რომ დავბრუნებოდი ჩემს ძველ პროფესიას – პედაგოგობას.

– რა უნდოდა მამას, გამოსულიყავით?

– სკოლას რომ ვამთავრებდი და უნივერსიტეტში უნდა ჩამებარებინა, მაშინ პროფესიების დიდი არჩევანი არ იყო. მეც ასე წარმომედგინა და ჩემს მშობლებსაც, რომ აკადემიური კარიერა მექნებოდა: დისერტაციას დავიცავდი, პროფესორი გავხდებოდი და, პრინციპში, ასეც ვითარდებოდა ჩემი ცხოვრება, რომ არა მსოფლიო მასშტაბის ისეთი მოვლენა როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მხოლოდ ამის მერე გახდა შესაძლებელი დიპლომატიური კარიერა. მამა ამით ძალიან კმაყოფილი იყო, მოსწონდა. მე დიპლომატიური კარიერა დავიწყე ყველაზე დაბალი თანამდებობიდან და მივაღწიე ყველაზე მაღალ საფეხურს. ეს არ მომხდარა ერთ დღეში, როგორც ხდება ხოლმე ზოგიერთის ბიოგრაფიაში, არამედ, მრავალი წლის განმავლობაში. რაც შეეხება მამას, ის იყო ძალიან ხალისიანი, ენერგიული, ემოციური, უშუალო ადამიანი და უყვარდა ხალხთან ურთიერთობა. ხშირად ვიყავი მის გვერდით. ბევრს მოგზაურობდა, განსაკუთრებით – საქართველოში და ყველგან დავყვებოდი.

– თქვენი და ნათიას გათხოვებას როგორ შეხვდა?

– პირველი მე გავთხოვდი. თავიდან ცოტა დაიბნა და ინერვიულა კიდეც, მაგრამ, შემდეგ მართლაც შვილებივით შეიყვარა ერთი სიძეც და მეორეც. ვერ გეტყვით, რომ, ვიცო-

დით, როგორი სიძეები უნდოდა და ამის მიხედვით აგვერჩიოს ან მე, ან ნათიას, მაგრამ, ალბათ, ყველა ქალიშვილი, რომელიც მამაზე გიჟდება (და მე ვგიჟდებოდი მამაზე), იმ თვისებებით წარმოიდგენს თავის მომავალ მეუღლეს, რომელიც მამაში მოსწონთ.

– პირადმა ცხოვრებამ რომელიმე ეტაპზე თუ შეგიშალათ ხელი თქვენს პროფესიულ საქმიანობაში?

– ასპირანტურაში ვსწავლობდი, უკვე ვმუშაობდი კიდეც, ბავშვები რომ მეყოლა და ამან ერთი წლით დამიგვიანა დისერტაციის დაცვა, მაგრამ, მაინც მოვახერხე. არც დიპლომატიურ კარიერაში არ შეუშლია ხელი გათხოვებას, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან კარგად შემიძლია დროის გადანაწილება.

– ახლა, ალბათ, ოჯახისთვისაც მეტი დრო დაგრჩებათ.

– ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში, თითქმის არ მახსენდება დღე, რომ გამეღვიძა სახლში და მეორე დილამდე გადაბმულად სახლში ვყოფილიყავი. მხოლოდ ეს რამდენიმე დღეა, მოვახერხე ოჯახთან ყოფნა.

– მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის სახლის ინტერიერი, გიყვართ თუ არა განახლება და რომელი ადგილი უფრო მეტად გიყვართ სახლში?

– სახლის ინტერიერი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი სახლი ზუსტად ისეთია, როგორიც მინდოდა, ყოფილიყო. აბსოლუტურად თავიდან ბოლომდე ჩემი შემოქმედებაა. იქ ვერ ნახავთ ძვირფას ნივთებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან გემოვნებით არის გაკეთებული. რაც შეეხება სამზარეულოს, დედაჩემი, რომელიც ძალიან სერიოზული მეცნიერი და მთარგმნელია, მიუხედავად იმისა, რომ დიდ საქმეებს აკეთებდა მთელი ცხოვრება, ის იყო ჩვენს სახლში ძირითადი მზარეული. ამიტომ ვამბობ, რომ დროის სწორად განაწილება უმთავრესია ცხოვრებაში და ეს თვისებები დედაჩემისგან მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დატვირთული სამი წელი გავიარე (პირველი – ოპოზიციის და, შემდეგ, ორი წელი – მინისტრობის), თამამად შემიძლია, ვთქვა: ამ სამი წლის განმავლობაში არ ვარღვევდი ტრადიციას და სტუმრად მოსულ მეგობრებს ჩემი მომზადებული კერძებით ვუმასპინძლდებოდი. ყველა მეუბნება, რომ ძალიან კარგად გამომდის საჭმელების კეთება.

– რემონტის დროს თუ იყავით ჩართული, თუ წასულხართ თუნდაც ელიავას ბაზრობაზე ან სანტექნიკის მაღაზიებში თუ გივლიათ?

– არათუ ელიავაზე, თბილისში, ალბათ, არ დარჩა ადგილი, სადაც არ ვარ ნამყოფი იმ პერიოდში, როდესაც სახლს ვაკეთებდით. ელიავაზეც ვარ ნამყოფი და ყველა სხვა მაღაზიაში, სადაც იყიდება კაფელი, მეტლახი, ლამინატი, საღებავები და ასე შემდეგ. ჩემი ხელით მაქვს არჩეული ყველაფერი.

– რისკიანი ხართ?

– თავის დროზე, როცა „ქართულ ოცნებაში" წავედი, ესეც რისკიანი ნაბიჯი იყო.

– რას გულისხმობთ?

– ეს იყო რისკი ჩემი ოჯახისთვის, რაც უკვე ვთქვი – ჩემმა მეუღლემ რომ დაკარგა სამსახური.

– ჭორები, ალბათ, თქვენზეც ყოფილა. თქვენს ყურამდე მოსული რომელი ჭორი იყო ყველაზე მძიმე?

– ყველაზე შეურაცხმყოფელი არის ის, რაც ახლა ხდება – ირაკლის ადანაშაულებენ იმაში, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია მისგან. ეს არის ისეთი აბსურდი, რომლის მსგავსიც ვერ წარმომიდგენია. რაც შეეხება თვითონ ჭორს, იმისთვის არის ჭორი, რომ ის სერიოზულად არ მიიღო. ინტერნეტსივრცეში ჩემი რჩევა იქნება, რომ, თუ ასე ვინმე რამეს დაგაბრალებთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დარწმუნებული იყავით, ამას სპეციალურად აკეთებს, რომ ნერვები აგიშალოთ.

– სწორედ ინტერნეტსივრცეში ვნახეთ თქვენი ერთ-ერთი ვიზიტის დროს უცხოეთში გადაღებული ფოტოები, რომლებიც დაკომენტარებული იყო, რომ, თურმე, საქმეებზე კი არ დადიხართ საზღვარგარეთ, არამედ, გასართობად.

– ვისაც ჰგონია, რომ ცნობილი ადამიანები არც მაღაზიებში შედიან, არც რესტორნებში და არც კონცერტებს ესწრებიან, ძალიან ცდებიან. თუ დრო დარჩა, აუცილებლად შევდივარ მაღაზიაშიც და ყველგან.

– ყოველთვის ძალიან მკაცრი ჩაცმის სტილი გაქვთ და ეს გასაგებიც არის.

– ძალიან მომწონს ავთო ცქვიტნიძესთან ურთიერთობა და მომავალშიც ვაპირებ გავაგრძელო თანამშრომლობა. ვაღიარებ, კარგად ჩაცმა ძალიან მიყვარს, თან – ბავშვობიდან. დედა ძალიან კარგად ხატავდა და, როდესაც საწერ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, მივუცუცქდებოდი და ვთხოვდი ხოლმე, კაბა დამიხატე-მეთქი. მხატავდა სხვადასხვა კაბებში გამოწყობილს და მერე ვთხოვდი, რომ ეს კაბა შეეკერა. დედას მივყავდი მაღაზიაში, ერთად ვარჩევდით ნაჭრებს, მერე მივდიოდით მკერავთან და, რასაც ხატავდა, იმას აკერინებდა. მერე, მოთხოვნილებამ, რომ კარგად მცმოდა, თანდათან მოიმატა და ახლაც დიდ ყურადღებას ვაქცევ ამას. შემიძლია ვთქვა, მთელი ჩემი შემოსავალი ამ საქმეში მიდიოდა.

– თავისუფალ დღეებში არ გქონიათ რადიკალურად განსხვავებულად ჩაცმის სურვილი? ვთქვათ, დახეული ჯინსები ჩაგეცვათ?

– არა, დახეული ჯინსების ტიპი არასდროს ვყოფილვარ იმის გამო, რომ ჩემი მთელი შრომითი საქმიანობა ოფიციალური იყო. ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდი, რომ კორექტულად ჩაცმული ვყოფილიყავი, როცა კლასში ან ლექციაზე შევდიოდი; დიპლომატიურ სამსახურს კიდევ, თავისი ჩაცმის სტილი აქვს

– თუმცა, ეს ორი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

– კი, არ განსხვავდება, მაგრამ, არ შეიძლება, ზიზილ-პიპილებით იარო მინისტრებთან შეხვედრაზე ან შეხვიდე ლექციაზე. ყოველთვის აკადემიური უნდა იყო.

– თმის ვარცხნილობა, პლასტიკური ოპერაცია... ანუ, იმიჯის შეცვლის სურვილი თუ გქონიათ?

– თმა არასდროს შემიღებავს, ეს არის ჩემი ბუნებრივი თმის ფერი. რაღაც პერიოდი ოდნავ ვიკეთებდი მელირებას, მერე ისიც მოვიცილე. არასდროს ვყოფილვარ ქერა, არასოდეს არაფერი გამიკეთებია რადიკალური, თუნდაც პლასტიკა. ისე მეშინია ყველანაირი ტკივილის, რომ, ჩემი ნებით ტკივილს ვერ მივიყენებ. ის ფული, რომელიც შეიძლება ამაში დახარჯო, ჯობია, უფრო გონივრულად გამოიყენო, მაგალითად, ძვირფასი კრემები შეიძინო სახისთვის. მე მირჩევნია, არ ვიყიდო ახალი კაბა და ვიყიდო სახის კანის მოვლის ძვირფასი საშუალებები.

– „ფეისბუქის" მომხმარებელი თუ ხართ?

– სამწუხაროდ, არ ვარ. მქონდა ოფიციალური გვერდი, რომლის ადმინისტრირებასაც ვახდენდი ჩემი თანამშრომლების დახმარებით. ახლა ვფიქრობ, ხომ არ გავაქტიურდე ისევ-მეთქი. რაც შეეხება პირად გვერდს, ჩემი სახელით არის შექმნილი რამდენიმე პროფილი. პირველი უცებ გაჩნდა „ოცნების" პერიოდში და ერთი-ორი ათასი მეგობარი ჰყავდა იმ გვერდს. არაფერი ისეთი იმ გვერდზე არ ხდებოდა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ვხედავ, ვიღაც გაჭირვებულმა ადამიანმა მომწერა იქ წერილი და მთხოვდა, დავხმარებოდი. ცხადია, ვერ ვუპასუხებდი – იქ შესასვლელი ბერკეტი არ მქონდა. ამიტომ, ზრდილობიანად მივწერე ჩემი შვილის ფეისბუქ-გვერდიდან ადამიანს, რომელსაც ეს გვერდი ჰქონდა ჩემი სახელით გახსნილი და ვუთხარი: როგორც ჩანს, ხალხი წერილებს მწერს, მე კი არ მაქვს საშუალება, რომ მათ ვუპასუხო და უხერხულია-მეთქი. ვთხოვე, გამოჩენილიყო. მერე გამომეხმაურა და აღმოჩნდა ახალგაზრდა ბიჭი. მე იმიტომ გავაკეთე ეს გვერდი, რომ გიყურებთ, რამდენს მუშაობთ და ამის დრო არ გაქვთო. ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ, იქნებ მაინც დახურო-მეთქი. მერე დასახმარებლად მივწერე „ფეისბუქის" ადმინისტრაციას, თუმცა, ვერაფერს გავხდი. არ არის გამორიცხული, კიდევ არსებობდეს ის გვერდი. გავხსნი თუ არა პირად გვერდს, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია.

ეკა პატარაია

– ჩინურ მაღაზიებში იყიდება „ქარის მუსიკა", რომელიც ბევრი ახლობლის ბინაში მინახავს კარზე ჩამოკიდებული. ბევრს ეს ატრიბუტი უბრალო სათამაშო ჰგონია, გაუცნობიერებლად ყიდულობს და შესასვლელ კარზე კიდებს. იქნებ გვითხრათ, კერძოდ, რისი დამცველია ეს ნივთი და რატომ უნდა დავკიდოთ ის სახლში?

– „ქარის მუსიკა", რომელიც ყველა ჩინურ მაღაზიაში იყიდება და არც ისე ძვირი ღირს, მართლაც სასურველია, სახლში დაკიდოთ, მაგრამ, გააზრებულად და სწორად. ის საკმაოდ სასიამოვნო ხმას გამოსცემს და ნეგატიური ენერგიებისგან გვიცავს, ანუ, თავისი ხმით ბოროტ სულებს აფრთხობს და პოზიტიური ენერგიების მოზიდვას უწყობს ხელს საცხოვრებელში.

– მისი დაკიდების წესებიც განსხვავებულია?

– თუ გინდათ, მან სიკეთე მოგიტანოთ, სახლის ჩრდილო-დასავლეთის ან ჩრდილოეთის მხარეს უნდა დაკიდოთ. რაც შეიძლება ხშირად შეეხეთ, რომ აჟღარუნდეს, ხმა გამოსცეს და ნეგატიური ენერგია გაანეიტრალოს სახლსა თუ ოფისში. „ქარის მუსიკა", ძირითადად, რკინის, მინის, ძაფისა და ბუმბულისგანაა დამზადებული. რკინა ადამიანში სიძლიერეს ავითარებს; მინა – სულიერი გამჭვირვალობის სიმბოლოა; ძაფი – სიცოცხლის ხანგრძლივობის, ხოლო ბუმბული – სიმშვიდისა და ჰარმონიის. ამიტომაც აქვს „ქარის მუსიკას" ასეთი დიდი მაგიური დატვირთვა და ის მხოლოდ ლამაზი ნივთი არ არის.

– მისი ჩუქება თუ არის სიკეთის მომტანი თუ ის თავად უნდა შევიძინოთ?

– მისი ჩუქება არ ვარგა. თუ იყიდით და საკუთარი ხელით დაკიდებთ კარზე, მეტი მაგიური დატვირთვა აქვს, ვიდრე ნაჩუქარს. თუ გსურთ, თქვენს მეგობარს ბედნიერება მიანიჭოთ, აჩუქეთ ბაყაყის სტატუეტი, რომელსაც პირში ოქროსფერი მონეტა უდევს – ის სიმდიდრისა და წარმატების მომტანია და მასაც ადვილად შეიძენთ ჩინურ მაღაზიებში. თუ გინდათ, მან წარმატება და სიმდიდრის ხაზი გაგიაქტიუროთ, ბაყაყის გამოსახულების ფიგურა სახლის ან ოფისის შესასვლელში, კუთხეში, კარისკენ ზურგით, იატაკზე უნდა დადოთ. სპილოს სტატუეტსაც მსგავსი მაგიური თვისებები აქვს – თუ ის სახლში გაქვთ, სიმდიდრეს დაიგროვებთ. მას ბიზნესის დამცველად მიიჩნევენ და საქმიან ადამიანს ის სამუშაო მაგიდაზე უნდა ედოს.

– ისიც გამიგია, რომ მისი ხორთუმის მიმართულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მართალია?

– დიახ, მართალია. დააკვირდით, სპილოს ხორთუმი მაღლა უნდა ჰქონდეს აწეული და სახით პატრონისკენ იყოს შემობრუნებული. საერთოდ, ეზოთერიკაში ადამიანის ყველა ქმედებას თავისი შედეგი მოაქვს. ყველას სურს სახლში ისეთი გარემო შეიქმნას, რომ მასთან სხვებმაც დაცულად, ჰარმონიულად და მშვიდად იგრძნონ თავი. მომრავლებულ ჩინურ მაღაზიებში ბევრი ისეთი ნივთი იყიდება, რომელიც ასეთი სიმშვიდის მოპოვებაში გვეხმარება და სახლს სასიკეთო ენერგიებით ავსებს. პირადად მე, ბევრი ახლობლის ბინის შესასვლელში შემიმჩნევია ფერად-ფერადი მინით, მონეტებითა და ათასგვარი ფიგურით გაფორმებული, ეგრეთ წოდებული „ქარის მუსიკა", რომლის იდუმალ ხმებს ადამიანის ყური სასიამოვნოდ აღიქვამს. როგორც ეზოთერიკოსი, ბატონი გიგი ამბობს, უამრავი ატრიბუტი არსებობს, რომელიც ბინაში უნდა გვქონდეს.

რატომ არ ვარგა პარასკევ დღეს სახლის სველი წესით დალაგება და რომელი ნივთის დაკიდებით იხანგრძლივებთ სიცოცხლეს

მაგალითად, არსებობს ისეთი წესები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს, გაითვალისწინოს და ამით თავიდან აიცილოს უარყოფითი მოვლენები ცხოვრებაში. ჩემი აზრით, ყველა იმას ვიმკით, რასაც ვიმსახურებთ და, თუ შეგიძლიათ, რომ უკეთესი დათესოთ უკეთესის მოსამკელად, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ. მაგალითად, პარასკევობით არ უნდა მორეცხოთ იატაკი სველი ტილოთი – შესაძლოა, ეს უფულობის მიზეზი გახდეს; სარკე, ცხვირსახოცი და საპონი არ აჩუქოთ საყვარელ ადამიანს, თუ არ გსურთ, მასთან კამათი მოგივიდეთ და ერთმანეთს დაშორდეთ; თუ სახლიდან გასულს უკან შებრუნება მოგიწიათ, სახლში შესვლისთანავე სარკეში ჩაიხედეთ – წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ დღეს წარუმატებლობა გარდაუვალია; სახლში ცოცხი ყოველთვის ამობრუნებული შეინახეთ, ანუ, ტარით ქვევით და უფულობა არასდროს შეგაწუხებთ; ხელჩანთასა და ქუდს ნუ დატოვებთ მაგიდაზე, რომ ბედში არ შეგექმნათ პრობლემა და მეტად გაგიმართლოთ, – ეს

თუ სახლიდან გასულს უკან შებრუნება მოგიწიათ, სახლში შესვლისთანავე სარკეში ჩაიხედეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ დღეს წარუმატებლობა გარდაუვალია

უმარტივესი და უძველესი წესებია და მას გაუცნობიერებლადაც ასრულებს ბევრი. გირჩევთ, თუ ჯერ კიდევ არ იცოდით იმის შესახებ, რაზეც ვისაუბრეთ, სასწრაფოდ შეცვალეთ თქვენი ცხოვრების სტილი.

– ბევრი ადამიანი ფიქრობს, როგორ გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა; როგორ იპოვოს სასურველი მეორე ნახევარი ან მოაგვაროს კონფლიქტური ურთიერთობები ახლობლებსა თუ მეგობრებთან; როგორ დაიკავოს სანუკვარი თანამდებობა ან განახორციელოს მასშტაბური პროექტები და ასე შემდეგ. მათ რა რეკომენდაციებს მისცემთ?

– ამაში თქვენივე საცხოვრებელი სახლი შეგიწყობთ ხელს და, საკუთარი თავის გარდა, ვერც ვერავინ დაგეხმარებათ. თუ რამის შეცვლა გნებავთ პირად ცხოვრებაში, ან, არასასურველი სიტუაციის გამოსწორებას გეგმავთ, თქვენს ბინაში ნებისმიერ ნივთს ფრთხილად მოეპყარით და გაითვალისწინეთ ის, რაც აუცილებლად დადებითად აისახება თქვენს მომავალზე. ბინის აურა ადამიანის პირად თუ კარიერულ ცხოვრებაზე აგებს პასუხს. თუ რაიმე სიახლეს გეგმავთ, მაშინ ბინაში ნებისმიერ ნიუანსსა თუ წვრილმანს უნდა მიაქციოთ სათანადო ყურადღება, სწორად განალაგოთ ნივთები, გადაანაწილოთ ავეჯი, ჭურჭელი და ისე დაელოდოთ სანუკვარი ოცნებების ახდენას. დამიჯერეთ, ბინის აურა სამსახურსა და პირად ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. დასანაანია, რომ ბევრი ამას არ ითვალისწინებს. მაგალითად, თუ სამსახურის შეცვლა გინდათ, დაწინაურებაზე ოცნებობთ და გსურთ ფინანსებისა და შემოსავლების გაორმაგება, მაშინ, თქვენი ბინა უნდა მოამზადოთ ამისთვის: ეცადეთ, ოთახის კედლები ღია ფერის ტონალობაში შეღებოთ და უფრო კაშკაშა განათება გააკეთოთ; თუ კარიერაში წინსვლა გსურთ, ჭაღის ნათურები იატაკს კი არ უნდა უყურებდეს, ჭერისკენ უნდა იყოს მიმართული; თუ მასშტაბური გეგმების განხორციელებაზე ოცნებობთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ბინის შესასვლელს: ის გემოვნებით და სადად უნდა მოაწყოთ, აუცილებლად კარგად გაანათოთ და მუდამ მოწესრიგებული უნდა გქონდეთ. ვინც ჯერჯერობით ვერ შეხვდით პიროვნებას, რომელთანაც იდეალურ სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობას ააწყობთ, მარტოობის ენერგეტიკასთან ბრძოლა საკუთარი ბინის მოწყობით უნდა დაიწყოთ, კერძოდ, ხშირად დაპატიჟეთ ბინაში ის მეგობრები და ახლობლები, რომლებსაც ჰყავთ შეყვარებულები, რათა მათი ენერგეტიკა თქვენზეც გადმოვიდეს, ფანჯრებზე ჩამოკიდეთ ღია ტონალობის, გამჭვირვალე ფარდები და ოთახი წითელი ფერის, სასიყვარულო ენერგეტიკის მქონე შუქით გაანათეთ – წითელი ფერი ცეცხლის ენერგიით აგავსებთ და სიყვარულს მოიზიდავს. ასე რომ, თუ თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებების შეტანა გსურთ, ბინა სინათლითა და სიახლით აავსეთ; ასევე, გაითვალისწინეთ, რომ გასათხოვარი გოგონას სახლში არ უნდა ინახებოდეს გაბზარული, გატეხილი და შელახული ჭურჭელი და ავეჯი.

ნონა დათეშიძე

თუ ის ჩუმაღაა...

ქალისთვის საყვარელ მამაკაცთან საუბარი სიამოვნებაა და მას ეს ძალიან სჭირდება. მაგრამ მამაკაცები უფრო დუმილს ამჯობინებენ, ზოგჯერ კი მათი ალაპარაკება პრაქტიკულად შეუძლებელია და ქალი ბრაზობს – მამაკაცის დუმილი მას ეჭვებში აგდებს.

მთელი პრობლემა ისაა, რომ მამაკაცების ტვინი სხვანაირად არის მოწყობილი: მათ უფრო უკეთ აქვთ განვითარებული ლოგიკა. ისინი ჯერ აანალიზებენ სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, ამას კი დრო სჭირდება. თუ კაცი რაიმე რთულ პრობლემას აწყდება, თუ რამე სერიოზული გადაწყვეტილება აქვს მისაღები, შეიძლება, საერთოდ დამუნჯდეს. ამიტომ, ნუ ჩავარდებით პანიკაში, თუკი თქვენი ძვირფასი მეორე ნახევარი უცებ გადაწყვეტს, რომ მისთვის ჩუმად ყოფნა უფრო საჭიროა. ქალებსაც უნდა გავუგოთ – ინფორმაციის უქონლობა მათთვის სერიოზული და ძნელად გადასალახავი პრობლემაა. სხვათა შორის, მამაკაცის დუმილი ხშირად გამოწვეულია შიშით, რომ მას გააკრიტიკებენ, დასცინიენ, ან, იმას, რასაც იტყვის, გამოიყენებენ იარაღად ისევ მის წინააღმდეგ.

როცა მამაკაცი დუმს, მას არც ქალის ლაპარაკის მოსმენა უნდა – ეს თავდაცვითი რეაქციაა და, თუ არ გაჩუმდებით, შეიძლება, საერთოდ გაიქცეს კიდეც, ოღონდ კი საკუთარ თავთან მარტო დარჩეს. თუ ძალიან შეაწუხებთ, ამას ის პირადი სივრცის დარღვევად ჩათვლის და, შესაძლოა, მისი რისხვა დაიმსახუროთ. ამიტომ, როცა დუმს, მიეცით თავისუფლება.

არცთუ იშვიათად, მამაკაცის დუმილი მანიპულირების საშუალებაა – ამით ის სჯის ქალს რაღაც კონკრეტული საქციელისთვის. ან, უბრალოდ, სჯის, რომ შემდეგ უკეთ მართოს ის. თუ მამაკაცი დუმს თქვენთან, მაგრამ კარგად „ჭიკჭიკებს“ სხვებთან, არ შეიმჩნიოთ, რომ ეს თქვენ გულს გტკენთ. ნუ დაუწყებთ თხოვნას, რომ დაგელაპარაკოთ, პირიქით, მშვიდად დაელოდეთ, როდის დაგელაპარაკებათ თვითონ.

მამაკაცი იშვიათად გიპასუხებთ შეკითხვაზე მაშინვე – ესეც მათი თვისება და ბუნებრივი მდგომარეობაა. თავს ძალა დაატანეთ და ნერვები არ აიშალოთ. მოკლედ, გახსოვდეთ: თუ კაცი დუმს, ეს კატასტროფა არ არის!

სიყვარული... გაქრა?

სიყვარული აღარ არის – ის გაქრა! ერთი შეხედვით, ამით ყველაფერი ითქმევა და წერტილის დასმაც ადვილდება, მაგრამ, მთლად ისეც არ არის საქმე, როგორც, შესაძლოა, ერთი შეხედვით ჩანდეს. უამრავი „რომ“ არსებობს იმისთვის, რათა ამის შემდეგაც კი, წყვილმა ერთად განაგრძოს ცხოვრება; საერთო ინტერესები, შვილები და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, შეჩვევა, სტაბილურობის განცდა... ფსიქოლოგები საუბრობენ „ერთად ყოფნის“ გამომუშავებულ ჩვევაზეც, რაც საკმაოდ ძლიერი ფაქტორია წყვილის შესაკავშირებლად. დავუშვათ, სიყვარული აღარ არის ისეთი მძაფრი, როგორიც უწინ იყო და ეს სრულიად ბუნებრივია სწორედ ამ „ერთად ყოფნის“ ჩვევის გამო. შეჩვეული აღარ არის ისეთი სასურველი, როგორც მიუწვდომელი და შორეული. სიყვარული ზოგჯერ არ ჩანს, მაგრამ, ის მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ერთმანეთს მოშორდებით, მერე კი მონატრებაც გაჩნდება და სურვილიც, მაგრამ, თუ „ძაფები“ გაწყდება, მერე ამის გაცნობიერება დაგვიანებულია და, მტკივნეულიც, რადგან, აღარ ხერხდება გატეხილის შეწებება.

ნუ იჩქარებთ დასკვნის გამოტანას და საკუთარი თავისვის იმის დამტკიცებას, რომ სიყვარული გაქრა! აჯობებს, დაფიქრდეთ და წარმოიდგინოთ თქვენი ცხოვრება მის გარეშე – ყველა დეტალითა და ყველა ნიუანსით. მაშინ კი ნამდვილად ზუსტად მიხვდებით, გაქრა თუ არა სიყვარული!

გაცრუებული ნდობა

ცოლ-ქმარს ან შეყვარებულებს შორის სერიოზული განხეთქილების მთავარი მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის ორგულობა ერთ-ერთი მათგანის მხრიდან. ღალატი ერთსახოვანი არ არის. არსებობს ფიზიკური და სულიერი ღალატი. პირველი ისე არ აზიანებს ქორწინებას, როგორც მეორე. თუმცა, ნაღალატევ ქალებს თეორიები არაფერში სჭირდებათ და არც აინტერესებთ. მტკივნეულია და შემაძრწუნებელი თავად ღალატის ფაქტი... და, კიდევ, ფიქრი იმაზე, რომ მისმა მეუღლემ ნდობა ვერ გაამართლა – უღალატა ყველაფერს, რისიც ქალს სჯეროდა. იშვიათია სუსტი სქესის წარმომადგენელი, რომელიც ასეთ სტრესს გაუძლებს. ფსიქიკა საკმაოდ ფაქიზია იმისთვის, რომ ღალატის სიმძიმე აიტანოს. ღალატი არღვევს ინტიმურობის ატმოსფეროს და ესეც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა.

ნდობის გაცრუება, ღალატი, მეხის დაცემას ჰგავს – გრძნობ, როგორ ისრისები მის ქვეშ, სუნთქვა გიძნელდება და თითქოს კვდები. მთელი სხეული გტკივა, საშველი კი არსაიდან ჩანს. მაშინვე ურთიერთობის გაწყვეტა მხოლოდ ძალიან ამაყსა და ღირსებაზე შეყვარებულ ქალს შეუძლია; ისეთს, რომელმაც ზუსტად იცის საკუთარი თავის ფასი, მყარად დგას ფეხზე და არაფრის ეშინია.

უფრო ხშირად ორი ტიპის რეაქციაა ბუნებრივი:

1) ირთვება ფსიქოლოგიური გადარჩენის მექანიზმი. ქალი ცდილობს, დააჯეროს საკუთარ თავი და მთელი სამყარო, რომ ყველა კაცი ერთნაირია, ყველა ქმარი ღალატობს ცოლს და ამით თითქოს თავისუფლდება სულიერი დისკომფორტისგან – თავს იმშვიდებს, რომ სხვა ცოლებიც მის მდგომარეობაში არიან.

2) მეორე ვერსია – ქალი სხვანაირად უყურებს თავის დამოკიდებულებას ქორწინებასთან და გრძნობის მიჩქმალვას, მის უკანა პლანზე გადატანას ცდილობს.

სამწუხაროდ, არცერთი ვარიანტი არ არის გამოსავალი. ბედნიერებას სირაქლემის პოზაში ყოფნა ვერ მოგიტანთ, თუმცა, მსხვერპლის გაღება კიდევ უფრო დიდი სისულელე და ლამის დანაშაულია.

დისტანცია აუცილებელია

გინდათ, თქვენი ცხოვრება ჩხუბების გარეშე წარიმართოს? ალბათ, იტყვით, ეს ვის არ უნდაო, მაგრამ, რეალურად, მხოლოდ რამდენიმე ჩვენგანი ახერხებს სურვილის რეალობად ქცევას. დავიწყოთ შეცდომით, ანუ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, როდის უშვებთ შეცდომას? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მაშინვე, როგორც კი ადამიანს თქვენამდე ძალიან ახლოს მიუშვებთ. რას ვგულისხმობთ ამაში?! – იმას, რომ ზედმეტი სიახლოვე ადამიანთან, თუნდაც იმასთან, ვინც ძალიან გიყვართ, საბოლოოდ მაინც იწვევს იმედგაცრუებასა და გულისტკივილს. დისტანცია მეუღლესთანაც აუცილებელია, შვილთანაც და, მით უმეტეს – მეგობართან. მაგრამ, როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი ის თქვენს გულთან ძალიან ახლოს მოდის? არაფერი, უნდა გიყვარდეთ უბრალოდ, ყოველგვარი ზედმეტი ემოციური აფეთქებების გარეშე. არ უნდა დაგავიწყდეთ კიდევ ერთი პატარა, ან, შეიძლება, დიდი ნიუანსი: აუცილებლად უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს – იქნებ, ზოგჯერ თვითონ არ ხართ მართლები იმ ადამიანთან, რომლისგანაც რაღაც გეწყინათ?! იქნებ, მეტისმეტი მოითხოვეთ მისგან და დაარღვიეთ უხილავი საზღვრები?! პრობლემაა ისიც, რომ ადამიანების დიდმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცის, რა არის დისტანცია. სიყვარული კარგია, მაგრამ, თუ ძალიან ახლოს მიუშვებთ ადამიანს, გაეხსნებით ბოლომდე, ჩაახედებთ სულისა და გულის ყველა კუნჭულში, უინტერესოდ გახდებით მისთვის და მალეც მობეზრდებით – ეს მით უფრო უნდა გაითვალისწინონ ქალბატონებმა.

ქალის ფსიქიკა ბევრად ფაქიზია და მას მოფრთხილება სჭირდება. ამაზე, უპირველესად, თავად ქალბატონებმა უნდა იფიქრონ და ახსოვდეთ, რომ დისტანცია აუცილებელია...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

ფენშუი – ჯანმრთელი კვება და ცხოვრების წესი

ალბათ, თქვენც ოცნებობთ, გახდეთ, გამოიყურებოდეთ ლამაზად და, ამასთან, განიმტკიცოთ ჯანმრთელობა, მაგრამ, გგონიათ, რომ ეს ყველაფერი ერთად – მიუღწეველი მიზანია? სულაც არა, თუკი ფენშუის წესებს თქვენი ცხოვრების წესად აქცევთ.

ფენშუის მიხედვით, პირველი, რაც ამისთვის უნდა გააკეთოთ, არის არა დიეტის ან ვარჯიშის დაწყება, არამედ, უნდა გაათავისუფლოთ თქვენ გარშემო არსებული სივრცე ზედმეტი და უსარგებლო ნივთებისგან, რადგან ისინი ბლოკავენ ენერგია ცის დადებით გავლენას. გამოყავით ერთი დღე, ყურადღებით გადასინჯეთ ყველა უჯრა, კარადა და თავიდან მოიშორეთ ის ტანსაცმელი, რომელსაც უკვე წლებია, აღარ იცვამთ; ის ნივთები, რომლებსაც, იცით, რომ არასდროს გამოიყენებთ, მაგრამ, რატომღაც, მაინც ინახავთ; ტექნიკა, რომელიც შარშანწინდელს აქეთ ვერ მიიტანეთ ხელოსანთან შესაკეთებლად; ბავშვის სათამაშოები ან ტანსაცმელი, რომელიც მას აღარასდროს დასჭირდება; ძველი ჟურნალ-გაზეთები და ასე შემდეგ. სხვათა შორის, შეგიძლიათ, ეს ყველაფერი გაჭირვებულ ხალხს დაურიგოთ და ამით ორმაგად სასიკეთო საქმე გამოგვიდეთ – ქველმოქმედებაც გააკეთოთ და თქვენი ბინაც განტვირთოთ. ამის შემდეგ უნდა შეუდგეთ სივრცის ორგანიზებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სამზარეულოს და, ცხადია, უპირველეს ყოვლისა – სისუფთავეს, შემდეგ კი ყველა ნივთს (ჭურჭელი, ტექნიკა, პროდუქტები) სათანადო ადგილი მიუჩინეთ. უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი სასადილო მაგიდის ფორმა. ფენშუის მიხედვით, ეს უნდა იყოს მრგვალი ან ოვალური. კუთხეები, ისევე, როგორც ზედმეტი ნივთები, ანგრევს და შლის დადებით ენერგიას.

რაც შეეხება კვებას: დღის რომელ მონაკვეთშიც არ უნდა მიირთვათ საკვები, მთავარია, ეს გააკეთოთ მშვიდ მდგომარეობაში და უნდა ჭამოთ პატარა ულუფებით. გარდა ამისა, ყველა კერძი, რომლებიც მოამზადეთ, მაგიდაზე წინასწარ დააწყვეთ პატარა თეფშებით და უფლება მიეცით თავს, გასინჯოთ ის, რომლის განწყობაზეც უფრო მეტად ხართ. ფენშუის მიხედვითაც, სითხე უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით (2 ლიტრამდე დღეში), მაგრამ, უმჯობესია, სვათ სუფთა სასმელი წყალი, გაზგასული მინერალური და უშაქრო მწვანე ჩაი (მწვანე ჩაი – დღეში 2 ჩაის ჭიქა). პროდუქტები კი უნდა იყოს (შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა) საღებავების, დანამატებისა და ემულგატორების გარეშე.

დიეტას უკეთესი შედეგი ექნება, თუ:

* საჭმელს მიირთმევთ შავი (მუქი ყავისფერი) ან თეთრი თეფშებიდან. ეს ფერები ამცირებს მადას; მკვეთრი ფერის ჭურჭელი კი (წითელი, ნარინჯისფერი და ასე შემდეგ) – პირიქით, აძლიერებს.
* მწვანე, ჩალისფერი და თეთრი კედლები განგაწყობთ, რომ სწორად იკვებოთ.
* მოერიდეთ კუთხეებიან მაგიდასთან ჭამას. ავეჯი დადგით ისე, რომ კარისკენ ზურგით არ მოგიწიოთ ჯდომა.

ფერებს ყურადღება უნდა მიაქციოთ ფიტნესის პროცესშიც, კერძოდ:

* ძალისმიერი ვარჯიშების დროს ჩაიცვით შავი ან წითელი სპორტული ტანსაცმელი – ამით მოგემატებათ ძალაც და გამბედაობაც.
* ცეკვის დროს პოზიტიურ განწყობაზე დაგაყენებთ ნარინჯისფერი სამოსი.
* კარდიოვარჯიშებისთვის კი საუკეთესო ვარიანტია თეთრი ტანსაცმელი – ის სიმშვიდესა და ხალისიან განწყობას მოგიტანთ.

თუ გადაწყვიტეთ, რომ ფიტნესით სახლში დაკავდეთ შეარჩიეთ ყველაზე ნათელი ოთახი, რათა მეტი „გასაქანი“ მისცეთ დადებით ენერგიას – იანს; ასევე, შეძლებისდაგვარად, შექმენით მშვიდ ფერთა გამა, თუმცა, შეგიძლიათ, ფერადი სურათებით ან პატარა ხალიჩით ორიოდე მხიარული შტრიხიც დაუმატოთ. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ იმ ოთახში, სადაც უნდა ივარჯიშოთ, დადგამთ ქოთნის მცენარეებს – ჯუჯა ბამბუკსა და ჯუჯა ფიჭვს – ისინი დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში; ასევე, დადებით ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობის სიმბოლოების – ირმის, კურდღლის ან წეროს სტატუეტები.

მაგრამ, ფენშუი ჯადოქარი არ არის, ის მხოლოდ გეხმარებათ, მიაღწიოთ სასურველ შედეგს, ყველაფერი დანარჩენი კი თავად უნდა გააკეთოთ.

კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: რა მიზნით კეთდება ბიორევიტალიზაცია?

პასუხი: ბიორევიტალიზაცია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს კანის დატენიანებას და აფერხებს ნაოჭების გაჩენას.

კითხვა: ძალიან მინდა გახდომა. მირჩიეს, საიკლინგით დავკავდე. თუ შეიძლება, ამიხსენით, რა არის საიკლინგი და აქვს თუ არა მას უკუჩვენება.

პასუხი: საიკლინგი არის ჯგუფური ველოვარჯიშის ერთგვარი სახეობაა. მას სხვანაირად „სპინინგრსა“ და „ბოდიბაიკსაც“ უწოდებენ. საიკლინგით ვარჯიშის დროს დარბაზში ზიხართ ველოსიპედზე, გესმით ხმამაღალი მუსიკა და მიჰქრიხართ წარმოუდგენელი სიჩქარით მთებსა თუ კლდე-ღრეში, ოღონდ ისე, რომ დარბაზიდან არ გადიხართ. „ქროლვის“ გარდა, ის მოიცავს კიდევ რამდენიმე ეტაპს და გრძელდება 30 წუთიდან 1 საათამდე.

სასურველი შედეგი რომ მიიღოთ, საიკლინგით უნდა ივარჯიშოთ კვირაში მინიმუმ ორჯერ. ის რეკომენდებულია მათთვის, ვისაც დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია; ეკრძალებათ ჰიპერტონიკებსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირებს.

საიკლინგით 1-საათიანი ვარჯიშით 900 კილოკალორიის დაწვა შეიძლება.

კითხვა: მაინტერესებს, რა დანიშნულება აქვს ოსტეოპათიურ მასაჟს?

პასუხი: სახეზე ოსტეოპათიური მასაჟის კურსის ჩატარებით შესაძლებელია:

ა) შეშუპების გაქრობა; ბ) კანის ფერის გათანაბრება; გ) კანის გაახალგაზრდავება; დ) ღრმა ნაოჭების გამკრთალება; ე) წვრილი ნაოჭების გაქრობა; ვ) სახის კანიდან წიდებისა და ტოქსინების გამოდევნა; ზ) კუნთების დაძაბულობის მოხსნა; თ) კუნთების დაძაბულობის მოხსნა; ი) სტრესის მოხსნა.

თუ ამ მასაჟის მთელ კურსს ჩაიტარებთ, თქვენს ასაკს მინიმუმ ხუთი წელი მოაკლდება.

კითხვა: როგორ უნდა მოვუარო კანს ბიორევიტალიზაციის კურსის დასრულების შემდეგ, რომ მიღებული შედეგი დიდხანს შევინარჩუნო?

პასუხი: ბიორევიტალიზაციის შემდეგ საჭიროა კანის დასატენიანებელი თერაპევტული სეანსები, როგორიცაა: პილინგი, ულტრაბგერითი პილინგი, კანის არაინიექციური დატენიანება. როგორც წესი, ამ პროცედურების დაწყება მიზანშეწონილია ბიორევიტალიზაციის კურსის დასრულებიდან 2-3 თვის შემდეგ (სულ 3 პროცედურა); ოღონდ, თქვენი კანის მდგომარეობა უნდა გააკონტროლოს ექიმმა.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

ინტიმური საუბრები

ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ

ახალგაზრდა დავქვრივდი და ერთადერთი შვილი მარტომ გავზარდე. გათხოვებაზე აღარ მიფიქრია. დედამთილ-მამამთილიც მეხმარებოდა და დედ-მამაც, მეც ორ ადგილას ვმუშაობდი და ამიტომ ბავშვს არასდროს არაფერი დაჰკლებია. გარეგნობითაც კარგი გოგო იყო ჩემი მანანა, კარგადაც სწავლობდა სკოლაშიც და ინსტიტუტშიც; ზრდილობითაც გამოირჩეოდა, წესიერებითაც და, თანაც, ერთი ოჯახის სამყოფი ყველაფერი ჰქონდა – ბინაც, აგარაკიც და, მესამე კურსი რომ დაამთავრა, ჩემმა მამამთილმა მანქანაც უყიდა. ამ ყველაფრის გამო, მომწონებელიც ბევრი ჰყავდა და ხელის მთხოვნელიც, თან, თითქმის ყველა კარგი ოჯახიშვილი იყო, გზაზე დამდგარი და წარმოსადეგი. მაგრამ, ამ ჩემს საცოდავ შვილს ყველაზე უარესი ვინც იყო, ის შეუყვარდა. ამის იქით ბიჭი აღარ არსებობდა მისთვის. ალალად გეტყვით, რომ ნოდარისნაირი სიძე ნამდვილად არასდროს მინატრია; მინატრია კი არა, პირველად რომ ვნახე, კინაღამ გულს შემომეყარა – გაწლეკილი, საცოდავი, ძლივს ლაპარაკობდა და, რასაც ამბობდა, იმასაც ისე უქცევდა კუთხურად, ვერაფერს ვიგებდი. ერთი ის იყო, რომ თვალებში შესციცინებდა ჩემს შვილს, უბატონოდ არ დაელაპარაკებოდა და მისი სურვილის გარეშე ფეხს არ გადაადგამდა. არ გეგონოთ, ტრაბახით ვამბობ, მაგრამ, ისეთი გოგო იყო ჩემი მანანა, თავმომწონე და წარმოსადეგი ბიჭებიც კი ფეხქვეშ ეგებოდნენ და ამ უსახურის თვალებში ყურებამ რატომ გააგიჟა, ახლაც არ მესმის. თუმცა, ერთხელ მანანიკოს დაქალს წამოსცდა, ნოდარი შეეცოდა და იმიტომ გაჰყა ცოლადო. მერე კი, ან მართლა შეუყვარდა, ან თავს არ უტყდებოდა, რომ მცდარი ნაბიჯი გადადგა და, რადგან მისი ქმარი იყო, ყველაფერს აკეთებდა, რომ დონითაც აენია, გარეგნობითაც გამოეკეთებინა და კარიერაშიც წინ წაწია. სხვათა შორის, ნოდარი ყველაფერში დაემორჩილა და რამდენიმე წელიწადში ერთი ნორმალური კაცი დადგა, ნორმალური სამსახურით.

ცხადია, ჩემი ერთადერთი შვილი ჩემთან ცხოვრობდა ქმარშვილიანად, მით უმეტეს, რომ ნოდარს თბილისში კი არა, თავის სოფელშიც ბევრი არაფერი ებადა. სამაგიეროდ, ოჯახის წევრები და ნათესავები ჰყავდა უამრავი და, როგორც კი ჩემმა სიძემ, როგორც იტყვიან, „ფესვები გაიმაგრა“ ჩემს ბინაში, ნელ-ნელა დაიწყეს კიდეც ჩამოსვლა – ჯერ და-ძმამ, მერე მშობლებმა, მერე ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა და მალე ჩემი ბინა საერთო საცხოვრებელს დაემსგავსა. ყველა ოთახში საწოლი იყო გაშლილი. რაც მთავარია, ვითომ ერთიორი დღით ჩამოდიოდნენ, მაგრამ მერე ისე მოსწონდათ ჩემი სახლ-კარი და მირთმეული სადილ-ვახშამი, რომ თვეობით რჩებოდნენ: ზოგი სასწავლებლად, ზოგი სამკურნალოდ, ზოგი ბიზნესის ასაწყობად და ზოგიც ისე, გასართობად. მერე, მეგობარ-ნაცნობების მოპატიჟებაც რომ დაიწყეს, გონება გადამეკეტა. ისე გადავირეე, ჩემს სიძეს გამოვუცხადე, ხვალ დილითვე მოაშორე ეს ხალხი აქაურობას, თორემ, ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. ეტყობა, თვითონაც ყელში ჰქონდა ამოსული ამდენი ხალხის რია-რია და, მეორე დღეს მართლაც ყველამ აიკრა გუდა-ნაბადი. მართალია, ამის გამო მძახლები გამებუტნენ, მაგრამ, მერჩივნა კიდეც, რომ მათთან საერთო არ მქონოდა.

რაც შეეხება ნოდარს, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ქმარი და მამა იყო, მაგრამ, ვხედავდი, რომ, მას შემდეგ, რაც კარგი ცხოვრების გემო გაიგო, აღარ ბრძანდებოდა ისეთი მორცხვი და მორიდებული; პირიქით, ისე იქცეოდა, თითქოს მე ვცხოვრობდი მის სახლში. გარდა ამისა, მანანას ახალნაყიდი მანქანა ჩამოართვა – შენ მაინც არ გჭირდებაო და თვითონ დააქროლებდა აღმა-დაღმა. მალე ეჭვი გამიჩნდა, რომ საყვარელი გაიჩინა და ჩემი შვილის მანქანით დაატარებდა. ეს ჩემი სულელი გოგო კი სულ არ აკონტროლებდა ქმარს, ისე ენდობოდა ყველაფერში.

ერთ დღეს კი ჩემმა სიძემ ცოლს დაურეკა, ერთ საქმეზე უნდა წამომყვეო და მანქანით წავიდნენ. საჭესთან ნოდარი იჯდა, რადგან მანანიკო ორსულად იყო. მაგრამ, ავარია მოუვიდა. თვითონ მხოლოდ ნაკაწრები ჰქონდა, ჩემს შვილს კი მუცელი მოეშალა, კიდურები დაემტვრა და სახე ისე დაუზიანდა, რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია სჭირდებოდა, რომ ისევ ქალს დამსგავსებოდა. მკურნალობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რადგან, პლასტიკურ ოპერაციას მანამდე არ გაუკეთებდნენ, სანამ ფეხზე დადგომას და გავლას არ შეძლებდა. ჩემს სიძეს კი, რომელიც ჩემმა შვილმა (და მეც) მშიერი მაიმუნიდან კაცად ვაქციეთ, თურმე, მობეზრდა ავადმყოფი ცოლის ყურება და მოვლა-პატრონობა. ჩაალაგა თავისი ნივთები მანანიკოს მანქანაში და თავის საყვარელთან წავიდა, თან მოგვამადლა, ბინა (ჩემს ბინაზეა ლაპარაკი) რომ არ გაგვიყო. იმის მერე შვილსაც ხანდახან თუ მოიკითხავს ტელეფონით – სულ ესაა მისი ზრუნვა. მანანას კი არ ურეკავს, მხოლოდ ბავშვს ეკითხება, დედაშენი როგორ არისო. ჩემი მანანიკო არაფერს ამბობს, მაგრამ, ვიცი, ძალიან არის გულგატეხილი და ჩემიც რცხვენია, რადგან, გამართლდა ჩემი სიტყვები – უნახავმა რა ნახაო. ყველაზე მეტად კი იმაზე ვარ გულგახეთქილი, რომ სწორედ ეს ნაძირალა კაცი იჯდა მაშინ საჭესთან და მის გამო დამიინვალიდდა შვილი. ციხეში რომ არ ჩაესვათ (აღმოჩნდა, რომ ნასვამი ბრძანდებოდა მაშინ), მეც და მანანაც დავთანხმდით მის ჩვენებას, ვითომ საჭესთან მანანიკო იჯდა. მან კი, მადლობის ნაცვლად, სწორედ მაშინ მიატოვა ჩემი გოგო, როცა ყველაზე ძალიან უჭირდა.

ᲜᲔᲚᲘ, 54 ᲬᲚᲘᲡ.

ᲕᲔᲫᲔᲑ „ᲩᲔᲛᲘ“ ᲒᲝᲒᲝᲡ

არ ვიცი, რა მჭირს. ეტყობა, მთლად ნორმალური მართლაც არ ვარ. ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნება ჩემი და და, რომ დავფიქრდები ხოლმე, გულში ვეთანხმები. არანორმალურობაა, აბა, რა არის, როცა სულ შეყვარებული ვარ და მაინც სულ მარტო ვარ?! უფრო სწორად, მარტო კი არა, სულ ძიებაში ვარ – ვეძებ „ჩემს“ გოგოს, ვეძებ და, რომ მგონია, ვიპოვე, რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდება, რომ აბსოლუტურად უცხო ადამიანია. არადა, სანამ ერთად ვართ, სიგიჟემდე მიყვარს, თან ვყვები, სულ იმას ვცდილობ, გავახარო, ვასიამოვნო და ჩემთან ბედნიერი იყოს, მაგრამ, რატომღაც, არ გამომდის. ეტყობა, იმის ბრალია, რომ ზედმეტად რომანტიკული ადამიანი ვარ და ზედმეტად მიყვარს ყველასთვის ზეიმების მოწყობა და ფოიერვერკები, რასაც ვერ მიგებენ და, საბოლოოდ, ცოტა „შექანებულის“ შთაბეჭდილებას ვტოვებ. პრინციპში, ყველასგან გულდაწყვეტილი ვარ – მეგობრებს ვგულისხმობ. სამაგიერო ზეიმებს კი არ ვითხოვ ვინმესგან, უბრალოდ, ხომ შეუძლიათ, ამყვნენ და თვითონაც მიანიჭონ სხვებს სიხარული?! ნამდვილად არ ვიყვედრები, მაგრამ, არც ერთ მეგობარს არ უფიქრია იმაზე, რომ, შეიძლება, მეც გამიხარდეს ან მეწყინოს რამე. მე თითოეულ მათგანს დაბადების დღეზეც და ყველა დღესასწაულზეც, ისეთ სახალისო სიურპრიზებს ვუკეთებ, ადამიანის ფანტაზია რომ არ ეყოფა და ეს წლების განმავლობაში გრძელდება. ხომ შეიძლება, რომელიმე მათგანმა მაინც, მეც გამახაროს და მასიამოვნოს? მაგრამ, არა, ყველაზე კარგ ვარიანტში, ვთქვათ, დაბადების დღეზე, დამირეკავენ, მომილოცავენ ორი სიტყვით და, დაზეპირებულივით, ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება: „ხომ კისრულობ? სად ვიკრიბებით? სახლში არა, რა, რესტორანში ჯობია...“ კი ბატონო, იციან, რომ მაქვს ამის საშუალება, მაგრამ, ხომ შეიძლება, ერთხელ მეც დამპატიჟონ სადმე? ისე გამოდის, რომ მიყენებენ – სხვა სახელს ვერ დავარქმევ მათ საქციელს. ბებიაჩემმა იცის ჩემი ხასიათი და სულ მეჩხუბება, ასე ნუ იქცევი, თორემ, ყველას სულელი ეგონები და თავზე გადაგივლიანო. უკვე ვხვდები, რომ მართალია ბებია. ეტყობა, გოგოებთანაც იგივე მემართება – ზედმეტი მომდის, ზედმეტი პატივისცემა და თანგადაყოლა კი, როგორ ცნობილია, ვნებს ურთიერთობებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, არაგულწრფელსა და ანგარებიანს ხდის. თუმცა, იცით, რაშია ჩემი უბედურება? ეს ყველაფერი თეორიულად ვიცი, მაგრამ, მაინც იმავეს ვიმეორებ ყველასთან. რატომ ვერ მიგებენ გოგოები, მე ხომ მათ გახარებასა და გაბედნიერებას ვცდილობ? პრინციპში, ყველა კარგად ირგებს ჩემს ზრუნვასაც, საჩუქრებსაც, ფოიერვერკებსაც, მაგრამ, აქეთ თუ გახდა საჭირო რაიმე ელემენტარული თანადგომა, ან, უბრალოდ, გაგება და ხასიათის გასწორება – ბოდიში, ამისთვის არავინ არის მზად, უფრო სწორად, ამაზე არც არავინ ფიქრობს.

ძალიან წამიხდა შთაბეჭდილება გოგოებზე. რომ ჰკითხო, თითოეული მათგანი რომანტიკას ეძებს ბიჭში, მაგრამ, სინამდვილეში თვითონ არიან აბსოლუტურად დაცლილები რომანტიკისგან. როგორ შეიძლება, 16-17 წლის გოგოები ასეთი პრაგმატულები იყვნენ და არაფერი აღელვებდეთ და აინტერესებდეთ, რაც სულიერებასთან არის დაკავშირებული – არც მზის ამოსვლა, არც მიძღვნილი ლექსი და არც ლამაზ ბუნებაში გასეირნება?! ჩემი და მეუბნება, თუ ხასიათი არ შეიცვალე, ცხოვრება გაგიჭირდება. ასეთი ცხოვრების წესით ოჯახს ვერ არჩენო. ამას წინათ ისიც კი მითხრა, ზედმეტად მეოცნებე და „ცაში მფრინავი“ ბიჭები გოგოებს არ უყვართო, ალბათ, მართალია, მაგრამ, ასეთი გამაჩინა ღმერთმა და, რა ვუყო?

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ, 21 ᲬᲚᲘᲡ.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

ეძიე კაცი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-47(726)

გოგოების გაოცებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ისე გააგიჟა ლექსოს არაკაცობამ, რომ მთავარს აღარ მიაქციეს ყურადღება, სანამ სოფომ ხელმეორედ არ აუხსნა, რას მოითხოვდა მისგან მისი მეორე ქმარი.

– მართლა? თვითონ გითხრა, ბავშვი თავის გვარზე გადაიყვანოსო? – ყურებს არ უჯერებდა მია.

– ჰო, თანაც სასწრაფოდო; ალიმენტის იმედიც ნუ ექნება, სხვის შვილს მე რატომ უნდა ვუბადო ფულებიო.

– წარმოგიდგენიათ, რა დონის ნაძირალაა? კიდევ კარგი, იქ არ ვიყავი, თორემ, ალბათ, რამეს ჩავარტყამდი თავში, – აღშფოთდა სალომე.

– ჰო, ეგ სურვილი მეც გამიჩნდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს ძალიან კარგია. ლექსოს

უნდა დააწერინო ხელწერილი, განცხადება თუ რაც ჰქვია, რომელშიც ეწერება, რომ უარს ამბობს მამობაზე; შენ შვილს შენს გვარზე გადაიყვან. შესაბამისად, ლექსო ვეღარასოდეს ვერანაირ პრეტენზიას ვეღარ განაცხადებს ბავშვზე და აღარც მისი თანხმობა დაგჭირდება საქართველოდან გაყვანისას. ოღონდ, შენმა ყოფილმა ქმარმა ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს, თორემ, აღარ იტყვის უარს მამობაზე და ამის ორი მიზეზი ექნება: ერთი – რომ გაგამწაროს და ჩაგიშალოს გათხოვება და, მეორე – ფული გამოგძალოს. ეს რომ არ მოხდეს, პირველი: ახლავე დაურეკე და სასწრაფოდ გააფრთხილე ტომასი, რომ არავის არაფერი უთხრას, არც რეზოს და არც სხვა ვინმეს, თორემ, ხომ იცი, თბილისში ქარზე სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია და, მეორე: ლექსოს არ უნდა „გაუცივო“ განწყობა, როგორმე დღესვე დაუკავშირდი. თუ გინდა, ისევ მე მივალ და გამოვართმევ იმ რაღაც ხელწერილს, თან იქით მივაყვედრებ – შენ თვითონ გინდოდა ასე-მეთქი. მოკლედ, ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოაგვარო, – გამოცდილი ადვოკატივით ჩამოარაკრაკა სოფომ.

გოგოებმა ერთხმად აიტაცეს სოფოს საქმიანი რჩევა, დანარჩენი სალაპარაკო მეორე დღისთვის გადადეს და იმავე საღამოს ისე ოპერატიულად მოაგვარეს ყველაფერი, რომ მეორე დღეს შუადღისთვის ლექსოს ხელწერილი მაგიდაზე ედოთ.

– ხვალვე გადაიყვანე ბავშვი შენს გვარზე, თორემ, არ არის გამორიცხული, იმ ვაჟბატონმა რაღაც იყნოსოს და რამე ნომერი ჩაგიტაროს, – გააფრთხილა მია რუსამ.

– ხვალ არაფერი გამოვა. ბევრი ვივიქრე და გადავწყვიტე, ორივე შვილს ჩემი გვარი მივცე, მაგრამ, არ ვიცი, ბესოს როგორ მივუდგე. ნახევარჯერ გონზე არ არის, ისეთ კაიფშია და, აზრზე არა ვარ, როგორ გამოვიჭირო ფხიზელ მდგომარეობაში.

– ფული რომ შესთავაზო, არ დათანხმდება?

– თვითონ როგორ არ დათანხმდება, მაგრამ, მაგისმა ძვირფასმა მშობლებმა და დამ თუ გაიგეს, მაშინვე მიხვდებიან, რომ რაღაც ხდება და აუცილებლად ჩაერევიან. არადა, უფულოდ, ზუსტად ვიცი, ბესოც უარს მეტყვის. მე კი ისე არსად არ წავალ, თუ ორივე შვილს არ წავიყვან.

– ივიკო იცნობს ბესოს კარგად, გამოგვადგება რამეში? – იკითხა მირანდამ.

– ალბათ, კი, მაგრამ, ჩაერევა ასეთ საქმეში? – ეჭვი გამოთქვა ლიკამ.

– ჰო... არა მგონია... – დაეთანხმა ქეთა.

– ისევ ის აჯობებს, მე თვითონ დავურეკო, შეხვედრა ვთხოვო და თან „ნამიოკით“ ფულითაც დავაინტერესო. მე მგონი, წამოეგება... მაგრამ, თან სინდისი მქენჯნის – ეს ხომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, თანაც, მოტყუებით ვცდილობ, ისედაც გაუბედურებულ კაცს უარი ვათქმევინო ერთადერთი შვილის მამობაზე, მიუხედავად იმისა, რომ, წლებია, არც თვალით უნახავს და არც დაინტერესებულა მისით. არა, ამას ვერ ვიზამ. ჯობია, პირდაპირ ვუთხრა და, რაც მოხდება, მოხდეს, – ჩუმად თქვა მიამ და მერე უცბად აფეთქდა: – ღმერთო! რა დაგიშავე, რატომ მაქვს ცხოვრებაში ყოველი ნაბიჯი საბრძოლველი? რატომ ვარ ასეთი უიღბლო, ასეთი რა ცოდვა მაქვს ჩადენილი? რომ იცოდეთ, როგორ დავიღალე ამ ყველაფერით, როგორ ამომივიდა ყელში ამ იდიოტ კაცებთან მუდმივად რაღაც საქმეების მოგვარება! მეტი აღარ შემიძლია, გესმით? აღარ შემიძლია! – და ხმამაღლა ატირდა.

გოგოები გაოცებით შესცქეროდნენ თავიანთ ყველაზე მხნე, ყველაზე ოპტიმისტ, ყველაზე ენერგიულ და აქტიურ დაქალს და თვალებს და ყურებს არ უჯერებდნენ – რატომღაც, ვერც კი წარმოედგინათ, რომ მიას ტირილი შეეძლო.

ტირილით გული რომ მოიოხა, მიამ ისევ გაიმხნევა თავი, მეგობრებს გაუღიმა და წამოდგა:

– ყურადღებას ნუ მომაქცევთ, ეს წუთიერი სისუსტე იყო – უბრალოდ, ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში და, ეტყობა, გადავიწვი... კარგი, რაც იყო, იყო. მე ახლა დავურეკავ ბესოს, შევხვდები და, ვნახავ, როგორ წარიმართება ჩვენი მოლაპარაკება.

მიამ ბესოს მობილურზე დაურეკა. მისდა გასაოცრად, ყოფილი ქმარი შედარებით ფხიზელი იყო და შეხვედრაზეც დათანხმდა.

– წავედი, – მაშინვე წამოხტა მია, – თქვენ, თუ გინდათ, ნუ დაიშლებით, მაგრამ მე დღეს უკან მობრუნებას ვეღარ მოვასწრებ.

– აკი რაღაც გქონდა მოსაყოლი შენს სამსახურთან დაკავშირებით? დღეს ვერ გავიგებთ, რა ხდება? თანაც, ისიც ხომ უნდა გავიგოთ, ბესო რას გეტყვის? – გული დასწყდათ გოგოებს.

– მეც ბევრი რამე მქონდა კიდევ მოსაყოლი, ძალიან საინტერესო და, თანაც საოცრად დამაინტრიგებელი, – ეშმაკური ღიმილით გამოაცხადა სოფომ, – ისეთი რამ გადამხდა, ნებისმიერ მელოდრამას დაამშვენებდა ეს ეპიზოდი. მართალია, არ ვიცი, როგორ დასრულდება, მაგრამ, რაც მოხდა, ეს უკვე ძალიან მაგარია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

– ვინმე საინტერესო გამოჩნდა? – შემობრუნდა კართან მისული მია, – ისე გიბრწყინავს თვალები, მგონი, მართლა რაღაც ხდება... – მერე უცბად შუაზე გაწყვიტა წინადადება და გულგახეთქილმა იყვირა: – ახლა, არ მითხრა, რომ ეგ შენი საინტერესო და დამაინტრიგებელი ისტორია იმ ნაძირალა ლექსოს უკავშირდება, თორემ, საბოლოოდ გავრეკავ, იცოდე!

– არა, ნუ გეშინია, – გაეცინა სოფოს, – ასეთი იდიოტი და უსინდისო გგონივარ?

– კარგი, – თქვა მიამ და კარი გააღო, – არ დაიშალოთ და, თუ ძალიან გვიან არ მოვრჩი საქმეს, შემოგიერთდებით; ყოველ შემთხვევაში, დაგირეკავთ და გაგაგებინებთ, რას ვიზამ.

* * *

მია ვერც კი წარმოიდგენდა, ასე ადვილად და გართულების გარეშე თუ ასრულდებოდა პირველ ქმართან მოლაპარაკება, თუმცა, თავიდან კარგა მაგრად დაიძაბა, ბესოსთან ერთად მამამისიც რომ დაინახა.

„ეტყობა, ბესომ ჩაუკაკლა მამამისს, მე რომ დავურეკე; იმანაც, ფულის სუნი იყნოსა და, არ უნდა, ხელიდან გაუშვას, – გაიფიქრა მიამ, – თუმცა, ალბათ, ასე აჯობებს კიდეც – ეს საცოდავი მთლიანად ვენებში ვეღარ გაუშვებს იმ ფულს, რასაც მე მივცემ“. მერე თამამად მიუახლოვდა სკვერში სკამზე ჩამომსხდარ მამაშვილს, ცივად მიესალმა და მაშინვე საქმეზე გადავიდა:

– პირდაპირ გეტყვით, რატომაც დაგიბარეთ. ჩემი საქმეები ისე აეწყო, რომ წელიწადში რამდენჯერმე მომიწევს ხოლმე ამერიკაში ან სხვა ქვეყანაში გამგზავრება შვილებიანად და ყოველ წასვლაზე მამის ოფიციალური თანხმობა იქნება საჭირო. მოგეხსენებათ, თქვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, ამის გაკეთება ჩემთვის საკმაოდ რთული იქნება. ამიტომ, ამ ყველაფრის თავიდან ასარიდებლად, მინდა, რომ ბავშვი ჩემს გვარზე გადავიყვანო.

– ანუ, გინდა, რომ ბესომ შვილზე თქვას უარი? – მაშინვე მიხვდა ყოფილი მამამთილი.

– დიახ, – მაშინვე დაეთანხმა მია, – წესით, ამის გაკეთება არცერთი თქვენგანისთვის არ უნდა იყოს მორალურად მძიმე, რადგან...

– გეყო მიდებ-მოდება! – უხეშად შეაწყვეტინა კაცმა, – რამდენს გადამიხდი?

მია მაინც არ ელოდა, ასე ღიად თუ გაუმართავდნენ ვაჭრობას და უცბად ისე შეებრალა თავისი უფროსი შვილი, რომ ამ ორი საცოდავი და ნაძირალა არსების გენების გამგრძელებელი იყო, რომ, მთელ სხეულზე აეწვა კანი და კინაღამ ტირილი დაიწყო. რაღაც მომენტში საკუთარ თავს იმაშიც კი გამოუტყდა, რომ, ერჩივნა, ახლა ამათ ჩხუბი დაეწყოთ, გაელანძღათ, გაეთათხათ, ოღონდ კი ასე თხასავით არ გაეყიდათ ერთადერთი შვილი და ერთადერთი შვილიშვილი. ამ ემოციამ რომ გაუარა, მხოლოდ მერე მიხვდა, რომ, რაც უფრო შორს იქნებოდა ეს ორი არარაობა მისი შვილისგან, თუნდაც საბუთების დონეზე, მით უკეთესი იქნებოდა ბავშვისთვის. ეს რომ გაიაზრა, უკვე აბსოლუტურად მშვიდად უპასუხა:

– ორი ათასს.

– ლარს? – ირონიულად ჰკითხა ყოფილმა მამამთილმა.

– არა, დოლარს. ლარს როგორ შემოგკადრებთ, – ვეღარ მოითმინა მიამ და ხმაში გესლიანი ირონია გაურია.

– ხუთი ათასი და ახლავე დაგიწერთ, რაც გინდა, – ვაჭრობა განაგრძო კაცმა.

– კარგი, თანახმა ვარ, – რამდენიმე წამის შემდეგ უპასუხა მიამ, – ოღონდ, მერე ფოკუსები არ იყოს.

– არ იქნება. მოგვეცი ფული! – ხმა ამოიღო ბესომაც.

– ჯერ წავალთ ნოტარიუსთან, ყველაფერს ისე გავაფორმებთ, როგორც საჭიროა და ფულს მერე მიიღებთ.

– არა, ჯერ ფული მოგვეცი, – გაჭირვეულდა ბესო.

– ამხელა ფულით ქუჩაში არ გამოვდივარ. დავასრულოთ საქმე და მაშინვე სრულად მიიღებთ თანხას.

... ეს აღებ-მიცემობა დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. მიამ მიიღო ის, რაც უნდოდა, მაგრამ, განადგურებული დაბრუნდა სახლში. ცოტა რომ დაისვენა, გოგოებს დაურეკა, ხომ არ დაშლილხართო. ისინი მოუთმენლად ელოდნენ. მიამ დედას დაურეკა, ბიჭები ხომ არ გაბრაზებენო. როცა გაიგო, რომ ყველაფერი რიგზე იყო, უთხრა, ცოტა გვიან მოვალო და ისევ გოგოებთან წავიდა. მისვლისთანავე უამბო, რა და როგორ მოხდა და მერე სოფოს სთხოვა, მაგარი ყავა და ცოტა კონიაკი მომიტანე, რომ გონზე მოვიდეო. ყავაც და კონიაკიც ყველას მოუნდა. ალკოჰოლმა უცბად მოუხსნა გოგოებს დაძაბულობა, მცირეოდენი მსჯელობის შემდეგ, დაასკვნეს, რომ, საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და გადაწყვეტეს, ხვალ ყველანი გაჰყვებოდნენ, სადაც საჭირო იქნებოდა. მიას აღარ უნდოდა ამ თემაზე ლაპარაკი; როგორც სჩვეოდა ხოლმე, უცებ გადაიყარა გულიდან და სახიდან დაღლილობაც, ნერვიულობაც, დაძაბულობაც და ღიმილით მიმართა სოფოს:

– აი, ახლა კი შენი გამოსვლის ჯერია, ქალბატონო. აბა, გვიამბე, სად და რა თავგადასავალში გაეხვიე, ოღონდ, არაფერი გამოტოვო, იცოდე. ისე უჩვეულოდ გიბრწყინავს თვალები, აშკარად კმაყოფილი ხარ იმით, რაც მოხდა.

– მარტო კმაყოფილი კი, არა, ბედნიერიც, – ისე სწრაფად დაეთანხმა სოფო, აშკარად ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა დაქალებს თავის პირველ, მაგრამ ყველასგან განსხვავებულ და მართლაც ორიგინალურ შეხვედრას საოცნებო მამაკაცთან, – არ გეწყინოთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, შეიძლება, არც დამიჯეროთ და, თან, გულის სიღრმეში ყველას შეგშურდეთ ჩემი, იმიტომ რომ, ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ რომანებში ან ფილმებში გადახდეს თავს ქალს.

– ნუ გაგვითეთრე სისხლი, დაიწყე, თუ ყვები! – შეუძახეს აქეთ-იქიდან და სოფომაც დაიწყო...

გოგოები სულგანაბულები, გაფართოებული თვალებით უსმენდნენ და მართლა არ სჯეროდათ, რასაც სოფო ყვებოდა.

– შენ კარგი მწერალი გამოხვიდოდი, – თქვა ლიკამ, როცა სოფომ მოყოლა დაასრულა.

– ფანტასტიკის ჟანრში, – დაუმატა მირანდამ.

– რა, არ გჯერათ? – ეწყინა სოფოს, – თქვენ თავს გეფიცებით, ერთი სიტყვა მაინც თუ დამემატებინოს.

– ესე იგი, კიანუ რივზი, არა? – დაეჭვებით იკითხა ნათიამ, – სინამდვილეში რა ჰქვია?

– არ ვიცი... – თავი ჩაღუნა სოფომ. მერე უცებ გაახსენდა: – მგონი, მითხრა, ალეკო მქვიაო.

– თუ, რა თქმა უნდა, არ მოგატყუა. რა გვარია?

– არ ვიცი...

– სად ცხოვრობს?

– არ ვიცი...

06.10 საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** III ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** II ნაწ. **13.35** ივერიის ეკლესია **13.50** კონცერტი - ეკა მამალაძე **15.05** კარაბადინი **15.30** მხ/ფ **"იავნანა"** **17.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.05** ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (რ. ძნელაძე) **20.10** მოკ./ფ **"პიესა ოთხი ხელისთვის "** **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადქალწულისა მარიამისა(საღვთისმ. ჯგ) **22.25** საუფლონი "ყოვლადწმინდა კიდობანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** IV ნაწ. **01.15** ნიამორი.

პარასკევი 5 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **14.20** დ/ფ "ზღვის სიღრმეში" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **23.30** მხ/ფ **"დაუმორჩილებელი"** (მ.დეიმონი) **01.40** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებ-რძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ბრავო **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაბერებულ ყველა"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30**

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ჯანეტ ქერდიყოშვილი იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებთან ურთიერთობაც ძალიან სასიამოვნოა. გარდა ამისა, ჯანეტი იმდენად ლამაზი, დახვეწილი და ნაზია, რომ მისი ცქერა და მასთან საუბარი ადამიანში ბევრ დადებით ემოციას იწვევს. ბოლომდე გამოჯანმრთელებული ჯანეტი თბილისში დაბრუნდა, კვლავ სწავლას შეუდგა და ჯერჯერობით არსად არ აპირებს გამგზავრებას.

ვინ აჩუქა ჯანეტ ქერდიყოშვილს ახალი ავტომობილი და რის შიში დასჩემდა მას

ჯანეტ ქერდიყოშვილი: მიხარია, რომ დავუბრუნდი საყვარელ და სანატრელ თბილისს. თითქმის ერთი წელია, არ ვყოფილვარ საქართველოში და საოცრად მენატრებოდა აქაური ყველაფერი: ხალხი, მეგობრები, სიტუაცია. სხვა ქვეყნებში ხომ დავდიოდი, უამრავი რამ ვნახე, ულამაზესი ქალაქებია, მაგრამ, 22 წლის ასაკში მივხვდი, რომ საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებ, რაც არ უნდა შემომთავაზონ, სამსახური იქნება ეს, საქმე, თუ სხვაგან გათხოვება... თუ გავთხოვდები, რა თქმა უნდა, იქ ვიცხოვრებ, მაგრამ, ვიცი, თბილისში მაინც ხშირად ჩამოვალ.

– და, აუცილებლად ქართველზე გათხოვდები?

– მხოლოდ და მხოლოდ ქართველზე. მას, როგორც ქართველს, როგორც ჩემიანს, უკეთ გავუგებ და ისიც გამიგებს. ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი და ისინიც ვერ მიიღებენ სხვა ეროვნების ადამიანს. შეიძლება, უცხოეთში ცხოვრობდეს, მაგრამ, ნამდვილი ქართველი მამაკაცი უნდა იყოს.

– განსაკუთრებით რა გენატრებოდა ამ ერთი წლის განმავლობაში?

– ალბათ, აქაური სითბო, რომელიც განსაკუთრებული და განსხვავებულია. იმ პერიოდში, როცა ცუდად ვიყავი, ძალიან ბევრი მწერდა სოციალურ ქსელებში და სითბოს, სიყვარულსა და თანადგომას გამოხატავდნენ. მე კი დავიკარგე, რაღაც ცუდი მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ხალხი მაინც იყო ჩემ გვერდით და ამისთვის ყველას მადლობას ვუხდი.

– შეცვლილიც მეჩვენები.

– გავიზარდე – ამას მეც ვხვდები და ჩემებიც, განსაკუთრებით კი – ჩემი ძმა, რომელიც ამბობს, ძალიან შეიცვალეო. შეიძლება, იმიტომ, რომ ასაკი მემატება. არა, ასაკი არ მემატება, მაგრამ, ვიზრდები. ერთი მხრივ, ამ ყველაფერმა კი არ გამტეხა, ბევრი რაღაც გადამფიქრებინა და, მივხვდი, ამ ცხოვრებაში რა არის პრიორიტეტული. ადრე უფრო დავფრინავდი, ახლა – აღარ. ეს რომ არ მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში, რაღაცეები რომ არ გადამეხარშა, არ გამეანალიზებინა ცხოვრება, ალბათ, ახლაც ისევ ისეთი ვიქნებოდი: ცოტა ცანცარა, რომ არ იცის, სად წავიდეს. ახლა აღარ მაქვს ასეთი რაღაცეები. თუნდაც, მანქანის ტარება რომ ავიღოთ: ცელქი ვიყავი, ბიჭივით დამყავდა – ხომ იცი, „პაცნები“ რომ არიან, ხან სად გაძვრებიან, ხან – სად; ერთი ხელით ტარება... ღმერთის წყალობით, ორი წლის განმავლობაში არაფერი შემმთხვევია. ახლა ვხვდები, რომ ასე არ შეიძლებოდა, ამიტომ, 50-60-ით დავდივარ, მშვიდად. ასეთ დროს ბევრ რამეს აფასებ: სიცოცხლეს, მშობლების, ძმის, მეგობრების მიმართ სიყვარულს. ახლა გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ადრე უფრო ეგოისტი ვიყავი და, ვამბობდი: მე ეს მომწონს, მე ეს მჭირდება, მაწყობს და ასე იქნება-მეთქი, ნუ, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად. ახლა აღარ ვარ ეგოისტი, პირიქით, მინდა, სხვას ვასიამოვნო, სხვა იყოს კარგად. ბევრი მეგობარი მყავს, დაქალები კი, ერთი – ნინოა და მეორე – დედაჩემი. ავადმყოფობამ ძალიან დაგვაახლოვა ერთმანეთს. ჯერ ერთი, მთელი წელი მე და დედა საავადმყოფოში ვიყავით, ერთად ვცხოვრობდით, ზრუნავდა ჩემზე. რა თქმა უნდა, მამა და ჩემი ძმა ჩამოდიოდნენ, მაგრამ, ჩვენ ორნი ვიყავით მარტო. რომ დავინახე, როგორ წვალობდნენ და ნერვიულობდნენ ჩემ გამო, მივხვდი: უნდა შევიცვალო, პატარა გოგონა უნდა გაიზარდოს, დიდი გახდეს-მეთქი. ზოგადად, ოჯახში მე უფრო აქტიური ვიყავი – ყველაფერი მაინტერესებდა, ყველაფერში ვძვრებოდი. ჩემი ძმა უფრო წყნარი, მშვიდი ბიჭია და, აღიზიანებდა, როცა მე ვცელქობდი ან ბევრს ვცეკვავდი და ვლაპარაკობდი. რა თქმა უნდა, ამას იქვე მეუბნებოდა, მერე ბრაზდებოდა და, სახლში რომ მოვდიოდი იყო ახსნა-განმარტებები. დაახლოებით ორი-სამი წლის წინ ჯეკო ყოველმხრივ ძალიან კარგი ბიჭი იყო, ანუ, როგორც ძმა. მაგრამ, ბოლო პერიოდში ძალიან შეიცვალა – მკაცრი „მამა“ გახდა. თავიდან ვერ ვეგუებოდი, ახლა კი შევეგუე, რომ ჩემზე ბევრად უფროსი ძმა გახდა, არადა ჩემზე ორი წლით უმცროსია. თავიდან ეს არ მომწონდა – რატომ, მე დიდი ვარ, შენზე მეტი მესმის-მეთქი, მერე კი მივხვდი, რომ მართალი იყო. როგორც კი სეზონი დამთავრდა, ბათუმში მერე ჩავედი – აღარ მინდოდა ხალხმრავლობა და „ტუსნიაკი“. ერთ დღეს, კლუბში წავედით, რა თქმა უნდა, ჯეკოც გვახლდა. მერე, სახლში რომ მოვედით, დედაჩემს უყვებოდა ჩემზე – ახლა მივხვდი, რომ ძალიან შეიცვალაო – არც ცეკვავდი, არც ვგიჟობდი, არც ვსვამდი, თუმცა, არც ადრე მიყვარდა დალევა. მოკლედ, ძალიან გახარებული მოვიდა სახლში, მამასაც დაურეკა და უთხრა. ერთი სიტყვით, აღარ აქვთ იმის შიში, რომ შარში გავეხვევი ან რამე მომივა. რომ მეკითხებიან ხოლმე, ხომ არ განუხებენ ბიჭებიო, თუ გოგონა არ ახდენს პროვოცირებას, ბიჭი არასდროს მოვა და არ დაგიწყებს: შენი გაცნობა მინდა, ტელეფონის ნომერი მომეციო თუ მაინც მოვა, ცივილურად აუხსნი და გაიგებს.

ადრე უფრო ეგოისტი ვიყავი: მე ეს მომწონს, მე ეს მჭირდება, მაწყობს და ასე იქნება, ნუ, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად

– შენ მოგწონს ასეთი ჯანეტი?

– დაწყნარებული ვარ, დამშვიდებული. ვსწავლობ, სახლში ვარ, არ დავდივარ წვეულებებზე და კაფეებში; მირჩევნია, სახლში ვიყო მშვიდად.

– ტელევიზიაში დაბრუნებას ხომ არ აპირებ?

– დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ, ვერ მოვასწრებ. მაშინაც სულ მიცდებოდა სწავლა და, აღარ მინდა, წელი კიდევ დავკარგო, მირჩევნია, დავამთავრო და მერე მივხედო საქმეებს. რაც შეეხება მოდელობას, ქალბატონ იასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ახლაც მეუბნება, რომ წავიდე იანვარში „მის უნივერსზე“. არ ვიცი, რა ვქნა; მესამედ გაქვს წასვლის ვარიანტი. ორჯერ ვერ მოვახერხე – ჯერ „ცეკვავენ ვარსკვლავების“, შემდეგ კი ავადმყოფობის გამო. ია მეუბნება, მესამე და სამართალიო... იქნებ, მართლაც რაღაც ხდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ჩვეულებრივი წასვლა არ იქნება – ან რაღაც კარგი მოხდება, ან – ცუდი. უკვე შიში მაქვს – არ ვიცი, მჭირდება თუ არა ეს.

– აფხაზეთში იყავი, მოინახულე ბებო?

– ვიყავი. არ ვარ იქ დაბადებული, არც გაზრდილი. 11 თვის ვიყავი, როცა იქიდან ომის დროს წამოვედით, მაგრამ, რადგან ჩემი მშობლების მინაა, სიყვარული გულში მაქვს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეგრელი ვარ, წარმოშობით აფხაზეთიდან, ხოლო ჩემი გვარი ქვემო ქართლიდან არის. ხშირად ამბობენ და წერენ, რომ ოსი ვარ. ოსებს დიდ პატივს ვცემ, ისინიც ქართველები არიან, მაგრამ არ ვარ ოსი, არც არავინ მყავს საგვარეულოში. ბებო ოჩამჩირეში ცხოვრობს და ძალიან უხარია ხოლმე ჩემი ჩასვლა. ახლა რომ ვაკვირდები, რაღაცეებით ვგავარ – ვფიქრობ, წლების მერე მეც ასეთი ვიქნები. ცისფერი თვალები აქვს, ჩემი ფერის თმა. მთელი ახალგაზრდობა გრძელ თმას ატარებდა. ახლა ფოტოებს მაჩვენებს ხოლმე – ნახე, მე როგორი თმა მქონდა, არ შეიჭრაო.

– ახალი ავტომობილი გყავს. ესეც მამის საჩუქარი ხომ არ არის, რომელიც ძალიან განებივრებს?

– დიახ, მყავს ახალი ავტომობილი. მამამ მითხრა, ავად რომ იყავი, ისეთი ამბები გადაიტანე, იმსახურებო. სერიოზული რამე კი არ მჭირდა, უბრალოდ, დიდი სტრესი მქონდა, რადგან, უცბად სულ სხვა სიტუაციაში მოვხვდი. ჩამოსვლიდან მესამე დღე მომიყვანა, ძალიან გამიხარდა. პირველი მანქანა ძალიან მომწონდა, ჩემი არჩეული იყო და მიყვარს, მაგრამ, ახლა უფრო დიდი და მასიური ავტომობილი მინდოდა. „პრადოც“, რა თქმა უნდა, მომწონდა და მამამაც მაჩუქა. მოვიხდინე, მოვირგე და წყნარად, „დასტოინად“ დავდივარ, არაფრის შიში არ მაქვს, დაცული ვარ, თან, ცელქობის უფლებასაც არ მაძლევს.

– მომავალში, ალბათ, ვერ აიტან, შენი მეუღლე ასეთი ყურადღებიანი რომ არ იყოს.

– სანამ მეუღლე გახდება, მანამდე უნდა შეისწავლო და მიხვდე, როგორი ადამიანია, არის თუ არა შენი. იმედი მაქვს, ისეთს შევარჩევ და შემახვედრებს ბედი, რომელიც ყურადღებიანი იქნება. თუ იმის შესაძლებლობაც ექნება, რომ მანქანა მაჩუქოს, რატომაც არა? თავისი მეუღლე რატომ არ უნდა გაახაროს, მანქანა ხომ მაინც ოჯახში რჩება, არსად წავიღებ.

ნათია უტიაშვილი

რულეტები ყაბაყითა და ყველით

საჭირო ინგრედიენტები: 400 გრამი ქათმის ფილე, 20 გრამი სოკო, 1 თავი თეთრი ხახვი, 150 გრამი ჰოლანდიური ყველი (ან რბილი, ქართული), 700 გრამი ყაბაყი, 250 გრამი პომიდორი, 4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი, 1 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ფხვიერი ყველი (პარმეზანი).

მომზადების წესი: სოკო დაალბეთ ცხელ წყალში და ერთი საათის შემდეგ გაწურეთ. წვრილად დაჭერით ფილე, სოკო, ხახვი, ნიორი და ეს ყველაფერი მოშუშეთ 2 სადილის კოვზ ზეთში, შეაზავეთ ცოტა მარილითა და პილპილით და გააცივეთ. ყაბაყი დაჭერით სიგრძეზე, თხელ ფირფიტებად. თითოეულ ნაჭერზე დადეთ პატარა ნაჭერი ყველი, სოკოსა და ფილეს ფარში, რულეტივით გადაახვიეთ და დააწყვეთ გამოსაცხობ ფორმაზე, რომელსაც წინასწარ ზეთს წაუსვამთ (დაახლოებით 1 სადილის კოვზი). თითოეულ რულეტს ზემოდან დაადეთ თითო ნაჭერი პომიდორი, მოაყარეთ ძალიან ცოტა მარილი (გაითვალისწინეთ, ყველი მარილიანია თუ არა) და რულეტი ზემოდანაც დანამეთ ზეთით. გამოაცხვეთ 190 გრადუს ტემპერატურაზე, 30 წუთის განმავლობაში. ბოლოს მოაყარეთ ფხვიერი ყველი და კიდევ ათი წუთი მოათავსეთ აირღუმელში. საოცრად გემრიელია!

ქათმის ფილე სოიის სოუსში

საჭირო ინგრედიენტები: 300 გრამი ქათმის ფილე, 250 მილილიტრი რძე, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 ჩაის კოვზი წითელი ბულგარული წიწაკა, 0,5 ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი, 1 კბილი ნიორი, ცოტა მარილი.

მომზადების წესი: ქათმის ფილე გარეცხეთ, დაასხით რძე და გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში. მარინადი მოამზადეთ ასე: მარილი, წიწაკა და მუსკატის კაკალი ასრისეთ თასში, შეურიეთ დანაყილი ნიორი, დაასხით სოიის სოუსი და კარგად ამოურიეთ.

ფილე ამოიღეთ რძიდან, შეამშრალეთ ხელსახოცით, ყველა მხრიდან წაუსვით მარინადი და გააჩერეთ 5-10 წუთი. ფილეები ერთმანეთზე დააწყვეთ, მჭიდროდ შეკარით ძაფით და მოათავსეთ აიღუმელში, 180 გრადუსზე. გარედან რომ შეიბრაწება, მოაშორეთ ძაფი, დაჭერით თხელ ნაჭრებად და მირთვით.

* მელნის ლაქა საკმაოდ რთულად მოსაშორებელია. ქსოვილი ჯერ სუფთა სპირტით გაჟღინთეთ, ცოტა ხანს გააჩერეთ და გარეცხეთ. თუ არ უშველა, პროცედურა გაიმეორეთ.

ყოველკვირეული ჟურნალი
ობილისელები

ტორტი „სალამო“

საჭირო ინგრედიენტები: 700 გრამი არაჟანი (1 ჭიქა – ცომში, 400-500 გრამი – კრემში), 2 ჭიქა შაქარი (1 ჭიქა – ცომში, 1 ჭიქა – კრემში), 1 კვერცხი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 3 ჭიქა ფქვილი, 1 სადილის კოვზი კარაქი, ნებისმიერი ხილის მურაბა, ან ჯემი.

მომზადების წესი: მითითებული ინგრედიენტებით მოზილეთ ჩვილი, ნაზი ცომი, გაყავით 7-8 ნაჭრად, თითოეული გააბრტყელეთ და წაუსვით ჯემი, გამოაცხვეთ 180 გრადუსზე და დაჭერით 2-2,5 სანტიმეტრის სიგანის ნაჭრებად. ეს ნაჭრები დააწყვეთ ლანგარზე ფენებად, სამ სართულად, თითოეულ ფენას კი სქლად წაუსვით კრემი (კარგად ათქვეფილი შაქარი და არაჟანი) და მორთეთ თქვენი გემოვნებით, მაგალითად, გამდნარი შოკოლადით და მიირთვით 5-6 საათის შემდეგ, როცა ნამცხვარი კარგად გაიჟღინთება.

ხორცი სოკოთი

საჭირო ინგრედიენტები: მწვანე ხახვი, ოხრახუში, 50 გრამი კარაქი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, 200 გრამი მაგარი ყველი, 3 სადილის კოვზი ბრინჯი, 400 გრამი ახალი სოკო (ქამა), 4 ცალი კვერცხი (აქედან 2 ცალი მოხარშული), 1 თავი ხახვი, 500 გრამი ქათმის ფარში, 800 გრამი ღორის ხორცის ფარში, ხმელი სუნელი – ფარშისთვის, მარილი.

მომზადების წესი: ერთმანეთში შეურიეთ ორივე ფარში, კვერცხი, მარილი, მაიონეზი და სუნელი და კარგად ამოურიეთ. ბრინჯი მოხარშეთ, სოკო მოხრაკეთ. ერთმანეთს შეურიეთ ბრინჯი, სოკო, მსხვილკბილა სახეხზე გახეხილი კვერცხი, გახეხილი ყველის ნახევარი, წვრილად დაჭრილი მწვანილი და ცოტა მარილი.

ფარში ცელოფანზე გაშალეთ და მართკუთხედის ფორმა მიეცით. შუაგულში მოათავსეთ სოკოს შიგთავსი, მოაყარეთ კუბიკებად დაჭრილი კარაქი და ცელოფნის დახმარებით ფარში აკურატულად, რულეტივით გადაახვიეთ, დადეთ ფოლგაზე და შეფუთეთ. გამოაცხვეთ ცხელ აირღუმელში, 200 გრადუს ტემპერატურაზე 50 წუთის განმავლობაში. 50 წუთის შემდეგ ფოლგა მთლიანად გახსენით და რულეტს მოაყარეთ დარჩენილი გახეხილი ყველი, ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში კიდევ 10 წუთით და – მზად არის.

ორაგულის ღვეზელი – გვანცა დარასელიასგან

ზოგადად, მიმაჩნია, რომ კერძი არა მარტო გემრიელი უნდა იყოს, ვიზუალურადაც ლამაზად და მადის აღმძვრელად უნდა გამოიყურებოდეს. ორაგულის ღვეზელი ისპანახით – საკმაოდ გემრიელი და ვიზუალურად მიმზიდველი კერძია, თან, არც ზედმეტ კალორიებს შეიცავს და ადვილადაც მზადდება.

საჭირო ინგრედიენტები: 300 გრამი ისპანახი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი კარაქი, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 4-5 სადილის კოვზი რძე, 150 მილილიტრი ათქვეფილი ნაღები, 3 ცალი კვერცხი, 150 გრამი შებოლილი ორაგული, მარილი, პილპილი და ჯავზი – გემოვნებით, 300 გრამი ფენოვანი ცომი, 1 კვერცხის გული – წასასმელად.

მომზადების წესი: ისპანახი ოდნავ წამოადუღეთ და გადაწურეთ. ხახვი და ნიორი წვრილად დაკეპეთ. კარაქი ღრმა ტაფაში გაადნეთ, ჩაყარეთ ხახვი, ნიორი და მოშუშეთ. დაუმატეთ ისპანახი და ფქვილი და კიდევ შუშეთ. ბოლოს ჩაუმატეთ 3-4 სადილის კოვზი რძე, გათქვეფილი ნაღები, მარილი, პილპილი, ჯავზი და 10 წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. კვერცხი მოხარშეთ და ოთხად გაჭერით, ორაგული კი პატარა ნაჭრებად დაანაწევრეთ. ფორმაში ორაგული და კვერცხი გადაანაწილეთ ისპანახის მასასთან ერთად, ზემოდან გადააფინეთ გაბრტყელებული ფენოვანი ცომი და წაუსვით რძეში ათქვეფილი კვერცხის გული. ღვეზელი ზემოდან დაჩხვლიტეთ და 25 წუთის განმავლობაში აცხვეთ 180 გრადუსზე.

სოფელიე
თეიმურაზ ბენიძე

ცხვრის ხორცი ბეგქონდარით

საჭირო ინგრედიენტები: 2 ცალი 250-გრამიანი ცხვრის ხორცის სტეიკის ნაჭერი, 1 ლიმონი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 6 ღერი ნედლი ან გამშრალი ბეგქონდარა, 1 სადილის კოვზი კარაქი, პილპილი და მარილი გემოვნებით.

მომზადების წესი: ცხვრის ხორცის ნაჭრებს წაუსვით მარილი და პილპილი, ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, ზედ დააწყვეთ ხორცის ნაჭრები და ორივე მხრიდან მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ. შემდეგ ცეცხლს დაუწიეთ და თითო მხარე 3-4 წუთის განმავლობაში შეწვით. დაუმატეთ დაჭრილი ლიმონი, ბეგქონდარა და კარაქი, რამდენიმე წუთი ერთად შუშეთ, შემდეგ ცეცხლი გამორთეთ და ტაფას სახურავი დაახურეთ. ასე გააჩერეთ რამდენიმე წუთით, შემდეგ კი მიიტანეთ სუფრაზე.

მოშუშული გოგრა სოკოსთან ერთად

საჭირო ინგრედიენტები: 300 გრამი გოგრის რბილობი, 250 გრამი ტყის სოკო, 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 1 ჩაის კოვზი მშრალი შაშკვლავი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 2 სადილის კოვზი გოგრის თესლი, 1 პატარა კონა ოხრახუში და ქინძი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

მომზადების წესი: სოკო გარეცხეთ, დაჭერით და ხარშეთ 30 წუთი. ხახვი დაჭერით, ნიორი დააქუცმაცეთ ან დანაყეთ, გოგრა დაჭერით კუბიკებად. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და მოშუშეთ ხახვი, ნიორი და მშრალი შაშკვლავი. დაუმატეთ 1 ჭიქა სოკოს ნახარში და 25 წუთის განმავლობაში შუშეთ ნელ ცეცხლზე. დაუმატეთ სოკო, დაფნის ფოთოლი, მწვანილის ნაზავი და შუშეთ კიდევ 10 წუთი. დაამატეთ გოგრის თესლები, ამოურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან.

ყოველკვირეული ჟურნალი
ოცბილისელები

სამკაულის კალათა

წვრილმანი ნივთებისა და სამკაულის ჩასაყრელად ლამაზი კალათის დამზადება საკმაოდ მარტივია, მთავარია, მოინდომოთ და ნახელავით ახლობლებიც დაასაჩუქროთ. დახედეთ სურათებს. დაგჭირდებათ სქელი შალის ქსოვილი ან სქელი თექა (ნებისმიერი ფერის). ჩვენ იასამნისფერს გთავაზობთ. ზუსტად ისე მოიქეცით როგორც ფოტოებზეა ნაჩვენები და მიენდეთ ინტუიციას.

დეკორატიული ბალიშები

ჩვეულებრივი ბალიში ადვილად შეიძლება გაალამაზოთ ნაბდის ხელნაკეთი ყვავილებით – ეს საკმაოდ მარტივად კეთდება. ძველი პალტოც კი გამოგადგებათ ამისთვის. დახედეთ სურათებს. შეგიძლიათ, ნებისმიერი ფერი შეარჩიოთ, ასევე, გამოიყენოთ ფერადი ღილები და მძივები.

* წითელი ღვინის ლაქის მოსაშორებლად კარგი საშუალებაა მარილი: დაასველეთ ლაქა წყლით და ბლომად „შეაზილეთ“ მარილი, გააჩერეთ ერთი საათი და შემდეგ ფხვნილიან წყალში გარეცხეთ.

„ადამიანებისგან ვიღებ უფრო მეტად ინსპირაციას, მათგან მოდის ყველაფერი. ადამიანია ჩემთვის შთაგონების წყარო. მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც უნდა გავაკეთო და მივაღწიო, მუდამ ვიქნები ქველმოქმედი. ყველაფერს გავაკეთებ იმ ადამიანებისთვის, ვისაც უჭირს და ჩვენი თანადგომა სჭირდებათ“... – ეს არის ამონარიდი დიზაინერ ნიკოლას ქანთარიას ინტერვიუდან, რომელმაც თავისი განსხვავებული სტილით, საინტერესო ხედვით, აღქმით თუ ეპატაჟურობით, უკვე დაამახსოვრა საზოგადოებას თავი. მისი ახალბედა ბრენდი – „ნიკოლასიც“ ნელ-ნელა უფრო მეტად პოპულარული ხდება.

ვინ არის ქართველი მეტროსექსუალი დიზაინერი, რომელიც მოდის ტენდენციებს ვერ იტანს და როგორ შექმნა მან 12 თვისთვის განსხვავებული 12 ლუქი

ნიკოლას ქანთარია: ზუგდიდში გავიზარდე. ჩემი მშობლები იქ ცხოვრობდნენ. ბავშვობიდან მომწონდა ეს სფერო. განსხვავებული ხედვა, ინტერესები მქონდა და ეს მემჩნეოდა ჩაცმულობასა და ხასიათშიც. პირველი სერიოზული წარმატება 14 წლის ასაკში მქონდა, როცა მოდელებს ბარბის თოჯინებივით ჩავაცვი. ბავშვობიდან ვერ ვიტანდი ფეხბურთს. სკოლაში, როცა ჩემი ძმაკაცები, ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ, მე გოგონებთან ერთად ვთამაშობდი ჩოგბურთს, ან რამე მსუბუქს. ვცდილობდი, თავი დიდად არ დამეტვირთა. თავს ვუვლიდი, ვუფრთხილდებოდი, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მეტროსექსუალი ვარ. ზუგდიდში, შუა ბულვარში მოვაწყვე ჩვენება. ჩავაცვი გოგონებს ბარბივით – ნამდვილი შოკი იყო. დიდი მოწონება დაიმსახურა. სიტყვა „ვულგარულობა.“ რამდენად გამაღიზიანებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩემთვის ყოველთვის მთავარი ხაზია, სულ მას მივყვები. მთავარია, ვულგარულობას როგორ მიაწვდი ხალხს და ეს არ უნდა გაიგო პირდაპირი მნიშვნელობით. მე არაფერს ვიგებ პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველთვის „ვხარშავ“. ვერც მოდის ტენდენციებს ვიტანს, ყოველთვის ჩემი ტენდენციები მაქვს. ვერც იმას ვიტანს, როცა ვიღაცას შტრიხები შეაქვს ჩემს შექმნილ სამოსში. მასში იმდენ ენერგიას ვაქსოვ, ზუსტად ვიცი, განსხვავებული და „თიში“ იქნება. სამაგიეროდ, როცა ჩემთვის ვაკეთებ „ლუქს“, ამ დროს სხვისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთია, მაგალითად, ჩემი პიარმენეჯერი თამთა გიორგაძე. ძალიან მიყვარს პერფორმანსები. ვცდილობ, ის, რასაც ვაკეთებ, ზღაპარს ჰგავდეს. დილით „ფეისბუქზე“ არ გინახავს ჩემი სახლის ფოტო – მასში კარგად იგრძნობა, ზღაპარში რომ ვცხოვრობ. ყველგან რაღაც კიდია, ყველგან რაღაც არის. ხატვა ხომ მეხერხება, ჭრა-კერვა ხომ ყველანაირად ჩემია. გარკვეული პერიოდი ჟურნალისტიც ვიყავი, ფსიქოლოგიურზეც ვსწავლობდი, ვცეკვავდი – სამჯერ ავიღე ცეკვაში პირველი ადგილი. ვწერ ძალიან ხშირად ადამიანებზე. მოკლედ, უნივერსალური ვარ. თითოეულ ხაზზე ბევრს ვფიქრობ, ვაკვირდები, ყველაფერი გათვლილი მაქვს და რაც მთავარია, ყველაფერი არაქართულია – ასეთი ვარ ბავშვობიდან.

– ცეკვაში პირველი ადგილები მაქვს აღებულიო. რას ცეკვავდი?

– სამეჯლისო ცეკვებზე დავდიოდი. სამჯერ ავიღე პირველი ადგილი. მეწყვილე მყავდა, რომელიც 4 წლის განმავლობაში ჩემი საცოლეც იყო. ბეჭდებიც გვქონდა გაცვლილი, ოჯახის შექმნას ვაპირებდით, მაგრამ მერე დავშორდით. ამის გამო ცეკვა შემძულდა, თავი დავანებე. დიზაინერობას სულ ვაგრძელებდი. რამდენიმე ჩვენება მქონდა. ერთი, განსაკუთრებული იყო – ანაკლიაში, რის შემდეგაც წამოვედი თბილისში. უკრაინაშიც ჩავაბარე უნივერსიტეტში, ოღონდ ეკონომიურზე – მამას უნდა, რომ ეკონომისტი ვიყო, ბანკში ვიმუშაო. ის ჩემთვის ყველაფერს აკეთებს. ამიტომ, მეც მოვალე ვარ, ეს გავაკეთო. მამა ჩემთვის ყველაფერია, მის გარეშე ნული ვიქნებოდი. შვედეთშიც ვიყავი სასწავლებლად – ინტერიერისა და ზოგადი დიზაინის სპეციალობაზე ვსწავლობდი. ბევრი რამ ვისწავლე, გამოცდილება მივიღე. მოდელადაც ვმუშაობდი. რამდენიმე რეკლამაში ვარ გადაღებული, რომლებიც ბილბორდებზე იყო.

ქართველი ბიჭების მომხრე არ ვარ. შეიძლება, ქართველ გოგონებს მოგწონთ ისინი, მაგრამ მეტროსექსუალი ბიჭები უფრო მეტად დასაფასებლები არიან

– ცოტა ხნის წინ შენი ბრენდიც ჩამოაყალიბე.

– დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ – „ნიკოლასი“ ჰქვია. მომავალში მოდის სახლის გაკეთებასაც ვგეგმავ. სამკერვალოში მყავს მკერავი მაია კანდელაკი, რომელიც ჩემს ყველა წარმოსახვას აცოცხლებს და ფრთებს ასხამს.

– მოდის კვირეულებზე ყოველთვის ისეთი ჩაცმული დადიხარ, ყურადღებას იქცევ.

– ხუთიოვე დღეს მეცვა სხვადასხვა „ნიკოლასი“, ხუთიოვე ჩემი იყო. ვსხდებოდით მე, თამთა და ვატო გრიფინი – ძალიან ნიჭიერი ფოტოგრაფი, მას ეკუთვნის ჩემი რამდენიმე არტი, ასევე, ახალი პროექტის 6 თვე – და ვფიქრობდით რა ჩამეცვა. მიმაჩნია, რომ ჩემთვის და ვატოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პროექტი, როცა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს სოლიდარობა გამოვუცხადეთ და მე, რომელიც ვგიჟდები ჩემს თმაზე, გადავიპარსე. ამით მათ მიმართ გამოვხატეთ თანადგომა, მხარდაჭერა. მოკლედ, რაც შეეხება ჩემს ლუქს, ხუთიოვე დღეს ძალიან კარგი რაღაცეები მოვიფიქრეთ. პირველ დღეს კათოლიკე სასულიერო პირის ფორმა მეცვა. მახსოვს, დათუნა სულიკაშვილს მეორე სართულზე ძალიან ლამაზი ლოკაცია ჰქონდა. იმ დღეს მივედი თეთრი ფერის მოსასხამით, საქორწილო კაბასავით, ვარდებით, მარიამ შაღაშვილის ტყავის ფეხსაცმლით, რომელშიც გვირილები იყო ჩაწნული და გამაშებით. ესთეტიკურად არანორმალური იყო. მოდის კონსუტლანტმა, ჯანი ფონტანამ გამაჩერა. მას რა არ უნახავს, სად არ ყოფილა და კომპლიმენტი მითხრა.

– ქართველ მამაკაცს ქუსლიანი ფეხსაცმელიც კი ჩააცვი.

– ქართველი ბიჭების მომხრე არ ვარ. შეიძლება, ქართველ გოგონებს მოგწონთ ისინი, მაგრამ მეტროსექსუალი ბიჭები უფრო მეტად დასაფასებლები არიან, ვიდრე ისინი, აღარ დავაკონკრეტებ... თუ ბიჭისთვის რამეს გავაკეთებდი, არ მინდოდა, ტიპური, ქართველი ბიჭი გამეკეთებინა. სხვათა შორის, კონსერვატორიის გარემოც პირველად მე გამოვიყენე. ტყავის ფართო შარვალი, გრძელი შლეიფი, ლამაზი ფერები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები – ჩემი ახალი პროექტიდან თებერვლის სამოსი ასეთი სახით წარმოადგინა მოდელმა ბიჭმა, რაც, ჩემი აზრით, საინტერესო იყო და პიარის ნაწილიც. დანარჩენ თვეებს გოგონები მოირგებენ. ეს არ იყო ვულგარული, სექსიზმისკენ წასული რაღაცეები, არამედ იყო მოდის სფეროში გაკეთებული ძალიან კარგი რამ.

– იმედია, ქართველ კაცებს არ უპირებ ასე ჩაცმას.

– არა, კაცებს ისეთ რამეს ვუპირებ, დამიჯერე, ძალიან მოგეწონება.

– შენი შიშველი ფოტოებიც ერთგვარი პიარია?

– არა, ვატო გრიფინის არტია. მასთან ერთად ბევრი არტი მაქვს გაკეთებული და ზოგადად, საინტერესო იდეებს ყოველთვის ვთანხმდები. ახლა მყავს ახალი ფოტოგრაფი – მიშო გოგიძე, ისიც არაჩვეულებრივი ფოტოგრაფია, კარგ არტებს აკეთებს. რაც შეეხება ჩემს ახალ პროექტს, ეს არის თორმეტი ჩამოყალიბებული ლუქი: ზედა სამოსი, ქვედა, ფეხსაცმლით, ჩანთით. წელიწადის 12-ივე თვეს თავისი ლუქი აქვს. ვითვალისწინებ იმ თვის შესაფერის ფერებს, ხასიათს. ორი თვეა დამრჩა, ნოემბრის ბოლოს ვამთავრებ. აგვისტო განსაკუთრებულად კარგი გამოვიდა. თუმცა, მის მიმართ ყველაზე დიდი კრიტიკა იყო, რადგან გავაკეთე თეთრი შავში და არა ფერადი. აგვისტოში ვარ დაბადებული, ჩემი ფერია შავი და თეთრი. ამ ორი ფერით ცხოვრებაში ყველაფერს ვამბობ. კაბა იმდენად მასშტაბურია, ლოკაციაც ძალიან კარგია, კმაყოფილი დავრჩი. იანვარში ვაპირებ ჩვენების მოწყობას, 12 კაბა ერთად იქნებ ნაჩვენები. ლოკაციაც ძალიან ლამაზი მაქვს არჩეული.

– როგორია შენი ხედვით ქალი?

– ჩემი მოდელებიც დებიუტანტები არიან. რადგან ამოგდებული ვარ კონტექსტიდან, მინდოდა, აქაც განსხვავებული ვყოფილიყავი: გამოუცდელი მოდელები ამეყვანა, მესწავლებინა მათთვის სიარული, პოზირება, ჩამეცმია ჩემი სამოსი და ცხოვრებაში ერთხელ ეგრძნოთ თავი ნამდვილ ქალად. 12 ქალია – 12 თვის შესაფერისი. ჩემთვის, როგორც მამაკაცისთვის, ქალი არ უნდა იყოს ლამაზი. ისეთი სახე უნდა ჰქონდეს, სხვას არ მოეწონოს და მე გავჭედო. ჩემი არც ერთი მოდელი არ არის ძალიან ლამაზი, დახატული. მე არ მიყვარს ლამაზი ქალები. კონსერვატორი, ჭკვიანი ქალები მიყვარს, ქალი თუ ჭკვიანია, ის ლამაზიც არის და ყველაფერი ექნება, რაც ქალს სჭირდება.

ნათია უტიაშვილი

დღეს, ალბათ, როგორც ბევრი სხვა მომღერალი, თათია გიორგობიანიც შემოქმედებით სფეროში ნაკლებად აქტიურია, თუმცა, ამ ეტაპზე ორ შვილს ზრდის და საკმაოდ საპასუხიმგებლო და საინტერესო სამსახურში მუშაობს. როგორც თავად თათია ამბობს: სტაბილურად კარგი ცხოვრება აქვს.

როგორ მიიღო 10 წლის წინ თათია გიორგობიანის მაგივრად დაოჯახების გადაწყვეტილება მისმა მეუღლემ და რატომ არის მათი ქორწინების თარიღი სამმაგად მნიშვნელოვანი

თათია გიორგობიანი: ზოგადად, მიყვარს როდესაც ყველაფერი სტაბილურად კარგად არის. ვარ ძალიან ბედნიერი, მყავს ორი არაჩვეულებრივი ბავშვი: 9 წლის ანიტა და 4 წლის ლაზარე. ასევე, მყავს მეუღლე, რომელიც საოცრად კარგი, ყურადღებიანი მამა და ქმარია. ვმუშაობ განათლების, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უცხოეთში მიღებული განათლების სამმართველოში. სტაჟიანი თანამშრომელი ვარ. საკმაოდ სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმეა, აქტიური. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურად განსხვავებული და არაშემოქმედებითია, ძალიან მიყვარს და რაც მთავარია, არაჩვეულებრივი კოლეგები მყავს. პარალელურად, ვცდილობ, არ ჩამოვრჩე ცხოვრებას და ვიყო მუდმივად საქმიანი. ვერ ვიტყვი, რომ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება მაქვს, მაგრამ თუ არის კომპოზიტორების შემოქმედებითი საღამოები, ან კორპორატიული შეხვედრები, მიწევს კომპოზიტორებთან ურთიერთობა და მათ შემოქმედებით საღამოებზე გამოსვლა. ამ სფეროში უამრავი მეგობარი მყავს და დიდი მადლობა ყველას, ვისაც ვახსოვარ. დღეს იმდენად პოლიტიზებული გახდა ჩვენი სფერო და ბევრი ჩემი კოლეგაც, რომ ჯობია, შემოქმედებით უფრო ვიყოთ დაკავებულები და ამ საქმეში ჩავერთოთ მაქსიმალურად. მიხარია, რომ ჩემი კოლეგები რაღაცეებს აკეთებენ. მე, ამ მხრივ, ცოტა მოვიკოჭლებ, მაგრამ სიმღერები დაგროვდა. ამას წინათ, ლილიკო ნემსაძე შემხვდა, ასევე, გია მაჭარაშვილი – იქნებ რამე გაგვეკეთებინაო. მომავალში ვეცდები, რამე გავაკეთო. ჯერ სიმღერები უნდა ჩავწერო. მიდევს და ვერ მოვიცალე.

არაერთხელ უთქვამს: თამთას ვინ ჰკითხავდა, ამისთვის რომ მელოდა, ისეთი „რაჭაა“, ვერ გადაწყვეტდაო

– ლუკა ხომ არ გეუბნება, უფრო მეტად გააქტიურდი შემოქმედების მხრივო?

– ლუკას უყვარს, როცა გიტარას ავიღებ და ვუკრავ. ჩემი ბიჭიც ძალიან მუსიკალურია. ანიტაც დადის მუსიკაზე, საკმაოდ დაკავებულია. ისეთი დედა ვარ, ვცდილობ, თავისუფლება მივცე და აირჩიოს ის, რაც მას უნდა. არ ვატან ძალას, რომ იაროს იმაზე, რაც მას არ უნდა. ცურავს, მათემატიკა ესმის კარგად, კლასიკურ მუსიკას ეუფლება ფორტეპიანოს განხრით. რაც შეეხება პატარას, ის საოცრად მუსიკალურია, ოღონდ ცოტა მორცხვი, მაგრამ ძალიან კარგი სმენა აქვს. ცოტა ხნის წინ გიტარა გადმოვიღე, წაიღიღინა. ლუკაც სულ მაქეზებს: დაუკარი გიტარაზე, ბავშვებს უყვართ – სამმაგად გვასიამოვნეო. ამ მხრივ, ვცდილობთ, მთელი ოჯახი დავიქოქოთ. ლუკა კარგი მსმენელია. ხანდახან მეგობრებთან თუ მოხვდება და წაიღიღინებს – ეს არაფერია, ჩემთან ერთად არ მღერის. მას თავისი გემოვნება აქვს, მე – ჩემი. ხშირად ჩავრთავთ მუსიკას ხმამაღალა და ვუსმენთ, თუმცა, ორივეს რადიკალურად განსხვავებული გემოვნება გვაქვს. მე უფრო მიყვარს ჯაზი, მას – როკი, სხვათა შორის, ანიტასაც.

– რამდენი წელია, რაც შენ და ლუკა ცოლ-ქმარი ხართ?

– ნოემბერში 10 წელი ხდება. წინასწარ არაფერს ვგეგმავთ, ალბათ, რამეს ვიზამთ. ზოგადად, ყოველ წელს აღვნიშნავთ ხოლმე. ორივე ბავშვის ნათლობა ჩვენი ქორწინების თარიღს დაემთხვა. ასე რომ, სამმაგად მნიშვნელოვანი თარიღია.

– ხშირად ამბობენ: მეუღლეები დროთა განმავლობაში ერთმანეთს ემსგავსებიანო. თუმცა, თქვენ თავიდანაც ჰგავდით ერთმანეთს, განსაკუთრებით გარეგნულად.

– თავის დროზე, ტელევიზიაში რომ მივდიოდით, ამბობდნენ: მოვიდა სვერდლოვის ტელევიზიაო. თავიდანვე ვგავდით ერთმანეთს, და-ძმასავით ვიყავით. სანამ გავთხოვდებოდი რაღაცეებს ვამბობდი, მაგრამ, რომ თხოვდები მერე ბევრ რამეს სხვანაირად უდგები, სხვანაირად ფიქრობ. ხვდები: რაღაცეებს უნდა გაუწიო ანგარიში, გითვალისწინო. სხვანაირად არ გამოვა, რადგან ორი, ფაქტობრივად განსხვავებული ადამიანი იწყებს ერთად ცხოვრებას. ამიტომ, რაღაცაში ის სწევს შეღავათს, რაღაცაში – მე, დათმობაზე ორივე მივდივართ. ჩვენ ჯერ მეგობრები ვართ და მერე უკვე – სხვა დანარჩენი. თუ ურთიერთობაში არ არის გაგება, დათმობა, აზრების გაცვლა, არაფერი გამოვა. ზოგადად, ქორწინების პირველი წელი ცოტა რთულია, მაგრამ ჩვენ გადავლახეთ. თუმცა, დღესაც რომ ვუფიქრდები, მგონია, ეს ყველაფერი ახლახან მოხდა. ჩვენთვის ყველაფერი ახლა იყო, ვცდილობთ, გავიხალისოთ ცხოვრება, რაღაცეები მოვიფიქროთ, შევცვალოთ. დღემდე გვგონია, რომ ეს ყველაფერი ახლა იყო. ძალიან ოპტიმისტი ვარ, ლუკა კი – ზეოპტიმისტი და ეს ბევრ რამეში გვეხმარება, ისევე როგორც ხასიათის სხვადასხვა თვისება. თან, ხომ იცი, რაჭველი ვარ, სანამ გაბრაზებას ვიწყებ, ყველაფერი სხვანაირად ლაგდება, ვმშვიდდები. ლუკა მეუბნება ხოლმე: ხანდახან თუ გაფიცხდი – ვაიოო... მაგრამ, ძალიან იშვიათად ხდება.

– კარგია, რომ ერთმანეთისთვის ყოველთვის იტოვებთ დროს, ცდილობთ, სიახლეები მუდმივად იყოს თქვენს ცხოვრებაში, ურთიერთობაში.

– ეს აუცილებელია. „მე ახლა ძალიან დაღლილი ვარ, ბავშვებს ვერ მივხედავ,“ – ასეთი პერიოდები არ მქონია. დაღლის მიუხედავად, ბავშვისა და მეუღლისთვის მაინც უნდა გქონდეს გარკვეული დრო, რადგან ეს მერე ილექება. ლუკაც ძალიან დაკავებულია, მეორე არხზე რუსულად მიჰყავს „მოამბე“, ასევე „ჯიემჯის“ სპორტული კომენტატორია. მიუხედავად ამისა, ორივე ვცდილობთ, ერთმანეთის თავი ყოველთვის გვქონდეს. როგორც ყველას ცხოვრებაში, ჩვენთანაც ყოფილა რთული პერიოდები, მაგრამ გადაგვიტანია, რადგან ორივე ვცდილობთ, ასეთ დროს სიმშვიდე შევინარჩუნოთ.

– შენს ჯიუტ ხასიათს რამეში შეუშლია ხელი?

– გარდა იმისა, რომ ჯიუტი ვარ, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მაქვს მომენტი, როცა ვამბობ: უხერხულია, მეუხერხულება, მერიდება... ეს ჩვენს პროფესიაში ცუდია, ყოველთვის უკან გხევს. მერე, წლები რომ გადის, ამას ხვდები, მაგრამ ეს ის თვისებაა, რომელსაც ვერ შეცვლი. ყოველთვის მითქვამს: ახლა ამას გავაკეთებ, მაგრამ ვერ გამიკეთებია. იმას, რასაც სხვა გააკეთებს, მგონია, მე ვერ გავაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო წინ წამწევდა. ის, რაც სხვისთვის მისაღებია, ხშირად ჩემთვის მიუღებელია, თუმცა, მეც მინდა, რომ ვიყო: აქტიური, ანგაჟირებული, მაგრამ ასეთი ვერასდროს ვიქნები. თუმცა, სასაყვედურო არაფერი მაქვს. ცოტა მეტად აქტიური რომ ვიყო, ალბათ, უფრო კარგი იქნებოდა.

– ვინ ხარ ზოდიაქოს ნიშნით?

– „სასწორი“. მერყევი ხასიათიც მაქვს. გაწონასწორებული ვარ, რადიკალიზმი საერთოდ არ მიყვარს ცხოვრებაში, რადგან მგონია, ცუდია. ზოგჯერ მაქვს გულისწყვეტა, რადგან ცოტა განსხვავებულს რომ ვიტყვი, მგონია, ადამიანს ვაწყენინე. არასდროს არაფერს ვამბობ უხეშად, ლოიალური ვარ, მაგრამ, როცა გული მტკენია, ჩემი აზრი გამომიხატავს თუნდაც მეგობრის მიმართ, სამწუხაროდ, ისე არ მიუღიათ, როგორც საჭირო. მაგრამ, არა უშავს. ზოგჯერ იგივე სიტუაციაში უკან დამიხევია, არაფერი მითქვამს, მერე მინანია: ალბათ, უნდა მეთქვა თავის დროზე, რომ მერე იგივე აღარ გაეკეთებინა. მირჩევნია, ადამიანს გავერიდო, ვიდრე მკვახედ ვუთხრა. თუმცა, ზოგჯერ სათქმელი მითქვამს პირდაპირ, ოღონდ არა ემოციურად. ვცდილობ, პირველი ემოციები გადავაგორო, რადგან შეიძლება, ვერ მოვზომო. მერე კი, უკვე საოცრად დინჯად, აუღელვებლად ვეუბნები ჩემს აზრს.

– შენი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ, გათხოვების წინაც ბევრს მერყეობდი.

– მე არ მიმიღია გადაწყვეტილება. ლუკას რომ არ გადაეწყვიტა, მე დიდხანს ვიფიქრებდი. არაერთხელ უთქვამს: თამთას ვინ ჰკითხავდა, ამისთვის რომ მეცადა, ისეთი „რაჭაა“, ვერ გადაწყვეტდაო.

– ძველი დროიდან თუ გაქვს ნოსტალგია რამის მიმართ?

– ვფიქრობ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან კარგად იყო. რაც მინდოდა, ყველაფრის რეალიზება მოვახდინე. მიმაჩნია, რომ დღესაც რეალიზებული ვარ, რადგან მაქვს არაჩვეულებრივი ოჯახი; სამსახური, რომელიც საკმაოდ შრომატევადია. შეიძლება, შემოქმედებითად ისე არ ვარ დატვირთული და ეს ნოსტალგიურია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი ვარ. ზოგჯერ ტელევიზორს რომ ვუყურებ, ვფიქრობ: კარგი იქნებოდა, უფრო მეტი ოყოს შემოქმედებითი, მუსიკალური მხარე. ამ მხრივაც მაქვს რაღაცეები, ვეჭიდავები ჩემს თავს. ახლა ბავშვები წამოიზარდნენ და შემიძლია, საკუთარ თავს დავუთმო დრო.

ნათია უტიაშვილი

სერიალი "კარმა" 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "ID" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 23.30 **სერიალი "მდუმარენი"** 2.10 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი **"მკვლელობების განყოფილება"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 3 სერ. 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ **"მეფე არტური"** (ტ.შვაიგერი) 02.20 მხ/ფ **"გონიერების ასაკი"** (ს.მარსო).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** IV ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საუფლონი "ყოვლადწმინდა კიდობანი" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 14.00 მოკ./ფ **"პიესა ოთხი ხელისთვის"** 13.30 კონცერტი -ანს. **"შვიდკაცა"** 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა დიდმოწამე დიმიტრი ყიფიანი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** V ნაწ. 01.15 ნიამორი.

შაბათი 6 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" 09.00 მხ/ფ **"ბავშვები უყურადღებოდ"** 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – **"მარია კალასი"** 14.00 მხ/ფ **"დიასახლისი"** 16.30 ქართ. მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** 18.00 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 19.00 "ეტალონი" 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"მედისონის ოლქის ხიდები"** (მ.სტრიპი) 02.10 "ეტალონი".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 ვინ დაამარცხებს ვასოს 15.30 ნიჭიერი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.30 რა? სად? როდის? 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 03.30 მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"მაგიის რაინდები"** 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 "პულსი" 11.00 ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა 11.50, 14.50, 18.35 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა **"60** კითხვა ინტერერში" 13.05 სერიალი **"10** წლის შემდეგ" 15.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 20.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 21.00 თოქ-შოუ სუბიექტური აზრი 22.00 **სერიალი "1 ნაბიჯი"** 23.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 0.00 **სერიალი "მდუმარენი"** 2.20 მხ. ფილმი **"დავილალე შენგან"** (ტიტ.)

07.30 ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" 08.00 მხ/ფ **"სანელებლების პრინცესა"** 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 3 სერ. 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 4 სერ. 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 21.45 გათამაშება – ტექნო ბუმი 22.00, 23.00, 00.00 სერ. **"შუა ქალაქში — 5"** 01.00 მხ/ფ **"ლომის გული"**.

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** V ნაწ. 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი საგანძური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართულ მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ 13.35 დ/ფ "არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - **"სიყვარულის ელექსირი"** 16.50 დ/ფ "სიაუშ ქართველი" 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ევრომასტერი 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 "ჩვენი ამბავი" 22.30 კვირიაკეს სიუჟეტი- გრიგოლ ფერაძე 22.45 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჟურნალისტის დღიური" - ახალმოწამე (გრიგოლ ფერაძე) 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** VI ნაწ.

კვირა 7 დეკემბერი

08.00 მხ/ფ "ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ვაშინგტონი დღეს" 13.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 13.30 "გურმანია" 14.00 **ფეხბურთი**. **"ტორპედო"** – **"მეტალურგი"** 16.30 ქართ მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** 20.00 "ტელებლოგი" 21.00 ქართ მხ/ფ **"კონფლიქტის ზონა"** 22.30 მხ/ფ **"მას სიკვდილი უხდება"** 00.20 მხ/ფ **"კუდის ქიცინი"** 02.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 "სახლი" 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 ბრავო 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"მაგიის რაინდები"** 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 "პულსი" 11.00 "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება 11.30 უცნობი ისტორიები 11.55, 14.50, 17.50 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 21.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "ID" 13.05 მხ. ფილმი **"ხევისბერი ბოჩა"** 15.30 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 18.30 დოკ. სერ. "ქალაქი და ადამიანი" 19.00 **სერიალი "სხვისი სხეული"** 20.00 გადაცემა "ფული და სურვილები" 20.30 "აბების/ კვირის ანეკდოტები 21.30 **სერიალი "10 წლის შემდეგ"** 23.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 0.00 **სერიალი "მდუმარენი"** 2.20 მხ. ფილმი **"ნიუ-იორკის მეფე"**.

07.30 მხ/ფ **"ორმოები"** 10.00 სტუმრად იუმორინასთან 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 4 სერ. 13.00 EMERGENCY 14.35 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 17.35 ცეკვავენ ვარსკვლავები 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ქ/სერ. **"ფსიქოპათთა თამაშები"** 6 სერ. 00.00 მხ/ფ **"ფედერალური დაცვა"** (ა.ასანტე) 01.40 მხ/ფ **"ლომის გული"**.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ევერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ბელურების გაფრენა"** 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ევრომასტერი 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახელები 17.25 დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 "ჩვენი ამბავი" 19.30 მხ/ფ **"შერეკილები"** 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** VII ნაწ.

რა გავლენას ახდენს ადამიანზე სამკაულის ენერგია და შეუძლია თუ არა მას ჩვენი ცხოვრების შეცვლა



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
მიხეილ ცაგარელი

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

სამკაულებს რომ უდიდესი ენერგია აქვს, ეს უკვე ცნობილია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ შესაძლოა, სწორედ სამკაულის ენერგიამ მოახდინოს ისეთი ზემოქმედება ადამიანის, კერძოდ კი, მისი მფლობელის აურაზე, რომ მთლიანად შეცვალოს მისი ცხოვრება.

სამკაულების ტარებას დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე, იმ ადამიანის განწყობას, რომელიც ფოლადს ან ძვირფას ქვას ფორმას აძლევს. მუშაობის პროცესში მას შეუძლია ქვაზე ზემოქმედების მოხდენა. ამიტომ, უმჯობესია, უპირატესობა ქარხნული წესით დამუშავებულ ძვირფას ქვებს მიანიჭოთ. ის გაცილებით უსაფრთხოა. მცირეკრისტალიან ანუ გამჭვირვალე ქვებს თუ თვლებს, გაცილებით სუსტი აურა აქვთ. სწორედ ამიტომ, ორგანიზმზე მათი ენერგეტიკული ზემოქმედება უმნიშვნელოა. გაუმჭვირვალე ქვა კი, იოლად ემორჩილება მის მფლობელს.

მოერიდეთ ისეთი ქვების ტარებას, რომელსაც შავი ლაქები აქვს, რადგან მას ასტრომინეროლოგები ბოროტ ქვებს უწოდებენ.

ოქროში ან **პლატინაში** ჩასმული გაუმჭვირვალე ქვა შედარებით საშიშია. ის ასეთ ბუდეში ხშირად „კვდება“. თუმცა, გააჩნია, რამდენად მგრძნობიარეა ადამიანი კონკრეტული ქვის მიმართ. ლითონის ძლიერი ენერგია ქვას არ აძლევს საშუალებას, საკუთარი თვისებები გამოამჟღავნოს და ნელ-ნელა კვდება.

ალმასი ენერგეტიკულად ძალიან ძლიერი ქვაა. ის თავის მფლობელს უბედურებისა და წარუმატებლობისგან იცავს. მისი ტარება კარგია ფეხმძიმე ქალებისთვის. ალმასი ადამიანს ანიჭებს ძლიერ ენერგიას, უძლიერებს აურას და სასიცოცხლო ძალას ჰმატებს. ასევე, ვინც ალმასის ქვას ატარებს, ის დაზღვეულია ფიზიკური ტრავმებისგან. ამ ქვის სამკაულები ძლიერი ხასიათისა და მებრძოლი სულის ადამიანებმა უნდა ატარონ.

არ არის სასურველი ისეთი ქვის ტარება, რომელიც უბედურ ადამიანს ეკუთვნოდა. ალმასის აურა უარყოფით ემოციას და ინფორმაციას მფლობელისგან იღებს, მას ინახავს და შემდეგ უბედურებისა და ავადმყოფობის მიზეზი ხდება. ასეთ ალმასს დაწყევლილს უწოდებენ.

ზურმუხტის ქვას ალმასივით ძლიერი აურა აქვს, მაგრამ მასთან შედარებით, გაცილებით უსაფრთხოა. ის კეთილი ადამიანის მფარველია. ზურმუხტის ქვას სუფთა ველი აქვს და შეუძლია, სხვა ადამიანების მავნე ზემოქმედებაც ადვილად მიიღოს. ამიტომ, ნურავის ათხოვებთ ამ ქვის სამკაულს.

ფირუზიც ძალიან ძლიერი ქვაა, თანაც მგრძნობიარე აურა აქვს. ამიტომ, მას ხშირად მაგები ჯადოს გასაკეთებლად იყენებენ. ის, ვინც ფირუზის სამკაულს ატარებს, ენერგიულია, კონტაქტური, მაგრამ ხშირად არასასურველ ზეგავლენას ახდენს რომანტიკულ ადამიანებზე.

ლალის ქვა სასიცოცხლო ენერგიის წყაროა. ვინც მას ატარებს, მეტად შრომისუნარიანია. ასევე, ეს ქვა აღვივებს ადამიანებში ეროტიკულ, სასიყვარულო და რომანტიკულ გრძნობებს. ლალი, აძლიერებს პატივმოყვარეობისა და საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარს, დადებითად მოქმედებს სისხლძარღვთა და გულის დაავადებებზე. ამიტომ, თუ ეს დაავადებები გაწუხებთ, უმჯობესია, ლალის ქვა ატაროთ.

თუ უგუნებოდ ხართ და სტრესულ სიტუაციაში, მაშინ **მარგალიტს** მოერიდეთ. მარგალიტი უნდა ატარონ სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელმა ადამიანებმა. უმჯობესია, ვარდისფერი, წყვილი მარგალიტი, მაგრამ, თუ მელანქოლიური ბუნება გაქვთ, მაშინ თეთრი მარგალიტის სამკაული უნდა ატაროთ.

მთვარის ქვაზე მთვარე დადებით ზეგავლენას ახდენს. მისი აურა ნერვულ სისტემას კვებავს და დამღლელი ემოციებისგან გვიცავს. მისი ზემოქმედების ძალა პირდაპირ კავშირშია მთვარის ფაზებთან. ამ ქვას ოქრო არ უყვარს და მასთან ვერ „მეგობრობს“.

ნეფრიტს სიცოცხლის ქვას უწოდებენ. ის სიცოცხლეს ახანგრძლივებს, ამაგრებს ორგანიზმს, აძლიერებს იმუნიტეტს და ტონუსს, იცავს ადამიანს ავადმყოფობებისგან. ამ ქვას აზარტული ადამიანებისთვის წარმატება მოაქვს. ამიტომ, მათ უნდა ატარონ. თუ ნეფრიტმა ფერი შეიცვალა ან გატყდა, სასწრაფოდ შეცვალეთ, რადგან მან თვალი აიღო და მისი მავნე ზემოქმედება თქვენ აგარიდათ.

შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: დავიბადე 1997 წლის 24 დეკემბერს, დილის საათებში. გთხოვთ, მითხრათ, ასტროლოგიური კუთხით რომელი პროფესიებია ჩემთვის უფრო მისაღები?

პასუხი : თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმე, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო სფერო და ფსიქოთერაპიის ფართო სპექტრი.

კითხვა: დავიბადე 1997 წლის 1 აპრილს. მინდა უცხოეთში სწავლის გაგრძელება. რომელ ქვეყანას მირჩევთ?

პასუხი: თქვენი კარმული მისია უკავშირდება უცხოეთს, ამიტომ, აუცილებელია, წახვიდეთ და იქ მიღებული ცოდნითა და დაგროვილი კაპიტალით წინ წაინიოთ ცხოვრებაში. ქვეყნებიდან კი კარგია: იტალია, არგენტინა, ჩინეთი, ტიბეტი, ესპანეთი, სან-მარინო, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, ავსტრია, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სლოვენია, სერბეთი, პორტუგალია.

კითხვა: დავიბადე 1995 წლის 6 ნოემბერს, შუადღეს. რომელი პროფესიაა ჩემთვის მომავალში წარმატების მომტანი და, უცხოეთში რომ გადავწყვიტო წასვლა, რომელი ქვეყანაა ამ მხრივ სასურველი?

პასუხი: თქვენთვის უცხოეთი კოსმიურ-კარმული მისიაა, ამიტომ, წასვლა და იქ დროებით ცხოვრება უკეთესია; ქვეყნებიდან კი კარგია: იტალია, ავსტრალია, ბირმა, არგენტინა, სან-მარინო, ჩინეთი, ესპანეთში – კატალონიის მხარე; ლატვია, მონაკო, ავსტრია, ჰავაის კუნძულები, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, პორტუგალია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ხელოვნების ფართო სპექტრი, პოეზია, ლიტერატურა, იურისპრუდენცია, დიზაინი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ფოტოგრაფიის ხელოვნება, სადალაქო საქმე, სოციოლოგია, პოლიტიკა, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, სპორტის სფერო.

კითხვა: ჩემი და დაიბადა 2003 წლის 21 იანვარს. რა არის მისი კარმული მისია და რომელი პროფესიები მოუტანს წარმატებებს?

პასუხი: მისი კარმული მისიაა, იყოს მეტად ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი; ასევე, უნდა დაეყრდნოს დიპლომატიას, ისწავლოს საკუთარ თავზე ინიციატივის აღება, შეეძლოს საიდუმლოს დაცვა და მეტად მიენდოს ინტუიციას; ჰქონდეს საკუთარი თავის იმედი და რწმენა; სადაც საჭიროა, გამოავლინოს ორგანიზატორული და ლიდერული თვისებები, იყოს მებრძოლი სულისკვეთების, პატრიოტი და სამშობლოს ემსახუროს ერთგულად; უნდა დაიცვას ტრადიციები, დაამყაროს სტაბილური სანათესაო და სამეგობრო ოჯახური კავშირები. იყოს მეტად მშვიდი და ჰარმონიული. ყოველივე ეს ცხოვრებაში წარმატებებს მოუტანს და კარმულ მისიასაც შეასრულებს. პროფესიებიდან მისთვის კარგია და წარმატებების მომტანი: სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, პედიატრია, ფსიქიატრია, არატრადიციული მედიცინა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო სტრუქტურები, საგამომძიებლო სფერო, მაკონტროლებელი ორგანოები, საგადასახადო ინსპექცია, კონტროლის პალატა, პედაგოგიური სფერო, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ისტორია, არქეოლოგია და ეთნოგრაფია.

ვერძი

კარგია ახალი გეგმების დასახვა და საქმის დაწყება. მოიმატებს ენერგოპოტენციალი. კარგია სასიყვარულო შეხვედრები და ურთიერთობები. ეცადეთ დროულად გაარკვიოთ ყველა სახის უთანხმოება. კარგია მოგზაურობა.

კურო

ენერგია მოგცემთ საშუალებას, მოაგვაროთ ურთიერთობები, წინ წაიწიოთ პროფესიულ საქმიანობაში. სხვებს დაეხმარეთ უანგაროდ. კარგია ახალი საქმის დაწყება. ორგანიზმის გასაკაჟებლად ივარჯიშეთ და დაიცავით დიეტა.

ტყუპები

თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ცხოვრებაში ცვლილებები. მაღალია შემოსავლების ზრდის ალბათობა. მთავარია, ყველა დეტალი კარგად გადაამოწმოთ. ასევე, დიდია ახალი რომანის დაწყების შანსიც. ნუ დაძაბავთ სიტუაციას ოჯახში თქვენი კაპრიზების გამო.

კირჩხიბი

აიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და იყავით სამართლიანი. გაიზრდება საინტერესო ადამიანებთან კონტაქტისა და შეხვედრების რაოდენობა. მოერიდეთ ინტრიგას, ფარულ გარიგებებს, რისკს და ახალი საქმის დაწყებას. ეცადეთ, არსებულ სასიყვარულო კავშირში დადებითი ცვლილებები შეიტანოთ.

ლომი

რომანტიკული და ჰარმონიული პერიოდია. აღსავსე იქნებით იდეებითა და ენერგიით. დაასრულეთ ძველი საქმეები. მეტი დრო გამონახეთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის. ბევრი დრო დაუთმეთ პროფესიულ საქმიანობას. კარგია ახალი საქმის დაწყება. ეს მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ.

ქალწული

ძველი პარტნიორებისგან მოსალოდნელია საქმიანი შემოთავაზებები. ახალგაცნობილ ხალხთან ურთიერთობა კი ახალ იდეებს გააჩენს თქვენში. გაიზრდება კონტაქტები, შეხვედრები და მოლაპარაკებათა რიცხვი. ოჯახური და ფინანსური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ.

სასწორი

ენერგიის მოზღვავება გიბიძგებთ აქტიური მოქმედებისკენ. ნუ დატოვებთ უყურადღებოდ უცხოეთიდან მიღებულ ინფორმაციას. მაღალია ცდუნებების ალბათობა. ოჯახის წევრებს მეტი დრო დაუთმეთ, რომ მათთან ურთიერთობა არ დაიძაბოს.

მორიელი

პოზიტიური განწყობა ყველა პრობლემას ადვილად დაგაძლევინებთ, მათ შორის ფინანსურსაც. კარგია იმიჯის შეცვლა. გაიზრდება გადაადგილებების რაოდენობა. ახლად დამყარებული კავშირები შემდგომში პერსპექტივებს გპირდებათ. სასიყვარულო ურთიერთობა კი სიმშვიდეს მოგგვრით.

მშვილდოსანი

კარგია გადაადგილებები, ახალი კავშირები, მოგზაურობა და საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირება. მოიმატებს შრომისუნარიანობა. მოერიდეთ პირადი ცხოვრების გამომზეურებას, რათა დაიცვათ ეს კავშირი ჭორებისა და ზედმეტი ემოციებისგან.

თხის რქა

თავს სანაქებოდ იგრძნობთ და გაგიადვილდებათ გადაადგილებები, ბევრ ხალხთან ურთიერთობა. კარგია კომერციული საქმიანობა. ოღონდ, კარგად გადაამოწმეთ საბუთები. ეცადეთ, არ ისესხოთ ფული. კარგი დროა მავნე ჩვევებისგან თავის დასაღწევად და გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის.

მერწყული

იმოქმედეთ აქტიურად მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დამატებითი მოგების მისაღებად. ნებისმიერი პრობლემა დამოუკიდებლად გადაწყვიტეთ. გაიზრდება ვალდებულებებიც. სიყვარულში კი სიმშვიდე გარანტირებული გაქვთ.

თევზები

გამოცდილ ადამიანებთან შეხვედრა საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგცემთ. ინტუიცია დაგეხმარებათ, სწორი არჩევანი გააკეთოთ. მეგობრები ფინანსურ საკითხებში დაგეხმარებიან. კარგია ახალი, რომანტიკული ნაცნობობა.

ახალმთვარეობა – 22 დეკემბერი, 01:50 სთ.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ორშაბათი

ადამიანებში მოიმატებს დაბნეულობა, უყურადღებობა, ფანტაზია, ილუზიები. იმოქმედეთ მშვიდად და წინდახედულად. აკონტროლეთ სიტყვები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძონი ან გიაცინტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულებების დადებას, წესების დარღვევას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

სამშაბათი

ნუ ჩაერევით სხვის საქმეში. აკონტროლეთ ემოციები. ნუ იქნებით სულსწრაფი, უყაირათო. დაწყებული საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, კაპიტალდაბანდებებს, თმის შეჭრას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძონი, წითელი იასპი ან ამაზონიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ იკამათებთ. კარგია ხელმძღვანელებთან კონტაქტი. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღე

მოიმატებს მგრძნობელობა, შემოქმედებითი ნიჭი და უანრი. დაწყებული საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. მოერიდეთ რისკს, სულსწრაფ გადაწვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნანლავი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ხუთშაბათი

პატივი ეცით პარტნიორების სურვილებსა და აზრებს. კარგია ურთიერთობების აღდგენა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ქრიზოპრაზი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნანლავი.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

პარასკევი
გეომაგნიტური დღე

აქტიურად და დამოუკიდებლად იმოქმედეთ. ატარეთ ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ლურჯი, კრემისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, ნეფრიტი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა, ახალი კონტაქტები, მშენებლობა, საბანკო ოპერაციები. სუსტდება ყელი, ენდოკრინული და სასუნთქი ორგანოები, ხელები, მხრები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩიბებისთვის.

შაბათი
გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა – ნეგატიური კოსმიური ენერგიების მოზღვავება მეტად განაპირობებს, ავარიების, ტრავმების, კონფლიქტების, აგრესიის, დეპრესიის გამოვლენას, ასევე ჯანმრთელობის გაუარესებას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი, ცისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, საფირონი, ლაზურიტი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. მაღალია მოტყუების ალბათობა. კარგია სწავლა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

კვირა

ნუ ჩარევთ სხვებს თქვენს ცხოვრებაში. კარგია ახალი ნაცნობობა. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ვერცხლისფერი, ოქროსფერი, იასამნისფერი, ცისფერი, ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, ცირკონი ან ობსიდიანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლა, მშენებლობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.

ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

მყარია თქვენი კავშირი?

საერთოდ, ადამიანებს უჭირთ სიყვარულის შენარჩუნება. ხშირად გვიფიქრია: ეს მართლაც ის არის, ვისაც ველოდით? შეამოწმეთ, მყარია თუ არა თქვენი კავშირი.

1. რამდენი ხანია, ერთად ხართ?

ა) წელიწადზე ნაკლები;

ბ) სამ წელიწადზე ნაკლები;



გ) სამ წელიწადზე მეტი.

2. როგორ არის მოწყობილი თქვენი ოჯახის ბიუჯეტი?

ა) ჩემს შემოსავალს მთლიანად ჩემი შეხედულებისამებრ ვხარჯავ;

ბ) თითოეულს ჩვენი „საფულე“ გვაქვს;

გ) ბიუჯეტი ერთი გვაქვს და ფულს ერთად ვანაწილებთ.

3. როცა ქმარი (ცოლი) თავის თეფშსაც არ რეცხავს, როგორი რეაქცია გაქვთ?

ა) არანაირი. მე ვალაგებ;

ბ) ვთხოვ, ცოტა მაინც მომეხმაროს;

გ) ვჩხუბობ და ვნერვიულობ.

4. საყვარელ ადამიანთან ჩხუბის შემდეგ, როგორც წესი...

ა) მალევე ვურიგდები, არ არის პრობლემა;

ბ) დიდხანს არ ველაპარაკები;

გ) საკუთარ თავს ვიყვან ხელში და ვთმობ მე.

5. შეუძლია თქვენს საყვარელ ადამიანს, უხეშად მოგმართოთ?

ა) გამორიცხულია, არასდროს მოუმართავს ასე;

ბ) ვცდილობ, ამ კონკრეტულ მდგომარეობამდე არ მივიყვანო;

გ) დიახ, შეუძლია.

6. მეტ დროს ვისთან ატარებთ – პარტნიორთან თუ მეგობრებთან?

ა) თითქოს თანაბრად ვყოფ დროს;

ბ) რა თქმა უნდა, მასთან;

გ) მხოლოდ და მხოლოდ მასთან – მე ასე მინდა.

7. როცა შვებულება მარტო თქვენ გაქვთ და თქვენს მეორე ნახევარს (პარტნიორს) არ სცალია, როგორ იქცევით?

ა) მეც სახლში ვრჩები;

ბ) მარტო მივდივარ დასასვენებლად;

გ) ვეცდები, მასთან ერთად როგორმე დავისვენო თუნდაც ერთი საღამო.

8. კითხულობთ თქვენი საყვარელი ადამიანის მობილურში მესიჯებს?

ა) თუ თვითონ მეუბნება, მხოლოდ მაშინ;

ბ) არა. ეს ძალიან უხერხული და დამამცირებელია;

გ) დიახ, ზოგჯერ ასეც ხდება.

9. თუ თქვენი საყვარელი ადამიანი სახლში გვიანობამდე არ მოდის და ვერც ურეკავთ:

ა) ვეძებ ყველგან და ყველასთან;

ბ) ვწვები და ვიძინებ;

გ) ვცილობ, ცუდზე არ ვიფიქრო და ველოდები.

10. ხშირად გაქვთ ინტიმური სიახლოვე?

ა) ყოველ მეორე დღეს;

ბ) კვირაში ან ათ დღეში ერთხელ;

გ) თვეში ერთხელ.

11. როგორ ატარებთ გამოსასვლელ დღეებს?

ა) სახლში ვეპატიჟებით მეგობრებს;

ბ) ვაგვარებთ საოჯახო საქმეებს და მაღაზიებში დავდივართ;

გ) ვსეირნობთ, ვერთობით.

12. თქვენ ერთმანეთისთვის ხართ...

ა) ყველაზე ახლობლები;

ბ) როგორც მშობლები და ერთი ოჯახის წევრები;

გ) თავის ტკივილი!

ტესტის გასაღები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	1	3	1	1	1	1	3	1	1	1	3	3
ბ	3	5	3	5	3	3	5	3	3	3	5	1
გ	5	1	5	3	5	5	1	5	5	5	1	5

12-27 ქულა: სერიოზული უთანხმოება არასდროს გქონია, თუმცა, მაინც უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ საკმაოდ ხშირად კინკლაობთ. თუ პარტნიორს ყველა მის ჩვევაზე აკრიტიკებთ, გახსოვდეთ, ქაოსი გაცილებით ჯობია იდეალურად დალაგებულ სახლში სიმარტოვეს.

28-44 ქულა: შემაშფოთებელი სიმპტომები სახეზეა. ისწავლეთ, როგორ მოდუნდეთ და ილაპარაკოთ ერთ ენაზე. ოჯახი მარტო მაღაზიებში ერთად სიარული არ არის.

45-60 ქულა: სასწრაფოდ გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისკენ. მოწყენილობა და სრული პრაგმატიზმი დაგინგრევთ ურთიერთობას, თანაც, ძალიან მალე.

ელენე წულუკიძე

რა მოხდა ამ დღეს

1 დეკემბერი

1835 – დაიბეჭდა ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების პირველი წიგნი.

1887 – გამოქვეყნდა არტურ კონან-დოილის პირველი მოთხრობა შერლოკ ჰოლმსის შესახებ.

1891 – ამბობენ, რომ სწორედ ამ დღეს, ფიზიკულტურის მასწავლებელმა ჯეიმს ნეისმიტმა გამოიგონა სპორტული თამაში – კალათბურთი.

1903 – ეკრანებზე გამოვიდა პირველი ვესტერნი – „მატარებლის დიდი ძარცვა“.

1918 – ისლანდია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2 დეკემბერი

1697 – ლონდონში გაიხსნა წმიდა პავლეს საკათედრო ტაძარი.

1804 – ნაპოლეონი ეკურთხა საფრანგეთის იმპერატორად.

1805 – ნაპოლეონმა აუსტერლიცთან ბრძოლაში სასტიკად გაანადგურა ავსტრიისა და რუსეთის გაერთიანებული არმია.

1870 – რომი გახდა გაერთიანებული იტალიის დედაქალაქი.

1969 – „ბოინგ 747-ის“ პირველი ფრენა.

3 დეკემბერი

1818 – ილინოისი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 21-ე შტატი.

1926 – აგათა კრისტი მოულოდნელად გაუჩინარდა. იგი 11 დღის შემდეგ იპოვეს. ამ დღეების შესახებ მას არაფერი ახსოვდა.

1984 – ინდოეთში, ქალაქ ბჰოპალში, ავარია მოხდა ქიმიურ ქარხანაში და მომწამლავი აირი ქალაქში „გაიპარა“. დაიღუპა 2 000, ხოლო საავადმყოფოში მოხვდა 20 000-მდე ადამიანი.

4 დეკემბერი

1680 – გადმოცემის მიხედვით, ამ დღეს რომში ქათამმა დადო კვერცხი, რომელზეც გამოსახული იყო კომეტა. მომდევნო წლის 16 ოქტომბერს კი კომეტა მართლაც გამოჩნდა ცაზე.

1735 – დაუნინგ-სთრით №10-ში მდებარე შენობა გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია.

1918 – ვუდრო უილსონი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი, რომელიც ეწვია ევროპას.

5 დეკემბერი

1484 – გამოვიდა რომის პაპ ინოკენტი მერვის ცნობილი „ბულა”, რომლის მიხედვით, ინკვიზიტორებს ეძლეოდათ „ეშმაკთან კავშირში“ ეჭვმიტანილთა წამება-დაწვის სრული უფლება.

1766 – ლონდონში შედგა „კრისტის“ პირველი აუქციონი.

1854 – ბოსტონელმა არონ ალერმა დააპატენტა თეატრის სკამები დასაკეცი ზურგით.

1933 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუქმდა „მშრალი კანონი“. განგსტერების ერის დასასრულის დასაწყისი.

1936 – საბჭოთა კავშირში მიიღეს „სტალინური“ კონსტიტუცია.

6 დეკემბერი

1240 – მონღოლებმა ბათო ყაენის წინამძღოლობით აიღეს და აოხრეს კიევი.

1534 – დაარსდა ქალაქი კიტო – დღეს ეკვადორის დედაქალაქი.

1768 – გამოვიდა ბრიტანეთის ენციკლოპედიის – „ბრიტანიკის“ პირველი გამოცემა.

1917 – ფინეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1945 – დააპატენტეს მიკროტალღოვანი ღუმელი.

7 დეკემბერი

1678 – ლუი ჰენეპინი იყო პირველი ევროპელი, რომელმაც ნიაგარის ჩანჩქერი ნახა.

1732 – ლონდონში გაიხსნა სამეფო თეატრი – „ქოვენთ გარდენი“.

1941 – იაპონური ავიაციის თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზა პერლ-ჰარბორზე. ამ ინციდენტის შედეგად ამერიკა მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო.

როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-47(726)

ლენუკა მარტო დარჩა. ქმარი არ ურეკავდა, არც შვილი იკლავდა მისი მოკითხვით თავს და თიკოც ძალიან უცნაურად იქცეოდა ბოლო დროს. იმის მაგივრად, ის გაეკეთებინა, რაც ლენუკამ სთხოვა, პირადი ცხოვრების მოწყობით იყო დაკავებული და ამას არც მალავდა. ლენუკა გაამწარა ახლობელი ადამიანების ეგოიზმმა. საქმე არაფერი ჰქონდა. სახლში ყოფნამ და ოთახებში უაზროდ ბორიალმა დაღალა. ამაოდ ურეკავდა ხან ქმარს, ხან თიკოს, მაგრამ, ერთი საერთოდ არ პასუხობდა მის ზარებს, მეორე კი დაბნეულ და გაურკვეველ პასუხებს იძლეოდა. ისიც კი იფიქრა, ბილეთი ხომ არ ავიღო და სანდროსთან გავფრინდე – ვნახავ მაინც, რითაა ეს ჩემი ქმარ-შვილი დაკავებული, ტელეფონზე სალაპარაკოდაც რომ ვერ მოიცალესო. მაგრამ, ამაშიც არ გაუმართლა – უახლოეს რეისზე ბილეთი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ იყო... გაბრაზებულმა მობილური დივანზე ისროლა და მარიკას სთხოვა, მაგარი ყავა და ტოსტი მოემზადებინა მისთვის. თვითონ ფანჯარასთან, სარწეველა სავაძელში მოკალათდა და სიგარეტი გააბოლა... პირველად ჩაფიქრდა სერიოზულად თავის მდგომარეობაზე. შეიძლება, ყოველთვის აცნობიერებდა იმას, რომ ისეთი ცხოვრება არ ჰქონდა, როგორსაც ისურვებდა ან როგორზეც უოცნებია, მაგრამ, საკუთარ თავს არ უტყდებოდა ამაში. ერთბაშად ინანა, სანდროს მეტი შვილი რომ არ გააჩინა...

– რა მოხდა, მარიკა? – თავი ასწია და ქალს დაბნეული მზერა მიაპყრო.

მარიკამ ყურმილი გაუწოდა:

– თქვენ გირეკავენ...

– დარწმუნებული ხარ? ბინის ტელეფონზე ვინ უნდა მირეკავდეს?



– არ ვიცი, არ უთქვამს, პირდაპირ თქვენ გიკითხათ.

ლენუკამ უკმაყოფილო გამომეტყველებით გამოართვა ყურმილი:

– გისმენთ... ვინ? თამრიკო? აა, ჰო... ახლა გიცანი... რა მოხდა, თამრიკო? ჩემთან გინდა მოსვლა? ასეთი რა უნდა მითხრა, რომ ტელეფონით ვერ მეუბნები?.. რა გაეწყობა, მოდი... ტაქსი აიყვანე და სწრაფად გამოდი, ფულს მე მოგცემ... მაინტერესებს, რა საქმე გაქვს და იმიტომაც ვჩქარობ, არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი...

ლენუკამ მარიკას შეხედა.

– კოტეს მდივანი იყო. რა დაეტაკა ნეტავი? კოტეც არ პასუხობს ორი დღეა... რამე ხომ არ მოხდა? – შეშფოთებულმა წარმოთქვა და მობილურისკენ გაიწოდა ხელი.

– მომაწოდე, ჩქარა, სანდროს უნდა დავურეკო! სასწრაფოდ თუ არ გავარკვიე, რა ხდება, გავგიჟდები!

მარიკამ საათს შეხედა.

– დარწმუნებული ხართ, რომ სანდროსთან დარეკვა აუცილებელია? – ფრთხილად ჰკითხა და თანაგრძნობით გაუღიმა, – თან, მგონი, იქ ძალიან გვიანაა ახლა. მოვიდეს ეს ქალი, იქნებ რა საქმე აქვს, დარეკვას მერეც მოასწრებთ.

ლენუკმა ამოიოხრა:

– შენ ასე ფიქრობ?

მარიკა უხერხულად შეიშმუშნა:

– თქვენი საქმის უკეთ იცით, მაგრამ, მგონი, აჩქარება არ ივარგებს.

– კარგი, დაველოდები. კიდევ ერთი ყავა მოადუღე... ტოსტიც... კიდევ რა გვაქვს?

– მხოლოდ ბოსტნეულის სალათა. თუ მეტყვით, ჩავალ და ნამცხვრებს ამოვიტან ან პიცას შევუკვეთავ.

– ასეც ნუ მოიკლავ თავს, ყავა და ტოსტი საკმარისი იქნება. კიდევ, ჩემი საფულიდან ათლარიანი ამოიღე და მომიტანე. მობილურიც მომაწოდე...

მარიკამ თანაგრძნობით შეხედა:

– არაფერი იქნება სერიოზული, აი, ნახავთ...

– კარგი, წადი...

***

თიკომ მობილურს დახედა.

– შეიძლება გავიგო, ვინ გირეკავს? – დაინტერესდა ბეჟანი და თითებიდან სიგარეტი უცერემონიოდ გამოაცალა, – ბევრს ეწევი.

გოგომ საყვადურით შეხედა.

– გაბრაზდი? – დამნაშავის ტონით ჰკითხა კაცმა და ხელზე მოეფერა, – რა ვქნა, უკვე ძალიან ვნერვიულობ შენზე.

– კარგია და მიხარია. მომწონს კიდეც, მზრუნველი ადამიანი რომ გამომიჩნდა შენი სახით, მაგრამ, უკვე დიდი გოგო ვარ და თავად გადავწყვეტ, რა არის ჩემთვის კარგი და რა – არა!

მობილური ისევ რეკავდა.

– ლენუკაა... აღარ ვიცი, ვუპასუხო თუ არა...

– ეს სულ ასე რეკავს, როცა მოეპრიანება? – აღიზიანდა ბეჟანი, – ვერ ხვდება, რადგან არ პასუხობ, ესე იგი, არ გცალია?!

– როცა ჩემთან დალაპარაკება უნდა, ვერაფერს ხვდება და ჯიუტად რეკავს... საშინლად არ მინდა ახლა მასთან ლაპარაკი.

– ჰოდა, ნუ უპასუხებ... აბა, რას იტყვი, წავიდეთ კინოში თუ ისევ ჩემთან ავიდეთ?

თიკომ წარბი შეიკრა:

– ყოველდღე შენთან არ ვივლი. იმ დღესაც ხომ გითხარი... რაც მოხდა, ჩვეულებრივი ამბავი არ არის ჩემთვის და უნდა ვიფიქრო...

– მესმის... გპირდები, სიტყვას აღარ დავძრავ ამ თემაზე და მორჩილად დაგელოდები, როდის მიიღებ გადაწყვეტილებას. მაგრამ, უარს არ მივიღებ.

– ეს რას ნიშნავს? არჩევნის საშუალებას მართმევ?

– ჰო, – კაცმა სახე ახლოს მიუტანა და ტუჩებზე ტუჩებით შეეხო, – მაგიჟებ... – მერე უცებ შეიჭმუხნა, – ეს მობილური უკვე ნერვებს მიშლის... გამორთე!

– არა. მეცოდება ლენუკა – ქმარმაც მიატოვა და შვილმაც, – ერთბაშად შეებრალა დაქალი თიკოს.

– ქმარმა მიატოვა? ეგ არ ვიცოდი...

– არა, კი არ გაშორდა, უბრალოდ, შვილთან გაემგზავრა ევროპაში.

– მერე, ადგეს და თვითონაც გაემგზავროს, თუ, ფული არა აქვს?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა თიკომ, – მეც ვურჩიე. რატომ არ მიდის, წარმოდგენა არ მაქვს. ზის სახლში და ნერვიულობს.

– ეგრეა, როცა ერთი შვილის მეტს არ გააჩენ... მე მინიმუმ სამი შვილი მინდა.

თიკომ გაიცინა:

– მე ჯერ არ მითქვამს, რომ თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე.

– ჰო, მაგრამ, არც ის გითქვამს, რომ უარზე ხარ.

– წავიდეთ კინოში, აშკარად აჯობებს... – თავი გადააქნია თიკომ და კაცს ლოყაზე ალერსით მოუსვა ხელი.

***

თამრიკომ ლაბადა სავარძლის სახელურზე გადაკიდა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

– გისმენ! – მოუთმენლად თქვა ლენუკამ, – ყავას ხომ დალევ? ახლა მოგვიტანს მარიკა. იმედია, გული არ უნდა გამიხეთქო.

– არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... ისიც არ ვიცი, ამ ამბავზე როგორი რეაქცია გექნებათ. შეიძლება, გაგეცინოთ კიდეც.

– რაც მალე დაიწყებ და იტყვი სათქმელს, მით უკეთესი იქნება, მოვკვდი ინტერესით.

– საქმე ისაა, რომ დღეს ჩემთან ერთი კაცი იყო მოსული...

– შენთან მოსული კაცები მე რატომ უნდა მაინტერესებდეს? – იხუმრა ლენუკამ.

თამრიკო გაწითლდა და ცოტათი განაწყენდა კიდეც.

– რომ არ ვფიქრობდე, რომ ეს მნიშვნელოვანია თქვენთვის, არ მოვიდოდი და საერთოდ არც დაგირეკავდით, – ჩაილაპარაკა შეწუხებულმა.

– კარგი, კარგი, ყურადღებას ნუ მომაქ-

ცევ. თუ ცუდი ამბავი უნდა მითხრა, ცოტა გამხიარულება არ მაწყენდა.

– ჰოდა, მეც მაგას გეუბნებოდით, არ ვიცი, ცუდი ამბავია თუ არა. თუმცა, გული მიგრძნობს, მთლად კარგიც არ უნდა იყოს.

– დავიღალე, ნუღარ აყოვნებ.

– მოკლედ, ოფისში იყო მოსული მამაკაცი და მითხრა, რომ თქვენი მეუღლე, ანუ, ბატონი კოტე, სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს და ვალი გადაუხადოს.

ლენუკამ გაიცინა და გულზე მოეშვა:

– რა სისულელეა! გიჟი იქნება ვიღაცა. უჰ, შენ რა გითხარი, როგორ დამაფეთე. მე ვიფიქრე, კოტეს ან სანდროს დაემართათ რაღაც და პირდაპირ ვერ მეუბნებიან-მეთქი.

თამრიკომ თავი გააქნია:

– მინდა გითხრათ, რომ ეს კაცი ადრეც იყო ჩვენთან და მაშინ ბატონმა კოტემ თავის კაბინეტში მიიღო. რომ წავიდა, მერე გავიხსენე... თანაც... არც კი ვიცი, როგორ გითხრათ... მომეჩვენა, რომ ბატონი კოტე დააფრთხო მისმა დანახვამ. დალია კიდეც.

– რა?! – წარბი ასწია ლენუკამ. რაღაც ენიშნა.

– შეიძლება, ეს უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ...

– შეგიძლია, ამიწერო ის კაცი?

– დიახ... უწესრიგოდ ჩაცმული, პირგაუპარსავი და ძალიან უტიფარი გამოხედვით... საშუალო სიმაღლის, არც მსუქანი, არც გამხდარი...

– ესე იგი, ადრეც იყო... – ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა.

– დიახ. თქვენთან იმიტომაც მოვედი... რა ვქნა, დავურეკო ბატონ კოტეს?

– ანუ, სასწრაფოდ ჩამოვიდესო?

– დიახ. ვალი აქვს დასაბრუნებელიო, – გაიმეორა თამრიკომ და ყავა მოსვა, – დავურეკო?

– არა, მე თვითონ დავურეკავ. გმადლობ, რომ მოხვედი და მომიყევი ეს ამბავი. ჰო, მართლა, ტაქსის ფული გამომართვი.

თამირიკომ მაშინვე არ გამოართვა ფული. ლენუკამ ჯიბეში ჩაუტენა და გაუღიმა:

– მართლა მადლობელი ვარ შენი. თუ კიდევ მოვა ან დარეკავს, მაშინვე შემატყობინე. შევთანხმდით?

ქალმა თავი დაუქნია...

***

სანდრომ ოთახში ბოლთის ცემას თავი ანება და აბაზანიდან გამოსული ტომასის წინ გაჩერდა.

– მითხარი, რა ვქნა? ლამის არის გავგიჟდე.

– მოიცადე, ლინას დავურეკავ.

– რა აზრი აქვს? ისევ იმავეს გეტყვის, რომ დიანას არავის ნახვა არ უნდა და სახლიდან არ გამოდის. ძალიან არ მომწონს ეს ამბავი. რამე ხომ არ ხდება?

– კარგი, დამშვიდდი, რა უნდა ხდებოდეს? ძალიან ემოციურად აღიქვამ ყველაფერს, ასე არ შეიძლება. რად გინდა ისეთი სიყვარული, გულს რომ გაგიხეთქავს?

– შენთვის ადვილია – ლინას აშკარად მოსწონხარ და არც შეხვედრებზე გეუბნება უარს.

– იმის თქმა გინდა, რომ შენ საერთოდ არ მადარდებ? ხომ იცი, რომ ასე არ არის? – ეწყინა ტომასს, – გინდა, პირდაპირ სახლში მივადგები?

– ლინასთან?

– ჰო, სადაც არის.

– არა, არ ღირს. შეიძლება, უფრო გაბრაზდეს. მაგრამ მეც რომ აღარ შემიძლია ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა? მალე, საერთოდაც, მშობლებთან დაბრუნდება.

– ეგ ისედაც გარდაუვალი იყო... აბა, აქ დარჩებოდა სამუდამოდ? ამისი იმედი გქონდა?

– არა, მაგრამ, დრო ცოტაა. ამ დღეების განმავლობაში კიდევ დაველაპარაკებოდი, ვეცდებოდი რაღაცას...

– თავს შეაყვარებდი? ამის თქმა გინდა? – ტომასმა თანაგრძნობით შეხედა მეგობარს, – ლონდონში რომ გადახვალ, იქაც გექნება ამისი დრო, თუ, რა თქმა უნდა, წასვლა არ გადაიფიქრე. რაო მამაშენმა?

– მამაჩემმა... – ბრაზით გაიმეორა სანდრომ, – მაგას სულ არ ადარდებს ჩემი ამბავი, დაჰკრა ფეხი და გავარდა.

– სახლში დაბრუნდა?

– არ ვიცი, არც უთქვამს. სასწრაფო საქმე გამომიჩნდაო და გავარდა – მოხვეტა თავისი ნივთები და გაფრინდა. შეიძლება, რომელიმე ნაშას მოენატრა და ამანაც ხათრი ვერ გაუტეხა.

ტომასმა ხელი ხელს შემოჰკრა და ხმამაღლა გაიცინა:

– ხომ ვთქვი, მაგარი ტიპია-მეთქი! მართლა ნაშასთან წავიდოდა?

– არ გამიკვირდება. დედაჩემიც რაღაც საეჭვოდ მირეკავს.

– ისე, ერთხელაც არ გიპასუხია.

– არ მაქვს მისი წუწუნისა და საყვედურების მოსმენის თავი... გადავირევი, კიდევ რამდენიმე დღე რომ არ ვნახო...

***

კოტეს არ სჯეროდა იმ მოულოდნელი ბედნიერების, თოვლის ზავივით რომ დაატყდა თავზე... დიანას გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა და არც ცდილობდა. ცალცალკე ნომრებში მოთავსდნენ. გოგო იშვიათი მოთხილამურე გამოდგა – უშიშრად ეშვებოდა ყველაზე ციცაბო ფერდობიდან და ისარივით მიჰქროდა. მარტო მისი ცქერაც კი სიამოვნება იყო.

ბუხართან, დიდ, რბილ სავარძელში მოკალათებულმა დიანამ ცხელ, დარიჩინიან ღვინოს სული შეუბერა და გაიცინა... საოცრად ლამაზი იყო მწვანე, ფუმფფულა ჯემპრსა და სათხილამურო შარვალში... რამდენიმე ახალგაზრდა, სახეგარუჯული კაცი აღფრთოვანებით შესცქეროდა და კოტეს ეს სიამაყეს ჰგვრიდა – უხაროდა, რომ ასეთი გოგო მის გვერდით იყო... მას ელაპარაკებოდა და მას უღიმოდა. კოტეს გული სავსე იყო სიხარულით და ისე გამალებით უცემდა, გაიფიქრა კიდეც, ამ სიკეთის დროს არაფერი დამემართოსო... მის ტვინში უკვე მომწიფდა გადაწყვეტილება, რომლის შესრულებაც დიანას ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული.

– ხომ არ ნანობთ, რომ დამთანხმდით? – დეას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

– არა, რას ამბობ? ამაზე კარგი არაფერი ჩამიდენია ჩემს ცხოვრებაში – ერთბაშად მიღებულ გადაწყვეტილებას ვგულისხმობ. შენ რომ არა... თურმე, რამხელა ბედნიერება ყოფილა თავისუფლება!..

– თუ – თოვლი და თხილამურები? – აკისკისდა გოგო.

– ეგეც. „შენთან ყოფნა კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა“, – უნდოდა ეთქვა კაცს, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა. ქალებთან ყოველთვის თამამი იყო, აკეთებდა იმას, რაც თავად სურდა და წინააღმდეგობა სასურველი „ობიექტის“ მხრიდან აზარტში აგდებდა. თიკოც ასე ჩაიწვინა ლოგინში... საკუთარ თავს არ უტყდებოდა, რომ სასიყვარულო ფრონტზე მისი წარმატებები გარკვეულწილად ფინანსურ „ბეგრაუნდზეც“ იყო დამოკიდებული, მაგრამ დეამ მთლიანად ამოაყირავა კოტეს მსოფლმხედველობა ამ მიმართულებით, ნათელი სხივივით შემოიჭრა მის ცხოვრებაში და ყმაწვილობაში დააბრუნა. კოტეს აღარც ახსოვდა, როდის იგრძნო ასეთი სიმსუბუქე და სილაღე უკანასკნელად.

– საღამოს გავისეირნოთ? – ჰკითხა დეამ, – სიცივის ხომ არ გეშინიათ?

– მე მარტო იმის მეშინია, რომ ეს ორი დღე გავა და შენ ჩემთან აღარ იქნები. არ ვიცი, ამას როგორ გადავიტან, – გულწრფელად აღმოხდა კაცს.

დეამ ფართოდ გაახილა თავისი მომწვანო-მონაცრისფერო თვალები, იდუმალ შუქს რომ ასხივებდა და კაცზე მაგიასავით მოქმედებდა, ლაპარაკის უნარს უკარგავდა და აბნევდა.

– ჯერ ხომ არ იცით, რას მოგიტანთ ის დღე, რომელიც იმ ორი დღის შემდეგ დადგება? იმედს ნუ დაკარგავთ. წინასწარ ნერვიულობაც არ ღირს, მით უფრო, როცა გარეთ ასეთი ამინდია და დიდხანს, დიდხანს შეგვიძლია, ვისეირნოთ...

კოტემ ბედნიერებისგან ამოიოხრა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო სედუმი?

პასუხი: ეს მცენარე საკმაოდ იოლი მოსავლელია. თუ გსურთ, რომ მან კომპაქტურობა შეინარჩუნოს, დადგით მზის გულზე. ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განამავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ, არანაკლებ 10 გრადუსისა.

კითხვა: რა სიხშირით სჭირდება პტერისს მორწყვა?

პასუხი: ცხელ ზაფხულში მცენარეს მაღალი ტენიანობა სჭირდება და ზრდის პერიოდშიც არ უნდა მოაკლოთ ტენი. დაბალ ტემპერატურაზე მორწყვა ოდნავ შეამცირეთ, ოღონდ, ნიადაგს ძალიან ნუ გამოაშრობთ. მიწა ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. სითბოში მცენარე ქოთნით დადგით სველკენჭებიან ლანგარზე, რათა მაღალი ტენიანობა შეუნარჩუნოთ. დანამეთ რეგულარულად და ტენისთვის სააბაზანოში გაიტანეთ.

კითხვა: როგორ მოვუარო კალას ზრდის პერიოდში?

პასუხი: აქტიური ზრდის დროს კალას მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, ხოლო დაყვავილების შემდეგ – მშრალი. ზრდის პერიოდში, როცა მცენარე გაფოთლილია, კაშკაშა სინათლეში ამყოფეთ და ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. დაყვავილების შემდეგ თანდათან გააშრეთ და დამჭკნარი ფოთლები მოაშორეთ, ხოლო მიძინებული ბოლქვი მშრალად შეინახეთ. გადარგეთ ზამთარში ან ადრიან გაზაფხულზე და ფოთლების ზრდასთან ერთად მორწყვასაც უმატეთ.

კითხვა: სად შეიძლება ბროწეულის გახარება?

პასუხი: თუ თქვენ საჭმელად ვარგის ბროწეულს გულისხმობთ, აუცილებლად ბაღში უნდა გაახაროთ, რადგან, ოთახში გაზრდილი დეკორატიული ბროწეული პატარა ნაყოფს ისხამს, რომელიც არ იჭმევა. შეგიძლიათ, დეკორატიული ბროწეული ზამთრის ბაღშიც გაახაროთ.

კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყა ადიანტუმი?

პასუხი: ადიანტუმის ნიადაგი მთელი წლის განმავლობაში ტენიანი უნდა იყოს. თუ ფესვები გამოშრა, ფოთლები მოეჭმუჭნება. რაც უფრო მაღალია ოთახის ტემპერატურა, ადიანტუმს მით მეტი ტენი სჭირდება. თუ ტენს არ მოაკლებთ, ადიანტუმი მალე გაიზრდება. თუ მისი ფორმა აღარ მოგწონთ, შეგიძლიათ, გაკრიჭოთ ან ყველა რტო ძირში მოაჭრათ – ახალი ყლორტები მალე ამოუვა. ეს პროცედურა გაზაფხულზე უნდა ჩაატაროთ. ტენისათვის კარგია, თუ მცენარეს სააბაზანოში დადგამთ.

კითხვა: იქნებ მირჩიოთ, ასპლენიუმი როგორ გავახარო?

პასუხი: ეს მცენარე პრეტენზიული არ არის, ის გვიმრის ერთ-ერთი სახეობაა. ასპლენიუმის ახალი ფოთლები ძალიან ნაზია და მზეზე ადვილად იწვება. ამიტომ, მზის გულზე ნუ დადგამთ, ნახევრად ჩრდილში ამყოფეთ. ზრდის პერიოდში სამ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ, ოღონდ, ფრთხილად, რადგან, იოლად ზიანდება. აქტიური ზრდის დროს უხვად მორწყეთ. ზამთარში, როცა მცენარე ისვენებს, მიწა მხოლოდ ტენიანი უნდა იყოს. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 13 გრადუსი, თუმცა, უმჯობესია, მთელი წლის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე, 18-24 გრადუსზე ამყოფოთ.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> ანატოლ ფრანსი

კითხვა: მაინტერესებს, კანონის შესაბამისად, ვინ არ შეიძლება, იყოს ნაფიცი მსაჯული იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას აქვს სურვილი და პირადად გამოთქვამს ამ სურვილს სასამართლოში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობაზე?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად პირის სურვილისა, იგი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი. კერძოდ, თუ ის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია, გამომძიებელია, პოლიციელია, ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სასულიერო პირია, აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, ბრალდებულია, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია. ასევე, თუ მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში, აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე; ან თუ ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, იურისტია.

კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ, მაცნობოთ: იმ შემთხვევებში, როცა ადამიანი დაკავებულია, მაგრამ არაფრისმქონეა და არ შეუძლია ადვოკატის აყვანა, არადა, დამოუკიდებლად ვერ ახერხებს თავისი უფლებების დაცვას – აუცილებელია, ჰყავდეს ადვოკატი, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელება ხდება სახელმწიფოს ხარჯზე. კერძოდ, დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ან მოსამართლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით. ასევე, თავად გადახდისუუნარო ბრალდებულს უფლება აქვს, მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით. დაცვის სახელმწიფო ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო გაიღებს დაცვისთვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა გამომძიებელს პირისთვის ბრალის წაყენების უფლება და რა შემთხვევებში წარედგინება მას ბრალი?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე 300.“ პირველ სიჩქარეში ჩაგდებისას ძალიან უჭირს სიჩქარის აკრეფა, თუმცა, ჩავარდნით ნორმალურად ვარდება. სხვა სიჩქარეებზე მსგავსი არაფერი ემართება, თორემ, მოდების პედალს დავაბრალებდი.

პასუხი: სავარაუდოდ, თქვენი ავტომობილი მაღალ ბრუნს ვერ იღებს, რადგან, პირველი სიჩქარე ძალიან მოკლე სიჩქარით მიიღწევა, ანუ, ამ სიჩქარის დროს ძრავას ძალიან ბევრი ბრუნის გაკეთება სჭირდება, რომ გარკვეული სიჩქარე განავითაროს. მიზეზი შეიძლება იყოს ორი რამ: ერთი – დაზიანებულია ან დასვრილია ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი“, ანუ ძრავისთვის ჰაერის მოწოდების გამზომი; მეორე – ძრავს არ ჰყოფნის ბენზინის პომპის მიერ მიწოდებული წნევა. იმ შემთხვევაში, თუ ჰაერმზომია დაზიანებული, მის შესაცვლელად დაახლოებით 100-120 ლარის დახარჯვა მოგიწევთ, ხოლო, თუ ბენზინის პომპა, მაშინ, საშუალოდ 150 ლარის. ყველაზე იოლად და ნაკლები ხარჯვით გამოხვალთ, თუ ჰაერმზომი უბრალოდ, დასვრილია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელი“. საკმაოდ ნელა მივდიოდი რუსთაველის გამზირზე, რადგან მოძრაობა გადატვირთული იყო (დაახლოებით 35-40 კილომეტრით საათში). ღერძულა ხაზზე, ჩემკენ ზურგით, იდგა ქუჩაზე გადასული მოქალაქე. როდესაც მივუახლოვდი, ის ოდნავ უკან დარჩა, და ჩემი სარკე საკმაოდ უხეშად გაედო, რის გამოც წაიქცა და ფეხი დაიზიანა. ვინ არის ასეთ შემთხვევაში დამნაშავე?

პასუხი: ზოგადად, ევროპული კანონების მიხედვით, გზატკეცილის იმ მონაკვეთში ქუჩაზე გადასვლისას, სადაც ეს კანონით აკრძალულია, ისჯება მოქალაქე. ფეხით მოსიარულე ისეთივე მონაწილეა საგზაო მოძრაობის, როგორც მძღოლი, რადგან, მას იმგვარადვე შეუძლია საფრთხის შექმნა, როგორც საჭესთან მჯდომს. ამიტომ, მან მოძრაობის ელემენტარული წესები მაინც უნდა დაიცვას. რაც შეეხება საქართველოს, იმავე სიტუაციაში, მძღოლი, რა თქმა უნდა, არ გამტყუნდება, თუ ის არ მოძრაობდა დარღვევით, გადაჭარბებული სიჩქარით ან ნასვამ მდგომარეობაში; მაგრამ, საგზაო შემთხვევაში მონაწილეობის გამო, თქვენ გადაიხდიდით 200 ლარს ადმინისტრაციული ჯარიმის სახით, რასაც, შეიძლება, დამატებოდა გარკვეული თანხა დაზარალებულის დაზიანების სიმძიმის მიხედვით, როგორც სახელმწიფოს, ასევე დაზარალებულის სასარგებლოდ.

კითხვა: მას შემდეგ, რაც თბილისში საკმაოდ აცივდა, ძრავა ძალიან გვიან თბება. შესაბამისად, მაღალ ბრუნებზე ბრუნავს და საკმაოდ ბევრ საწვავს წვავს. რა არის მიზეზი, რა ვუშველო (დილით, დაძვრამდე, ცოტა ხნით კი ვახურებ ხოლმე).

პასუხი: მანქანის გახურება გამოსავალი არ არის. გერმანიაში დილაუთენია, უაზროდ დაქოქილი მანქანა რომ გააჩეროთ რამდენიმე წუთით, ალბათ, გიჩივლებენ, რომ ჰაერს აბინძურებთ და ხმაურობთ. რაც შეეხება კითხვას, ზამთარია თუ ზაფხული, ძრავა თითქმის ერთნაირი სისწრაფით უნდება გათბობას – ამინდის გამო განსხვავება ძალიან მცირეა. ამას უზრუნველყოფს თერმოსტატი, ანუ, თუ ძრავა ზაფხულში იოლად თბებოდა, ზამთარში კი – ნაკლებად, ეს არა ამინდის, არამედ, თერმოსტატის ბრალია, რომელიც მწყობრიდანაა გამოსული; ან, შესაძლოა საერთოდ არ დგას თქვენს ავტომობილზე. ამ დროს საჭიროა სპეციალური ელექტრონული მონყობილობა, რომელიც კომპიუტერს ძრავის ტემპერატურის მონაცემებს აწვდის, შემდეგ კი შეტყობინებას გადასცემს, რომ ძრავა ჯერ ისევ ცივია და, შესაბამისად, მაღალ ბრუნზე მუშაობს, რაც იწვევს დიდი რაოდენობით საწვავის ხარჯვას. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეცვალოთ თერმოსტატი, თუ გსურთ, რომ ეკონომიურად იაროთ, თუ არა და, მისი არარსებობა სხვას არაფერს დააზიანებს – სულ ეს არის თქვენი პრობლემა.

მოამზადა
სალომე გველესიანმა

ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
ჯეიმს დუგლასი

კითხვა: მაინტერესებს, ძაღლზე თუ მოქმედებს უარყოფითად, კონკრეტულად, რომელიმე ფერი ან პარფიუმერიის არომატი? ხანდახან შემინიშნავს, რომ ჩემი ძაღლი ღიზიანდება ყვითელ ფერზე. ზოგჯერ კი ისიც შემიმჩნევია, რომ სუნამოს სუნზე ცემინება ეწყება.

პასუხი: ფერზე არა, მაგრამ პარფიუმერიის არომატმა შეიძლება, მოკლე ცხვირს გამო, ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. უცხოეთში, გარკვეული მოთხოვნების მიხედვით, ძაღლების სუნამოებსაც კი უშვებენ. სუნამო არ უნდა იყოს სპირტზე დამზადებული, რადგან ძაღლს აღიზიანებს. საერთოდ, სუნამო ისე უნდა დამზადდეს, რომ ძაღლში არ იწვევდეს ალერგიას, თვალების გაღიზიანებას, ცემინებას. ამ შემთხვევაში, თავად მიხვდებით, მოსწონს თუ არა თქვენს ძაღლს იმ სუნამოს არომატიც, რომელიც გასხიათ. თქვენ მართალი ხართ. თქვენი ძაღლი რომელიღაც სუნამოზე ცუდად იმიტომ რეაგირებს, რომ ეს არომატი მასზე უარყოფითად მოქმედებს, ამიტომაც იწყებს ცემინებას. თუ ასეთ რამეს შენიშნავთ, ან სუნამო შეცვალეთ, ან საერთოდ ნუ იპკურებთ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ოთხფეხა მეგობარი, სანამ სუნი არ განელდება, ნაკლებად მოგეკარებათ.

კითხვა: მაინტერესებს, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ძაღლის კბილების თანწყობას? მაგალითად, ჩემს ძაღლს ვატყობ, რომ რაღაც რიგზე ვერ აქვს ამ საკითხში. მართალია, გამოფენებზე არ გამყავს, მაგრამ მაინც მაინტერესებს, მისი ჯანმრთელობისთვის ხომ არ არის ეს საზიანო?

პასუხი: თუ ძაღლი გამოფენისთვის არ გინდათ, მაშინ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიაქცევთ. საერთოდ კი, რომ იცოდეთ, კბილები ძაღლების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ არის განლაგებული ერთმანეთთან წინა კბილები. არის თანკბილვა, ანუ მაკრატლისებული, როცა ზედა ყბის კბილები ქვედაზე გადმოდის. მეორე არის პირდაპირი, როცა კბილები ერთმანეთს პირი პირზე ედება. მესამე კი პროგენია, ანუ წინ გამონეული ქვედა ყბა, როცა ქვედა ყბის კბილები უფრო წინაა, ვიდრე ზედასი. კბილების ასეთი მახასიათებლები ძაღლის თავის ფორმაზეა დამოკიდებული. არის უფრო განიერთავიანი და შედარებით წვრილთავიანი ძაღლიც. წვრილთავიან ძაღლს მჭრელი კბილები ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ აქვს მიჯრილი. ფართოთავიან ძაღლს კი, ეშვებს შორის მანძილი დიდი აქვს და 6 კბილის ნაცვლად, უფრო მეტიც ეტევა. კბილების მომატებული რაოდენობა სასურველი არ არის, თუმცა არის შემთხვევა, როცა ძაღლებს კბილები, პირიქით – აკლიათ. ძირითადად, ეს პლემოლარებს ეხება, რაც გარკვეული დისბალანსის მანიშნებელია ძაღლის გენეტიკაში.

კითხვა: ჩემი ძაღლი უკვე 10 წლისაა და რაც ასაკში შევიდა, ხასიათი სულ შეეცვალა. ის უკვე წლებია, ჩვენი ეზოს მცველია. ბოლო დროს თუ ვინმეს უყეფს, ამის მერე თითქოს დაღლილობისგან ქმნივას იწყებს. როგორ მოვიქცეთ?

პასუხი: ყურადღება უნდა მიაქციოთ ძაღლის ხასიათს. ის არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გაანერვიულოთ. ძაღლი, რომელიც ეზოში ცხოვრობს და გარკვეულ ტერიტორიას იცავს, გამვლელ-გამომვლელს უყეფს. როდესაც ასაკში შედის, უნდა ეცადოთ, შედარებით თვინიერი გახდეს უცხოებისადმი, ანუ ყეფა დაუშალეთ და აუკრძალეთ. ძაღლი რომ ბრაზდება, იყეფება. შესაბამისად, გაბრაზება გარკვეულ ნერვიულობას იწვევს, შედეგად, ის თავის აგრესიას უცხო ადამიანისადმი გამოხატავს. მოხუცი ცხოველის ორგანიზმი კი ნერვიულობასაც რთულად იტანს. ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა ზედმეტად გაბრაზებულ ძაღლს გულის შეტევა დაფიქსირება. უნდა შეეცადოთ, რომ ამას ძაღლი მოარიდოთ.

მოამზადა
მარიკა ხიდურელმა

მაფიის შვილობილი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-47(726)

***

რუზგენ ჩოჩიანის ხალხმა მორფინა სიკვდილის პირამდე სცემეს, მაგრამ სიტყვაც ვერ დააცდენინეს.

– რას მერჩით, ძმებო? კარგ ხალხში გაიკ-

ითხეთ, ვინ ვარ, – ტიროდა მორფინა და იმ ქურდის სახელს იმეორებდა, ვის ცოლთანაც ინტიმური კავშირში ამხილა ის ვაჟა ზვიადაურმა.

სამსაათიანი ეგზეკუციის შემდეგ, ჩოჩიანის „გალავარეზებმა“ თავი დაანებეს მორფინას და თბილისში გამოემგზავრნენ. მანამდე კი თავის ბოსს შეატყობინეს, რომ მორფინა სუფთა იყო. სოჭში გამგზავრების წინა რუზგენ ჩოჩიანმა ზორბეგ შილბანს უთხრა:

– გივი ჯაფარიძე ჩვენიანია, მაგრამ მაინც ყურადღებით იყავი და თვალი არ მოაცილო. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

– ყველაფერი რიგზე იქნება, ბოს. დარდი ნუ გაქვს, – დაიმედა შილბანმა ჩოჩიანი და სადგურზე წავიდა.

სოჭი-დუშანბე-ბათუმის ვოიაჟმა წარმატებით ჩაიარა. მორფინამ ჰეროინი მიიღო და ორმოცდაათი ათასი მანეთი გივი ჯაფარიძეს ჩაუთვალა. მან კი წილები შეთანხმებისამებრ გაყო. ოცი ათასი თავისთვის დაიტოვა. ოცდაათი ათასი კი ზორბეგ შილბანს გადასცა და რუზგენ ჩოჩიანთან დიდი მოკითხვა დააბარა.

– თბილისში არ მოდიხარ? – ჰკითხა შილბანმა გივის.

– ჯერ არა. ცოტას აქ, გავიგულავებ და მორფინას დაბრუნებას დაველოდები. გავიგებ, რა ამბავს ჩამოიტანს. თბილისში კი ერთ კვირაში ჩამოვალ და იქ შეგხვდებით.

– ერთი კვირა თბილისში ვერ გავჩერდები, ლენინგრადში უნდა გავემგზავრო. იქაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი და ვერ მივატოვებ.

– მაშინ, პირდაპირ იქ ჩამოვალ და შემოგეშველები.

– ვფიქრობ, არ გამოვა. რუზგენმა შენზე მითხრა – აქ მჭირდებაო და მგონი, თბილისში დარჩენა მოგიწევს. მე კი ახალი პარტნიორი უნდა მოვძებნო.

– რა გაეწყობა. რუზგენი დასაფასებელი კაცია და უარის თქმა არ გამოვა. დაველოდები მორფინას. მერე კი თბილისში გავემგზავრები. ჩვენ კი ისევ შევხვდებით ერთმანეთს. აბა, ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო შილბანმა და ჯაფარიძეს გადაეხვია. შემდეგ „ვოლგაში“ ჩაჯდა და თბილისისკენ გაემგზავრა.

მორფინა თურქეთში მიმავალ საკრუიზო გემზე ავიდა. თავის კაიუტაში შევიდა და ტურისტივით გამოწყობილ ზვიადაურს ჰეროინი გადასცა.

– აი, უფროსო, ჩაიბარე „ტავარი“, – უთხრა ხრიკულმა პოდპოლკოვნიკს და სკამზე ჩამოჯდა.

ზვიადაურმა ნარკოტიკი შეამოწმა. პაკეტები ტყავის ჩანთაში ჩაალაგა და „ბარიგას“ უთხრა:

– პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა. გილოცავ!

მორფინამ გააბოლა და ირონიით მიუგო:

– ამის მოლოცვას, მერჩივნა, გენერლობა მოგელოცა.

– მაგის დროც მოვა.

– დამცინი, არა, უფროსო? არადა, ბავშვობაში მართლა გენერლობაზე ვოცნობობდი.

– მერე, შე დალოცვილო, გესწავლა, გეშრომა და პატიოსანი გზით გევლო. შენ კი ბარიგობა აირჩიე და უამრავი ადამიანი გყავს გაუბედურებული.

– გეშლება, უფროსო.

– რა მეშლება. მუმიოს მალამოს არიგებდი უფასოდ და ხალხს კურნავდი ხომ?

– გინდა, მოგიყვე, რატომ გავბარიგდი?

ზვიადაურმა საათს დახედა და უთხრა:

– მიდი. გემის გასვლამდე ორმოცი წუთი დარჩა.

მორფინამ გააბოლა და თქვა:

– ათი წლის ვიყავი, დედ-მამა რომ დამეღუპა და დავობლდი. ჩემი აღზრდა ბებიამ ითავა და თექვსმეტ წლამდე მპატრონობდა. კარგი ქალი იყო ცხონებული. სამ ადგილზე დამლაგებლად მუშაობდა, რომ ჩაცმა-დახურვა და საჭმელი არ მომკლებოდა.

– შენ მხოლოდ ისწავლე, შვილო. პატიოსანი, კარგი კაცი გამოდი და თავს არ დავზოგავო, – ხშირად მეტყოდა ხოლმე ბებია, გულში ჩამიკრავდა და მომიალერსებდა.

მე მართლაც კარგად ვსწავლობდი. სამხედროობა მინდოდა და გენერლობაზე ვოცნებობდი. მაგრამ, ხომ გაგიგონია – უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. თანდათან ბებია დაუძლურდა, ხშირად ავადმყოფობდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ლოგინად ჩავარდა. უამრავი წამალი სჭირდებოდა და ის პატარა დანაზოგი, რაც ბებიას ჩემთვის ჰქონდა გადანახული, მის წამლებში დაიხარჯა. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ სახლში არც ფული გვქონდა, არც საჭმელი – ხმელი პურიც კი არ მოგვეპოვებოდა. იმ დღეს პირველად გავაცდინე სკოლა. უთენია რკინიგზის სადგურზე წავედი, მატარებელს დავხვდი და მგზავრებს ბარგის გადაზიდვაში ვეხმარებოდი. შუადღემდე ათი მანეთი ვიშოვე. წამოვედი. წამალი და საჭმელი ვიყიდე და ბებიას მივუტანე. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღე სადგურზე მივდიოდი და ამგვარად ვშოულობდი ფულს. ერთ დილას, როდესაც სადგურზე მივედი, ნასილშჩიკებმა გვერდზე გამიყვანეს და იქ მისვლა ამიკრძალეს.

– ძმაო, ლუკმას გვაცლი პირიდან. წადი, სხვა ალაგი მონახეო, – მითხრეს მათ. მე კი ჯიუტად გავაგრძელე ჩემი საქმიანობა.

საქმე ის იყო, რომ მე, დაწესებულ ტარიფზე იაფად, ნახევარ ფასში ვზიდავდი ტვირთს და კლიენტები არ მაკლდა. მიყურეს, მიყურეს ნასილშჩიკებმა და დრო იხელთეს. თავზე ტომარა ჩამომაცვეს, მიყრუებულ ჩიხში წამათრიეს, ჩამოწერილ ვაგონში შემაგდეს და სიკვდილის პირამდე მცემეს. თან, რაც ფული მქონდა, წამართვეს და წავიდნენ. გონს რომ მოვეგე და წამოდგომა შევძელი, უკვე ბნელოდა. რის ვაივაგლახით მივედი სახლში და ბებიას ყველაფერი მოვუყევი, თან ავტირდი. მან გულზე მიმიკრა, მომეფერა და მითხრა:

– არა უშავს, შვილო, ცხოვრებაში ყველაფერი ხცდება და განსაცდელის გადატანა უნდა იცოდეო.

ისე ვიყავი დაუძლურებული, რომ ბებიის მკერდზე ჩამეძინა. დილით, თვალი რომ გავახილე, უცნაური გრძნობა დამეუფლა, ბებიას ორივე ხელი ჩემს ლოყაზე ეწყო და მიუხედავად იმისა, რომ მაისი იყო და თბილოდა, ყინულივით გაჰყინვოდა. თავი წამოვწიე, ბებიას დავხედე და თავიდან ვერ მივხვდი, რომ მკვდარი იყო. ეს რომ გავაცნობიერე, საზარლად ავყვირდი და მთელი უბანი შევყარე.

საცოდავი ბებია სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე. მე იქ ყოველდღე ავდიოდი და ცხარე ცრემლით დავტიროდი ჩემს უდროოდ გარდაცვლილ მშობლებსა და ბებიას. სახლში გვიან ვბრუნდებოდი. მივეგდებოდი ლოგინზე, ვტიროდი და მთელი ქვეყანა მძულდა, განსაკუთრებით კი – ნასილშჩიკები. გადავწყვიტე, ავტომატი მეშოვა, სადგურზე მივსულიყავი და ყველანი დამეხოცა. რომ არა მეზობლები, შიმშილით მოვკვდებოდი. მათ რიგრიგობით მოჰქონდათ საჭმელი და ამით ვსულდგმულობდი. ერთ საღამოს ლო-

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.

ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.

გინზე ვიყავი მიგდებული და შურისძიებაზე ვფიქრობდი. უცებ კარი გაიღო, ოთახში ზაქირა შემოვიდა და მითხრა:

– ზაურ-ჯან, სტუმრებს ღებულობ?

რა მესტუმრებოდა, მაგრამ უფროს კაცს ფეხზე წამოვუდექი. დაჯდომა შევთავაზე და ვუთხარი:

– ბოდიში ძია ზაქირ, სახლი არეული მაქვს და ნუ მიწყენ-მეთქი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ზაქირამ საქმე შემომთავაზა. თურმე, ბარიგა ყოფილა. ნარკოტიკებს ჰყიდდა და თავი რომ დაეზღვია, ჩემი გამოყენება გადაწყვიტა. იმ დღიდან ზაქირას დავუპაძელნიკდი და მარნეულიდან თბილისში ანაშას ვეზიდებოდი, ზაქირა კი – ყიდდა. ჩემს საიმედოობაში რომ დარწმუნდა, უკვე წამალიც მანდო. თვითონ ხომ ბლომად შოულობდა, არც მე მწყვეტდა გულს და კარგად მიხდიდა. სამი წელი ისე ვიმუშავეთ, არავის შევუწუხებივართ. ზაქირას მილიციაც წილში ჰყავდა და იმიტომ. ერთ მშვენიერ დღეს კი ზაქირა წამლის კაიფში გაიპარა. არ დავბნეულვარ, ყველას ვიცნობდი და ყველა მიცნობდა. ზაქირას საქმე მე ავიღე და თანდათან გავაფართოვე. რომ იტყვიან, ავშენდი. იმდენი ფული ვიშოვე, სად დამეხარჯა, არ ვიცოდი. მაგრამ, ყველაფერს დასასრული აქვს. ჩემი კრიშა მილიციელი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. მერე მეც მიმაყოლეს და ათი წელი მახეხინეს. სროკიდან რომ გამოვედი, რაც მაყუთი მქონდა გადატეხილი, ყველაფერი საქმეში ჩავდე. კოოპერატივი ავაწყვე და სოჩაში გადავსახლდი. თქვენ კი მაინც მომძებნეთ და ძველ საქმეში დამაბრუნეთ.

ზვიადაურს გულწრფელად შეეცოდა მორფინა და უთხრა:

– რაც ადრე გითხარი, გაგიმეორებ. ვაუკაცურ სიტყვას გაძლევ, რომ თუკი არასდროს დაუბრუნდები ძველ საქმიანობას, როგორც კი ამ ოპერაციას დავასრულებთ, მეტი აღარაფერზე შეგაწუხებ. პირიქით, დაგიცავთ და ყველაფერს ვიღონებ, არავინ არაფერი დაგიშავოს.

– მოსულა, უფროსო. მასე ვქნათ.

ზვიადაურმა საათს დახედა და მორფინას უთხრა:

– ათ წუთში გადიხარ. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში რომ დაბრუნდები, გივი ჯაფარიძე შეგხვდება და ეტყვი, რომ ნახევარი მილიონის ჰეროინი გჭირდება. იცოდე, არ დაიბნე. ჯაფარიძე ძალიან გამოცდილი პრისტუპნიკია და არ გაგშიფროს.

– დარდი ნუ გაქვს, უფროსო. ყველაფერი კარგად იქნება.

– აბა, წავედი. ნახვამდის, – ზვიადაურმა ხელი ჩამოართვა ხრიკულს. ჰეროინით სავსე ჩანთა მხარზე გადაიკიდა, მუქი სათვალე გაიკეთა და გემიდან ნაპირზე ჩავიდა.

პოდპოლკოვნიკი სასტუმრო „ინტურისტისკენ“ გაემართა და ტანსაცმელი გამოიცვალა. შემდეგ, თავის ორ ხელქვეითთან ერთად გამოვიდა და თბილისში გაემგზავრა.

– ოპერაციის წარმატებით დასრულებას გილოცავთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, – უთხრა ზვიადაურს კაპიტანმა მშვილდაძემ.

– ჯერ რა დროს ოპერაციის დასრულებაა, დათო. ყველაფერი ახლა იწყება. მოსალოცად მაშინ გვექნება საქმე, როცა მთელს მათ შაიკას ავყრით და საბრალდებო სკამზე დავსვამთ, – მიუგო ზვიადაურმა.

– არ არიან რომ, დასასმელები? – ლაპარაკში ჩაერთო კაპიტანი უჩა ჩხეტია, რომელიც საჭესთან იჯდა და ემოციურად, ჟესტებით გამოხატავდა თავის გრძნობებს.

– გირჩევნია, რულს ჩაეჭიდო და წინ გაიხედო, თორემ ზღვაში გადაგვყრი და ჩვენთვის მართლა დასრულდება ყველაფერი, – მიუგო ზვიადაურმა.

– საზიზღარი ხალხია. მართალს ამბობენ – მახინჯ სხეულში მახინჯი სულიაო, – თქვა მშვილდაძემ.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ზვიადაურმა.

– ნარკობარიგებს, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, – განუმარტა მშვილდაძემ.

– ა, გასაგებია, – თქვა ზვიადაურმა.

– განსაკუთრებით კი ის ჯაფარიძე არ მომწონს, – არ ცხრებოდა მშვილდაძე.

– ვინ, ვინ? – ვითომ ვერ გაიგო პოდპოლკოვნიკმა.

– გივი ჯაფარიძე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, – გაიმეორა დათო მშვილდაძემ, – რა მახინჯიცაა, ის მახინჯი სული აქვს. რომ ვუთვალთვალებდი, ერთი სული მქონდა, ყელში ვწვდომოდი და მიმეხრჩო. ისეთი სახე ჰქონდა, რომ გული აგერეოდა კაცს.

სინამდვილეში, გივი ჯაფარიძე, მაღალი, ათლეტური აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი იყო და მშვილდაძისნაირს ოთხს ერთად ისე დააწყობდა, არც ერთს ხელსაც არ გაანძრევინებდა. ამიტომ ზვიადაურს გულში გაეცინა და კაპიტანს უთხრა:

– ყველა ბოროტმოქმედი საზიზღარია თავისი არსით. მაგრამ, ობიექტურობის გრძნობა თუ დავკარგეთ, მეტოქის დამარცხება გაგვიჭირდება.

– დავამარცხებთ, ბატონო ვაჟა. დედას ვუტირებთ მაგ ნაძირლებს. ხომ დავაჯექით კუდზე, ახლა ნახონ ჩვენი ძალა. მაგათ აყრას რომ დავიწყებთ, მაგ ჯაფარიძეს პირადად უნდა დავადო ნარუჩნიკები, – შეჰპირდა პოდპოლკოვნიკს ჩხეტია და ისე მოიღერა ყელი, ზვიადაურს გულში გაეცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს, სიგარეტი გააბოლა.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც მილიციელები თბილისში ჩავიდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში შესრიალდნენ.

– წადით და დაისვენეთ, ბიჭებო. მაგრამ, როგორც შევთანხმდით, სიტყვა არავისთან დაგცდეთ, – უთხრა ზვიადაურმა ხელქვეითებს.

– რას ბრძანებთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ოპერატიულ საიდუმლოებას როგორ გავთქვამთ, – ერთდროულად მიუგეს ზვიადაურს კაპიტნებმა და „ვოლგით“ გაემგზავრნენ.

წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით, ჩოჩიანის ბანდის სალიკვიდაციო ოპერაცია სრული საიდუმლოების დაცვით ტარდებოდა და სხვა განყოფილებები საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ. არც ვაჟა ზვიადაურის ხელქვეითებმა იცოდნენ ყველა ნიუანსი და პოდპოლკოვნიკი პირადად წყვეტდა, თუ ვინ და როდის, რა ეტაპზე ჩაერთო ამ ოპერაციაში. სწორედ ამიტომ შეახსენა მან მშვილდაძეს და ჩხეტიას, რომ სიტყვა არავისთან დაეძრათ. მეტიც, ბათუმში ამოღებული ჰეროინი მან ოფიციალური პროცედურის გავლის გარეშე, პირდაპირ მინისტრთა კაბინეტში მიიტანა და ჩააბარა. მერაბ გამრეკელმა პირადად აწონა ნარკოტიკი და დაბეჭდა. შემდეგ ზვიადაურის პატაკიც თან დაურთო. სეიფში შეინახა და პოდპოლკოვნიკს უთხრა:

– გილოცავ, ოპერაციის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულებას. ყოჩაღ, გივი და შენ.

– მორფინაც, ამხანაგო გენერალო. ხრიკულმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი, – უთხრა ზვიადაურმა გამრეკელს.

– მაშინ, ყოჩაღ ხრიკულსაც, – გაეღიმა გენერალს და ზვიადაურს ჰკითხა, – მეორე ეტაპზე როდის გადავდივართ?

– თუ ყველაფერი კარგად იქნა, სავარაუდოდ, ერთ კვირაში, ათ დღეში. გააჩნია, რას იტყვის ჩოჩიანი. მორფინა რომ თურქეთიდან დაბრუნდება, გივის ეტყვის – ნახევარი მილიონის ჰეროინი მჭირდებაო. ჯაფარიძე რომ ამას ჩოჩიანს გადასცემს, საბოლოო სიტყვა იმ ნაძირალაზე იქნება.

– არ მგონია, რომ რუზგენ ჩოჩიანმა ამ საქმეზე უარი თქვას ან თავი შეიკავოს.

– არც მე მგონია.

– ჰო და ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, – თქვა გამრეკელმა და ზვიადაურს ჰკითხა, – სადაა ახლა ჯაფარიძე?

– ბათუმში, ამხანაგო გენერალო, „გულაობს“. ხრიკულს ელოდება. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ჩოჩიანის მოთვალთვალეებს აბითურებს.

– ესე იგი, მაინც დაახვოსტა ხალხი ჩოჩიანმა ჯაფარიძეს ხომ?

ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

– დიახ, ბატონო მერაბ, როგორც ვვარაუდობდით.

– რაიმე ხიფათი ხომ არ ელოდება ჯაფარიძეს? ხომ ნამდვილად ყველაფერი უზადოდ ჩატარდა, ვაჟა?

– თავს დავდებ, ბატონო მერაბ, რომ გივის არანაირი ხიფათი არ ელოდება. ნუ ღელავთ.

– მე რომ ვიყო ჯაფარიძის ადგილზე, ნამდვილად არ ვიღელვებდი, მაგრამ, ჩემს ხელქვეითებს რომ ეხება საქმე, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობ, – მიუგო გამრეკელმა ზვიადაურს.

***

თბილისში დაბრუნებული ზორბეგ შილბანი გახარებული ეახლა რუზგენ ჩოჩიანს. ოცდაათი ათასი მანეთი ჩაუთვალა და უთხრა:

– გილოცავთ, ბოს. ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა. აი, ფული.

ჩოჩიანმა ოცი ათასი მანეთი უჯრაში შეინახა. ათი ათასი შილბანს დაუბრუნა და უთხრა:

– ბიჭებსაც გაუნაწილე.

– გმადლობთ, ბოს, – შილბანმა დასტები ჯიბეში ჩაიდო და ჩოჩიანს უთხრა, – ერთ კვირაში თურქეთიდან მორფინა დაბრუნდება და ახალ მოთხოვნას ჩამოიტანს. მე, ალბათ, აღარ ვარ საჭირო. დანარჩენს გივი ჯაფარიძე გაუძღვება და თუ სხვა საქმე არ არის, მაშინ ხვალ დილითვე დავბრუნდები ლენინგრადში.

– შენ ყოველთვის საჭირო ხარ, ზორბეგ. ამჟამად კი შეგიძლია, ლენინგრადში დაბრუნდე. თუ საჭირო გახდა, დაგირეკავ, – მიუგო ჩოჩიანმა შილბანს და გაისტუმრა. შემდეგ საიდუმლო ოთახში გავიდა და სავარძელში მოკალათებულ კალმარს უთხრა:

– გაიგონე, ალბათ. ყველაფერი რიგზეა.

– ერთი შეხედვით – კი. ჯაფარიძესთან დაკავშირებით რა ხდება, მიუჩინე კუდი?

– მივუჩინე. სამი კაცი ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ტყუილად ვაცდენთ ხალხს. არ ჰგავს ჯაფარიძე ნაბოზარს. მე მგონი, ცდები.

კალმარს საკუთარი თავი შეუცდომელ ადამიანად მიაჩნდა და ჩოჩიანის სიტყვებზე ისე გაღიზიანდა, რომ მზად იყო, მისთვის იქვე, ყელი გამოეჭრა. მაგრამ, თავი მოთოკა. არაფერი შეიმჩნია, გაუღიმა და უთხრა:

– ზედმეტი დაზღვევა არ გვაწყენს. თეთრი და შავი ტრაკი კი აბანოში გამოჩნდება. თუ ჯაფარიძე სუფთაა, ამას რა ჯობია და გვერდში დავიყენებთ. ხოლო თუ ნასედკა აღმოჩნდა, ისეთ პარნოი აბანოს მოვუწყობ, წამებით გაძვრება სული.

– ისევ გამოცანებით მელაპარაკები, კალმარო? – ჰკითხა ჩოჩიანმა კალმარს.

– სულაც არა, რუზგენ, რა გამოცანებით. მოდუნდი და დატკბი მორიგი გამარჯვებით, – კალმარმა კონიაკის სირჩა ასწია და დაამატა: – გაგიმარჯოს! გილოცავ წარმატებას!

რუზგენ ჩოჩიანს არ გამოჰპარვია კალმარის ირონია, მაგრამ, არაფერი შეიმჩნია და გაიფიქრა: „მოვა დრო და დედას გიტირებ! ტყუილად გგონია, რომ ყოველთვის ყელსაბამგამობმული ძაღლივით შეძლებ ჩემს ტარებას. ისე შეგისრულებ, რომ თვალის დახამხამებასაც კი ვერ მოასწრებ...“ მან კალმარს გაუღიმა და უთხრა:

– მადლობელი ვარ. ეს ერთი და სხვა ათასი.

კალმარმაც გაიღიმა, სიგარეტი მოქაჩა და გაიფიქრა: „კრეტინო! ჩემი მოშორება გინდა და ჩემი კლანჭებიდან თავის დაძვრენა გაქვს გადაწყვეტილი, ხომ? ვერ ეღირსები. ჯერ მჭირდები და იმიტომ არ გახლებ ხელს, თუმცა, შენი დროც მოვა და შენს ადგილს სხვა დაიკავებს. ჯერ იცოცხლე...“

– ათასიც იქნება და ათასჯერ ათასიც. მთავარია, იაღლიში არ მოგვივიდეს, – მიუგო კალმარმა მასპინძელს, შემდეგ წამოდგა, დაემშვიდობა და ჩვეული გზით დატოვა რუზგენ ჩოჩიანის სახლი.

კალმარმა ტრადიციული მანევრი გააკეთა და, რომ დარწმუნდა, არავინ უთვალთვალებდა, „დინამოს“ სტადიონისკენ გაემართა. მანქანა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერა, ფეხით განაგრძო გზა და ახლომდებარე სახლის სადარბაზოში შევიდა. ბინის კარი უხმაუროდ გააღო, ოთახში შევიდა და სავარძელში მოკალათდა.

– რატომ დამიბარე? – ჰკითხა კალმარს მეორე სავარძელში მჯდარმა ორმოციოდე წლის მამაკაცმა, რომელიც კროსვორდს ავსებდა და ახალმოსულისთვის არც კი შეუხედავს.

– კროსვორდების შესავსებად, – ირონიულად მიუგო კალმარმა.

– ჰუნების წინამძღოლი... – ხმამაღლა თქვა მამაკაცმა და ჩაფიქრდა.

– ატილა, – თქვა კალმარმა და შეუღრინა, – თავი დაანებე მაგ კრეტინობას და მომისმინე!

– ატილა, – გაიმეორა მამაკაცმა და კროსვორდის ცარიელი უჯრა მშვიდად შეავსო, მერე გაზეთი გვერდზე გადადო და კალმარს უხმოდ მიაჩერდა.

– რა ქენი, იშოვე, რაც დაგაბარე? – ჰკითხა კალმარმა კროსვორდების მოყვარულს.

– მალე იქნება, – მოკლედ მიუგო მამაკაცმა კალმარს.

– როდის მალე? სასწრაფოდ მჭირდება, – გაღიზიანდა კალმარი.

– ორ-სამ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში.

– ერთი თვე მალეა? იარაღის პარტია ხომ არ შემოგაქვს, – თქვა კალმარმა.

– იარაღის პარტია რომ იყოს, ორ დღეში მოგიტანდი, ის კი დეფიციტია. თანაც, შენ უახლესი და საუკეთესო გჭირდება, ამას კი დრო უნდა.

– დრო არ ითმენს, თანაც, კარგ ფულს გიხდი. ცოტა მეტად გაანძრიე ტრაკი!

– რომ გავანძრიე, სწორედ ამიტომ იქნება მაქსიმუმ ერთ თვეში. შენ ეგ ნიახური ხომ არ გგონია – წახვიდე და ბაზარში იყიდო!

– კარგი, იყოს ერთი თვე. შენ ეს მითხარი, ხომ სუფთად შემოვა და კუდი არ მოჰყვება?

– საკუთარი თავით ვაგებ პასუხს.

– მაინც, საიდან მოგაქვს, ამდენი დრო რომ სჭირდება?

– ფირმის საიდუმლოებაა, – გაეცინა კროსვორდების მოყვარულს.

– ხომ არ გაგვეერთიანებინა ჩვენი ფირმები?

– მარტო ვმუშაობ.

– მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო... – ირონიით მიუგო კალმარმა.

– თავს არ ვზოგავ, – ირონიითვე უთხრა კროსვორდების მოყვარულმა.

– მარტოხელა მგელი ხარ, – გაეცინა კალმარს და ჰკითხა: – სხვაგან რა ხდება?

– მაინც, სად სხვაგან?

– მაგალითად, კანტორაში.

– ისევ იქაა. ძველებურად დგას.

– მეტი არაფერი?

– მეტი რა გაინტერესებს?

– რა განწყობაა, რას ამბობენ და, საერთოდ, ახალი დროებაა და ხალხმა ენა ამოიდგა...

– სულელები ლაპარაკობენ, ჭკვიანები კი უსმენენ.

– ჭკვიანი კაცი ხარ, ამიტომაც გაფასებდი ყოველთვის.

– ვცდილობ.

– კარგი, ყველაფერი გასაგებია, ორ კვირაში შეგეხმიანები.

– ორი-სამი, მაქსიმუმ – ოთხი. ერთ თვეს არ გადასცდება.

– შევთანხმდით. ახლა კი წავედი, – კალმარი სავარძლიდან წამოდგა და კარისკენ გაემართა. კროსვორდების მოყვარული კი გაზეთს მიუბრუნდა და ხმამაღლა ამოიკითხა:

– გიგანტური მედუზა, შვიდი ასო, მეოთხეა „მ“.

– კალმარი, – თქვა კალმარმა და ბინიდან უხმაუროდ გავიდა.

***

მორფინა ერთ კვირაში დაბრუნდა თურქეთიდან, გივი ჯაფარიძეს ზღვისპირა, ღია კაფეში შეხვდა და უთხრა:

– ჩვენი პარტნიორები კმაყოფილები დარჩნენ და მზად არიან, ჰეროინის მორიგი პარტია იყიდონ.

ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

ჩაწერა ხდება წინასწარ.

ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

– მაინც, რამდენი უნდათ?

– ნახევარი მილიონის.

– ესე იგი, წინა პარტიაზე ათჯერ მეტი.

– რა, ვერ შეძლებ?

– რამდენ ხანში სჭირდებათ?

– ერთ კვირაში. ათ დღეს არ უნდა გადასცდეს.

– კარგი, ოთხ-ხუთ დღეში დაგიკავშირდები.

– სოჩაში ვიქნები და კანტორაში დამირეკე. თუ იქნება, მითხარი, ჩამოვდივარ-თქო.

– გასაგებია. წავედი, – მიუგო ჯაფარიძემ მორფინას და შეხვედრის ადგილი პირველმა დატოვა.

გივიმ ფეხით გაიარა ბულვარი, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ არ უთვალთვალებდნენ და მშვიდად ავტოსადგურისკენ გაემართა, სადაც თბილისისკენ მიმავალი კერძო ტაქსები იდგნენ. ის ერთ-ერთ მანქანაში ჩაჯდა და თბილისში გაემგზავრა. „კუდზე" მას ორი მოთვალთვალე „დააჯდა", რომლებიც თეთრი „ჟიგულით" მისდევდნენ. საქართველოს დედაქალაქში რომ ჩავიდნენ, გივი ჯაფარიძე პირდაპირ რუზგენ ჩოჩიანთან გაემართა, მანქანა ორასიოდე მეტრის მოშორებით გააჩერა და გზა ფეხით განაგრძო.

– როგორ ხარ, ძმაო? – რუზგენ ჩოჩიანი კეთილგანწყობით შეხვდა ჯაფარიძეს, ხელი ჩამოართვა და სავარძელზე მიუთითა.

– კარგად. შენ?

– მეც კარგად. გილოცავ პირველ წარმატებას.

– მეც გილოცავ.

– დალშე რა ხდება?

– ამ დილით მორფინა ჩამოვიდა და ველაპარაკე.

– მერე, რაო?

– ცოტა რთულადაა საქმე.

– რთულად რატომ? – ჩოჩიანმა კოპები შეკრა.

– ათჯერ მეტ ტავარს ითხოვენ.

– მერე, ამას რა ჯობია?! რა, ვერ იშოვი?

– შოვნით ასჯერ მეტსაც ვიშოვი, მაგრამ, ამდენი ჰეროინის ჩამოტანას შეძლებ?

ჩოჩიანს გულზე მოეშვა, ხელი ჩაიქნია და ღიმილით მიუგო.

– არაა პრობლემა. შენი თქმის არ იყოს, ასჯერ მეტს ჩამოვიტან, მთავარია, კანალი აეწყოს.

– მეორე ზახოდმაც თუ ასეთი წარმატებით ჩაიარა, ჩათვალე, რომ აწყობილია.

– მაინც, რა გაეჭვებს?

– მეშინია, რომ ტაჯიკეთიდან ბათუმამდე ტრანსპორტირებისას შენს ბიჭებს იაღლიში არ მოუვიდეთ. ნახევარი მილიონის ჰეროინი ხუმრობა არაა. რამე რომ მოხდეს, ტავარსაც დავკარგავთ. ვალიც დაგვედება და ვეღარც კანალს ავაწყობთ.

– არ მენდობი? – თვალები აენთო ჩოჩიანს.

– რა სისულელეა! უბრალოდ, ძალიან დიდი პარტიაა და ვნერვიულობ.

– ნუ ნერვიულობ.

– თანაც, გამოცდილება არ გვაქვს.

– თავს ვდებ, რომ გზაში არაფერი მოხდება და მორფინას ნახევარი მილიონის ჰეროინს ჩავაბარებ, – მტკიცედ თქვა ჩოჩიანმა.

– კიდევ ერთი ნიუანსია...

– რა ნიუანსი?

– რა და, ფულს ტავარის ჩატანიდან ერთ კვირაში გადაიხდიან.

– პოსლეზე უნდათ?

– ჰო, პოსლეზე.

– ერთ კვირას კი მოითმენს კაცი, მაგრამ, რომ გადაგვაგდონ?

– ამაზე კი უკვე მე ვდებ თავს.

– კარგი, მასე იყოს.

– მაშინ, მე ხვალვე გავემგზავრები ლენინგრადში და ზორბეგთან ერთად მუჰამედოვს ჩავაკითხავთ.



– ზორბეგს სხვა საქმე აქვს.

– მარტო გავემგზავრო?

– რატომ მარტო? რომ არ მოიწყინო, ნონას გამოგაყოლებ.

– ქალს?

– ნუ ნერვიულობ, ნონა ათ კაცს უდრის, – გაეღიმა ჩოჩიანს, ერთ-ერთ თანაშემწეს ნონას მოყვანა დაავალა და ისევ ჯაფარიძეს მიუბრუნდა, – ახლავე გაიცნობ და ჩემს სიტყვებში დარწმუნდები.

სამიოდე წუთის შემდეგ ოთახში ტანწერწეტა, ქერათმიანი, ოცდახუთიოდე წლის გოგონა შემოვიდა, მამაკაცებს გაუღიმა და ჩოჩიანს უთხრა:

– მეძახდით, ბატონო რუზგენ?

– ნონაჩკა, ეს გივი ჯაფარიძეა, გაიცანი, – მიუგო ჩოჩიანმა ნონას, – ხვალ დუშანბეში მიემგზავრებით.

ნონამ გივის გაუღიმა და ხელი გაუწოდა. ჯაფარიძემ ხელზე აკოცა და თქვა:

– თქვენნაირი ლამაზი ქალი იშვიათობაა.

– გმადლობთ, ბატონო გივი, – მიუგო ნონამ.

– გივი დამიძახეთ, ნონა.

– გმადლობთ, გივი, – გაიმეორა ნონამ.

– ნონაჩკა, წადი და სახვალიოდ მოემზადე, ხვალ დილით მიფრინავთ, – უთხრა გოგონას ჩოჩიანმა და გაისტუმრა, შემდეგ კი ისევ გივის მიუბრუნდა:

– რას იტყვი, ძმაო, როგორია?

– ულამაზესი გოგოა, – გაეღიმა ჯაფარიძეს.

– ოთხი ენა იცის, ძალიან ჭკვიანია და ერთგული.

– ათ კაცს უდრისო?

– კარატისტია. ორივე ხელით ისვრის დანასა და ნაჯახს და ტყვიას ტყვიაში აჯენს. უშიშარია და, შეუძლია, მარტო დაუდგეს მთელ პოლკს.

– ამდენი რამ სად ისწავლა?

– უმაღლესში მე მოვაწყვე, მანამდე კი მთიან სოფელში გაიზარდა და დანარჩენი იქ ისწავლა.

– გათხოვილია?

– ქალიშვილი, – გაეცინა ჩოჩიანს, – გულში ხომ არ ჩაგივარდა?

– მომეწონა.

– ეგ უკვე შენ იცი. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუმცა, ვინც გაარშიყება სცადა, ყველა ტრაკზე დასვა და ცეცხლივით უფრთხიან.

– ეგ მართალია.

– რა? – ვერ მიხვდა ჩოჩიანი.

– ცეცხლივით ქალია. თუმცა, ძალიან თვინიერი ჩანს.

– მე ძალიან დიდ პატივს მცემს და მამად მივაჩნივარ. ისე კი, ობოლია.

– ობოლი?

– ჰო. დედამისი მის მშობიარობას გადაჰყვა. მამა კი „ძაღლებმა" მოუკლეს ერთ-ერთი შეტაკების დროს. პაძელნიკები ვიყავით – დომარი ქურდი იყო.

– რა უჩვეულო სახელია.

– დომარ ბუთბა. არ გაგიგონია?

– კი, როგორ არა. თუ არ მეშლება, ძმები ბუთბები ტყუპები იყვნენ.

– არ გეშლება. დაურიც „ძაღლმა" მოკლა, უფრო სწორად, ვიღაც ექსპერტმა.

გივი ჯაფარიძეს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ჩოჩიანის ბანდის მრავალწლიანი საქმე და ბუთბების ამბავიც იქიდან იცოდა. თუმცა, ერთმა გარემოებამ გააოცა: საქმეში ეწერა, რომ დომარ ბუთბა მოკლული აღმოაჩინეს თბილისის ერთ-ერთ ბინაში, შეტაკების შესახებ კი იქ არაფერი იყო ნათქვამი.

– კარგი კაცის შვილი ყოფილა, – თავი გააქნია ჯაფარიძემ, – თუ მეტი არაფერია, წავედი. ხვალ დილის ცხრაზე აეროპორტში ვიქნები და ნონას იქ შევხვდები.

– ნახვამდის, – მიუგო ჩოჩიანმა და ჯაფარიძე გაისტუმრა, შემდეგ საიდუმლო ოთახში გადაინაცვლა და კალმარს ჰკითხა:

– რას ფიქრობ?

– რაზე? – კითხვითვე მიუგო კალმარმა და კონიაკი მოსვა.

– ჯაფარიძეზე.

– სუფთად მუშაობს, – ირონიულად გაეღიმა კალმარს.

– მე სერიოზულად გეკითხები.

– მეც სერიოზულად გპასუხობ.

– შენ რა, ჯაფარიძე ისევ „ძაღლი" გგონია?

– ეგ როდის ვთქვი?

– აბა, რას ნიშნავს, სუფთად მუშაობსო?

– რაც ვთქვი, იმას და მეტს არაფერს. სუფთად მუშაობს, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა კალმარმა.

– ნონა ძალიან მოეწონა.

– ვის არ მოსწონს ასეთი ქალი, – მხრები აიჩეჩა კალმარმა.

– სწორია, – თქვა ჩოჩიანმა, – კარგად მიდის საქმე. კანალი აეწყობა და სულ მალე ჩვენ დავაჯდებით.

– ნუ ჩქარობ. ჯერ აეწყოს და მერე ვილაპარაკოთ. ნონა სად არის?

– სახლში წავიდა. ასე მითხრა, უნდა გამოვიძინოო.

– კარგი. მეც წავედი, – მიუგო ჩოჩიანს კალმარმა და საიდუმლო ოთახი ჩვეული კონსპირაციულობით დატოვა. შემდეგ, ასევე ჩვეული მანევრი გაიმეორა და დიდუბეში გააჩერა მანქანა. „დინამოს" სტადიონს ფეხით ჩაუარა და პლეხანოვზე მდებარე ბინაში მივიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ ჩაუვარდა ხელში ქართველ თავადს ნაპოლეონ ბონაპარტისთვის დამზადებული ძვირფასი ბროში

მზის ნიშანი

1800 წელს ამსტერდამელმა იუველირმა, გეორგ ვან ჰაიკენმა, იმპერატორ ნაპოლეონს საკუთარი ხელით დამზადებული ძვირფასი ბროში უბოძა. ბროში ბაჯაღლო ოქროსი იყო და მისი სუფთა წონა ორას გრამს შეადგენდა; შუაგულში ყვითელი ბრილიანტი ჰქონდა ჩასმული, ირგვლივ კი თითოკარატიანი, თორმეტი ცალი ლალის თვალი სიმეტრიულად იყო განლაგებული. იუველირმა, რომელიც საუკეთესო ასტროლოგიც იყო, იმპერატორს ურჩია, ბროში სულ თან ჰქონოდა. ვან ჰაიკენს თავისი სიტყვები ასტროლოგიურად დაუსაბუთებია – უთქვამს, რომ ეს ბროში მზის ნიშანი იყო, მზის ენერგიას გამოიმუშავებდა და მის მფლობელს წარმატების მიღწევაში დაეხმარებოდა. იმპერატორი სკეპტიკურად შეხვედრია იუველირის სიტყვებს, თუმცა, საჩუქარი მაინც მიუღია და ძვირფასეულობის შესანახ, სპილოს ძვლისგან დამზადებულ, ინკრუსტირებულ პატარა ზანდუკში მიუჩენია ადგილი. ძვირფას ზანდუკს მისი ერთ-ერთი ადიუტანტი ინახავდა და ყველგან თან დაჰქონდა, სადაც კი იმპერატორი მიემგზავრებოდა ხოლმე. 1812 წელს რუსული სამხედრო კამპანიის დროს ზანდუკი მოსკოვში ჩაიტანეს, ხოლო როცა ფრანგები სასტიკად დამარცხდნენ და ნაპოლონი გაიქცა ზანდუკი მის ადიუტანტს მოსკოვში დარჩა. ამ ძვირფასი ყუთის დანარჩენი შიგთავსის ბედი უცნობია, ძვირფასი ბროში კი ქართველ დრაგუნთა პოლკის ახალგაზრდა ოფიცერს, თავადიშვილ არჩილ ამირეჯიბს ჩაუვარდა ხელში. მან ეს ალაფი თან წამოიღო და ისე ინახავდა, როგორც უძვირფასეს რელიკვიას. არჩილ ამირეჯიბის ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა და სამეფო კართან იყო დაახლოებული. მზის ნიშანს კი ამირეჯიბები თაობიდან თაობას გადასცემდნენ და დიდი რუდუნებით ინახავდნენ, თუმცა, არ იცოდნენ მისი ისტორია და პატრონის ვინაობა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის დეკემბერში, ძვირფასი ბროში ერთ ტომარა პურის ფქვილზე გადაცვალეს – არჩილ ამირეჯიბის ერთერთმა შთამომავალმა, ბაკურ ამირეჯიბმა, მზის ნიშანი ებრაელ სპეკულანტს, მიხაილ ვაისმანს გადასცა, სანაცვლოდ კი ფქვილი წამოიღო სახლში ცოლ-შვილის გამოსაკვებად, 1919 წელს კი ამირეჯიბების ოჯახი საფრანგეთში გაიქცა, რათა კომუნისტების რეპრესიებისგან დაეღწია თავი.

ხაზინის ინსპექტორი

1919 წელს, ლენინის უშუალო მითითებით, „ჩეკას“ საგანგებო ჯგუფები საყოველთაო ექსპროპრიაციას ატარებდნენ. წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით, „ჩეკისტები“ მოქალაქეთა ბინებში შედიოდნენ და ძვირფასეულობას ართმევდნენ, ჩამორთმეული ქონება კი სახელმწიფო ბანკში მიჰქონდათ. წესისამებრ, თითოეულ ნივთს სპეციალური ხაზინის ინსპექტორები აფასებდნენ, ისტორიული მნიშვნელობის ან განსაკუთრებით ძვირფას ნივთებს მუზეუმში გზავნიდნენ, დანარჩენ ქონებას კი ინახავდნენ და ახალშექმნილი ქვეყნის საჭიროებისამებრ იყენებდნენ. 1919 წლის მიწურულს „ჩეკისტებმა“ სპეკულანტ ვაისმანის ქონების ექსპროპრიაცია მოახდინეს. უამრავ ძვირფას ნივთს შორის ზემოთ ნახსენები ბროშიც იყო. მათ ნივთები ბანკს ჩააბარეს და, ხაზინის ინსპექტორს, აბრაამ რივკინს, მისი შეფასება და დახარისხება დაევალა. რივკინი პროფესიით ხელოვნებათმცოდნე იყო და, როდესაც ბროში დაათვალიერა, მაშინვე მიხვდა, რასთან ჰქონდა საქმე. მას ეს ნივთი საფრანგეთში, 1807 წელს გამოცემულ კატალოგში ჰქონდა ნანახი, სადაც დაწვრილებით იყო მითითებული ბროშის ისტორია და მისი შემქმნელის ვინაობა. ამიტომ, რივკინმა ბროში და სხვა ძვირფასეულობა, მათ შორის – ოქროს მონეტები, ფარულად გამოიტანა ბანკიდან და მიიმალა. „ჩეკაში“ ამ ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და გაქცეულ ხაზინის ინსპექტორს ძებნა დაუწყეს. 1920 წელს რივკინი ქალაქ ტულაში დააპატიმრეს, გატაცებული ქონება, მათ შორის მზის ნიშანიც, ჩამოართვეს და დახვრიტეს, შემდეგ კი ეს ყველაფერი სხვა ინსპექტორს შეაფასებინეს და დაანაწილეს, ნაპოლეონის მზის ნიშანი კი მოსკოვის ხელოვნების მუზეუმს გადასცეს.

უცნაური ძარცვა

1957 წლის 6 მარტს გაძარცვეს მოსკოვის ხელოვნების მუზეუმი. შემთხვევის ადგილზე მისულ გამომძიებლებს №6 საექსპოზიციო დარბაზში ერთ-ერთი ვიტრინა გახსნილი დახვდათ, საიდანაც მხოლოდ №4 ექსპონატი იყო წაღებული. გამომძიებელმა შალვა მიქაძემ მუზეუმის დირექტორი დაიმარტოხელა და ჰკითხა:

– ივან ლუკიჩ, მე ხელოვნებათმცოდნე არ ვარ და ექსპონატების შეფასება არ შემიძლია, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ხელუხლებელი ნივთებიც იმ დაკარგულ ბროშზე არანაკლებ ძვირფასია.

მილიონ 250 ათას მანეთად შეფასებული ბროში ერთ ტომარა პურის ფქვილში გაიცვალა

– თავისი მნიშვნელობით, ბროში ბევრ ექსპონატს გადაწონის, რატომ არ ახლეს ხელი მძარცველებმა დანარჩენ ნივთებს. უცნაური ძარცვაა, ძალიან უცნაური...

მუზეუმის ხელუხლებელი ნივთები 6 მილიონ მანეთად იყო შეფასებული, ნაპოლეონის მოპარული ბროში კი – 1 მილიონ 250 ათასი მანეთად. გამომძიებლები საგონებელში იყვნენ. მათ ალოგიკურად მიაჩნდათ დანარჩენი ნივთების დატოვება, მით უმეტეს, რომ, საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად, ძარცვისთვის არავის შეუშლია ხელი და არც დატოვებული ნივთები იყო მძიმე და დიდი მოცულობის, რომ მათი გატანა გასაჭირვებოდათ. ისიც გამოირიცხა, რომ დატოვებული ნივთების ფასი არ სცოდნოდათ ბოროტმოქმედებს. კვალის შესწავლამ და სხვა ექსპერიმენტებმა ისიც ზუსტად დაადგინა, რომ მუზეუმი ერთმა ბოროტმოქმედმა გაძარცვა და რომ ეს ბოროტმოქმედი უმაღლესი დონის პროფესიონალი იყო – მას არანაირი კვალი არ დაუტოვებია შემთხვევის ადგილზე და უჩინარი კაცივით მოქმედებდა. როდესაც მიქაძემ ყველაფერი გააანალიზა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბოროტმოქმედს მხოლოდ იმისი წაღება უნდოდა, რაც წაიღო...

– შეკვეთილი ქურდობა იყო, ამხანაგო პოლკოვნიკო, – მოახსენა მიქაძემ თავის უფროსს, სტეპან კოლცოვს, – უცნაურია, ვის და რატომ დასჭირდა ამ ბროშის შეკვეთით მოპარვა?

– ინტუიცია მკარნახობს, რომ ბნელ საქმესთან გვაქვს საქმე. შენი პროფესიონალიზმის იმედი მაქვს, იმოქმედე! – მიუგო კოლცოვმა მიქაძეს.

გრიფით – „საიდუმლო“

შალვა მიქაძე ძალიან გამოცდილი გამომძიებელი იყო. მან ბროშის საქმე საფუძვლიანად გამოიძია და, 1957 წლის 28 მარტს, ანუ, ძარცვიდან ზუსტად სამ კვირაში, 41 წლის რეციდივისტი, უმაღლესი კვალიფიკაციის ქურდი ანტონ სავოსტიკოვი დააპატიმრა. სავოსტიკოვი ციხიდან ახალი გამოსული იყო და მიქაძეს გამოუტყდა, რომ ბროშის მოპარვა მას ვინმე ანატოლი კრუგლოვმა შეუკვეთა. კრუგლოვი სპეკულანტი იყო და საიუველირო ნაკეთობებით ვაჭრობდა. სპეკულანტი იმავე ღამეს აიყვანეს, თუმცა დაკითხვაზე დანაშაულთან კავშირს უარყოფდა. სამი დღის შემდეგ კი გამოტყდა, რომ მასაც შეკვეთილი ჰქონდა ეს ძარცვა და შემკვეთი ვინმე ოსტაპ რივკინი იყო, იმ აბრაამ რივკინის (ხაზინის ინსპექტორის, რომელიც 1920 წელს დახვრიტეს) ვაჟი, რომელსაც ნაქურდალი გადასცა. ოსტაპ რივკინი 3 აპრილს დააპატიმრეს და დასაკითხად „მურში“ მიიყვანეს. მას მიქაძე ესაუბრა, ჩვენება ჩამოართვა და საქმეში ჩაკრა. ოსტაპ რივკინმაც თქვა დაკითხვისას, რომ ბროში შემკვეთს გადასცა. პატიმარიც და მისი ჩვენებაც უშიშროების კომიტეტმა იმავე დღეს გადაიბარა, მიქაძეს კი მაიორმა სიდოროვმა უთხრა:

– ამხანაგო მიქაძე, საქმე გვაქვს სახელმწიფო დანაშაულთან, და ეს უკვე ჩვენი კომპეტენციაა. რაც გაიგონეთ და წაიკითხეთ, სამუდამოდ დაივიწყეთ. ამ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს და მისი ნებისმიერი დეტალის გამჟღავნებისათვის პასუხისმგებლობა გენიჭებათ.

შალვა მიქაძე მეორე დღესვე დააწინაურეს, მაიორის ჩინი უბოძეს და სამუშაოდ შორეულ აღმოსავლეთში გადაიყვანეს. მან პოლკოვნიკობას მიაღწია და 1993 წელს გარდაიცვალა.

მართალია, ბროშს ვეღარ მიაკვლიეს, მაგრამ, გრიფდადებული საქმე უშიშროებამ გამოიძია და ეგრეთ წოდებული „მზის თაყვანისმცემელთა“ ორდენის საქმე გახსნა. მოგვიანებით ამ საქმეს გრიფი „საიდუმლო” მოუხსნა და გამოქვეყნებული მასალებით გაირკვა, რომ ორდენის წევრები ფარული ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და მართვის სადავეების ერთ ხელში მოქცევას ცდილობდნენ. მათი გეგმით, იმ ფარულ ხელისუფალს, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკურ და სულიერ სადაავეებს დაუფლებოდა, მზის ნიშანი უნდა ჰქონოდა და ქურდობაც ამიტომ შეუკვეთეს. ორდენის წევრთა უმრავლესობა 15-15 წლით ჩასვეს ციხეში, მათი ხელმძღვანელი კი უკვალოდ გაქრა, ისევე უკვალოდ, როგორც 1800 წელს დამზადებული ნაპოლეონის ძვირფასი ბროში.

ნიკა ლაშაური

როგორ აღმოაჩინეს მოკლული ახალგაზრდა მამაკაცის გვამი კარადაში და რას მალავდა მისი სახლის მეპატრონე

წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი 55 წლის ლიზა ხ-ია სამართალდამცველებმა ახალგაზრდა მამაკაცის განზრახ მკვლელობისთვის დააკავეს. მას ბრალად დაედო 29 წლის ვოვა კ-შვილის მკვლელობა, რომელიც მის ბინაში დროებით ცხოვრობდა. მკვლელობის შესახებ სამართალდამცველებისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ, ანონიმური ზარის შემდეგ გახდა ცნობილი. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი კარადაში დახვდათ გადამალული.

გარდაცვლილს დანით ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ორივე ჭრილობა ვოვა კ-შვილს გულ-მკერდის არეში ჰქონდა მიყენებული. შემთხვევის ადგილზე, იმის მიუხედავად, რომ როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მკვლელობა ერთი დღით ადრე იყო ჩადენილი, დანაშაულის კვალი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო – სისხლიანი გახლდათ იმ პატარა ბინის ყველა კუთხე, სადაც ვოვა კ-შვილი ქირით ცხოვრობდა. მისი გასისხლიანებული გვამი კი ტანსაცმლის კარადაში იყო დამალული. როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, სამართალდამცველებს მკვლელობის შესახებ ლიზა ხ-იას მეზობელმა შეატყობინა. მისი განცხადებით, ქალი გვიან ღამით მდგმურის სახლში საეჭვოდ გადაადგილდებოდა და უცნაურად იქცეოდა. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „მე და ლიზა ეგრეთ წოდებულ იტალიურ ეზოში ვცხოვრობთ, ლიზა პირველ სართულზე, მე – მეორეზე. ჩემი სახლიდან მისი ბინის კარი და ფანჯრები კარგად ჩანს. ლიზა უცნაური ქალია, კონფლიქტური, შესაბამისად, არც ჩემთან და არც სხვა მეზობლებთან ურთიერთობა არ აქვს. ექვს თვეზე მეტია, არ მელაპარაკება, მაგრამ იმ ღამეს, ჩემდა გასაოცრად, ეზოდან დამიძახა და წნევის აპარატი მთხოვა. როგორც მერე გავიგე, თურმე, უკვე მოკლული ბიჭისთვის წნევის გაზომვას ცდილობდა.”

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, მეზობლებმა ვოვა კ-შვილის დროებით საცხოვრებელ ბინაში ერთი უცხო მამაკაცი და ორი ახალგაზრდა ქალბატონი შენიშნეს. ბინიდან ისმოდა ქეიფის ხმაც. ცოტა უფრო მოგვიანებით, როცა სავარაუდოდ, სტუმრებმა ახალგაზრდა ბიჭის ბინა დატოვეს, მეზობლებმა შენიშნეს ლიზა ხ-ია, რომელიც მდგმურის სახლიდან გინებით და ჩხუბით გამოვიდა. ამონაწერი მოწმის თამილა ქ-ძის ჩვენებიდან: „ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, დავინახე, როგორ გამოვიდა პირველ სართულზე მდებარე ბინიდან ლიზა, ეტყობა, ნასვამი იყო, რადგან ხმამაღლა იგინებოდა. ზოგადად, ლიზა ბევრს სვამდა და საკმაოდ კონფლიქტურიც იყო. ალბათ, ორი საათი იქნებოდა გასული, როცა გავიგონე როგორ დაუძახა მეზობელს და წნევის აპარატი სთხოვა. მეზობელმა აპარატი ათხოვა. მე დავიძინე, არაფერი აღარ გამიგია, რა ხდებოდა ეზოში. მეორე დღეს ჩემმა მეზობელმა ნანამ მითხრა: წუხელ ლიზამ წნევის აპარატი გამომართვა, მდგმური მყავს ცუდადო. დღესაც ძალიან საეჭვოდ რამდენჯერმე შევიდა მის ბინაში, თუმცა თავად ვოვა არ ჩანსო. მეზობლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ლიზას ახალგაზრდა მდგმურთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ამას ვერც დავადასტურებდით და ვერც უარვყოფდით. ეს არც იყო ჩვენი საქმე, თუმცა, ლიზა რომ ბიჭის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, ყველა ვხვდებოდით. მისი მძიმე ხასიათიდან გამომდინარე, ეს ცოტა უცნაურად გვეჩვენებდა“.

საქმის მასალების მიხედვით, ლიზა ხ-იამ, რომელიც წარსულშიც ნასამართლევი იყო, ახალგაზრდა მდგმური ეჭვიანობ-

ქალი მის მეზობელ მოკლული ბიჭისთვის წნევის გაზომვას ცდილობდა

ის ნიადაგზე მოკლა. ამის შესახებ, მოგვიანებით, თავად დაკავებულმაც აღიარა. ამონაწერი ლიზა ხ-იას ჩვენებიდან: „ვოვა ერთ წელზე მეტხანს ცხოვრობდა ჩემს ბინაში. თავიდან ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ, ხშირად ვჩხუბობდით. მერე ძალიან მივეჩვიე. მის მიმართ სიმპათია გამიჩნდა. როცა ვოვას ეს ვუთხარი, მითხრა, მეგობარი ქალი მყავსო. ამის მიუხედავად, მის მიმართ ისეთი გრძნობა მქონდა, ვერ ვმალავდი. როცა ვოვასთან სტუმრად ახალგაზრდა გოგოები მოდიოდნენ, ძალიან ვეჭვიანობდი. ბოლოს გოგონების მოყვანა ავუკრძალე. დამმორჩილდა, სახლში არავინ მოჰყავდა, მაგრამ ვცოდი, რომ ერთ ახაგაზრდა ქალს ხვდებოდა, რის გამოც ძალიან გაბრაზებული ვიყავი.” როგორც სამართალდამცველებისთვის თავად ლიზა ხ-იასგან გახდა ცნობილი, მკვლელობის დღეს მან ვოვასთან სტუმრად მოსული ის ახალგაზრდა ქალი ნახა, ვისზეც ეჭვიანობდა. ნასვამი ლიზა ხ-ია გვიან ღამემდე დაელოდა, როდის წავიდოდნენ სტუმრები მდგმურის ბინიდან. სახლის მეპატრონე ბიჭს თავზე დაადგა და საქმის გარჩევა დაუწყო, რასაც მათ შორის შელაპარაკება მოჰყვა. ლიზა ხ-ია ბინიდან ჩხუბითა და გინებით გამოვიდა. თუმცა, ერთი საათის შემდეგ, საკუთარი გასაღებით მალულად შევიდა ბინაში და მძინარე ვოვა კ-შვილს, რომელიც საწოლში იწვა, დანა ორჯერ დაარტყა. მოგვიანებით, დაკავებულმა ქალმა განაცხადა, რომ მდგმურს დანით ისე გაუსწორდა, საკუთარ საქციელს არ აცნობიერებდა. ბიჭი საწოლში, მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. ლიზა ხ-იას განცხადებით, მეზობელს წნევის აპარატი გამოართვა და გარდაცვლილს წნევა გაუზომა. შემდეგ კი ბიჭის ცხედარი საწოლიდან გადმოათრია და ტანსაცმლის კარადაში დამალა. გამოძიების კითხვაზე, თუ რატომ გაუსინჯა მკვლელმა წნევა გარდაცვლილს და რატომ დამალა გვამი კარადაში, ბრალდებულმა უპასუხა, რომ ეს ქმედებები სიმთვრალის გამო ჩაიდინა. თუმცა, გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალს სურდა, დანაშაული ისე შეენიღბა, მკვლელობა რომელიმე სტუმარს, მათ შორის, ახალგაზრდა მამაკაცის მეგობარ ქალს დაბრალებოდა და მისი ქმედებებიც ამით იყო განპირობებული. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მის მიერ ჩადენილი მკვლელობა. დამნაშავის სასტიკად დასჯას მოითხოვდა დაზარალებული მხარე. ბრალდებული ქალის ახლობლები – და და დისშვილები მისთვის სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვდნენ. მათი განცხადებით, ლიზა ხ-ია ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება იყო, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზამ არ დაადასტურა ქალის არაჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობა. მის მიერ ჩადენილი არაადეკვატური ქმედებები ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებით აიხსნა. სასამართლომ ლიზა ხ-ია დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ბრალდებით და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ეკა ბარაბაძე

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

ქალური ლოგიკა

დევიდ კუკი

ყველაფერი იდეალურად გათვალა: ბურბონის ბოთლი დიდი ხნით ადრე მოწამლა – დარიშხანი ჩაყარა, მერე კი მათ ერთ-ერთ შემკვეთს სავიზიტო ბარათი გაუგზავნა... ლოდინი უსასრულოდ გაიწელა. ჰარი ბეინსლიმ ლამის იმედი დაკარგა, რომ ეს ოდესმე მოხდებოდა. ფირმას პრობლემები ჰქონდა. ქალების მოდური შლაპების კერვა და გაყიდვა მომგებიანი საქმე იყო, მაგრამ, ბეინსლის ნოვატორულ იდეებს ნორმანი არ იზიარებდა, ჰარის კი ისე უნდოდა ფირმაში ახალი სიცოცხლე შემოეტანა! აი, ფირმის ერთპიროვნული მფლობელი რომ ყოფილიყო და არა მხოლოდ კომპანიონი... ჰარი ბეინსლიზე ვერავინ იფიქრებდა, რომ მას ადამიანის მოკვლა შეეძლო. პირდაპირ არც მოუკლავს, მხოლოდ განიზრახა, მერე კი დაელოდა... და, აი, ნორმანი მკვდარი იპოვეს თავის კაბინეტში და არა საკუთარ სახლში, როგორც ამას ბეინსლი ვარაუდობდა. გარდაცვლილს თავი პირდაპირ საბუღალტრო წიგნებზე ედო... შეიძლება, ეს კარგიც იყო – პოლიციას შეეძლო, ეფიქრა, რომ ფირმის ფინანსურ პრობლემებზე ფიქრმა გაუხეთქა გული... მერე ექსპერტიზას ჩაუტარებდნენ, დაადგენდნენ, დარიშხანით რომ იყო მოწამლული; გამოიძიებდნენ, როგორ აღმოჩნდა ბურბონი ნომანთან და იპოვიდნენ ღია ბარათს... ის კაცი ყველაფერს უარყოფდა... – ერთი სიტყვით, ბეინსლიზე არავინ მიიტანდა ეჭვს, რამდენიმე კვირის შემდეგ კი ახალი ცხოვრება დაიწყებოდა: ფირმას განაახლებდა, მერე ვირჯინია ჰენრის შეირთავდა ცოლად – ეს ოქროსფერკულულებიანი, ბავშვურად გაბუსხულტუჩებიანი ქალიშვილი თავგზას ურევდა... საზიზღარი ნორმანი მასთან ფამილარულად იქცეოდა და გოგოც ადამსს ეძახდა, მას კი მხოლოდ „მისტერ ბეინსლით" მიმართავდა, რაც ჰარის აცოფებდა. ვირჯინია ორივე კომპანიონის მდივან-სტენოგრაფისტად მუშაობდა. ადამს ნორმანის კაბინეტიდან მხიარული სიცილით გამოდიოდა ხოლმე და სახეზე ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. ბეინსლიმ არ იცოდა, რა დამოკიდებულება იყო მათ შორის, ამიტომ, ეჭვები კლავდა და უფრო მეტად იბოღმებოდა.



პოლიციის კაპიტანი მაქს პირსი ბეინსლისთან კაბინეტში მივიდა. ჰარის თავი მშვიდად და ცოტათი ირონიითაც კი ეჭირა. ის ელოდა, როდის დაიწყებდა კაპიტანი ლაპარაკს... პასუხებისთვისაც მზად იყო...

– დიახ, ფირმას ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ, არც ისეთი საგანგაშო... შეიძლებოდა, ეს ნორმანის თვითმკვლელობის მიზეზი გამხდარიყო? ამაზე არ უფიქრია... კომპანიონები კი იყვნენ, მაგრამ, მეგობრები – არასოდეს... მასთან სახლშიც მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი... არა, მისი საყვარლების შესახებ არაფერი იცის... რამდენიმე ნამდვილად ჰყავდა... დალევაზეც არ ამბობდა უარს... თუ რამე კიდევ გამახსენდება, აუცილებლად შეგატყობინებთ, – უთხრა ბოლოს.

იმავე დღეს, კაპიტნის წასვლის შემდეგ, ჰარიმ ვირჯინია თავისთან დაიბარა. კაპიტანი თავისი კითხვებით იმ ვერსიის სისწორეში არწმუნებდა, რომელიც დეტალურად შეიმუშავა.

– ვირჯინია, საღამოს რესტორანში გეპატიჟები. ვივახშმოთ და ვილაპარაკოთ ფირმის მომავალზე. ახლა, როცა მისი ერთადერთი მფლობელი ვარ, ყველა იმ ჩანაფიქრს განვახორციელებ, რომლებზეც ნორმანი უარს მეუბნებოდა... შენი ცხოვრებაც შეიცვლება, ვირჯინია...

ქალიშვილმა თავი დახარა. აშკარად არ იზიარებდა მის აღფრთოვანებას. თვალებიც ნამტირალევი ჰქონდა და ბეინსლიმ ეს თავისებურად გაიგო.

– ვიცი, ნორმანი შენს მოხიბვლას შოკოლადითა და სუნამოებით ცდილობდა... მე უფრო ძვირად მიღირხარ. როცა კომპანიას განვაახლებ, შენზეც ვიზრუნებ – საუცხოო ტანსაცმელს გიყიდი...

– დღეს ვერსად წამოგყვებით...

– არა უშავს, ხვალ იყოს. ფრანგულ რესტორანში წავიდეთ...

ქალმა არაფერი უპასუხა. მაგრამ მეორე დღეს, დათქმულ დროზე რესტორანში მივიდა. საოცრად ლამაზი იყო თავისი საღამოს მწვანე კაბითა და დახვეწილი პატარა შლაპით. ბეინსლი უყურებდა და სხეულში ჟრუანტელი უვლიდა. ფიქრობდა, ახლა ეთხოვა ხელი თუ მერე... სახლში რომ მიაცილა, სთხოვა, ყავაზე ამოვალ ბინაშიო... ვირჯინიამ უარი უთხრა – ახლა ძალიან დაღლილი ვარო. ჰარიმაც გაუგო...

მეორე დილით კომპანიაში მისულს კაპიტანი თავის კაბინეტში დაუხვდა. არ მოეწონა ეს ამბავი, მაგრამ, არ შეიმჩნია.

– რამე ახალია, კაპიტანო?

– სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მივიღე – თქვენი კომპანიონი მოკლეს. ვის შეიძლებოდა, ნდომოდა მისი სიკვდილი, მტრები ჰყავდა?

– წარმოდგენა არ მაქვს. ხომ გითხარით, მეგობრობა არ გვაკავშირებდა-მეთქი. თქვენ რაიმე იდეა გაქვთ, კაპიტანო? მე ვიცი, რომ მკვლელები ტოვებენ სამხილებს.

– ყოველთვის არა, – თავი გააქნია კაპიტანმა, – მაგრამ, მკვლელს აუცილებლად სჭირდება მოტივი. რა თქმა უნდა, მკვლელი მამაკაციც შეიძლება იყოს და ქალიც...

– იმის თქმა გინდათ, რომ ჩვენ ყველანი ეჭვის ქვეშ ვართ, უპირველესად კი – მე! რატომ? იმიტომ, რომ ნორმანის სიკვდილით მე კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ვხდები?! თუმცა, ისიც უნდა აღიაროთ, რომ ჩემი მხრიდან ასეთ სისულელეზე წასვლა ყულფში ნებაყოფლობით თავის გაყოფა იქნებოდა.

დეტექტივმა გაიღიმა:

– სრულ სიმართლეს ბრძანებთ, მისტერ ბეინსლი. გულახდილი ვიქნები თქვენთან: თავიდანვე თქვენზე მივიტანე ეჭვი. იმაშიც დავრწმუნდი, რომ მკვლელობა იყო. ძალიან ვცდილობდი, რამეში გამომეჭირეთ, მაგრამ, თავი ძალიან კარგად გეჭირათ – გაუძელით გამოცდას. წავედი, მკვლელი უნდა ვეძებო.

– მე ისევ ეჭვის ქვეშ ვარ?

– დიახ. ასე იქნება, სანამ ნამდვილ მკვლელს არ დავიჭერთ.

– მისი ბინა უკვე დაათვალიერეთ? – ფრთხილად იკითხა ბეინსლიმ.

– დიახ. ყველა საეჭვო ნივთიც ამოვიღეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

კაპიტანი რომ წავიდა, ბეინსლი დაფიქრდა. შედიოდა თუ არა საეჭვო ნივთებში მოწამლულბურბონიანი ბოთლი, მან არ იცოდა. მაგრამ, ახლა ვირჯინიაზე ფიქრობდა. ზარს თითი დააჭირა და თავის კაბინეტში მოიხმო...

– ვირჯინია, რატომ უნდა გადავდო ეს ამბავი? მე თქვენ მიყვარხართ და, მინდა, ცოლად შეგირთოთ. ვიზრუნო თქვენზე, მოგიაროთ და გაგანებივროთ.

– თქვენ იდიოტი ხართ! – მიახალა უცებ ქალმა და ბეინსლის შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა.

– რესტორანში რატომ გამომყევით?

– კაპიტანმა მთხოვა. რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებით, უტვინო, საცოდავო არსებავ! თავი კომპანიის ერთადერთი მფლობელი გგონიათ? არც კი იცით, რომ სიკვდილამდე ორი კვირით ადრე მე და შენმა პარტნიორმა ოფიციალურად ვიქორწინეთ! დიახ, თანაც, მთელი მისი წილი ჩემს სახელზე გადმოვიდა!

ბეინსლის სუნთქვა შეეკრა:

– ეს... ეს შეუძლებელია...

– ძალიანაც შესაძლებელია... მე ისიც ვუთხარი კაპიტანს, რომ მხოლოდ თქვენ გქონდათ ჩვენი საწყობის გასაღები.

– საწყობის გასაღები? ეგ საერთოდ რა შუაშია ნორმანის სიკვდილთან?

ვირჯინიამ გაიცინა:

– როგორ, თქვენ არ იცით, როგორ მოკვდა ჩემი საწყალი ქმარი?

– აარა... – ენა დაება ბეინსლის – მე საერთოდაც ვფიქრობდი, რომ ეს მკვლელობა კი არა, უბედური შემთხვევაა – საბუღალტრო წიგნების შემოწმებისას გული გაუჩერდა.

– არა, გული ნამდვილად არ გაუჩერდა! ჩემი საყვარელი მეუღლე მოკლეს იმ ქინძისთავით, რომელიც თქვენი ნოვაცია იყო შლაპების მოსართავად – გრძელი, ლალისთვლიანი ქინძისთავი... გეთანხმებით, მშვენიერი აქსესუარია, მაგრამ, იმისთვის არა, რომ ვინმეს ყურში შეურჭო.

– ეს, ეს შეუძლებელია... წარმოუდგენელია... გამოდის, თქვენ მოკალით ის?..

ქალიშვილმა ეშმაკურად ჩაიცინა:

– ხომ არ აპირებთ, კაპიტანს დაურეკოთ და მოუყვეთ, როგორ მოვიშორე თავიდან ქმარი, რომ მისი ქონება მიმეთვისებინა? სცადეთ, მაგრამ, ამას დამტკიცება სჭირდება. თანაც, თქვენ ის კაცი ხართ, რომელიც დიდ სიყვარულს მეფიცებოდა...

– გადით, გადით ჩემი ოთახიდან!.. – ამოიხრიალა ბეინსლიმ...

ვირჯინიამ გადაიკისკისა და გავიდა.

ბეინსლი ცოტა ხანს თავდახრილი იჯდა, მერე საწერი მაგიდის უჯრიდან რევოლვერი ამოიღო და დამცველი გახსნა...

ვირჯინიამ გარკვევით გაიგონა გასროლის ხმა – ის ახლა კომპანიის ერთადერთი მეპატრონე იყო, თანაც – ქვრივი და აბეზარი თაყვანისმცემლისგანაც თავისუფალი...

თარგმნა
ნინო წულუკიძემ

ჩვენს რუბრიკაში ერთი და იმავე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.

რატომ ვერ გახდა დონჟუანი იური მეჩითოვი

– ვინ ხართ? გაგვეცანით.

– ერთი გიჟი ადამიანი – იური ვარ მეჩითოვი. მეჩიტოვი ვარ პასპორტოთ – „ტ" და „თ" – მეჩითოვი ვარ არსით. იმიტომ რომ, ჩვენი გვარი მოდის მეჩითიშვილებიდან. გორის რაიონი სოფელი ზერტია ჩვენი საბუდარი, იქიდან მოვდივართ.

– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან...

– წლისა და 3 თვის ვიყავი, არ მახსოვს, რა თქმა უნდა ეს, მაგრამ დამრჩა, თუ გამყვა ამის შემდეგ დიდხანს შიშის გრძნობა, რადგან ვკვდებოდი. ჩემმა „გამოუცდელმა" მშობლებმა გამიყვანეს ქობულეთში პლაჟზე, აგვისტოში და 3 საათი დამაგდეს სანაპიროზე, წყალში. ვთამაშობდი, იმათაც უხაროდათ, რომ მე არ ვაწუხებდი. დავიწვი, დამეწვა ყველაფერი. სისხლის გადასხმა დამჭირდა ძლივს გადამარჩინეს. ეს შიში ისე ჩამენერგა გაუცნობიერებლად, ლამის მთელი ცხოვრება დამჭირდა მისგან გასათავისუფლებლად.

– დაახასიათეთ საკუთარი თავი.

– სევდიანი მოხალისე ვარ... ხალისიანი სევდიანი... ტრაგიკული, თუ როგორ გითხრათ... უფრო ტრაგიკომედიური ვარ.

– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ.

– სასაცილო და არარეალური იყო ის, რომ სადღაც სოციალურ ქსელში „ქართველი ერის მოძულე იური მეჩითოვი" – მიწოდეს.

– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?

– მე მგონი, ძალიან სწორი არჩევანი გავაკეთე. ახლა ვფიქრობ კიდეც, ფოტოგრაფია, რომ არ ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში, რა ჩემ ფეხებს გავაკეთებდი?!

– როგორიც სხვებს ჰგონიხართ, სინამდვილეშიც ისეთივე ხართ?

– ყველას ვგონივარ უდარდელი, ფეხებზემკიდია ადამიანი. სინამდვილეში, ძალიან დარდიანიც ვარ. მაგრამ, ვდარდობ მთელ უგუნურ კაცობრიობაზე. ერთი ანეკდოტია ამაზე: კაცი პიჯაკს იკერავს და ბევრჯერ მიიყვანა მკერავმა – ხან ზომის აღება დაავიწყდა, ხან რა, ხანაც რა... გაბრაზდა ეს კაცი და უსაყვედურა: რა არის, კაცო, ღმერთმა ერთ კვირაში სამყარო შექმნა და შენ ერთი პიჯაკი ვერ შეგიკერიაო?! მკერავი არ დაიბნა და კითხვა შეუბრუნა: მერე, მოგწონს შენ ეს სამყაროო? *(იცინის)...*

– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს?

– უკეთესი იქნებოდა, დონჟუანი ვყოფილიყავი, მაგრამ არ გამოვიდა ჩემგან დონჟუანი... მგონი, დაბალი წნევის გამო *(იცინის).*

– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?

– მომწონს, რომ ხალისიანი ვარ ცხოვრებისადმი და ბავშვური აღქმა მაქვს. ხელოვნებისთვის ეს მთავარია. არ მომწონს, რომ ზოგჯერ უიმედობა მიპყრობს, მაგრამ ეს გლობალური უიმედობაა და არა ყოველდღიური.

– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ?

– არ ჩამიდენია დიდი სისულელეები. ეს შეიძლება, ცუდად მეტყველებს ჩემზეც, იმიტომ რომ, მასშტაბი ადამიანის ასეთია: როცა დიდი ადამიანი ხარ – დიდ სისულელეებს ჩადიხარ. მე – არა... თუმცა, ჩემს ცოლს რომ ჰკითხოთ, ის სხვაგვარად ფიქრობს *(იცინის).*

– ყველაზე მეტად მიყვარს...

– რაღაცის შექმნა, შეიძლება იყოს ეს ტექსტი, ფოტოგრაფია, შეიძლება – სიყვარულის აქტიც.

მე მგონი, ჩემი პიკი ახლაა, დღევანდელობაში

– როდის გრძნობთ თავს უხერხულად და როგორი ხართ ამ დროს?

– ზოგჯერ, როცა არ დავიჭრი დროზე ფრჩხილებს, უხერხულად ვარ, მეშინია, არ დამინახონ. მაგრამ მაინც, ყველაზე მეტად უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა ჯიბეში ფული არ მაქვს.

– საერთოდ ფიცხი ხართ?

– ფიცხი ვარ, როცა რაღაც მრწამსს ეხებიან, იმიტომ რომ, მე გამაჩნია რაღაც პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე, ჩემი შვილიშვილებიც კაცობრიობის ნაწილია, მოგეხსენებათ. როცა ხალხი ლახავს ამ ჩემს პასუხისმგებლობას და ამბობს: შენზე დამოკიდებული არაფერი არ არის, შენ ნუ ხიპიშობ და დაეტიე შენს კოლოფშიო, ყველაზე მეტად ეს მაღიზიანებს. ამაზე შეიძლება, გავაფრინო ძალიან სერიოზულად.

– როგორი ხართ გაბრაზებული?

– გაბრაზებული როცა ვარ, ვწივივარ და ვკივივარ. საერთოდ, არ უნდა დაიგროვო ბოღმა და ყველაფერი უნდა ამოაფრქვიო. ოჰ თქვენი... საგინებელი უნდა შეაგინო!

– მეშინია...

– რომ შემეშინდეს.

– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?

– ყველაზე მეტად, რომელიც გამომადგა და რომელმაც გამირთულა ცხოვრება, რადგან მე ხელოვნებაში შემტენა, არის ჩემი დიდი მეგობრის, მარკ პოლიაკოვის სიტყვები: „შენ იურა, კი იღებ ფოტოებს, მაგრამ არ აკეთებ ამ საქმიდან ხელოვნების აქტს. ხელოვნება არის გზავნილი, შენ კი წინასწარ არ ფიქრობ იმ გზავნილზე, რომელსაც შენი ნამუშევრით იტყვი."

ერთხელ ფარაჯანოვთან მივიტანე ჩემი გადაღებული სურათი, რომელიც მომეწონა. მან კი გადამიგდო – ასეთი ასობით უნდა მომიტანოო. მერე დამარიგა. თუ რამეს არ აკეთებ ვნებით, ის არ გამოგივაო. ვნება უნდა იყოს ჩადებული ნებისმიერ საქმეში, რომელსაც მოეკიდები.

თუ გინდა, იცოდე ბედნიერი კაცი ვინ არის, იცოდე, ბედნიერი კაცი ვარ მე. იმიტომ რომ, უამრავი ადამიანი დამხვდა გზაზე ზუსტად იმ დროს, როცა მჭირდებოდა. მათ დამარიგეს, მიმართულება შემიცვალეს. ყველაფერი გამიკეთეს. მე მათი ძალიან მადლიერი ვარ. ამ მადლიერების გადახდა შემიძლია მხოლოდ ერთით – ვინც ცოცხალია, ხომ ახლაც პატივს ვცემ და ვეთაყვანები, ვინც წავიდა, იმათაც ვეთაყვანები.

– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...

– უნდა იყო ბედნიერი, მიუხედავად ყველაფრისა.

– რისთვის ღირდა ცხოვრება?

– ცხოვრება ღირს მაშინ, როცა შენ ერთხელ გეძლევა შანსი, რაღაცით დაამტკიცო შენი მეობა. ყველა გრძნობს ღვთის წინაშე, რომ განუმეორებელია. ბევრი დაჩაგრულია იმით, რომ ამ განუმეორებლობას ვერ ამჟღავნებს. ადამიანის ყველაზე დიდი ჩაგვრა ხდება მაშინ, როცა ის რაღაც კალაპოტში ჯდება და ვერ გამოდის იქიდან, ვერ ავლენს თავის პოტენციალს, რომელიც ჩადებულია. ანუ, უკეთესია, რომ ის კმაყოფილი იყოს თავის ცხოვრებით. იმიტომ რომ, უკმაყოფილო ხალხი ბოროტებისკენაა მიდრეკილი.

– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?

– ბევრ რამეს არ გავაკეთებ. ჩემთვის ფული ბევრს არ ნიშნავს. არის რაღაცეები, რომლისთვისაც არ გავიყიდები არასდროს. მაგალითად: ბოროტებას არ ჩავიდენ არასდროს გაცნობიერებულად.

– რაზე არ ამბობთ არასდროს უარს?

– ღვინოზე. ნებისმიერ დროს, საჭესთანაც რომ ვიყო, თუმცა, მაშინ მხოლოდ ერთი ჭიქით შემოვიფარგლები.

– ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიგიღიათ...

– ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, რის გამოც მამაჩემი არ მელაპარაკებოდა ერთი თვე, როცა ინჟინრობას დავანებე თავი. მე ვიყავი ინჟინერი და მამაჩემს ეს ძალიან უხაროდა. სამნახევარი წელი ერთ უწყებაში ვიმუშავე, მერე ნახევარი წელი მეორეში. 95-100-მანეთიანი ინჟინერი ვიყავი. ანუ, მამაჩემს ძალიან ეწყინა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან სწორი გადაწყვეტილება.

– როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სიბერეში?

– ვერ წარმომიდგენია. ახლაც, 64 წლის კაცი ვარ და ზოგჯერ რაღაც მიხრა-მოხრას რომ ვერ გავაკეთებ, ეს უკვე მაღელვებს.

– რელიგიური ხართ?

– არც ერთი აღმსარებლობის არ ვარ, მაგრამ მოწიწება მაქვს რაღაც დიდი, გაუცნობიერებული ძალების მიმართ.

ეკა სალაღაია

მშობელი
მსახიობი კურტ....
გამხმარი ხილი
სარტყელი
კეთილი
ლერმონტოვის პოემა
გორბაჩოვის ცოლი
სადინარი
ნედლეული
ქრიჭინას ნამდვ. სახელი
შექსპირის მეფე
საფუტკრე
ქალის სახელი
(.....)-თავი
სანერი
მრგვალი რიცხვი
ცელქი
ევროპელი თავადი
ჩონგურის ნანილი
პროზაული ნანარმოები
ინდური კაბა
ფრინველი
კინოფოტო ნედლეული
კავკასიელი
ბანქოს კოზირი
სისველე
სურათი
უსიტყვი მსახიობი
ისტორ. ზავის ქალაქი თურქთში
კუპრინის ველური ქალი
ყირგიზული ეპოსი
ბანაკშია
მეცხვარის სამოსი
მიდამო
ეგნატეს ფირალი
კანტორა ახლა
ხანუმას მეგობარი
ავეჯის ნანილი
რა არის პოეზია?
ჩვენი მოჭადრაკე ქალი
იდეა ანუ?
პერაკლემ თავლა დაულაგა
სიკვდილ ასეთიც არის
ძლიერი შხამი
ავტომობილის ძარა
ინერტულობის საზომი
ვაქასეული აღაზას ძმა
მაუწყებლობა
გარეგნობა
უუფლებო ადამიანი
ნორმა, შეზღუდვა
დროშა
მავნებელი მწერი
ქიულ ვერნის კაპიტანი
ფეხბურთის მამიდაშვილი
დაბლობი
მარტოწყოფი
ამერიკელის მეტსახელი
არის ასეთი დათვი
(.....) რამშვილი
სახელური
ქალის სახელი
პატარა თითი
მოკაშკაშე
ცნობილი რუმინელი პამპირი
„ტანო ტატანო“ უყვარს ქალიან
გარეული ღორი
ჟუჟუი სამოსზე
შენობის ნანილი
ბულბას აქვია
ციმბირის გაზის სატადო (.....)-გოი
დიდი ინდოელი
ბუსუსი
ქამის სურვილი
მრგვალი რიცხვი
უზენაესი არსება
ჩაკეტილი ქუჩა
დიდი რიგელი მოჭადრაკე
(.....) სოხაძე
იალქანი
თანაბარი შედეგი
პირამიდის ბინადარი
სწრაფად
უმალ, ჩქარა
ფართობის საზომი
პატარა არკადი
ცეცლის ენა
რაღაც ერთთან დარჩენილის გამოსახატავი სიტყვა
კავკასიონის ხეობა
ირანის ფული
კვლავ ანუ?
ბოროტი
„ლურჯი“ თვე
ინდოეთის შტატი
ანდების „აქლემი“

																3																		
																2			6															
													5			3			5	6						6	12			9	6			
											7	5				3	5	6	5	7	6	5	4	5	5	2	1	12	13	1	1	1	1	
					1	6	9	10	11	14	13	5	2	12	12	1	12	12	2	5	13	14	11	10	9	6	1	1	1	1	1	1	1	6
				6																														
				9																														
				11																														
				12																														
				12																														
			4	6																														
				5																														
				5																														
				4																														
				5																														
				6																														
1	1	1	1	6																														
		4	4	5																														
			13	5																														
			15	5																														
		8	8	3																														
	6	5	6	1																														
			19	6																														
			19	1																														
6	3	3	6	1																														
			21	1																														
			21	1																														
		7	5	15																														
			10	10																														
				23																														

სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

3	9		2		8	6		
		1		7			8	2
2	5		3					
	3	2	6		4	7	5	
1		6	7				2	4
4	7			9		1		6
	2		1			8		9
8	6		4		9		7	
			5	8	6	2	4	3

რთული ამოცანა

4	2			3			6	
8			1			3		
		1			7		5	
5			4			2		
		4			3			7
	8		9		2		4	
7				8	6			
1						8	7	4
3	5	8						

ისწავლეთ ხატვა ბატონ ერითავი

1. ექვსიანით დაიწყეთ მუტფიცმის გმირის ხატვა

2. მიახატეთ ნისტარტი

3. დაასრულეთ ნისტარტის ხატვა

4. გამოუკვეთეთ ყელი



5. მიახატეთ თვალი



6. შემდეგ – ქოჩორი

7. დაასრულეთ ნახატი

თბილისელების №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

იპოვეთ 10 განსხვავება

დაეხმარე გზის გაკვლევაში



ქაღალდის მერცხალი

მერცხალი თქვენთანაც დაიდებს ბინას, თუკი ცოტას გაირჯებით. დაგჭირდებათ მაგარი ძაფი, შავი ქაღალდი, თეთრი ქაღალდი და წებო. თვალების გასაკეთებლად ან ძველი სათამაშოს „მბრუნავი“ თვალები გამოიყენეთ, ან თქვენ თავად გაუკეთეთ, ან – მიახატეთ.

დახედეთ სურათებს. შავი ფურცელი გადმოაბრუნეთ თეთრი მხრიდან და დახაზეთ ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები, მერე გამოჭერით და ააწყვეთ. მერცხლის ტანის შესაკვრელად გამოიყენეთ სტეპლერი. გირჩევთ, ყველა დეტალი ორ-ორი გამოჭრათ და ერთმანეთზე დააწებოთ – ასე თქვენი სათამაშო უფრო ლამაზი და მყარი გამოვა.

რიცხვრებუსი

,20, 1,,, 0,,

მგელი და მწყემსი
(იგავ-არაკი)

ერთი მგელი ფარას უვლიდა, ცხვარს კი არ ეკარებოდა, მწყემსი ჯერ ფრთხილობდა და მგელს გულდაგულ დარაჯობდა, მერე კი როცა ნახა, მგელი ავს არაფერს კადრულობდა, იფიქრა, მოყვრულად მოსულა და ფარას დარაჯობსო.

მწყემსი ერთხელ სავაჭროდ ქალაქს წავიდა. ცხვარი მგლის ამარა დატოვა და უპატრონეო, დაუბარა. მგელსაც ეს უნდოდა, დრო იხელთა და ფარას მუსრი გაავლო. მწყემსი შინ დაბრუნდა, გაჩანაგებული ფარა რომ ნახა, თქვა: ახია ჩემზე, მგელს როგორ მივენდეო.

თუ კაცი თავის ქონებას ხარბსა და ვერცხლის მოყვარულს ანდობს, უნდა იცოდეს, რომ ჰკარგავს მას.



თამარ მეფის შვილიშვილი გურჯი ხათუნი 13 წლის ასაკში გაუთხოვებიათ რუმის სულთანზე, სადაც მას დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. აღსანიშნავია, რომ ქართველების მიმართ არაკეთილგანწყობილი რუმის უდიდესი ისტორიკოსი იბნ ბიბი გურჯი ხათუნის შებრძანებას მათ მიწაზე, უფლის წყალობად აფასებს. თუ როგორ იქცა ეს ქალბატონი სულთნის უსაყვარლეს მეუღლედ, როგორ მოესწრო გურჯი ხათუნი ქმრის სიკვდილს და ამის შემდეგ, როგორ გათხოვდა ხელმეორედ ქმრის მკვლელზე, ამაზე ჩვენს სტატიაში გიამბობთ.

როგორ იქორწინა გურჯმა ხათუნმა ქმრის მკვლელზე და რატომ შეიცვალა მან რჯული

გურჯი ხათუნი, იგივე თამარ ბაგრატიონი, თამარ მეფის შვილიშვილი და რუსუდან მეფის ქალიშვილი იყო. ის ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ერთ-ერთი მძლავრი პოლიტიკოსი გახლდათ. გურჯი ხათუნი გათხოვდა 13 წლის ასაკში და მიათხოვეს რუმის სელჩუკთა 17 წლის სულთანს ქეიჰუსრევ მეორეს. რა თქმა უნდა, ეს ქორწინება, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, გურჯი ხათუნის სილამაზემ პოლიტიკა უკან გადადო. ის სულთანს თავდავიწყებით შეუყვარდა.

სილამაზით განთქმულ თამარს უამრავი ხელის მთხოვნელი ეყოლებოდა. ამიტომ ჩნდება კითხვა: რატომ დაუმყარდნენ ქართველები, მაინცდამაინც რუმის სულთანს. საქმე ისაა, რომ ორივე ქვეყანა დიდ პოლიტიკურ როლს ასრულებდა იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში. ქორწილს შესაძლებელია, შეეკრა კავშირი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ, რადგანაც როგორც საქართველოსთვის, ისე რუმის სელჩუკთა სახელმწიფოსთვისაც, ამ პერიოდში საფრთხეს ილხანთა მონღოლები წარმოადგენდნენ. ეს ქორწილი დიდი მოვლენა იყო, რასაც მრავალი იმდროინდელი აღმოსავლური წყაროები აღწერენ. სელჩუკთა სახელმწიფოში მრავალი მომლოდინე გაოგნებული იყო ამ 13 წლის ქართველი ქალწულის სილამაზით, სათნოებითა და გულუხვობით. მნახველები თამარს არ აკლდებოდა. საქართველოდანაც კი მას ასამდე დიდებული და ურიცხვი მდაბიო გაჰყვა. მაგალითისთვის იბნ ბიბის გადმოცემით, მრავალი ქართველი ქორწილის შემდეგ უკან არ გაბრუნებულა და სამუდამოდ დარჩა კონიაში (რუმის სელჩუკთა დედაქალაქში).

აღსანიშნავია, რომ სელჩუკთა დიდი ისტორიკოსი იბნ ბიბი არ გამოირჩევა ქართველებისადმი კეთილგანწყობით. მეტიც, სულ დამამცირებელი ეპითეტებით ამკობს მათ. თუმცა, კარდინალურად განსხვავებულია მისი შეხედულებები თამარ ბაგრატიონზე. ისე აღტაცებულია მისი გარეგნობითა და ყველა ქმედებით, ფაქტობრივად, ღმერთის წყალობადაც კი აფასებს ამ ქალის სელჩუკეთის მიწაზე მიბრძანებას.

არის გადმოცემები, რომ თვითონ ცნობილი მოხეტიალე მოარაკე, მოლა ნასრედინი, რომლის ოხუნჯობანი დღესაც კი აქტუალურია, უზომოდ იყო გურჯ ხათუნზე შეყვარებული, რის გამოც სულთანმა ის სამაგალითოდ გააწკეპლინა. გარდა ამისა, გურჯი ხათუნი უამრავი პოეტისა და მხატვრის მუზა გახლდათ.

მოლა ნასრედინი უზომოდ იქო გურჯ ხათუნზე შეყვარებული, რის გამოც სულთანმა ის სამაგალითოდ გააწკეპლინა

მუსლიმ მამაკაცებს ოთხი კანონიერი ცოლის ყოლის უფლება ჰქონდათ, თუმცა მათი ჰარამხანები, სავსე იყო ათეულობით და ხანდახან ასეულობით მანდილოსნით, რომელთა შვილებსაც შემდეგ არანაირი პრეტენზია სასულთნოზე არ უნდა გამოეხატათ. წესის თანახმად, პირველი ცოლის შვილს ჰქონდა ყველაზე დიდი შანსი, გამხდარიყო მემკვიდრის დედა.

რაც შეეხება თამარს, ის ქეიჰუსრევის მესამე ცოლი იყო, თუმცა მისმა სილამაზემ და გამჭრიახობამ, ის ქეიჰუსრევის უსაყვარლეს მეუღლედ აქცია, რამაც ძალიან გააღიზიანა სულთნის დანარჩენი მეუღლეები და გურჯი ხათუნის მოწამვლაც კი სცადეს მისი პირველი მეუღლის თაოსნობით. ამით განრისხებულმა სულთანმა პირველი ცოლი სიკვდილით დასაჯა.

ქორწილის პირობების თანახმად, თამარი ქრისტიანად უნდა დარჩენილიყო ქორწინების შემდეგაც, თუმცა რუსუდან მეფის უსაქციელობის გამო, მას არჩევანი აღარ დარჩა და ქმრის დაჟინებულო მოთხოვნის

შემდეგ რჯული შეიცვალა. საქმე ისაა, რომ რუსუდანმა თამართან გააგზავნა ლაშა გიორგის შვილი – დავითი, შემდგომში ულუდ წოდებული. რუსუდანი, დავით ლაშას ძეში თავისი შვილის, დავით რუსუდანის ძის კონკურენტს ხედავდა საქართველოს ტახტზე და ამიტომ, გურჯ ხათუნს მისი მოკვლა დაავალა. თუმცა, გურჯმა ხათუნმა, არა თუ შეასრულა დედამისის ეს დავალება, არამედ პირიქით, სრულ კომფორტსა და კმაყოფაში ამყოფებდა თავის ბიძაშვილს. ამით განრისხებულმა მეფე რუსუდანმა, საკუთარი შვილის წინააღმდეგაც გაილაშქრა და სიძეს, რუმის სულთანს მისწერა: დაბრმავებულხარ და ვერ ხედავ, როგორ გღალატობს ცოლი ლაშა-გიორგის ძესთანო. ამ ამბით განრისხებულმა ქეიჰუსრევმა ცოლი ისე სცემა, რომ სიკვდილის პირას მიიყვანა. დავითი კი დილეგში ჩააგდო. სულთანმა გურჯ ცოლს ულტიმატუმი წაუყენა, რომ აუცილებლად რჯული შეეცვალა. გურჯმა ხათუმმა ისლამი მიიღო, მაგრამ ქრისტიანული სათნოება, ისლამურ სათნოებაში ჰპოვა. ამ პერიოდში რუმის სასულთნოში მოღვაწეობდა შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე და პოეტი ჯალალ ედ დინ რუმი. გურჯი ხათუნი ამ პიროვნებას დაუახლოვდა და მისი მოწაფე, მფარველი შეიქმნა. ქეიჰუსრევი მალევე მიხვდა, რომ რუსუდანმა ის საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა და გურჯ ხათუნს პატიება სთხოვა. მათი სიყვარული ქეიჰუსრევის ბურუსით მოცულ სიკვდილამდე გაგრძელდა.

წყაროების მიხედვით, ქეიჰუსრევი აბანოში დაიხრჩო. თუმცა, ამბობენ, რომ ამ დახრჩობაში დიდი წვლილი მის პირველ ვეზირს ფერვანეს მიუძღოდა. ქეიჰუსრევის გარდაცვალების შემდეგ, რუმის სულთანი და ბატონი სწორედ ეს ფერვანე შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ გურჯი ხათუნის ქმრის მკვლელმა, იძულებითა და ძალდატანებით იქორწინა გურჯ ხათუნზეც. ფერვანეს ის სიგიჟემდე უყვარდა, ყველაფერს უსრულებდა და იმდენად ანებივრებდა, რომ უბრალო მიზეზის გამო, გურჯმა ხათუნმა, სასახლე დატოვა და ფერვანეს განერიდა. სულთანმა მის დასაბრუნებლად და პატიების სათხოვნელად, ჯალალ ედ დინ რუმიც კი გაგზავნა შუამავლად. თავდაპირველად, გურჯი ხათუნი შერიგებას იმ პირობით დათანხმდა, თუ მას ფერვანე გაეყრებოდა, მაგრამ შემდეგ ჯალალ ედ დინ რუმის დიდი მეცადინეობითა და მოთხოვნით, გურჯი ხათუნი შეურიგდა სულთანს. ამის შემდეგ მოხდა ის, რომ რუმის სელჩუკთა სასულთნოს მონღოლები შემოესივნენ და თამარი იძულებული გახდა, თავის ვაჟთან ერთად კონია დაეტოვებინა და ლტოლვილობაში წასულიყო. თუმცა, ლტოლვილობამ ის დიდ განსაცდელს ვერ აარიდა. ნახევარძმების მოთხოვნით თამარისა და ქეიჰუსრევის შვილი მოკლეს. საქმე ისაა, რომ ქეიჰუსრევმა სიკვდილამდე, მის შემცვლელად, თამართან შეძენილი ვაჟი აღიარა. სწორედ ეს გახდა მისი სიკვდილის მიზეზიც. შვილის სიკვდილმა საბოლოოდ გატეხა წელში გურჯი ხათუნი.

გურჯი ხათუნის სიკვდილის შესახებ წყაროები არაფერს მოგვითხრობენ და ურთიერთგამომრიცხავ გადმოცემებს გვიამბობენ. ზოგი გადმოცემით, ის კონიაში გარდაიცვალა, ზოგის მიხედვით, საქართველოში გამოიპარა და აქ განისვენებს.

გურჯმა ხათუნმა დიდი კვალი დატოვა, როგორც აღმოსავლეთის, ისე საქართველოს ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში კიდევ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებიც მოსწრებული იყო დიდი თამარ მეფის ეპოქას და მართებულ სახელმწიფოს. რუსუდანის გამეფებამ, მონღოლთა შემოსევებმა, მართებული სახელმწიფო მთლიანად მოშალა. რენესანსის ეპოქაში მყოფი საქართველო დეგრადაციის გზას დაადგა. ამიტომ, ქართველებმა დაიწყეს დიდი თამარ მეფის ტრადიციების გამგრძელებლის ძიება, ეს ზოგიერთმა ქართველმა გურჯ ხათუნში იპოვა. არის გადმოცემები, თუ როგორ აგროვებენ ქართველები ოქროსა და ფულს სელჩუკებისგან გურჯი ხათუნის გამოსახსნელად, რადგანაც სჯეროდათ, რომ სწორედ ეს თამარი დაუბრუნებდა მათ დიდი თამარის საქართველოს.

ეკა სალაღაია

ადამიანთა მსხვერპლშეწირვებს მექსიკელი ინდიელები დაკრძალვებზეც ახდენდნენ

ადამიანთა მსხვერპლშეწირვებს მექსიკელი ინდიელები დაკრძალვებზეც ახდენდნენ. მაგალითად, აცტეკთა ბოლოსწინა მმართველის (ესპანელთა მოსვლამდე) – აუიტსოტლის კრემაციის დროს, მათ ორასი ადამიანი შესწირეს მსხვერპლად – გულები ამოგლიჯეს და სხეულთან ერთად იმ კოცონში ჩაყარეს, რომელშიც მათი მბრძანებლის სხეული იწვოდა. დაკრძალვებზე არა მარტო ტყვეებსა და მონებს სწირავდნენ მსხვერპლად, არამედ, ქურუმებსაც, რომლებსაც იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც უნდა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მბრძანებლის რელიგიური და სულიერი მოთხოვნილებები.

ეგრეთ წოდებულ „მალიაბეკიანოს კოდექსში“ – მეთექვსმეტე საუკუნის წიგნში, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, ესპანელი მეცნიერი სერვანტეს დე სალასარია, ხოლო მხატვარ-ილუსტრატორი – უცნობი ინდიელი, წარმოდგენილია დაკრძალვის რიტუალი. ნახატზე გამოსახულია დაკრძალვის კოცონი, რომელშიც უნდა დაწვან მიცვალებული და მისი თანმხლებნი. თვით მიცვალებული სამგლოვიარო სამოსელშია გახვეული და, თოკებით შეკრული, ქვის პოსტამენტზეა დაბრძანებული, მის წინ კი მსხვერპლის ფიგურაა ამოგლეჯილი გულით. როდესაც წარჩინებული ბატონი ან ბელადი კვდებოდა, მას სუდარით მოსავდნენ, ჩაცუცქულ პოზაში სვამდნენ – ისე, როგორც ინდიელებმა იცოდნენ ჯდომა, შემდეგ მისი ნათესავები ბლომად შეშას შემოუწყობდნენ და დაფერფლვამდე წვავდნენ, როგორც ეს ძველად რომაელებში იყო მიღებული. თავიანთი წარმართობის კვალობაზე, ერთ ან ორ მონას სწირავდნენ მიცვალებულს მსხვერპლად, რათა ისინი მასთან ერთად დაემარხათ. ზოგან წესად ჰქონდათ, მიცვალებულთან ერთად ცოლიც დაემარხათ, რათა საიქიოში ქმარს მომსახურებოდა. მათთან ერთად მარხავდნენ ძვირფასეულობას, თუკი მათ ის გააჩნდათ. განსაკუთრებით წარჩინებულ ტყვეებს წინასწარ ამზადებდნენ რიტუალისთვის – საზეიმო ტანსაცმლით მოსავდნენ და ზეიმით მიაცილებდნენ პირამიდის წვერამდე. ამ მომენტში ტყვე თვით ღვთაების განსახიერება ხდებოდა და ქურუმები მოკრძალებული თხოვნით მიმართავდნენ მას. უბრალო ტყვეებს ისინი განსაკუთრებული ცერემონიის გარეშე ხოცავდნენ. ესპანელი ისტორიკოსები ინდიელთა მონათხრობის მიხედვით წერდნენ, რომ, 1487 წელს, დიდი პირამიდის კურთხევისას, მის წინ ორი მილის გაყოლებაზე, ტყვეები ოთხ მწკრივად დააწყვეს და ქურუმები ოთხი დღის განმავლობაში „მუშაობდნენ“ დღისით და ღამით. დემოგრაფმა შერბიორნ ფრენდ კუკმა გამოთვალა, რომ, თუ თითოეული ადამიანის შეწირვაზე ქურუმები ორ წუთს მოიხმარდნენ, მსხვერპლად შეწირულთა რაოდენობა შეიძლება 14 ათასზე მეტი ყოფილიყო. სხვა წყაროები ასახელებენ რიცხვს, რომელიც 80 ათასს აჭარბებს.

ეს ფაქტი მექსიკის დამპყრობლის, ერნან კორტესის თანამებრძოლთა დამოწმებებითაც დასტურდება. მაგალითად, ბერნალ დიასი წერდა, რომ ქალაქ ქსიკოტლანის მოედანზე „დიდ ფართობზე, საგულდაგულოდ იყო მოწყობილი პირამიდები, რომლებიც არანაკლებ 100 ათასი თავის ქალისგან იყო აგებული. კარგად ვიცი, რას ნიშნავს ამხელა რიცხვი, მაგრამ, იქ ნამდვილად ამ რაოდენობის თავის ქალა იყო. სხვა მხარეს ჩონჩხის დანარჩენი ნაწილების ვეებერთელა გროვები იყო აღმართული. ამ ყველაფერს მესერი ჰქონდა შემოვლებული, რომლის წვერებზე თავის ქალები იყო წამოცმული“.

წესად ჰქონდათ, მიცვალებულთან ერთად ცოლიც დაემარხათ, რათა საიქიოში ქმარს მომსახურებოდა

ზოგი მეცნიერის აზრით, ინდიელები ასეთი ფორმით არეგულირებდნენ მოსახლეობის რიცხოვნობას – ცდილობდნენ, იმ რაოდენობით შეენარჩუნებინათ, რამდენის გამოკვებასაც შეძლებდა მექსიკის მინა. მაგრამ, საკითხის ამ სახით განხილვას მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს: დემოგრაფიული ზრდის შესაჩერებლად მართებული იქნებოდა, მსხვერპლად შეეწირათ შვილიერების ასაკის მქონე ქალები. რაც შეეხება აცტეკებს, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ანადგურებდნენ კაცებს, რომელთა რიცხოვნობა უმნიშვნელოდ მოქმედებს დემოგრაფიაზე. აცტეკებში მოქმედებდა მრავალცოლიანობა; ამასთანავე, გაუთხოვარი ქალებიც საკმაო თავისუფლებით სარგებლობდნენ და, შეეძლოთ, ცოცხლად გადარჩენილი მამაკაცებისგან ნებისმიერი რაოდენობის ბავშვი გაეჩინათ.

მექსიკის ტერიტორიაზე შემონახულია მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილი მრავალი ასეთი ქვა. ეს ქვები იყო სხვადასხვა ზომის, მაგრამ, როგორც წესი, ყველა შემკობილია რელიგიური ან საომარი თემის სიუჟეტებზე შესრულებული ჩუქურთმით; მათ ერთვოდა სისხლის შესაგროვებელი ქვის ფიალები. მეხიკოს ანთროპოლოგიის ეროვნულ მუზეუმში ინახება გიგანტური, 24-ტონიანი ქვა, რომლის დიამეტრი 3,6 მეტრია. ქვა დაფარულია ასტრონომიულ თემატიკაზე შესრულებული რთული ჩუქურთმით. მის ცენტრში მზის ღმერთის გამოსახულებაა. შესაძლოა, რომ ეს ქვა ტემალაკატლი (ასე ეწოდებოდა სამსხვერპლო ქვას) უნდა გამხდარიყო, მაგრამ, მან ვერ „იგემა“ ადამიანის სისხლი – ის დამუშავებისას გაიბზარა. იქვე ინახება სხვა, „მუშა“ ტემალაკატლი, რომელიც აგებული იქნა აცტეკების მმართველ ტისოკის მიერ. ეს არის ვეებერთელა ქვის ცილინდრი, რომელსაც პერიმეტრზე გასდევს ტისოკის საბრძოლო გმირობებისათვის ხოტბის შემსმელი ბარელიეფი. გვერდიდან მოჩანს სისხლის შესაგროვებლად დატანებული ღარი.

მას შემდეგ, რაც მსხვერპლს გულს ამოგლეჯდნენ და საკურთხეველზე დაწვავდნენ, ხოლო სისხლს ფიალაში შეაგროვებდნენ, სხეულს პირამიდის წვერიდან ქვემოთ აგდებდნენ, რის შემდეგაც აცტეკები მას ჭამდნენ. „მალიაბეკიანოს კოდექსში“ არის ნახატები, რომლებშიც გამოსახულია აცტეკების რიტუალური ტრაპეზობა, სადაც, ამასთანავე, მოჩანს ქოთნებიდან ამოშვერილი ადამიანის ხელები და თავები. შესაბამისი ტექსტი გვამცნობს:

ეს ნახატი გვაჩვენებს საძაგელ წეს-ჩვეულებას, რომელსაც ინდიელები ასრულებდნენ იმ დღეს, როდესაც ისინი თავიანთ კერპებს სწირავდნენ ადამიანებს დემონის წინაშე, რომელსაც ჰქვია მიკტლანტეკუტლი, რაც ნიშნავს – „მიცვალებულთა მიწის მეუფეს“. ისინი დგამდნენ ადამიანის ხორცით სავსე ბევრ თიხის ქოთანს, რომლებსაც უნაწილებდნენ ბელადებს, მმართველებსა და ტლამაგატლებს (ქურუმებს), ანუ იმათ, ვინც დემონის ტაძარში მსახურობდა. ისინი კი ამ „კერძს“ მეგობრებსა და ნათესავებს უნაწილებდნენ.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი ამოცანა

5	7	9	4	6	3	2	8	1
2	4	8	5	1	9	7	3	6
6	1	3	8	2	7	4	9	5
3	2	4	1	5	8	9	6	7
7	5	6	9	3	2	1	4	8
9	8	1	7	4	6	5	2	3
1	9	5	6	8	4	3	7	2
4	6	2	3	7	1	8	5	9
8	3	7	2	9	5	6	1	4

რთული ამოცანა

3	2	4	7	5	6	1	9	8
9	8	1	3	2	4	7	5	6
5	7	6	1	9	8	3	2	4
1	4	5	2	7	9	8	6	3
8	9	7	6	1	3	5	4	2
2	6	3	4	8	5	9	7	1
4	1	8	5	6	7	2	3	9
7	3	9	8	4	2	6	1	5
6	5	2	9	3	1	4	8	7

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ზღვასთან დაქორწინება. 2. არჩევის დროს გამოყენებულ ბიულეტენებს. 3. წითურები არიან – უდაბნოს ფერები. 4. ქარვის კრიალოსნის – წესიერები ლოცვებს ითვლიდნენ, უწესოები – ვაჭრობისას ანგარიშობდნენ. 5. წითელ დროშას. 6. ტაბუ. 7. პუანტების. 8. გეომეტრია და ალგებრა. 9. „კონცერტი – ეს მე ვარ“. 10. ბავშვებს ტანსაცმელს უკერავდნენ.**

ქართული პანკი, ყოველთვის რობი კუხიანიძის სახელთან ასოცირდება. ეს ადამიანი რომ ნიჭიერი მუსიკოსია, ამაზე არავინ დავობს. უფრო მეტიც, ის ერთ-ერთი საყვარელი მომღერალია, რომლის სიმღერებიც ყველა თაობასაა მორგებული. საინტერესო და გულწრფელი რესპონდენტი თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, იყო დრო, როცა მას სიმღერის უფლებას არ აძლევდნენ, კიდევ ბევრი რამე იყო მის და „აუტსაიდერის“ ცხოვრებაში. თუმცა, ეს ორი ერთმანეთისგან რამ გაყო. როდესაც ინტერვიუს ჩასაწერად დავუკავშირდი, ბატონობით მივმართე, რაზეც გამინაწყენდა და თუ რატომ, თავად რობის პასუხიდან გაიგებთ.

რატომ არ აძლევდნენ რობი კუხიანიძეს თბილისში სიმღერის უფლებას და რატომ მოუწია მას საკუთარ დაჯილდოებაზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეპარვა

– ბატონოთი დიმპიტაურის კლიპის შემდეგ მომმართავდნენ. კოსტიუმი ჩავიცვი და უფრო სერიოზულად გამოვიყურებოდი *(იცინის)*. შეხვედრებზეც კარგი მანქანებით დავდიოდი. შეხედეს თუ არა ულვაშებს, კოსტიუმს, ჰალსტუხს, „ჯიპებს“ და ასე შემდეგ, ყველამ ბატონოთი დამიწყო ლაპარაკი. პირველივე შეხვედრაზე ჰქონდა ეფექტი ჩემი იმიჯის შეცვლას. ერთ-ერთი ტელევიზიიდან დამიკავშირდნენ, გადაცემაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. მითხრეს, რომ მანქანა მომაკითხავდა და მიმიყვანდა ტელევიზიაში. ამაზე უარი ვთქვი, ჩვენი მანქანით მოვალთ-მეთქი. მივედი ტელევიზიაში და გადავურეკე ვინც მიკავშირდებოდა, ახლოს ვიყავი იმ ბიჭთან, კარგად ვიცნობდი. პირველი, რაც იყო, მკითხა, ძალიან მთვრალი ვიყავი თუ არა. რას მეუბნები, რა მთვრალი, საქმეზე ვარ მოსული და ნასვამი როგორ მოვიდოდი-მეთქი *(იცინის)*. მაინც არ დამიჯერა, კაი ახლა რობერტია, ნუ მატყუებო. რას გატყუებ, თუ ჩემთან საქმე გაქვს, აქ ვარ, თუ არა და წავედი-მეთქი. ჩამოვიდა და არტყამს „კრუგებს,“ ვერ დამინახა, თითქმის ყველა მანქანაში შეიხედა. ოლონდ იცი, როგორ მანქანაში? აი, სადაცაა, რომ დაიშლება. ჩვენ „ჯიპში“ ვისხედით. გადავურეკე ისევ და ვუთხარი, შემობრუნებულიყო. რომ დამინახა, გაოცდა, თვალები შუბლზე აუვიდა, ეს შენ ხარო *(იცინის)*. ისეთ „ზმანზე“ ვიყავი, ტყავის კოსტიუმი მეცვა, მაგრად „მიტყდებოდა,“ ასე რომ გამოვიყურებოდი *(იცინის)*. მაშინ ასეთი ჩაცმულობა ფუფუნების საგნად ითვლებოდა და ფულიანი ბიჭები „იზმანებოდნენ“ ხოლმე. აკორდეონზე ვინც უკრავდა, გადმოხტა მანქანიდან და კარი გამიღო. გეგონებოდა, ეს დადგმული მქონდა, მაგრამ არა, საერთოდ არ მქონია მიზნად დასახული, ვინმეს გაკვირვება. რატომ უნდა მომმართონ ბატონობით, როცა შეუძლიათ რობი, რობერტია დამიძახონ *(იცინის)*. ბატონი და ქალბატონი ის იყოს, ვინც თავს მიიჩნევს ბატონად და ქალბატონად.

50 წლის ვარ, პირველი 20 წელიწადი უსახლკარობა ცოტა რთულია, მერე ეჩვევი

– როდის ჰქონდა „აუტსაიდერს“ რთული პერიოდი?

– სულ თავიდან, ვიდრე ხალხი გაგვიცნობდა და მოგვისმენდა. „აუტსაიდერის“ შექმნა 1989 წლიდან დაიწყო. „აუტსაიდერი“ ანუ წრის გარეთ. ქუთაისურად, ჯგუფის სახელს, სულ სხვაგავრად ვხსნი – „გარე წრები“, ანუ წრის გარეთ მყოფები *(იცინის)*. 90-იან წლებში ურთიერთობა დავამყარეთ ესტონელებთან. პირველი კონცერტიც ესტონეთში გვქონდა. იყო სხვადასხვა ხელშეკრულება და შემოთავაზებები. თუმცა, ჩემი ავადმყოფობის გამო, ყველაფერი ჩაგვეშალა. 7 თვის განმავლობაში სამი ოპერაცია გავიკეთე. თავიდან ძირითადად გამოვდიოდით ქუთაისში ან საქართველოს საზღვრებს გარეთ. თბილისში ქუთაისელებს არ გვამღერებდნენ *(იცინის)*. ამდენს „დავწანწალებდით“, სხვადსხვა ქვეყანაში ვმღეროდით და ყველაზე მეტად თბილისში გვინდოდა კონცერტის ჩატარება. დედაქალაქში ისე გვიყურებდნენ, თითქოს ქუთაისში პანკები რა იყო, არ ვიცოდით. ამიტომ, არ გვაძლევდნენ სიმღერის უფლებას. ბოლო-ბოლო თბილისში, ჯგუფის შექმნიდან 4 წლის მერე დავუკარით. ერთხელ ასეთი ინციდენტიც მოხდა – რადიოში „აუტსაიდერს“, რეიტინგის მიხედვით, პირველი სამი ადგილი ეჭირა. ეს ჩვენ არ ვიცოდით. ამასთან დაკავშირებით, წლის ბოლოს ყველაზე რეიტინგულ მუსიკოსებს აჯილდოებდნენ. მაშინ დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ თუ გვსურდა, თბილისში უნდა ჩავსულიყავით პრიზის ასაღებად. არ მინდოდა წასვლა, მაგათი პრიზი რაში გამომადგება-მეთქი, მაგრამ თბილისიდან დაქირავებული მანქანით ჩამოგვაკითხა ერთმა კაცმა. დაჯილდოება ფილარმონიაში იყო. მოსაწვევზე არ ეწერა ჩემი სახელი და გვარი, ამიტომ დაცვის წევრები დარბაზში არ მიშვებდნენ. ეს იყო ყველაზე სასაცილო, პირველი ადგილის მფლობელი ვიყავი და ფილარმონიაში არ მიშვებდნენ *(იცინის)*. ზემოდან მუსიკოსები გვიყუებდნენ, გვიცნობდა ის ხალხი და მათ „იჩალიჩეს“, რომ შევეყვანე. მოახერხეს და შემაპარეს. ორგანიზატორები საერთოდ არ გვაქცევდნენ ყურადღებას. დავჯექი დარბაზში და გამაფრთხილეს, ჩემს გვარს გამოაცხადებდნენ და სცენიდან მადლობა უნდა გადამეხადა. ველოდები, ველოდები, დამთავრდა კონცერტი და ჩემი გვარი არ გამოაცხადეს.

– არაფერი გითქვამთ ორგანიზატორებისთვის? თუნდაც ფილარმონიაში შესვლასთან დაკავშირებით, ან საერთოდ, უკან გაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

– რა აზრი ჰქონდა ვინმესთვის რამის თქმას. სად უნდა წავსულიყავი, არც სახლი მქონდა და არაფერი. ასეთ დამოკიდებულებას, ახლაც არ ვაქცევ ყურადღებას. თუ რაღაცეები არ „გაატარე,“ ვერასოდეს გააკეთებ იმას, რაც გინდა. ყველაზე მთავარი არ მითქვამს ამ დაჯილდოებასთან დაკავშირებით. ის პრიზი, რომელიც ჩემთვის უნდა გადმოეცათ, სხვას მისცეს, ისეთ ადამიანს, რომელიც საერთოდ კონკურს გარეთ იყო. ჩვენ კი ვისხედით ასე ხმის ამოუღებლად *(იცინის)*. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა შეამჩნია ეს უსამართლობა და „გაჭედა“. კაცი ამხელა გზიდან ჩამოიყავნეთ და პრიზი როგორ არ მიეციოთ *(იცინის)*. საბოლოოდ, ყველაფერი მიფუჩეჩდა. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ რიკოთზე მანქანა გაგვიფუჭდა, ორმოში ჩავარდა. ვაწვებოდით, ორმოდან რომ ამოგვეყვანა და „იმენა“ ტალახიანები ვიყავით *(იცინის)*. ყველაფერი რომ დამთავრდა, მამშვიდებდნენ, არ მენერვიულა. მაშინ ვთქვი, რას მაწყნარებთ, არ მქონია ეს პრიზები და დღემდე მოვაღწიე-მეთქი *(იცინის)*. ამ ფაქტისთვის ცოტა ემოციურად რომ შემეხედა, შეიძლება, მუსიკისკენ საერთოდ აღარ გამეხედა. იმ პერიოდში, სადაც თბილისში ვუკრავდით ყველგან კონფლიქტით იწყებოდა ან მთავრდებოდა. ისე, რომ ჩვენ არ ვმონაწილეობდით ამ ყოველივეში.

– მსგავსი უსამართლობის წინაშე კიდევ ყოფილხართ?

– ასეთი რაღაცეები იყო თავიდან, ვიდრე ხალხი კარგად გაგვიცნობდა. ახლოს რომ მოდიოდნენ, გაგვიცნობდნენ და მოგვისმენდნენ, მერე უკვე „ჯიგრულად“ იყვნენ ჩვენთან. ერთი ფესტივალი იყო თბილისში, სახელწოდებით „ხელეები“. იქ მონაწილეობა დათო ევგენიძის ინიციატივით მივიღეთ. მე-2 არხი უჩვენებდა ტელევიზიით ამ ფესტივალს. მაშინ ცენზურა იყო ტელევიზიებში, ახლაცაა, მაგრამ ვითომ არაა *(იცინის)*. ანუ, მაშინ იცოდი, რომ არ შეიძლებოდა, ახლა გეტყვიან შეგიძლია ის იმღერო, რაც გინდა, მაგრამ თუ არ მოეწონათ, მთელ სიცოცხლეს გაგიმწარებენ. ამ ტელევიზიიდან მოგვთხოვეს სიმღერის ტექსტები, რომელიც არ მქონდა. მაშინ სათაურები მაინც უნდა დამეწერა. ჩვენს პროდიუსერს დავავალე ეს საქმე, მანაც ჩამოწერა და შემომიბრუნდა: რობი ამას ვერ მივცემ, თავად გადახედეო. ჩავხედე და რას წაიკითხავდი უკეთესს, ისეთი სათაურები იყო, რომ მართლა არ შეიძლებოდა მათი საჯაროდ გახმაურება. მაინც მივეცი ეს ფურცელი ტელევიზიის წარმომადგენელს, დაიწყო კითხვა, შეხედა ერთს, მეორეს და თქვა: „ასეა რა, ჩამოეთრევით თბილისში და ისიც არ იცით, რა უნდა გააკეთოთ, როგორ უნდა მოიქცეთ. ახლა კიდევ ტელევიზორში მომინდომეთ მე-2 არხზე გამოჩენა“, აალაგა კამერები, მთელი ტექნიკა და არ გადაგვიღო *(იცინის)*. მათი ჩალაგება იყო და ჩვენ ამოვალაგეთ საკუთარი ტექნიკა – მაინც გადავიღეთ და დავუკარით.

– რატომ გადმოხვედი თბილისში საცხოვრებლად?

– არსადაც არ გადმოვსულვარ. არ მაქვს სახლი თბილისში. აქ უბრალოდ, გამიგრძელდა ყოფნა. 15 წელია თბილისში ვარ. არც ქუთაისში ვცხოვრობ. საქართველოს მოქალაქე ვარ და სადაც მინდა, იქ ვიცხოვრებ. კომფორტს არ ვაღიარებ. კარგია სახლი თუ გაქვს, მაგრამ ეს ჩემში არ იწვევს აუცილებლობას. 50 წლის ვარ. პირველი 20 წელიწადი უსახლკარობა ცოტა რთულია, მერე ეჩვევი. ახლა საშუალება რომ მქონდეს, სახლი არა, მაგრამ კარგი სტუდია მექნებოდა. ალბათ, სახლი ისეთ ადამიანს სჭირდება, ვისაც რაღაც აქვს შესანახი, დაცვა დასაყენებელი და ასე შემდეგ *(იცინის)*. რაღაც მატერიალურის „ყარაული“ არასოდეს გავხდები. დარაჯობა არ „მიტყდება“, მაგრამ დიდი ფულისა და ქონების მცველი არ ვიქნები. საქართველოში არც ფული მჭირდება და არც სახლი. ასეთ გაჭირვებულ სახელმწიფოში ვმღერი და ფული რაში მჭირდება. ვგულისხმობ ღორობას – დინგი თუ არ გაქვს, ეგ იმას

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

სკანდალურმა ტელეწამყვანმა, მერსი სულხანიშვილმა, პროდიუსერის ასისტენტად გადაინაცვლა. მის ირგვლივ არაერთხელ ყოფილა მითქმა-მოთქმა. 22 წლის ჟურნალისტი და მოდის ბლოგერი ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ერთ-ერთ გადაცემაში მკერდი მოიშიშვლა. ის ამ ყოველივეს შემთხვევითობას უწოდებს და თავის ქმედებაში სკანდალურსაც ვერაფერს ხედავს.

რატომ მიიჩნევს მერსი სულხანიშვილი ქართველებს უგემოვნოებად და რის გამო უნევს მას მოსახლეობის ერთი პროცენტის შეფასება

– ამ სეზონზე, ტელეეკრანს მოვწყდი. დროებით, წამყვანის ამპლუაში აღარ ვარ. გია ჯაჯანიძის შოუში, პროდიუსერის ასისტენტი ვარ, თუმცა ამ გადაცემის ფარგლებში ეკრანზეც მნახავთ. კამერასთან მუშაობა ჩემთვის რას ნიშნავს, ვერ ავხსნი. უბრალოდ, ეს ყოველივე ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ, პარალელურად, საინტერესო სიუჟეტებს შევთავაზებ მაყურებელს. ერთი წლის უკან, ვერ ვიფიქრებდი, რომ მუშაობა მომიწევდა ისეთ პროდიუსერთან, როგორიც მაიაა. ეს შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელია და ახალი ეტაპია ჩემს სატელევიზიო ცხოვრებაში. სულ მინდოდა, ძლიერ გუნდთან ერთად მემუშავა, ასე ვთქვათ და სურვილი ამიხდა. ბევრად საინტერესო ყოფილა კადრს მიღმა მუშაობა. 22 წლის ვარ, ამიტომ ახლა ძალიან ბევრი უნდა ვისწავლო ტელევიზიაში. საუკეთესო შანსია, ეს ჩემთვის.

– ისეთი მონდომებული ხარ, ალბათ ამ განხრით, მაგისტრატურაში ჩაბარებასაც აპირებ.

– არა. იმიტომ, რომ ჩემთვის ტელევიზიასთან ერთად, მეორე მხარეს მოდის სფეროა. ორივე მინდა, დავაბალანსო. სავარაუდოდ, ბოლოს მაინც მოდის ჟურნალისტიკას ავირჩევ. არ დავზოგავ თავს ამ ორ სფეროში, მართლა პროფესიონალი რომ ვიყო.

– მოდის სფეროსთან ახლოს ხარ, ქართველების ჩაცმულობაზე რას ფიქრობ?

– ზოგადად, როდესაც მოდის სფეროზე ვსაუბრობ, არ მინდა ქართველებზე ლაპარაკი. იმიტომ რომ, მოსახლეობის ერთი პროცენტის შეფასება მიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გემოვნებიან ხალხად ითვლებიან, მე ასე ვერ ვიტყოდი. ქვეყანას ამ ეტაპზე იმდენი პრობლემა აქვს, რომ ჩაცმისა და მოდისთვის, არ სცალია. ხალხს საშუალება არ აქვს, რომ წესიერად ჩაიცვას.

– ანუ ქართველებს უგემოვნოებად მიიჩნევ?

– არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, დღევანდელობიდან გამომდინარე, გემოვნებიანი ადამიანი, საქართველოში ძალიან ცოტაა. ჩვენთან, ძირითადად ყველას ერთნაირად აცვია. ვიღაცას შეიძლება ეწყინოს, მაგრამ ეს რეალობაა. იშვიათია გოგონა, რომელსაც საკუთარი სტილი აქვს და იცის, სად რა უნდა ჩაიცვას.

– საკუთარ სტილზე რას იტყვი? იმიჯს ხშიარად იცვლი...

– ჩემი სფეროს ერთ-ერთი ნაწილია იმიჯის შეცვლა. ჩემი ყოველდღიური სტილი ძალიან სადაა. რეჟიმიდან გამომდინარე, მაცვია თავისუფლად. ქუსლებსაც არაჩვეულებრივად ვეგუები, მგრამ ხშირად არ ვიცვამ. 15 წლიდან ქუსლებზე ვდგავარ. დღეს მეცინება ამაზე. ახლა რომ ვიხსენებ, ეს იყო ჩემი ცხოვრების კოშმარი *(იცინის).* მაშინ ასეთი ტენდენცია იყო, რომ თუ სადმე მიდიოდი, ქუსლებზე უნდა ყოფილიყავი.

– მერსი, შენი სკანდალური გამოსვლები თითქოსდა მიივიწყა საზოგადოებამ, როგორ ფიქრობ, რატომ?

– ეს იყო შემთხვევითობა, რომელიც კარგად შემომიბრუნდა. არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ და არც ჩემი ბრძნული აზრებით მოგაბეზრებთ თავს, არც ვინმეს კრიტიკასა და ლანძღვას დავიწყებ. ვისაც როგორ უნდა, ისე გაგიოს ჩემი ქმედებები. დღესაც ისეთი ვარ, როგორიც მკერდის მოშიშვლებამდე ვიყავი. შოუ-ბიზნესი ისეთი სფეროა, რომ სკანდალები უყვარს. ეს ფაქტი საზოგადოებამ აქცია სკანდალად, მე არ მიბიძგებია მათთვის.

– მკერდი ერთხელ არ მოგიშიშვლებია საჯაროდ და ყოველ ჯერზე ეს შემთხვევითობა იყო?

– არ ვგულისხმობ შოუებს, სადაც ეს დაფიქსირდა, ზოგადად ეს იყო შემთხვევითობა. ყველას აქვს მკერდი და სასქესო ორგანო. ვფიქრობ, ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს *(იცინის).* რომ მცოდნოდა ასე აშკარა ფორმები ჰქონდა ჩემს მკერდს, შეიძლება ეს არ გამეკეთებინა. ჩემი მკერდი უფრო პატარა და „დაპრტყელებული“ მეგონა.

რომ მცოდნოდა, ასე აშკარა ფორმები ჰქონდა ჩემს მკერდს, შეიძლება, ეს არ გამეკეთებინა

– თუმცა, ამ „შემთხვევითობით“ გაგიცნო ხალხმა ფართო მასშტაბით...

– შეიძლება, არ ვუარყობ. ჩემს სფეროში სკანდალი ყოველთვის საჭიროა. რომ მდომოდა სკანდალების გარეშე ცხოვრება, მაშინ სხვა პროფესიას ავირჩევდი. რადგანაც არჩევანი ეკრანზე გავაკეთე, მას უამრავი რამ სდევს თან, მათ შორის, მკერდის მოშიშვლებაც. თუ საქმეს სჭირდება, უნდა გააკეთო კიდეც. ჩემდა უნებურად გავეხვიე ამ ეგრეთ წოდებულ სკანდალში. საერთოდ არ მიმაჩნია, რომ ჩემი ნაბიჯი სკანდალური იყო.

– ანუ, იცოდი, რაც მოჰყვებოდა შენს ქმედებას?

– არა არ ვიცოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, არ გამეკეთებინა. თუმცა ცხადია, რომ გავეხვიე სკანდალში, რომელმაც, შეიძლება, ითქვას, პოპულარობა მომიტანა. არსებობს იაფფასიანი სკანდალი, რომელიც ჩემგან ძალიან შორსაა. იაფფასიანი მაქსიმუმ 15 წუთი ძლებს და ის, რაც ჩემს გარშემო „ატყდა,“ წლებია უკვე, მაგრამ დავიწყებას არ მიცემია. რაც გავაკეთე, ეს იყო შოუსთვის.

– შოუს გამო კიდევ რისი გაკეთება შეგიძლია?

– შოუს ხარისხს გააჩნია. თუ ეკრანი მომთხოვს, შემიძლია, გავიხადო კიდეც. მაგრამ, ეკრანი სრულ სიშიშვლეს არასდროს მომთხოვს. ამაში დარწმუნებული ვარ. მეორედ მკერდის მოშიშვლებასაც არავინ მომთხოვს. პროფესიონალები იგივეს არ იმეორებენ. მერსი სულხანიშვილს იგივეს ვერ მოსთხოვენ, ამაში დარწმუნებული ვარ.

– გავიგე თხოვდები, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

– იმდენჯერ გამათხოვეს და გამაცილეს სხვადასხვა ადამიანს, რომ რა ვიცი. არა, არ ვაპირებ ამ ეტაპზე ოჯახის შექმნას. ხან ვისი შეყვარებული ვიყავი და ხან ვისი. ამას თქვენ კი არა, მეც ვერ გავიგებ ბოლომდე *(იცინის).*

– პირადში ხომ არ გაქვს სიახლე?

– პირადში ყველაფერი კარგად და იდეალურად მაქვს. მეტს არაფერს გეტყვით. არ უარვყოფ არაფერს, მაგრამ არც გიკონკრეტებთ ვინმეს. სულ შეყვარებული ვარ. რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან ვარ. ძალიან ბედნიერი ვარ, მთავარი ესაა ჩემთვის. გაიხაროს ყველამ ჩემი ბედნიერებით *(იცინის).*

– თაყვანისმცემლები ხშირად გიკეთებენ სიურპრიზებს?

– ზოგადად, თუ პიროვნება არ მიყვარს, არანაირ იმედს არ ვაძლევ. ძალიან პირდაპირი ვარ, ამიტომ მაშინვე ვეუბნები ჩემი დამოკიდებულების შესახებ. ვერ ვხვდები, ადამიანი რატომ უნდა დაავალდებულო, რომ რაღაცეები გაჩუქოს, მაშინ, როცა არ პასუხობ მის გრძნობას. ეს ყველაზე დამამცირებელია. ამიტომ, ჯობია, თავიდანვე ყველაფერი გარკვეული იყოს. არავინ მიმყავს იქამდე, რომ ჩემ გამო რაღაც გააკეთოს. ეს არ მჭირდება. იმ ადამიანისგან, რომლის მიმართაც არაფერს ვგრძნობ, სიურპრიზს არ მივიღებ. ვფიქრობ, როცა რაღაცას იღებ, შენც ავტომატურად უნდა გასცე. ჩემსა და მათ შორის არსებობს ზღვარი, რომელსაც ვერავინ გადმოკვეთს. ჩემი პასუხი ყოველთვის ასეთია: მადლობა, სასიამოვნოა, ნახვამდის.

– საყვარელი მამაკაცის გამო რამე დაგითმია?

– არასოდეს არაფერი და საერთოდ, ვფიქრობ, ქალი ყოველთვის თავის ადგილზე უნდა იდგეს. ზოგადად, არ ვარ რომანტიკოსი და ყველაფერს მარტივად ვეგუები. ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, მაგრამ არასწორად გამოვხატავ. არ შემიძლია, ჩემი გრძნობების გამჟღავნება. ეს შეიძლება, ჩემი ნაკლია, ან – პირიქით. დღეს ერთი მყავდეს, ხვალ მეორე – ესეც არ ზის ჩემში. მოკლე ურთიერთობებიდან ცოტა სხვა სახელამდე მივდივართ. ამაზე არაფერს აღარ ვიტყვი, უბრალოდ, ყველას თავისი ცხოვრება აქვს.

– როგორი მამაკაცები მოგწონს?

– ასე ვერ გეტყვით, ზოგი შეიძლება, იყოს ქერა, ცისფერთვალება, ზოგიც პირიქით – შავგვრემანი. კრიტერიუმები არ მაქვს. შეიძლება, დავინახო და ძალიან მაგრად მომეწონოს, ასეთი მომენტიც ბევრჯერ მქონია ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის განათლებაა. ფიზიკურობას საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას. მთავარია ჩემთვის იყოს სიმპათიური და სხვა რას იტყვის, არ მანაღვლებს.

ეთო ხურციძე

ფონდი „ნატახტარის" პროექტი – „იზრუნე მომავალზე" – მეოთხე ტალღას იწყებს

2014 წელი – 164 ადამიანის უკეთესობისკენ შეცვლილი ცხოვრება!

27 ნოემბერს „ფონდი ნატახტარის" პროექტ „იზრუნე მომავალზე" წლიური ანგარიშის წარდგენის ღონისძიება სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში" გაიმართა. სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და, ამასთან ერთად, ეცნობათ საზოგადოების ფონდში მეოთხე ტალღის დაწყების შესახებ. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ და საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს ფონდის ფსიქოლოგთა გუნდის წევრებმა, ადგილობრივმა პარტნიორებმა და ბენეფიციარებმა.

ფონდში თანხის შეგროვების ახალი ტალღის დაწყებას მიეძღვნა ახალი სარეკლამო რგოლიც, აღსანიშნავია, რომ ამ რგოლში მონაწილე მოზარდები მსახიობები არიან.

წელს პროექტის ფარგლებში შემოსული თანხა 420 000 ლარი მზრუნველობამოკლებული მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების ხელშეწყობისთვის იქნა გამოყენებული. 2014 წელს ფონდს 164 ბენეფიციარი ჰყავდა, რომელთაგან 44 უკვე დასაქმდა, დანარჩენები კი ამ ეტაპზე ეუფლებიან პროფესიას ან სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. „ფონდი ნატახტარის" უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უშუალოდ კონკრეტულ ბენეფიციარზეა მორგებული, თითოეულის ინტერესებსა და შესაძლებლობებს ითვალისწინებს და გრძელდება მანამ, სანამ მოზარდი მზად არ იქნება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

თორნიკე ნიკოლაიშვილი *(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი):* მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ პროექტის განხორციელებაში. „ფონდი ნატახტარის" მიზანია, გვყავდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უზრუნველყოფილი ბავშვები. ფონდის პარტნიორია მთელი საქართველო. პროექტის ფარგლებში აქამდე შეზღუდული იყო ასაკობრივი კატეგორიები, თუმცა, როდესაც ფონდის შემოსავალმა საშუალება მოგვცა, ეს ასაკობრივი ზღვარი გაიზარდა და ახლა უკვე პროექტი მიჰყვება მოზარდს მანამდე, სანამ ის შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას. წელს ჩვენ 164 ბენეფიციარი გვყავს, რაც ნიშნავს იმას, რომ 164 ადამიანის ცხოვრება იცვლება უკეთესობისკენ.

მანანა ომარაშვილი *(ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველო"):* დღევანდელი შეხვედრა მიეძღვნა „ფონდი ნატახტარის" საქმიანობას, რომელსაც ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველო" უკვე მეოთხე წელია ახორციელებს. ჩვენი მთავარი საქმიანობა გულისხმობს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის იმ მოზარდებისა და ახალგაზრდების მომზადებას, რომლებიც სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ არიან ან უკვე გამოვიდნენ ზრუნვიდან. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება გულისხმობს ყველა იმ უნარისა და საშუალების მიცემას ბავშვისთვის, რაც აუცილებელია; ეს შეიძლება იყოს: დასაქმება, პროფესია, განათლება, ცხოვრებისეული უნარების განვითარება. ამას ჩვენ ვაკეთებთ ფსიქოლოგთა გუნდთან, სოციალურ მუშაკებთან, აღმზრდელებთან, უამრავ სპეციალისტთან ერთად და, აგრეთვე, მოქალაქეების უშუალო ჩართულობით, რადგან, ქველმოქმედება გადამდები აღმოჩნდა – ამ პროცესში უამრავი ადამიანი ჩაერთო პოზიტიური ენერგიით და გვაქვს არაჩვეულებრივი შედეგები.

„ფონდი ნატახტარი" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა კურთხევით შეიქმნა 2010 წლის ნოემბრეში. პროექტი „იზრუნე მომავალზე" მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს აძლევს საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებს, მომზადებული შეხვდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. მოზარდების დახმარების სხვადასხვა პროგრამას კი არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველო" და კვალიფიციური ფსიქოლოგების გუნდი ახორციელებენ. „ფონდი ნატახტარის" საქმიანობა გულისხმობს საქართველოს მოსახლეობის ფართო ჩართულობას საქველმოქმედო პროცესში. ყოველ წელს, ნოემბრიდან თებერვლამდე პერიოდში, „ნატახტარის ლიმონათის" თითოეული გაყიდული ბოთლიდან თანხა ფონდში გადაირიცხება. თანხის რაოდენობა, ბოთლის მოცულობის შესაბამისად, 0,33ლ. 0,5ლ. 1ლ. და 2ლ 1,3 და 5 თეთრია.

ეკა სალაღაია

(მე-10 გვერდიდან)

„თავისუფლების“ აფხაზური ფასი

ამ ყველაფრის საფასური კი ხელშეკრულების იმ მუხლშია თავმოყრილი, რომელიც აფხაზეთის სოციალურ პრობლემატიკას ეხება. ცნობილია, რომ აფხაზეთის ბიუჯეტი 75 პროცენტამდე დოტაციურია და ივსება რუსეთის ფედერაციიდან მიღებული, კერძოდ, ნაჩუქარი ტრანსფერების ხარჯზე. სწორედ ამ ტრანსფერების შემცირება (ყოველწლიური 4 მილიარდი რუბლიდან ერთ მილიარდამდე) გახდა ალექსანდრ ანქვაბის ვადამდე გადაყენების მიზეზით. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ კი აფხაზეთი რუსეთის ფედერაციისგან ყოველწლიურად 5 მილიარდ რუბლს მიიღებს, რაც დღევანდელი კურსით, 110 მილიონი აშშ დოლარია.

ამის პარალელურად კი, რუსეთის ფედერაცია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რის მიხედვითაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე ეტაპობრივად გაიზრდება სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლების ხელფასები იმ დონემდე, რაც ამჟამად არის რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში.

ამას გარდა, რუსეთის ფედერაცია იღებს ვალდებულებას, რომ 2015 წლის პირველი იანვრიდან უზრუნველყოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის პენსიის ზრდას, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების პენსია გაუტოლდება პენსიის ოდენობას რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერალურ ოლქში.

პენსიის ზრდის შესახებ შეთანხმება გაფორმდება ცალკე, ამ მთავარი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს აქამდეც ჰქონდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, ისინი ვერ სარგებლობდნენ სამედიცინო დაზღვევით, რაც გათვალისწინებულია რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის. თუმცა ეს ხელშეკრულება ამ ლაფსუსსაც აღმოფხვრის და ამიერიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები ისარგებლებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაზღვევით რუსეთის ფედერაციაში.

შესაბამისად, ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები მიიღებენ ჯანმრთელობის დაზღვევას.

რამდენ მილიარდ რუბლად გაიყიდა აფხაზეთი და როგორ დაევალათ აფხაზებს აფხაზეთში ცხოვრების სურვილის მქონე რუსი სამხედროების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

სოხუმი – ცხინვალის მიერ გატკეპნილ გზაზე

რაკი ცხინვალის რეგიონი, არათუ 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარების შემდეგ, ლამის 1990-ანი წლებიდან ლამობდა რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გახდომას, გულდაწყვეტილია, რომ მსგავსი შეთანხმება მისთვის არც კი შეუთავაზებია მხოლოდამღიარებელს, თუმცა გულს არ იტეხენ, თავად შეუდგნენ მუშაობას ხელშეკრულებაზე და იმედოვნებენ, რომ 2015 წლის დასაწყისში ხელსაც მოაწერენ და ამთავითვე ირწმუნებიან, რომ შეთანხმების ოსური ვერსია აფხაზურზე მჭიდრო ინტეგრაციას იგულისხმებს რუსეთის ფედერაციასთან.

მეორე მხრივ, თუ ოსური სეპარატისტული საზოგადოებისთვის რუსეთთან შეერთებულის სურვილი ორგანული იყო და არის, რასაც ვერ ვიტყოდით აფხაზ საზოგადოებაზე, რომელიც „დამოუკიდებლობის“ ვერსიას ჯიუტად „აწვებოდა“. აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობა დამოუკიდებლობად, მაგრამ – მხოლოდ სხვის ხარჯზე. შესაბამისად, აფხაზი ოპოზიციის ნაწილის პროტესტის მიუხედავად, ვლადიმირ პუტინმა და რაულ ხაჯიმბამ სოჭში შეთანხმებას ხელი სოხუმის ცენტრში მიმდინარე მხარდამჭერი აქციის ფონზე მოაწერეს. მეტიც, რაულ ხაჯიმბას მხარდაჭერა გამოუცხადა ორგანიზაციამ – „აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის“. ეს მხარდაჭერის გამოხატვა კი იმისთვის გახდა აუცილებელი, რომ 2014 წლის 23-24 ნოემბერს ფსოუზე აფხაზმა ქალებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზეთის სომეხმა მოსახლეობამ ერთხმად დაუჭირა მხარი რუსულ-აფხაზურ შეთანხმებას. მეტიც, ისინი სოციალურ ქსელშიც აქტიურობენ და ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ ალექსანდრ ანქვაბის მომხრეების გასანეიტრალებლად, რომლებიც აფხაზ საზოგადოებას მოსალოდნელ საფრთხეზე აფრთხილებენ. კერძოდ: „სანდო წყაროების ცნობით, შეთანხმების საბოლოო ვარიანტი ალექსანდრ ანქვაბს, როდესაც ის პრეზიდენტი იყო, პირადად გააცნო რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ვლადისლავ სურკოვმა. ანქვაბს შეთანხმება არ მოეწონა, რადგან ის არათუ აკნინებდა აფხაზურ სახელმწიფოებრიობას, არამედ აქრობდა რუსეთ-აფხაზეთის საზღვარს, რომელიც, ფაქტობრივად, აფხაზურ-ქართულ საზღვრამდე გადაჰქონდა.“

„ანქვაბთან ერთი ერთზე საუბრისას სურკოვმა მას ურჩია, უზრუნველეყო მისადმი უფრო ლოიალური პარლამენტის არჩევა, რომ უფრო მტკიცე ნაბიჯებით ემოძრავათ რუსეთთან ინტეგრაციისკენ. ამასთან, დაინტერესდა, ნუთუ არ აღაფრთოვანებდა მას ყირიმის მაგალითი. სურკოვმა პასუხად მიიღო, რომ არა მხოლოდ ანქვაბი, არამედ მისი მოწინააღმდეგე ოპოზიციონერებიც კი არ აპირებენ, მოაწყონ ყირიმის მსგავსი რეფერენდუმი და აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა მათ გეგმებში არ შედის.“

იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს რუსეთის გეგმებში შედიოდა, ალექსანდრ ანქვაბი პოსტიდან საპროტესტო აქციების ფონზე წავიდა, მისი ადგილი რაულ ხაჯიმბამ დაიკავა, რომელიც მოსახლეობას რეფორმებსა და სოციალური პრობლემების გადაჭრას დაჰპირდა. ამ დრამატულ ვითარებაშიც კი შეთანხმების მოწინააღმდეგეები ბრალს თბილისს სდებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ სწორედ თბილისის სიჯიუტის გამო გახდნენ იძულებულები, დასთანხმებოდნენ რუსეთთან ინტეგრაციას.

იმ იზოლაციის გათვალისწინებით, რომელშიც რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი მოაქცია, მათ მხოლოდ ერთი – მოსკოვის – მიმართულებით შეუძლიათ მოძრაობა. მით უფრო, რომ აფხაზეთის შესაძენად დიდი ფული საჭირო არ არის, ზოგჯერ ხურდაც საკმარისია: შეპირებული 5 მილიარდი რუბლი, დღევანდელი კურსით, 110 მილიონი დოლარია, ხოლო სანქციების ფონზე ის შესაძლოა, მომავალი წლისთვის, როდესაც მისი გაცემაა ნავარაუდები, სულაც, განახევრდეს...

ნინო ხაჩიძე

(70-ე გვერდიდან)

რატომ არ აძლევდნენ რობი კუხიანიძეს თბილისში სიმღერის უფლებას და რატომ მოუნია მას საკუთარ დაჯილდოებაზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეპარვა

არ ნიშნავს, რომ ღორი არ ხარ.

– ერთხელ თქვით, რომ ადრე ქუთაისში სამაგალითო ბიჭი ვიყავი, მერე ჭორები გამივრცელესო. რას გულისხმობდით?

– საერთოდ წყნარი, მორცხვი, მშვიდი ბიჭი ვიყავი. მერე დავიწყე ცუდი რაღაცეები *(იცინის).* ბევრს ვსვამდი, სხვა რამე არ იფიქროთ, მხოლოდ სასმელი იყო ჩემი სიცუდე. დალევა ძალიან ცუდია, ეს ყველამ უნდა იცოდეს. მეც ვიცოდი, მაგრამ მაინც ვსვამდი. ბევრჯერ „მილოთავებია“. ამ ბოლო დროს შევძელი და უარი ვთქვი სასმელზე. უფრო მეტიც, საერთოდ აღარ ვსვამ. საქართველოში ერთი ბოთლი ღვინო უნდა ღირდეს ერთი საშუალო გიტარის ფასი – 2 000 დოლარი მაინც, მისი ყიდვა რომ ვერ შეძლო. საბედნიეროდ, წამალს ვარჩიე, მაგრამ მე თუ მკითხავ, არავითარი განსხვავება არაა მათ შორის.

– ბაბუა ხართ, ერთი შვილიშვილი გყავთ ხომ?

– კი ერთი შვილიშვილი მყავს, სანდრო. არ ვერევი მის გაზრდაში. როცა პიროვნება ყალიბდება, ძალიან სათუთი უნდა იყო, რომ მაგალითი არ გახდე მისთვის. ამიტომ, ყოველთვის ვცდილობ, ჩვენს შორის ბარიერი იყოს. ვუფრთხილდები და გარედან ვუყურებ. უფრო მისგან მინდა ვისწავლო რამე, ვიდრე ჩემგან რაღაცეები აიღოს და შეითვისოს. ჩემში სამაგალითოს ვერაფერს ვხედავ *(იცინის).* თან, იმიტომ კი არა, რომ ცუდ რამეს ვაკეთებ, უბრალოდ სხვა თაობის ვარ. მირჩევნია, რომ თამაშობს, დავაკვირდე. ბავშვს არაფერი არ უნდა ასწავლოს ბებიამ და ბაბუამ.

– ცოლი როგორ მოიყვანე?

– მაგაზე დიდხანს რომ მეფიქრა, უცოლო ვიქნებოდი, ან ბევრი ცოლი მეყოლებოდა *(იცინის).* მიყვარდა ბევრი, მართლა ბევრი შეყვარებული მყავდა. ბოლოს, ისე მაგრად შემიყვარდებოდა რომელიმე და ისე შინაური ხდებოდა ჩემთვის, მერე „მიტყდებოდა“, ვერ წარმომედგინა, ცოლად როგორ უნდა მომეყვანა. ერთი მეუღლე მყავს და მეტი არ მყოლია. როგორც ხელოვანი ამაში მოვიკოჭლეს *(იცინის).* ჩვენი შეუღლება ძალიან უცებ მოხდა. ესტონეთში ვიყავი კონცერტზე და იქ გამეხსნა მისდამი სიყვარული. ბევრი შეყვარებული ხომ მყავდა, ერთი მომენატრა, ორი, სამი და ბოლოს ესეც მომენატრა. ამაზე ვა, ეს, რატომ? ჩემს თავს ვკითხე, ვერ მივხვდი. რომ ჩამოვედი, ერთი ჩემოდანი რეზინის სათამაშოები ჩამოვუტანე – კვატები, გოჭები და სხვადასხვა ცხოველი. ამ სათამაშოებს ხელს რომ მოუჭერდი, „წრუპუნებდა“. მაშინ პატარები ვიყავით. მივედი მასთან, დავლიეთ და აგუძერაში ამოვყავით თავი. ასე შევუღლდით და 22 წელია, რაც ერთად ვართ.

ეთო ხურციძე

– რომ გიყურებ, ფაქტობრივად, კარგად მოვლილი გოგოსავით ხარ: თვალებზე შავი ფანქრის ნარჩენი, ხელებზე ერთი ბეწვიც არ გაქვს... რა გიქნეს ამისთანა?

– უბეწვო კატები რომ არიან, ძალიან ცუდი შესახედი, ხელს რომ მოჰკიდებ და სლიკინებს, ასე ვარ. ერთი სული მაქვს, როდის ამოიწვერება. ტანზეც ასე ვარ. შეიძლება, ქართველმა ვაჟკაცებმა რაღაც იფიქრონ, მაგრამ, იმის გამო, რომ ვვარჯიშობ, მიწევს ხოლმე კონკრეტულ ადგილას, მაგალითად, ფეხებზე თმის მოშორება, რადგან, როცა კუნთი გეჭიმება, სპეციალურ ლენტებს გაკრავენ – კუნთის დამჭიმს და, თმა რომ არ აჰყვეს, კრემით ვიყრევინებ იმ ადგილას. მხარზეც მქონია დაჭიმულობა, ფეხზეც – ამას კარგად გამიგებენ სპორტსმენები. ეს დიდად უცხო არ ყოფილა. როცა რაღაც საჭიროა, აუცილებლად უნდა გააკეთო. დამიჯერეთ, მამაკაცობას ბეწვი ვერ წაიღებს, სხვა რაღაცეებს გაუფრთხილდნენ. როდესაც ამ შოუში დავაპირე მონაწილეობა, მაშინვე ვთქვი: რომ დამჭირდეს თავის გადაპარსვა და კბილის ამოღება, ყველაფერზე წავალმეთქი.

– დიდი ხანია, არცერთ სატელევიზიო შოუში ან კონკურსში არ გამოჩენილხარ. ახლა, როცა ამ პროექტში მონაწილეობ, შენი მხრიდან თუ იყო რამე მოთხოვნები?

– არ მინდოდა პაროდიების კეთება; როგორც შევძლებდი, ისე უნდა გამეთავისებინა ის არტისტი, რომლის განსახიერებაც მომიწევდა. გამომდის თუ არა – ეს მაყურებელმა უნდა შეაფასოს. ანუ, ჩემი მოთხოვნა იყო, რომ ჩემ მიერ განსახიერება არ წასულიყო პაროდიისკენ, სასაცილოსკენ. მაგალითად, ენრიკეს შემთხვევაში, ბოლოსკენ, შეიძლება, კრიზისი დამდგარიყო – სასაცილო ყოფილიყო, ზომიერება რომ არ დაგვეცვა. ასე იქნებოდა მაიკლ ბაბლეს შემთხვევაშიც, რომელიც, შესაძლოა, ელვის პრესლისკენ წასულიყო, რადგან, მისი ფეხის მოძრაობა მიახლოებულია ელვის ფეხის „ჩატეხვასთან“.

– პირადად მე, შენი ორივე გამოსვლა მომეწონა – საკმაოდ ჰგავდი, როგორც მიხრა-მოხრით, ისე ხმის ტემბრითაც.

– არც მე ვარ უკმაყოფილო, მაიკლ ბაბლეც კარგი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ გრიმიორებზე აუგს ვერ ვიტყვი, რადგან, ყველაფერს აკეთებენ, უბრალოდ, ჩემი სახის მოყვანილობიდან გამომდინარე, რაღაც გამოდის და რაღაც – არა. მაიკ ბაბლეს შემთხვევაში ვერ მივიღე მაღალი შეფასებები, მაგრამ, მაყურებელმა დამიჭირა მხარი. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, ამ შემთხვევაში ვეცადე, მაქსიმუმი გამეკეთებინა. როცა საკუთარი თავის უკმაყოფილი ვიქნები, ამასაც ვიტყვი, ჯერჯერობით კი კმაყოფილი ვარ, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ შოუს სპეციფიკა საკმაოდ რთულია. მეორე ტურში უკვე გაგვიჭირდა რაღაცეების გაკეთება: უნდა გაითავისო მანერა, რას უშვები ხელს, ფეხს; ფიქრობ სიტყვებზე, ხმის ტემბრზე, თუ ცეკვაა – შოუზე. მე რომ ჩემი ტემბრით ვმღეროდე, ასმაგად ხალასი ვიქნებოდი, ახლა კი ყველა ნოტზე ვფიქრობ – სუხიტას ხმას არ უნდა ჰგავდეს.

ყველა მეკითხება, როდის ჩაიცვამ მოკლე კაბასო. ყველაფერი ლოტოტრონზეა დამოკიდებული. მე, რა თქმა უნდა, მაინტერესებს, როგორ გავაკეთებ

პროექტის, „ერთი ერთში“ მესამე სეზონი, შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან, ბევრი კარგი მომღერალი იღებს მონაწილეობას. ერთ-ერთი მათგანი, პირადად ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანი და ნიჭიერი მომღერალი გიორგი სუხიტაშვილია, რომელმაც მაიკ ბაბლეც და ენრიკე იგლესიასიც, ძალიან კარგად განასახიერა ფიზიკურადაც და მუსიკალურადაც. ამიტომ, ნამდვილად იმსახურებს მაყურებლის მხრიდან ყურადღებასა და დამესიჯვებას ნომერზე: 93905.

სად არ დასჭირდა ვნებების მოთოკვა გიორგი სუხიტაშვილს და გაუჭირდა თუ არა მას საწოლზე, რამდენიმე სექსუალურ გოგონასთან ერთად ენრიკე იგლესიასის როლში ყოფნა

– თან, ამ ყველაფერს ემატება გრიმი, ხელოვნური კბილები...

– კბილები დღეს მე მოვიძრე, „ჯიდიეესის“ „შუადღეში” უნდა ვყოფილიყავი და კბილებით ვერ შევიდოდი, რადგან, ცოტათი ვჩლიფინებდი. ყველაზე მთავარი ის არის, ლაივი რომ დამთავრდა ვაწვალე, ერთი კბილი მომძვრა და ასე ხომ ვერ დავჯდებოდი ეთერში.

– „ჯეოსტარში“ ჟიურის მხრიდან თითქმის ყოველთვის მაღალ შეფასებებს იღებდი; ზოგადად, შენი საქმის პროფესიონალი ხარ, კარგ შეფასებებს ხარ მიჩვეული და, ახლა, როცა რაღაც შენიშვნას გაძლევენ ან სხვას გადარჩებენ, არცთუ მაღალი შეფასებებია – ეს ხომ არ გიქმნის დისკომფორტს?

– „ჯეოსტარზე“ ექვსჯერ თუ შვიდჯერ ვიყავი აუტსაიდერებში, თუმცა ჟიურის მხრიდან კარგი შეფასებები იყო და, მერე ამიტომაც ლაპარაკობდნენ: პრეზიდენტია ამ საქმეში ჩართული, კარალეთი, ომი და ასე შემდეგ. იმის მერე შვიდი წელი გავიდა; შესაბამისად, მეც შევიცვალე და საზოგადოებაც, რომელმაც უამრავი რამ ნახა, მათ შორის კონკურსები. რაც შეეხება დისკომფორტს, აქ ორი მხარეა: პირველი – ძალიან რთულია, როდესაც ადამიანი გამეცადინებს და შემდეგ ჟიურიში ზის, რადგან, მან იცის შენი ყველა პლუსი და მინუსი. სისი ძალიან მაგარი პედაგოგია, მაღალი დონის პროფესიონალი. ის ინდივიდუალურად მუშაობს ყველასთან. ჯერ თითოეულ ფრაზას ვაკეთებთ, მერე ვაკოწიწებთ, შემდეგ ამას მოძრაობებიც ემატება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება, კონცერტზე ცუდად კი არ გაკეთო, უბრალოდ, რაღაც შეცვალო და ამ ცვლილებამ, შეიძლება, სისიში გამოიწვიოს ის, რომ მისი დავალება სრულად არ შეასრულე და ამის გამო ქულები ჩამოგიწიოს. ეს, რა თქმა უნდა, მესმის და, მირჩევნია, სისი და ზაკი ისხდნენ ჟიურიში, ვიდრე ქართველი ხელოვანები. არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ჟიურიში ყოფნა მხოლოდ იმ სკამზე ჯდომა არ არის. მათ აუცილებლად უნდა ნახონ ის არტისტები, რომლებიც შემდეგ უნდა შეაფასონ, მაგალითად, ლორდზე, რომელიც ნინის შეხვდა, კიდევ სხვებზე იკითხეს, ეს ვინ არისო. შეიძლება, ვიზუალურად ყველა არ იცოდე, მაგრამ, როდესაც მთელი კვირაა შესაფასებლად, უკეთესი იქნება, ის არტისტი ნახონ და, შეისწავლონ, რომელიც შემდეგ უნდა შეაფასონ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სურვილი და თხოვნა იქნება, რომ უფრო მეტი ყურადღება მოგვაქციონ, რადგან, ჩვენ მათთვის ვაკეთებთ ამ ყველაფერს, მხოლოდ სისისთვის და ზაკისთვის კი არა, დანარჩენი ორი წევრისთვისაც.

– ძალიან მაინტერესებს როდის გარდაისახები რომელიმე ქალ მომღერლად?

– ყველა მეკითხება, როდის ჩაიცვამ მოკლე კაბასო. ყველაფერი ლოტოტრონზეა დამოკიდებული. მე, რა თქმა უნდა, თვითონაც მაინტერესებს, როგორ გავაკეთებ. ძალიან რთული იქნება, მაგრამ, ჩემი ფეხების იმედი მაქვს. ვარჯიშები სპეციალურად შევწყვიტე – ქალი რომ ამომივიდეს, არ მინდა, გაბერილი კუნთები მქონდეს და, ამიტომ, ფეხებზე დიდ დატვირთვას აღარ ვაკეთებ.

– ენრიკე იგლესიასის ნომერმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია: ისეთი ამბები ხდებოდა სცენაზე...

– სპექტაკლებში მქონდა ასეთი სცენები, სექსის სცენებიც მქონია. ეს, უბრალოდ, იმით განსხვავდება, რომ თან მღერი. რა თქმა უნდა, რთულია, რადგან, იქ ბევრი რამ იქცევს შენს ყურადღებას; თან, ძალიან ლამაზი გოგონები არიან, კარგად მოძრაობენ, ცეკვავენ; თან – მაყურებელი გიყურებს და, თან – ენრიკე უნდა იყო და არა გიორგი. ვნებების მოთოკვა არ დამჭირვებია. ახლა, თუ „აზაბოჩენი“ რაღაცეები გჭირს და ვერ ხვდები, რა დროს რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება, ჯობია, ასეთ პროექტში არ შეხვიდე. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გამოთიშული არ უნდა იყო სიტუაციისგან, მაგალითად, როცა საწოლის სცენა გაქვს, შენ და გარშემო ლამაზი გოგონები რაღაცეებს აკეთებენ, შენ კი ფიქრობ – მე ეს არ მაინტერესებსო. სხვათა შორის, ბევრმა გოგომ მომწერა – ხალს ხომ იკეთებო, ჰოდა, გავიკეთე.

– რას გწერენ ხოლმე გოგონები?

– ისეთი არაფერი, წარმატების სურვილებია, თუმცა, დაბლოკილების სიაც ბევრი მაქვს – უცნაურ და ზედმეტ რაღაცეებს რომ გამოხატავენ, თან – ცუდად. უცნაური ურთიერთობისთვის რომ გწერენ, პირდაპირ რომ იწყებენ: „უცნაურია ურთიერთობა”... – რომელიც მე არ მაინტერესებს და იქვე ვბლოკავ.

– აჩიკო გულედანი უნდა განასახიერო. ვფიქრობ, არ იქნება ადვილი.

– ძალიან რთული იქნება იქიდან გამომდინარე, რომ, იმ სიმღერაში, რომელსაც გავაკეთებ, ძალიან ცოტა დამახასიათებელი შტრიხი ჩანს. ალბათ, ჩაცმულობა, დგომის მანერა იქნება იდენტური. ვეცდები, ვოკალურად გავაკეთო ზუსტად. აჩიკოს სიმღერის ტექსტი არ ვიცი, უნდა შევისწავლო. სხვათა შორის, ძალიან მომწონს ეს მანერა: მუსიკის კონკრეტული ჟანრი ვერ იტანს, როდესაც ასოთა შეთანხმება ძალიან ბევრია. აჩიკოსთან ყველაფერი მელოდიაშია გადატანილი და ძალიან მომწონს.

ნათია უტიაშვილი

მიშა ხრამოვი – „რეპი ჩემთვის ცხოვრებას ნიშნავს"

„რეპი ჩემთვის ცხოვრებას ნიშნავს. მიყვარს იმიტომ, რომ ცხოვრებისეულია. ჩემი ტექსტები ყოველთვის პრობლემური თემებით არის დატვირთული, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ამ ჟანრს დიდად არ აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბევრს ვშრომობთ, ხალხი ამ ყველაფერს ცუდი თვალით უყურებს და არ ხიბლავს ქართული რეპი, მაგრამ, ამ მიზეზით არასოდეს შევიცვლი არჩევანს. პირიქით, ძალიან ბევრს ვიშრომებ და ბევრ სიმღერას ჩავწერ. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რეპერია, მაგრამ, ცოტაა ისეთი, ვინც მართლა აკეთებს რამეს და, მინდა, მათ მივესალმო. დანარჩენებსაც წარმატებებს ვუსურვებ – იქნებ მოხდეს რამე და ქართული რეპი ასახელონ".

ამ სიტყვების ავტორი 16 წლის რეპშემსრულებელი მიშა ხრამოვია. მიშა ბავშვობიდან მღერის, მაგრამ, ამ საქმიანობისთვის ხელის მოკიდება

სერიოზულად წელიწად-ნახევრის წინ გადაწყვიტა. როგორც თავად ამბობს, ამისთვის ძალიან ბევრს შრომობს და, დაბრკოლებების მიუხედავად, უკან დახევას არ აპირებს, პირიქით, აკეთებს ყველაფერს, რასაც მუსიკა მისგან მოითხოვს, რადგან, გადაწყვეტილი აქვს, ბოლომდე გაჰყვეს მას, თუმცა, წინასწარ რამის დაგეგმვა და სამომავლო გეგმებზე საუბარი არ უყვარს. ცხოვრობს დღევანდელი დღით და, იმ პრობლემებს, რომლებსაც გარშემო ხედავს, საკუთარი სიმღერებით უცხადებს პროტესტს. მისი თითქმის ყველა სიმღერა თანამედროვე საზოგადოებაში არსებული და აქტიური პრობლემატიკით არის დატვირთული.

ერთ-ერთ სიმღერას სახელადაც „პრობლემა" დაარქვა და მასში ის საკითხები წამოჭრა, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. მის სიმღერებში მნიშვნელოვანია, ასევე, ნარკომანიის თემაც.

საკუთარი შემოქმედებიდან გამოარჩევს სიმღერას, სახელწოდებით „საქართველო" და, მიაჩნია, რომ მასში განსაკუთრებული აზრია ჩადებული, რომელსაც მსმენელი ყოველთვის გრძნობს.

მისი ასაკისთვის უკვე საკმაოდ ბევრი სიმღერა დაუგროვდა, რომელთა დიდი ნაწილი სოლოში აქვს შესრულებული, თუმცა, გარდა სოლო სიმღერებისა, აქვს დუეტებიც თავის უფროს მეგობართან, რეპერ ზურიკო კოკლიანთან, რომელსაც ქართველი რეპის მოყვარულები კარგად იცნობენ. მიშას იმედი აქვს, რომ თავდაუზოგავი შრომით აუცილებლად მიაღწევს მიზანს და რეპში თავის სიტყვას იტყვის.

„ნესტლეს" სამედიცინო კონფერენცია

„სიცოცხლის პირველი 1 000 დღე განსაზღვრავს ჯანმრთელობას" – სწორედ ამისი თქმა უნდოდათ სამედიცინო კონფერენციაზე, რომელიც 26 ნოემბერს, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა უწყვეტი სამედიცინო, საგანმანათლებლო და ექიმთა პროფესიული გავითარების პროგრამა, რომელიც საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციამ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მტკიცებითი მედიცინის მასალებზე დაყრდნობით, შეიმუშავა.

პროგრამა „სიცოცხლის პირველი 1 000 დღე განსაზღვრავს ჯანმრთელობას" მიზანია ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება მილენიუმის ძირითად მიმართულებებში. პროგრამა მომზადდა საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციისა და კომპანია „ნესტლეს" ინიციატივით. პროგრამის ფარგლებში ექიმები და ექთნები თბილისსა და რეგიონებში გაივლიან ტრენინგებს. მათ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

„შემოდგომა 2014" – ცვალებადობა ფოლკლორის ცხლოში

„შემოდგომა 2014" – ასე ერქვა გამოფენა-გაყიდვას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახლში. პროექტის ავტორები არიან და საინიციატივო ჯგუფში შედიან: თემურ დვალიშვილი, გელა კენჭუაშვილი, შოთა ქურიძე და გია მარკოზაშვილი. ეს იყო მათ მიერ მოწყობილი მეორე გამოფენა (პირველი გამოფენის მიზანი, რომელიც გაზაფხულზე მოეწყო, იყო თანამედროვე მხატვართა პოპულარიზაცია

და ჩატარდა სახელწოდებით – „გაზაფხული 2014"). გამოფენაში მონაწილეობას იღებდა 60 მხატვარი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – აფხაზეთიდან, აჭარიდან, ქართლიდან და სხვა.

გამოფენა-გაყიდვამ ძალიან კარგად ჩაიარა და ეს მოვლენა პრესამ და ტელევიზიამაც გააშუქა. საგამოფენო დარბაზი ნამუშევრებს ვეღარ იტევდა, აღარაფერს ვამბობთ დამთვალიერებელთა რაოდენობასა და ინტერესზე.

დიდი ხანია, საქართველოში ასეთი მასშტაბური გამოფენა არ მოწყობილა; ძირითადად, ეწყობა მხოლოდ პერსონალური გამოფენები, რაც ყველა მხატვრისთვის არ არის შესაძლებელი სხვადასხვა მიზეზის გამო. იგეგმება, რომ ასეთი გამოფენების მოწყობა მომავალშიც გაგრძელდეს.

სტუდენტური თეატრული ფესტივალი „ნიღაბი"

2-დან 10 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდება ფესტივალი „ნიღაბი", რომლის ორგანიზატორიცაა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაცია – „ასტა". ეს ორგანიზაცია სამი წლის წინ ჩამოყალიბდა. მათივე თაოსნობით, 2012 წელს პირველად ჩატარდა ფესტივალი „ნიღაბი".

ამ ფესტივალის ფარგლებში სტუდენტური თეატრალური დასები წარადგენენ თავიანთ სპექტაკლებს. პირველი და მთავარი წესი ამ ფესტივალისა არის ის, რომ მისი ყველა მონაწილე სტუდენტია. ამ პროექტში საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაა ჩართული ბათუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. გარდა ამისა, „ნიღაბში" მონაწილეობენ აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინისა და აზიური დასები. ამ სტუდენტურ თვითშემოქმედებას აფასებენ პროფესიონალი მსახიობები და რეჟისორები, ანუ, პროფესიონალი ჟიური, რომელიც გამოავლენს არა გამარჯვებულ უნივერსიტეტს ან სპექტაკლს, არამედ, 9 სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ სტუდენტს. ასევე, ორგანიზაცია „ასტას" დაწესებული აქვს პრიზი – „ასტას რჩეული", რომელიც, ასევე, გადაეცემა გამარჯვებულს. „ასტას" ბევრი ორგანიზაცია უდგას მხარში, რომლებიც სხვადასხვა ნომინაციაში დააჯილდოებენ გამარჯვებულებს.

27 წლის მაკა ქებურია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი ქალია და სახიფათოც, რადგან, თუ ქუჩაში გააბრაზებთ და წყობიდან გამოიყვანთ მუდამ მოღიმარ, ხალისიან მაკას, არც ის დაგრჩებათ ვალში. მაკა 18 წლიდან კიოკუშინ-კარატეზე დადის, ამ ხნის განმავლობაში მან არაერთ წარმატებას მიაღწია: ის არის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ხუთგზის გამარჯვებული, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო პრიზიორი, სამი დანის მფლობელი. მიუხედავად ამდენი წარმატებისა, სამწუხაროდ, როგორც მაკა ამბობს, მას სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ფინანსური დახმარება და აღიარება არ აქვს.

როგორ გახდა პირველი ქალი სენსეი მაკა ქებურია

მაკა ქებურია: 27 წლის ვარ, დავიბადე და გავიზარდე ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ კირცხში. დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი. ბავშვობიდან კარატეზე მინდოდა სიარული, მაგრამ, რადგან კლასელებს ვცემდი, მშობლებმა უარი მითხრეს, ვიღაცას სცემო. აბიტიტურიენტი რომ გავხდი, გადავწყვიტე, ერთი თვე მაინც მევლო კარატეზე და მოყვარულების ჯგუფში ჩავეწერე პროფკავშირების კულტურის ცენტრში. იქ მავარჯიშებდა ჩემი მომავალი მწვრთნელი, ნოდარ კვანჭიანი, რომელიც შავი ქამრის, მეხუთე დანის მფლობელი, საერთაშორისო კლასის ოსტატი, უძლიერესია კიოკუშინ კარატეში და თავისი საქმის დიდოსტატი. ერთი თვის თავზე უკვე მასწავლებლის ყურადღება მივიქციე, რადგან ძალიან ყოჩაღი ვიყავი და პასუხისმგებლობის გრძნობა მქონდა. რასაც მავალებდნენ, ხუთიაზე ვაკეთებდი. სამ თვეში ჩავაბარე მეათე „ქიუზე", ეს არის პირველი ნაბიჯი – საფეხური კარატეში. წელიწადსა და ორი თვეში მეორე „ქიუ" მეკეთა – ყავისფერი ქამარი. ზუსტად ოთხი წლის თავზე ჩავაბარე პირველ დანზე, რაც რეკორდული მაჩვენებელია. როცა შავ ქამარზე აბარებ, დაახლოებით, 7-8 წლის ნავარჯიშები უნდა იყო. ყველა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდე, რომ მიიღო შავი ქამარი, პირველი დანი და გერქვას ოსტატი. შეიძლება ითქვას, არანორმალურად ვვარჯიშობდი – დილის 6 საათზე იწყებოდა ჩემი დღე და ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობით ვუდგებოდი. ამიტომაც, ოთხი წლის თავზე ავიღე პირველი დანი და ოსტატის წოდება. ამისთვის 20 ბრძოლა უნდა ჩაატარო გაუჩერებლად, თავისი ფიზიკური მონაცემებით, ტექნიკური დატვირთვით, კატებით. ეს არის 6-საათიანი გამოცდა, რომელიც შეუჩერებლად მიმდინარეობს. სპარინგ-პარტნიორები უმეტესად ბიჭები იყვნენ.

ერთხელ ქუჩაში ისე გამომიყვანა ადამიანმა წყობიდან, ერთი დარტყმით წავაქციე

– რა გევალება ამ გამოცდის დროს?

– უპირატესობა შენი უნდა იყოს – არ წაიქცე, არ გაითიშო, ფეხში არ გაითიშო, თავში არ მოგხვდეს. როდესაც 2012 წელს იაპონიაში მეორე დანზე ჩავაბარე, იქ უკვე 8-საათიანი გამოცდა მქონდა. საკმაოდ რთული იყო, რადგან ცენტრალურ დარბაზში ვაბარებდი, სადაც ისხდნენ: მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის ტექნიკური დირექტორი, მოკლედ, ყველანი. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ ჩემი სპარინგ-პარტნიორები. რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე ვიყავი, სადაც მეორე დღეს ჩატარდა დან-ტესტი, ამიტომ გადავწყვიტე იქ ჩაბარება. სხვათა შორის, 2009 წელს რომ ვასპარეზობდი პირველად, 84 კილოგრამი წონის მოწინააღმდეგე შემახვედრეს, მე 59 ვიყავი. პირველივე რაუნდში მოვიგე. მეორე ბრძოლაში შევხვდი უკრაინის მრავალგზის ჩემპიონს, ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, რომელიც სამ რაუნდში დავმარცხე. მე იმ დროს ყავისფერი ქამარი მეკეთა, მას კი – შავი და ძალიან დაძაბული მომენტი იყო, როდესაც პირველი დანის მფლობელი უგებდა მეორე დანს. ვერაფერი მიქნა გოგომ. ამის მერე მქონდა ფინალური ორთაბრძოლა, შევხვდი სამგზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, რუსეთის ფავორტ სპორტსმენს, რომელიც 2000 წლიდან ჩემპიონია – ანა კუკარინას და დავმარცხდი. მძიმე წონაში ევროპის პრიზიორი გავხდი. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე დამამარცხა. მაგრამ, ოთხი წლის თავზე ხომ მქონდა შავი ქამარი, ხუთი წლის თავზე, ანუ 2011 წელს, ევროპის ჩემპიონატი მოვიგე: პირველივე ბრძოლაში მოვხსენი ანა კუკარინა. ისე გავუშვი, მესამე ადგილზეც ვერ გავიდა. თან, ფინალი უნგრეთში იყო და უნგრელი ლილლა ჰერეზეკი დავამარცხე – უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიოს პრიზიორი. არადა, მთელი უნგრეთი ფეხზე იდგა, მის სახელს ყვიროდნენ, ჩემს სახელს მხოლოდ აზერბაიჯანელები იძახდნენ: მიდი, მაკა, მიდი! მეორე რაუნდში მოვიგე, მთელი უნგრეთი დაღონდა – დიდ ემოციებთან იყო დაკავშირებული ჩემი მოგება. ამას მოჰყვა 2013 წელს ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ასევე მოვიგე, ანუ ზედიზედ ორჯერ გავხდი ევროპის ჩემპიონი. მსოფლიოში მეხუთე ადგილზე ვარ. მინდა პირველი ადგილი და მსოფლიო ტიტული მოვიპოვო. ჯერჯერობით ევროპის ორგზის ჩემპიონობით შემოვიფარგლები. 2014 წელს, 6 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ვერ მოვახერხე გამგზავრება ფინანსების არქონის გამო. 2 500 დოლარი ჯდებოდა ჩემი გამგზავრება, მაგრამ ეს თანხა ვერ მოვიძიე. ჩემი ჯიბიდან ვერ შევძლებდი გადახდას. 14 წელია, ნაქირავებში ვცხოვრობ, 191-ე საჯარო სკოლაში ვმუშაობ და იქიდან აღებული 200 ლარით ვუვლი თავს. ასე რომ, წელს ჩავაგდე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც მოიგო იმ გოგონამ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე დავამარცხე. ახლახან, 22 ნოემბერს გამოცდა ჩავაბარე საერთაშორისო კლასის ოსტატთან, შიჰან ნოდარ კვანჭიანთან. გამოცდა დილის 9 საათზე დაიწყო და 6 საათზე დამთავრდა. საკმაოდ რთული და მკაცრი იყო. ყველაფერი ჩავაბარეთ, 30 ბრძოლა. 6 კაცი აბარებდა გამოცდას. სამი – პირველ დანზე, სამი – შავ დანზე. ექვსიდან ერთადერთი გოგონა მე ვიყავი, ასევე, პირველი ქალი ვარ საქართველოში, რომელმაც კიოკუშინ-კარატეში მესამე დანზე ჩააბარა გამოცდა. ახლა მესამე დანის მფლობელი ვარ და სენსეის წოდება მაქვს, მესამე შავი ქამარი. დიპლომი მალე ჩამომივა იაპონიიდან.

– როგორც ვხედავ, სახელმწიფოს მხრიდან არანაირი დახმარება არ გაქვს.

– დილის 6 საათიდან ვიწყებდი ცხოვრებას და არანორმალური ვარჯიშით რვა წელში შევძელი მიმეღწია წარმატებისთვის რაიონიდან ჩამოსულმა გოგონამ, რომელიც არანორმალურად შრომობდა. საქართველოში არ აღიარეს ჩემი ევროპის ჩემპიონობა. მე შევძელი უცხოეთში ორჯერ ამეჟღერებინა საქართველოს ჰიმნი. როგორც ჩემპიონს, არანაირი ანაზღაურება და ყურადღება არ მიგრძნია სახელმწიფოსგან. მხოლოდ 500 ლარი მაჩუქეს ჩემს რაიონში იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონი გავხდი.

– რით არის კიოკუშინ-კარატე გამორჩეული?

– ეს არის კონტაქტური, ქუჩასთან მიახლოებული, რეალურ ბრძოლასთან დაკავშირებული. შიშველი ხელებით ვჩხუბობთ, ამიტომაც სახიფათო სპორტია. ერთხელ, მახსოვს, მაღაზიაში გამყიდველმა მითხრა: ჩემიანმა იცის მეჭეჭების წამალი და მოგცემო. არა, ქალბატონო, ვარჯიშისგან ვარ ასე-მეთქი, ვუთხარი.

– ქუჩაში ხომ არ დაგჭირვებია შენი ძალის გამოყენება?

– ერთხელ ქუჩაშიც ვიჩხუბე და ინსტიტუტშიც. ტაქსის მძღოლმა გამაბრაზა და უხეში პასუხი გამცა, შეტევაზე გადმოვიდა. რა თქმა უნდა, მეც არ დავიხიე უკან და ბოლოს გაიქცა. ინსტიტუტში ჩემმა კურსელმა გამაბრაზა, სკამი გამომაცალა, ძირს დამაგდო. რომ ავდექი, მუხლებზე იდგა: მაპატიე, არ დამარტყაო. ერთხელ ქუჩაში ისე გამომიყვანა ადამიანმა წყობიდან, ერთი დარტყმით წავაქციე.

– რა ხდება პირადში?

– რაღაც უნდა მოიკლო რაღაცის ფასად, სხვანაირად ვერ მიაღწევ წარმატებას. ახლა კი ვარ წარმატებული, მაგრამ არაღიარებული საქართველოს მიერ. მამაკაცი, რა თქმა უნდა, ძლიერი უნდა იყოს, თუ სუსტი იქნება, მოვერევი. გაგიმხელთ – ჩემს ცხოვრებაში არის პიროვნება, რომელიც მომავალში ჩემი მეორე ნახევარი იქნება. ის მესამე დანის მფლობელია და კიოკუშინის პრინციპებით ცხოვრობს – მოწესრიგებულია, კულტურული, დისციპლინირებული, გაწონასწორებული, ამიტომაც გავაკეთე მასზე არჩევანი.

ნათია უტიაშვილი

სტრესი, დაღლილობა, უძილობა, უთანხმოება და სხვა მრავალი ფაქტორი პირდაპირ აისახება ჩვენს ნერვულ სისტემაზე. ისტერია ერთ-ერთი ნერვული დაავადებაა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს. ამ დროს პიროვნება სხვადასხვა ხრიკის მეშვეობით ცდილობს საზოგადოების მართვას და ყურადღების მაქსიმალურად მიპყრობას. რა ხდება სინამდვილეში, რა იწვევს ისტერიას და რატომ ემართებათ ის განსაკუთრებით ქალებს? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფსიქოლოგი თინათინ აფხაიძე ისაუბრებს.

რას არ ერიდებიან ყურადღების მისაქცევად ისტერიით შეპყრობილი ადამიანები და როდის უსვამს პიროვნება ხაზს საკუთარი ტანჯვის ზედმეტ გამომსახველობას

– რა არის ისტერია და რატომ ემართებათ ის ძირითადად ქალებს?

– თავად ტერმინი – „ისტერია" ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს და, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, „საშვილოსნოს" ნიშნავს. მას მიიჩნევდნენ მხოლოდ ქალის დაავადებად, ვინაიდან ქალის ორგანოს უკავშირდებოდა. თუმცა, დღეს ამ ტერმინისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და მისი გამოყენება მრავალი მნიშვნელობით შეიძლება. ის ასოცირდება ნერვულ დაავადებებთან, რომელთა ერთ-ერთი სახე პიროვნების ისტერიული აშლილობაა. ამ დროს ადამიანს სჭირს პიროვნების დარღვევა. ზოგადად, ისტერიის ნიშნები ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება ჰქონდეს, თუმცა, გააჩნია, რა კუთხით და რა დოზით გამოვლინდება ის პიროვნებაში. ეს დაავადება უპირატესად ახალგაზრდა ქალებს ემართებათ. ამ დროს დამახასიათებელია სიტუაციური მოვლენების დამძიმება, ფაქტების არაადეკვატური აღქმა, თვითკრიტიკის უქონლობა. ცნობილია ისტერიული გულყრა, რომელიც ცნობიერების დაბინდვას იწვევს, თუმცა, ამ დროს ისტერიით შეპყრობილ ადამიანს მოვლენების აღქმა შენარჩუნებული აქვს, დაცემა კი სხეულის დაზიანების გარეშე ხდება. რაც უფრო ძლიერია გარშემო მყოფთა შფოთვა და აჟიოტაჟი, მით უფრო დიდხანს გრძელდება გულყრა. მთავარი მიზეზი ისტერიული გულყრისა სწორედ ყურადღების ცენტრში ყოფნაა.

– როდესაც ადამიანი საკუთარი თავის კონტროლს ვერ ახდენს, შეიძლება, ამ ფაქტს ისტერია ეწოდოს?

– წყობიდან, შეიძლება, ნებისმიერი ადამიანი გამოვიდეს, მაგრამ, ყველაფერს ისტერია არ ჰქვია. ისტერიული აშლილობის, როგორც დაავადების გამოვლენასა და დიაგნოზირებას თავისი კრიტერიუმები აქვს. ისტერიული ტიპის ქმედებაა, მაგალითად: ყვირილი, ტირილი, მკვეთრი ემოციების გამოვლენა; მას ყოველთვის სჭირდება მაყურებელი, გულშემატკივარი, ვინაიდან ისტერიული ადამიანის მიზანი სწორედ ყურადღების ცენტრში ყოფნაა. ამისათვის ის არ ერიდება არაფერს და მაქსიმალურად ცდილობს ყურადღების მიპყრობას. ისტერიულ შეტევებს უფრო სერიოზული სახეც აქვს, მაგალითად: გულის წასვლა, კიდურების გაშეშება. ოთახში ჩაკეტილი ადამიანი ვერ იქნება ისტერიული, მან უნდა დადგას სცენები, რომლის მიხედვითაც იმოქმედებს. ეს დაავადება არის ემოციების სიჭარბე. ისტერიით დაავადებული ადამიანები ხაზს უსვამენ თავიანთი ტანჯვის ზედმეტ გამომსახველობას.

– კონკრეტულად რა თვისებები ახასიათებს ისტერიით შეპყრობილ ადამიანს?

მას ყოველთვის სჭირდება მაყურებელი, გულშემატკივარი, ვინაიდან, ისტერიული ადამიანის მიზანი სწორედ ყურადღების ცენტრში ყოფნაა

– მომეტებული მგრძნობიარობა. ისტერიით დაავადებულ ადამიანს უქრება გემოს შეგრძნება – ვერ არჩევს ტკბილსა და მწარეს; ვერ გრძნობს სიცხესა და სიცივეს. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეულ ტემპერატურას ნორმაზე მეტად გრძნობენ. ისტერიას ახლავს: თვალის ქუთუთოს დამბლა, სიმუნჯე, დაყრუება, სიბრმავე. ისტერიას „დიდი სიმულანტი" უწოდეს. ეს არის ნერვული დაავადება. ისტერიული ტიპის ადამიანისთვის დამახასიათებელია მუდმივი სწრაფვა ყურადღების მისაღებად, ამიტომ, ხშირად იცვამენ გამომწვევად; უმიზეზოდ ეცვლებათ გუნება-განწყობა, არიან ჭირვეულები, აქვთ ძლიერი ფანტაზია, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების განცვიფრებას ცდილობენ.

ისეთია კომენტარებმა, როგორებიცაა: „თავი ხელში აიყვანე", „ეს მხოლოდ ნერვების ბრალია" და სხვა, შესაძლებელია, მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს

– ასაკობრივი ბარიერი თუ აქვს ამ დაავადებას?

– ისტერიული აშლილობა ყალიბდება პიროვნების ხასიათის, მიდრეკილებებისა და სტრესული სიტუაციების მიხედვით. ასეთი ადამიანები სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ საზოგადოებაზე: აწყობენ თეატრალურ წარმოდგენებს, იბრალებენ დანაშაულს და ასე შემდეგ. არის შემთხვევები, როდესაც მაჯის ისტერიული გაშეშება ემართებათ შედარებით მცირე ასაკის – 8-9 წლის ბავშვებს. ამიტომ, ისტერიული აშლილობის გამოვლინების ასაკი მკაცრად შეზღუდული არ არის. ყველა ადამიანს აქვს სხვადასხვა მგრძნობელობა. კონკრეტულად ვერ ვიტყვით ასაკს, ვინაიდან, შესაძლოა, ისტერია ნებისმიერ ადამიანს დაემართოს. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, ისტერიული ნიშნები უფრო ბავშვებში და მოზარდებში ჩნდება – ჩამოყალიბებულ პიროვნებას აღარ უნდა ყურადღების მიპყრობა სხვადასხვა სიგიჟეებით.

– თუ შეიძლება, რომ ისტერია გამოიწვიოს კამათმა?

– ისტერიას იწვევს ნებისმიერი სტრესული სიტუაცია – ტრაგედია, კამათი, ფიზიკური გადაღლა, ოჯახში უთანხმოება, პროფესიონალური დაუკმაყოფილებლობა და ასე შემდეგ. ისტერიული აშლილობა რთული ნევროზია, რომელსაც გააჩნია წინაპირობები, ანუ, ადამიანში არსებული ბუნებრივი მიდრეკილებები, სუსტი მხარეები და სტიმულის მიმცემი სიტუაციები. ფსიქოლოგის პრაქტიკიდან მოგიყვებით ერთ შემთხვევას: 8-9 წლის ბიჭი დედას დაჰყავდა სამუსიკო სკოლაში, ვიოლინოს დაკვრას ასწავლიდა. ბავშვს არ უნდოდა, იძულებით სწავლობდა და ამ განცდაზე ბიჭს ისტერია დაემართა – მარჯვენა კიდური გაუშეშდა.

– ისტერიით დაავადებულმა ადამიანმა ვის უნდა მიმართოს?

– ნებისმიერ სიმპტომს აქვს თავისი გამოვლინების სიმძაფრე. თუ დანაშაულს იბრალებ და საშინელებებს აკეთებ, მაშინ, ფსიქიატრი უნდა ჩაერიოს საქმეში – ისტერიული აშლილობის მიზეზის დადგენა ფსიქიატრების შესწავლის საგანს წარმოადგენს. მკვეთრი ისტერიის დროს აუცილებელია მკურნალობა, რომ დაავადების უფრო რთული სახე არ მივიღოთ. იმ შემთხვევაში, თუ დაავადებული არ მიაკითხავს კომპეტენტურ პირს დახმარების მისაღებად, შესაძლებელია, გაჩნდეს ხასიათის მუდმივი ცვალებადობა, ადვილად გაღიზიანება, ეგოისტური თვისებები და ასე შემდეგ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, გარშემო მყოფების არასერიოზულმა მიდგომამ და ისეთმა კომენტარებმა, როგორებიცაა: „თავი ხელში აიყვანე", „ეს მხოლოდ ნერვების ბრალია" და სხვა, შესაძლებელია, მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს. ავადმყოფის თანდასწრებით არ შეიძლება ზედმეტი შფოთვისა და მოუსვენრობის გამოვლენა. ისტერიის პირველი სიმპტომების გამოვლენისას, ფსიქოლოგთან გასაუბრებაც საკმარისია. ამ დროს კარგია საკუთარი საქმით დაკავება, სპორტი, სეირნობა და ისეთი გარემო, სადაც დაავადებული ადამიანი თავს კომფორტულად იგრძნობს.

ეთო ხურციძე

მომღერალი დათო ხუჯაძე, უკვე წლებია, დიდ რუსეთში მღერის და საკმაოდ წარმატებულიც გახლავთ – უყვარს მსმენელს, რადგან თავის ქართულ ტემპერამენტს ბოლომდე ხარჯავს სცენაზე. თუმცა, ყოველთვის ახსოვს, რომ ქართველია და აქ ჩამოსულს, ისეთი განცდა აქვს, რომელსაც სხვა მხარეში ვერასდროს შეიგრძნობს. ახლა დათო კონცერტისთვის ემზადება, რომელსაც ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩაატარებს და იმედი აქვს, რომ ამ კონცერტიდან შემოსული თანხით, ბევრ ბავშვს დაეხმარება გამოჯანმრთელებაში. როგორც წესი, ის თავის პირად ცხოვრებაზე არ საუბრობს და ეს თემა დახურული აქვს. თუმცა, მაინც გამოტყდა, რომ შეყვარებულია და მის გვერდით არის ადამიანი, ვინც ცხოვრების, მუშაობისა და საქმის კეთების სტიმულს აძლევს.

რატომ არ გადადის ჭკუიდან შეყვარებული დათო ხუჯაძე და რა აძლევს მას სტიმულს ცხოვრებაში

დათო ხუჯაძე: როდესაც თვითმფრინავი საქართველოს ტერიტორიაზე ჯდება სულ სხვანაირად ვიწყებ სუნთქვას, სულ სხვა აურა შემოდის ჩემში და ვხვდები, ეს ის ადგილია, სადაც ყველაფერი მიყვარს და ჩემია. მართალია, წლებია, რუსეთში ვარ, მაგრამ მე აქ დავიბადე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება და ეს სულ მახსოვს, სადაც არ უნდა ვიყო. მოსკოვში რომ ვარ, ყველაზე მეტად სახლი და მეგობრები მენატრება. საქართველო ყველაზე მეტად მიყვარს, ვიდრე სხვა, ნებისმიერი ქვეყანა. მიმაჩნია, რომ წარმატებას საქართველოში მივაღწიე და მერე წავედი რუსეთში. ანუ, აქ წარმატებულს, იქ გამიადვილდა საქმის კეთება. ასე რომ არ ყოფილიყო, იქ ცხოვრება ცოტა გამიჭირდებოდა. მეკითხებიან ხოლმე, როგორ მიგიღო დიდმა რუსეთმა პატარა ქართველიო, მაგრამ ვინც ჩემი გაბარიტები იცის, არცთუ ისე პატარა ვარ *(იცინის)*. იცით, როგორ ხდება? თავად უნდა მიაღებინო თავი, შენი საქციელით აიძულო მოგისმინონ, შეგაფასონ. პირველი ორი წელი, ცოტა რთული იყო ამის მიღწევა, მერე კი გამიადვილდა.

– ამბობ, თავად უნდა მიაღებინო თავიო. ეს რთული არ არის? იღბალიც უნდა გწყალობდეს, ან მინიმუმ, საჭირო დროს, საჭირო ადგილას უნდა მოხვდე, რომ არ წასულიყავი საქართველოდან, როგორ ფიქრობ, დღეს დათო ხუჯაძე ვინ იქნებოდა?

– ბევრი უნდა იმუშაო, აკეთო და აკეთო საქმე, რომ საზოგადოებამ მიგიღოს და დაგაფასოს. იქიდან გამომდინარე კი, რაც ხდებოდა საქართველოში, რა სიტუაციაც იყო შოუ-ბიზნესში, საქართველოდან რუსეთში რომ არ წავსულიყავი, დღეს დათო ხუჯაძე იქნებოდა, ერთ-ერთი ყოფილი, ძველი მომღერალი. აი, ეს ვიქნებოდი.

– რა პროფესიის ხარ?

– პროფესიით ჟურნალისტი ვარ, მაგრამ არა მგონია, არ პროფილით მემუშავა. სამედიცინოზეც ვსწავლობდი, მაგრამ თავი დავანებე. მე სიმღერა ავირჩიე პროფესიად და ამ გზას მყარად ვადგავარ.

– დათო, ვიცი სოლო კონცერტს გეგმავ საქართველოში. ამისთვის როგორ ემზადები?

– საქართველოში 28 თებერვალს ვგეგმავ საქველმოქმედო კონცერტს, რომლის მთელი შემოსავალიც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს გადაეცემათ. ორსაათიანი კონცერტი იქნება. თან, მინდა ჩამოვიყვანო ჩემი კუბელების ჯგუფი და რუსი მოცეკვავე გოგონები. მონაწილეობას მიიღებენ ასევე, ქართული ჯგუფი „გუფილენდი" და საბავშვო სტუდია „სახის" ბავშვები. მე და დათო ფორჩხიძე ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ იქ მოსულ მსმენელს. ლაღი და მხიარული კონცერტი იქნება.

– ესე იგი, მოსკოვიდან მოცეკვავეების და კუბური ჯგუფის, „დელკარიპეს" ჩამოყვანას გეგმავ?

– დიახ, მოსკოვიდან 15 ლამაზი, მოცეკვავე რუსი გოგონა ჩამოვა და ასევე, ის კუბელებისგან შემდგარი პაპსა-ჯგუფი „დელკარიპე", რომლებთანაც მე ვთანამშრომლობ, ანუ, ჩემი ჯგუფია. რაც შეეხება ამ კუბელების ჯგუფს, საკმაოდ კარგი პროფესიონალები არიან. სულ ვხუმრობ, კომუნისტ კუბელებს თუ სპეციალური მუსიკალური განათლება არ აქვთ, თავიანთი ქვეყნიდან ვერ გამოიყვან-მეთქი *(იცინის)*.

– აბა, შენ როგორ შეძელი მათი კომუნიზმიდან გამოყვანა?

– დიახ, მე ეს შევძელი. ჩემი მეგობარი მუშაობდა კუბაში, თბილისელია და მან შეკრიბა ეს ხალხი. მითხრა ერთობლივად ვიმუშაოთ, ძალიან მაგარი ხალხია, პროფესიონალურ დონეზე უკრავენო. ერთი წელი მართლაც საკმაოდ კარგად ვიმუშავეთ და ეს ცხრა კუბელი თებერვალში თბილისსაც ესტუმრება. ამ კონცერტით, ნამდვილად არ გვაქვს კომერციული დაინტერესება, ბილეთი მინიმალური ფასი ეღირება. შემოსული ფული მთლიანად გადაერიცხება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. ვთვლი, რომ ყველა მუსიკოსმა მსგავსი კონცერტი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გააკეთოს.

მეკითხებიან ხოლმე, როგორ მიგიღო დიდმა რუსეთმა პატარა ქართველიო, მაგრამ, ვინც ჩემი გაბარიტები იცის, არცთუ ისე პატარა ვარ

– სულ რაღაც ხუთი თვეა, რაც საბავშვო სტუდია „სახე" ჩამოყალიბდა და უკვე რამდენიმე კონცერტიც გამართეს ბავშვებმა. მას შენ ხელმძღვანელობ თუ გეხმარება ვინმე?

– საბავშვო სტუდია „სახე" მე და დათო ფორჩხიძემ შევქმენით. საკმაოდ ბევრი ბავშვი გვყავს, ორი კონცერტიც გავაკეთეთ. ჩვენი პრინციპია, ამ ბავშვებმა იმღერონ ცოცხლად. პირადად მე, სულ ცოცხლად ვმღერი. ასე რომ, ხშირად მიწევს საქართველოში ჩამოსვლა საქმეების გამო. ახლა სტამბულში მივდივარ, კონცერტია დაგეგმილი. მერე მოსკოვში უნდა წავიდე. სულ მიდი-მოდიში ვარ, თუმცა, მინდა, ძირითადად, საქართველოში ვიყო. მინდა, 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს, სილამაზის ფესტივალი ჩავატარო, თავისი დიჯეებით და ჩვენებით. ვიმღერო სულ სხვა, კლუბური რეპერტუარი.

– ესე იგი, სიყვარულის დღეც საქართველოში გინდა გაატარო. დათო, რადგან ამ თემას შევეხეთ, არ შემიძლია, არ გკითხო, პირად ცხოვრებაში რა ხდება?

– პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა!

– ანუ, შეყვარებული ხარ?

– მე სულ და ყოველთვის შეყვარებული ვარ *(იცინის)*. არ მიყვარს პირად თემებზე საუბარი, თუმცა გეტყვით, რომ ჩემს გვერდით საყვარელი ადამიანი არსებობს. ზოგადად, როცა გიყვარს, ყველაფერი კარგად გამოგდის. რომ გითხრა, შეყვარებული ჭკუიდან გადავდივარ-მეთქი, მოგატყუებ. ადამიანისთვის, უბრალოდ საჭიროა, იყო შეყვარებული. ეს მეტ სტიმულს გაძლევს ცხოვრებაში – უფრო აქტიური ხარ, შრომისუნარიანი, გიხარია ცხოვრება. იმასაც გეტყვით, რომ ამ ეტაპზე ცოლის მოყვანას არ ვაპირებ. ირგვლივაც, ბევრი საყვარელი ადამიანი მყავს, რომლებიც თავიანთი სითბოთი და სიყვარულით, ნამდვილად მანებივრებენ. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სტიმულის მომცემია, რომ მეტი ვაკეთო და მთლიანად დავიხარჯო მათთვის.

– დათო, ახალ წელს სად ხვდები?

– ახალ წელს ნამდვილად არ ვიცი, სად შევხვდები, ჯერ არ დამიგეგმავს. თუმცა, სიყვარულის დღეს რომ საქართველოში ვიქნები, საყვარელი ადამიანების გარემოცვაში, ეს ნამდვილად ვიცი.

– დამეთანხმე, როცა სცენაზე დგახარ, ფორმაში უნდა იყო. ამისთვის როგორ ზრუნავ?

– სულ გადარბენები და რეპეტიციები მაქვს, ამიტომ სულ მოძრაობაში ვარ. არ ვაძლევ თავს უფლებას, ქეიფს გადავყვე. ვაკონტროლებ, რას ვჭამ და ვსვამ, ხანდახან დიეტებიც მოსულა *(იცინის)*.

ნონა დათეშიძე

პირის სიმშრალე

პირის სიმშრალე, ქსეროსტომია, დაავადებაა, რომლის დროსაც პირის ღრუში არ არის საკმარისი რაოდენობის ნერწყვი ტენიანი გარემოს შესანარჩუნებლად. პირის სიმშრალე შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს და გამოუცდია თითოეულ ჩვენგანს, მაგალითად, მღელვარების დროს, მაგრამ როდესაც ეს მდგომარეობა პრაქტიკულად მუდმივია, ამ არაკომფორტულმა შეგრძნებამ შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

მოზრდილი ადამიანის პირში დღე-ღამეში გამომუშავდება დაახლოებით ლიტრნახევარი ნერწყვი. ნერწყვს საკმაოდ ბევრი ფუნქცია აქვს: იცავს პირისა და ხახის ლორწოვანს გამოშრობისაგან, ამავე დროს იცავს კბილებს კარიესისაგან (გამორეცხავს საკვების ნარჩენებს და კბილზე ნადებს, ანელებს კბილის ემალის რღვევისა და რბილი ქსოვილების ანთების გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ზრდას, ანეიტრალებს მჟავებს, რომლებიც გამომუშავდება ან ხვდება პირის ღრუში), არბილებს საკვებს, რაც აადვილებს მის გადაყლაპვას, ასევე ხელს უწყობს საკვების გემოს უკეთ შეგრძნებას, შეიცავს საკვების მომნელებელ ფერმენტ ამილაზას, რომელიც პირის ღრუშივე იწყებს ნახშირწყლების გადამუშავებას.

ნერწყვის არასაკმარისი რაოდენობა ჩვეულებრივ გამოვლინდება:

- პირის ღრუსა და ხახაში სიმშრალის შეგრძნებით;
- წყურვილის მუდმივი შეგრძნებით;
- პირის ღრუს ლორწოვანში წყლულების გაჩენით და ტუჩების დახეთქვით;
- ენის წვის შეგრძნებით;
- ღეჭვისა და ყლაპვის გაძნელებით, გემოს შეგრძნების დაქვეითებით;
- ხმის ჩახლეჩვით, ხახაში ფხაჭვნის შეგრძნებით.

როდესაც პირის სიმშრალე დილიდანვე იწყება, ამის მიზეზი შეიძლება იყოს წინა ღამით მიღებული ალკოჰოლი, აგრეთვე ცხვირით სუნთქვის გაძნელება (მაგ. სურდოს დროს), ხვრინვა.

დღე-ღამის განმავლობაში არსებული პირის სიმშრალის მიზეზებია: თამბაქოს მოხმარება, მარილიანი საკვების მიღება, სანერწყვე ჯირკვლების დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ინსულტი, ალცჰაიმერის დაავადება და ზოგიერთი სხვა მდგომარეობები, ასაკი (ასაკთან ერთად ხდება ნერწყვის გამომუშავების შემცირებაც, ამიტომაც ხანდაზმული ადამიანები უფრო ხშირად უჩივიან პირის სიმშრალეს, ვიდრე ახალგაზრდები).

დროებითი პირის სიმშრალე შეიძლება გამოწვეული იყოს ჭარბი ფიზიკური აქტივობით, რაც პირის ღრუს ლორწოვანისთვის დამატებით დატვირთვას წარმოადგენს და შედეგად ვითარდება ყელში წვის, დაჭიმულობის, სიმშრალის შეგრძნება.

როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

პირის სიმშრალის მკურნალობის ერთადერთი გზაა მისი მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა. უარი უნდა ვთქვათ სიგარეტზე, ალკოჰოლზე, ცხარე კერძებზე, მაგარ ყავასა და ჩაიზე; ძალიან მნიშვნელოვანია დიდი რაოდენობით წყლის მიღება; აგრეთვე პირის სიმშრალის დროს რეკომენდებულია სპეციალური საწუწნი პრეპარატები. მაგალითად: ისლა-მინტის ან ისლა-მოოსის პასტილები.

ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის საწუწნი პასტილები ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატებია და დამზადებულია ისლანდიური ხავსის ფუძეზე. ისლანდიური ხავსი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც განაპირობებს ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის პასტილების ეფექტურობას პირის სიმშრალის და თანდართული სიმპტომების ხმის ჩახლეჩისა და ყელში წვის, დაჭიმულობის დროს. ისლა, როგორც ბალზამი, შემოგარსავს გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს და იცავს პირის ღრუს გამოშრობისაგან. ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის პასტილების გამოყენება ნებადართულია 4 წლის ასაკიდან.

ისლა მინტი ისლა მოოსი

- ყელის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, როგორიცაა: ფარინგიტი, ლარინგიტი, მათ შორის ალერგიული წარმოშობის (მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, ხმის ჩახლეჩა);
- მშრალი ხველის თერაპია მწ. და ქრ. ბრონქიტებისა და ბრონქული ასთმის დროს კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში;
- სახმო იოგების მეტისმეტი დაჭიმვა (მომღერლებში, მასწავლებლებში, ლექტორებში).
- პირის ღრუს და ხახის ლორწოვანი გარსის სიმშრალე და გაღიზიანება (მშრალი, არასაკმარისად ნოტიო ჰაერის ჩასუნთქვა შენობებში გათბობის პერიოდში, კონდიცირებით აღჭურვილ შენობებში, ცხვირის სუნთქვის შეზღუდვის გამო და აგრეთვე სპორტული შეჯიბრების დროს).

ხმის წასვლის, ხმის ჩახლეჩისა და მშრალი გამაღიზიანებელი ხველის დროს!

„გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას, გვეწვიეთ მოვლენებს შეხახეგ დეტალურად ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს“

მრავნოული აზრები

ეშენგახი: ისე უსარგებლოდ არაფერს ვატარებთ, როგორც დრო-ჟამს; ხშირად ორიოდე გროში გვენანება, ათი თუმნის დროს კი სიამოვნებით შევწირავთ ხოლმე.

რუსო: ვაი იმას, ვისაც ერთი დღის სიამოვნება მაინც ვერ შეუწირავს კაცური მოვალეობისთვის.

ნაპოლეონი: გონებასა და ჭკუას შორის ძალიან დიდი მანძილია.

გოეთე: ყველაზე სულელურად ცდება ის, ვინც კარგავს თავისებურებას, რადგან, აღიარებს სხვებისთვის უკვე ცნობილ ჭეშმარიტებას.

ვაჟა: გამომჟღავნება საკუთარი შეცდომისა და ცოდვებისა – იგივე გმირობაა.

გალზაკი: სასიამოვნოა, მიჰყვებოდე სინდისის კარნახს.

ფუჩიკი: უფრო საზარელია, უყურო სინდისგატეხილ ადამიანებს, ვიდრე ცხვირპირ დაბეჟილს.

შექსპირი: შიში სიცრუის მუდმივი თანამგზავრია.

არისტოტელე: დაწყება – მთლიანის ნახევარზე მეტია.

პასკალი: გონებასთან არაფერი ისე ახლოს არაა, როგორც უნდობლობა საკუთარი თავისადმი.

არენდტი: გაგება ნიშნავს, შეხვდე რეალობას, როგორიც არ უნდა იყოს ის და გაუწიო მას წინააღმდეგობა.

ჰეგელი: მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თითო მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა ბუნების გაცნობაში, მეშვეობით თუ უშუალოდ, ადამიანში სათანადო ზნეობრივი გასრულება უნდა გამოიწვიოს.

დიდრო: თუკი ტყუილი მოკლე დროში სასარგებლოდ გამოიყურება, დროის დინების შემდეგ ის მავნე აღმოჩნდება; ხოლო სიმართლე, პირიქით – დროის დინების შემდეგ სასარგებლო აღმოჩნდება ხოლმე, თუმცა, შეიძლება, აწმყოში ისე მოგეჩვენოს, რომ მას ზიანი მოაქვს.

ფიჩინო: როცა ჩვენ სიყვარულზე ვლაპარაკობთ, ის უნდა გავიგოთ როგორც სილამაზის სურვილი – ასეთია სიყვარულის განსაზღვრება ყველა ფილოსოფოსის აზრით.

დემოკრიტე: გულახდილი საუბარი თავისუფალი სულის თვისებაა, ოღონდ, საშიშია მისთვის შესაფერისი დროის შერჩევა.

ფოიერბახი: სუფთა სინდისი სხვა არაფერია, თუ არა სიხარული სხვის სიხარულზე; უსუფთაო სინდისი კი არის ტანჯვა, სხვა ადამიანის სიხარულის გამო.

ლეონარდო და ვინჩი: თუ კამათში ავტორიტეტებს იმოწმებ, ამით შენს მეხსიერებას ავლენ და არა გონებას.

ლაროშფუკო: ადამიანის ჭეშმარიტი ღირსების ნიშანია ის, რომ თვით შურიანებიც კი იძულებულები არიან, პატივი სცენ მას.

არნოლდი: ქალებს გულით ედავებიან და არა გონებით.

სტენდალი: ქალი გულგრილია მის მიმართ, ვისაც უყვარს, მაგრამ, უყვარს ის, ვინც მის მიმართ გულგრილია.

თუ გაიგოიცნოთ

1. 1920 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი პოლონეთის საზღვაო ფლოტი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, 2015 წელს სოპოტში გაიმართება 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და გამოფენა, რომელსაც პოლონელებმა დაარქვეს ის, რასაც მეთორმეტე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით ვენეციელი დოჟები აკეთებდნენ. **რა სახელწოდების გამოფენა გაიმართება სოპოტში?**

2. პაპის არჩევის სიგნალი – მარმარილოს გისოსებს იქით არსებული ღუმლიდან ამოსული თეთრი კვამლი – 1939 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც პიუს მეთორმეტე აირჩიეს. **რას წვავენ ამ ღუმელში?**

3. ძველ ეგვიპტეში ღმერთ სეტის მომხრეებად ითვლებოდნენ ადამიანები, რომლებიც ბოროტების მომტანებად მიიჩნეოდნენ და სხვებისგან ერთი ნიშნით გამოირჩეოდნენ. ამ ნიშანს კი, როგორც ამბობდნენ, უდაბნოს მრისხანე ღმერთი მათ თვითონ ადებდა. ცოტა ხნის წინ ასეთი ადამიანების ყრილობა ისრაელში გაიმართა, მათი დასახელება კი ქართულად ითარგმნება, როგორც „სტაფილო“. **რა ნიშნით გამოირჩევიან ისინი?**

4. ის მეცამეტე საუკუნეში აუცილებელი აქსესუარი გახდა. როგორც მაშინ ამბობდნენ, მას წესიერი ადამიანები ღვთივსათნო მიზნებისთვის გამოიყენებდნენ, უწესო ადამიანები კი – ბაზარში. ძალიან სასარგებლოა მისი გამოყენება სახსრების დაავადებების დროს. **რისი?**

5. დიდი საფრანგეთის რევოლუციის დროს რატუშაზე დამაგრებული, ის აღნიშნავდა, რომ ამ ადგილას ხალხის თავშეყრა აკრძალული იყო. მაგრამ, მოგვიანებით, როდესაც რევოლუციონერებმა გამარჯვების მოპოვება დაიწყეს, მას მნიშვნელობა შეუცვალეს, თანაც – საპირისპიროდ. **რას?**

6. ძველკელტურად სიტყვა „გეის“ ნიშნავს „მუქარას“ და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ჩვენთვის კარგად ნაცნობი სიტყვა, რომელიც საერთაშორისოა და აკრძალვის მიზნით გამოიყენება. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

7. 1796 წელს სცენაზე პირველად გამოიყენეს „საფრენი მანქანა“ – სპეციალური ტროსების მეშვეობით ადამიანებს ფეხის წვერებზე თამამად დგომა, ზემოთ აწევა და ფრენაც კი შეეძლოთ, რამაც მაყურებლებში ფურორი გამოიწვია. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოწყობილობა შეცვალა იმან, რაც დღესაც გამოიყენება. მისი გამოგონების იდეას კი, როგორც ამბობენ, სწორედ „საფრენმა აპარატმა“ დაუდო სათავე. **რის შექმნას?**

8. როგორც ერთმა ცნობილმა მხატვარმა თქვა, ბერძნებისთვის დამახასიათებელი იყო თვალსაჩინო, მხატვრული ხედვა და აზროვნება; არაბებისთვის კი – წარმოსახვითი, აბსტრაქტული. სწორედ ამიტომ, კანონზომიერია, რომ ერთი ბერძნებმა განავითარეს და უწოდეს სახელი, მეორე – არაბებმა. **რა სახელები?**

9. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში არ იყო მიღებული, რომ ერთ ადამიანს კონცერტის მთელი პროგრამა თვითონ შეესრულებინა. ფერენც ლისტმა გადაწყვიტა, თვითონ გაემართა ასეთი კონცერტი პარიზში და ლოზუნგიც კი მოუგონა, რაც ლუდოვიკო მეთოთხმეტის პერიფრაზს წარმოადგენდა. **დაასახელეთ ეს ლოზუნგი.**

10. 1930-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ფქვილის მწარმოებლები ტომრებზე ანატავდნენ ლამაზ ორნამენტებს, რადგან იცოდნენ, რომ მათ შემდეგ ღარიბები გამოიყენებდნენ. **დაასახელეთ, რისთვის იყენებდნენ ღარიბები ტომრებს.**

პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე

პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

ალკოჰოლი გვათბობს

მას შემდეგ, რაც მოულოდნელად, აღმოვაჩინეთ ალკოჰოლის დადებითი თვისებები, დადგა დრო, ყურადღება მივაპყროთ იმ თვისებას, რომელსაც მას ხალისით მიაწერენ კეთილმოსურნენი და სინამდვილეში არ აქვს. თუ იანვრის ცივ საღამოს ერთი ჭიქა ცხელი გროგის (მაგარი სასმელი – შაქრიანი წყლით შეზავებული რომი, კონიაკი ან არაყი) მიღების შემდეგ, ჩვენ ვიწყებთ იმის დაჯერებას, რომ სპირტს გათბობის თვისება გააჩნია, ღრმად ვცდებით – ალკოჰოლი არ ათბობს სხეულს. მართალია, ჩვენ სუბიექტურად შევიგრძნობთ სითბოს, რომელიც სასიამოვნოდ ვრცელდება კუჭიდან მთელ სხეულზე, მაგრამ სინამდვილეში, აქ სულ სხვა რამ ხდება – ალკოჰოლი აფართოებს სისხლძარღვებს, რომლებიც სხეულის ზედაპირის სიახლოვესაა. სისხლიც იქითკენ მიემართება და გრილდება, რის შედეგადაც სხეულის ტემპერატურა დაბლა ეცემა. ამგვარად, ძლიერ ყინვიან ამინდში შეიძლება, სწორედ ალკოჰოლი გახდეს სხეულის მოყინვის მიზეზი.

პოკერი – კლასიკური ამერიკული ბანქოს თამაში.

პოკერი არა ამერიკულ, ველურ დასავლეთში წარმოიშვა, არამედ 3 ათასი წლით ადრე, ძველ სპარსეთში. თამაშს ერქვა „ტუზი“, მაგრამ უკვე მოიცავდა ყველა ძირითად კომბინაციას, ისეთებს, როგორიცაა: წყვილი, სამეული, კარე და ასე შემდეგ. მაშინ უკვე არსებობდა ბლეფი, როგორც ამ თამაშის ძირითადი ხერხი. ევროპაში თამაში შემოიტანეს ჯვაროსნებმა. იტალიაში მას უწოდებდნენ „პრიმეროს“, საფრანგეთში – „ბულოტს“.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლF1-b5!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

– საყვარელო, აცივდა, „შუბა“ მინდა...

– მაგარი ხარ! დაადგი კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი. მე სილიოტკაზე ჩავირბენ...

***

სიდედრი მანქანას ქოქავს.

– დინა, დედიკო, საით გაგიწევია? – შეეხმიანა სიძე.

– სასაფლაოზე...

– და მანქანას უკან ვინ მოიყვანს...

***

– რა არის საერთო მოკლე კაბასა და ჩადრს შორის?

– ერთიც და მეორეც უშნო სახის დაფარვის კარგი საშუალებაა.

***

– ეს რა ხდება ჩემს თავში?

– მატლი ვარ, ტვინისმჭამელი...

– და რას აკეთებ მანდ?

– ვშიმშილობ...

***

კაცი სადარბაზოში დგას, სიგარეტს ეწევა. უცბად მეზობელი ბინიდან საშინელი მტვრევის ხმა გაისმა და მეზობელიც გარეთ გამოვარდა.

– რა მოხდა?

– რა ვიცი, კაცო, 3D ტელევიზორი ვიყიდე, ვუყურებ ფილმს და კინაღამ ორგიაში არ შემითრიეს...

***

დილით:

– დავიძინო თუ სამსახურში წავიდე...

ათი წუთის შემდეგ:

– სამსახურში წავიდე თუ დავიძინო...

ოცი წუთის შემდეგ.

– ეჰ, წავალ სამსახურში და დავიძინებ.

ანეკდოტი ვახტანგ ტატიშვილისგან

გურული მივა სამსახურში და უფროსი ეკითხება:

– კი მაგრამ, რატომ გამოცხადდი სამსახურში, დღეს ხომ შენი სიდედრის გასვენებაა?

გურულმა მშვიდად უპასუხა:

– ჯერ საქმე და, მერე – სიამოვნება!

რაცხა უგრძვემდნენ ქართველი ფეხბურთელები ყოველთვე 100-100 ლარს მიტუშას

... ის პერიოდია, საშა ჩივაძე რომ გვავარჯიშებს...

გარდა იმისა, რომ ის ამ უკვდავი სპორტის გენიალური სპეციალისტია, ადამიანურადაც დიდი ჰუმანისტია. არ არსებობს, მან ფეხბურთელების ჭირი და ლხინი არ გაიზიაროს. არ ყოფილა მომენტი, საშას ვინმე გასაჭირში მიეტოვებინა. ასეა დღესაც და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ქართული ფეხბურთის სასახელოდ.

ახლა კი მორიგ ამბავს მოგახსენებთ, რომლის შესახებაც ბევრმა არ იცის და საჭიროდ ჩავთვალე – უნდა იცოდეს...

ერთი ტექნიკური თანამშრომელი გვყავდა – მიტუშა (პირობითად).

ბებია გარდაეცვალა რაიონში.

ძალიან კარგი და ყურადღებიანი თანამშრომელი იყო ბატონი მიტუშა და მისი გამზრდელი ბებიის გარდაცვალების ამბავი, რა თქმა უნდა, ყველამ გულთან მიიტანა.

100-100 ლარი უყოყმანოდ ჩავრიცხეთ მიტუშას ბებიის გასვენების ფონდში.

ჩივაძემ, როგორც უფროსმა – 200 ლარი შეაწია.

შეუდგა საქმეს გასვენების შემდეგ ჩვენი მიტუშა. ყველას დიდი მადლობა ჩამოგვირიგა და წავიდა ყველაფერი თავისი გზით.

რუსების ნათქვამია: „ბედა ადინ ნე პრიხოდიტ!“

ორ თვეში დედა არ გარდაეცვალა ამ უბედურებით გაჩენილ და ღვთისგან დაწყევლილ მიტუშას?

რა თქმა უნდა, ჩვენმა კოლექტივმა მიიტანა გასაჭირი გულთან. გასვენებაშიც ჩავაკითხეთ რაიონში და ფულიც შევუგროვეთ: ჩვენ – 100-100 და საშა ჩივაძემ, როგორც უფროსმა და „მამა-მარჩენალმა“, ისევ 200 ლარი შეაწია დამწუხრებულ ოჯახს.

– თქვენს ოჯახში არასდროს მენახოს მსგავსი ამბავი, – იცრემლებოდა საწყალი მიტუშა და მადლიერების ნიშნად გულამოსკვნილი გვეხვეოდა.

მორჩა ეს ამბავიც...

ერთი ანეკდოტის არ იყოს... არ დაიჯერებთ ახლა და ზუსტად ორ თვეში, მამაც არ მოუკვდა იმ უბედურ დღეზე გაჩენილ მიტუშას?!

ისევ დამგლოვიარდა ძლივს გამხიარულებული ჩვენი საფეხბურთო სამყარო.

– უი, უი, რა უბედური ბედის კაცი ყოფილა ეს საწყალი! – თქვა ერთმა.

– აბა, კაცო, აბა! – რავა მაგიზა მეიცალა ყველა სიკვდილმა!

სხვა რა გზა იყო და ისევ დავდეთ 100-100 ლარი. საშა ჩივაძემ, როგორც უფროსმა და როგორც ყოველთვის, თვალის დაუხამხამებლად შეაწია ისევ – 200 ლარი.

ძვირფასო მკითხველო, ღმერთმა ყველა კარგად გამყოფოთ, არასდროს არავისი დანაკლისი განგეცადოთ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, რასაც ახლა წაიკითხავთ...

ერთ თვეში მიტუშას შინაბერა უმცროსი დაც გამოეცალა ხელიდან.

– რას იზამ... სიკვდილი არავის უნდა... ხდება... ხდება! – თქვა საშამ და კიდევ შევაქუჩეთ 100-100 ლარი, საშამ – 200...

თვალზე ცრემლშეუშრობელ მიტუშას თვითონ გადასცა საშამ კონვერტში ჩადებული, აკრეფილი ფული და არცთუ ისე არასერიოზულად უთხრა:

– აი, შენ, ჩემო მიტუშა, ეს ფული, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვო და დაიმახსოვრე კარგად...

– მთხოვეთ, ბატონო საშა, მთხოვეთ, რაც გნებავთ! – წყლად წავიდა მიტუშა.

– რამდენი დედმამიშვილი დარჩით ახლა თქვენ?

– ექვსი, ექვსი... ბატონო საშა, – ამოისლუკუნა მიტუშამ.

– ჰო და, ჩემო მიტუშა... ძალიან გთხოვთ, მთელი ჩვენი კოლექტივი... გაუფრთხილდით ერთმანეთს, რა!

აჩი არველაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა
მურმან მერკვილიშვილმა

პილპილმოყრილი ხინკალი და საიქიო

ინფარქტებისგან „თავდაძვრენილი“ ნოდარ დუმბაძე სიკვდილზე იმით იძიებდა შურს, რომ ეს თემა სახუმაროდ აქცია. ერთხელაც, ცოლს ეუბნება, მე თუ მთაწმინდაზე დამასაფლავეს, შენ რა გეშველება, სხვა სასაფლაოდან როგორღა გააკონტროლებ ჩემს რეჟიმსო.

– მაგის იმედი არ გქონდეს, – უპასუხა ქალბატონმა ნანულიმ, – ანდერძად დავიბარებ, რომ ჩემი ნეშტი დაწვან და ფერფლი შენს საფლავზე მოაბნიონ.

– ისე, პილპილმოყრილი ხინკალივით არ ვიქნებიო?! – სიცილი აუტყდა მწერალს, – ასეთი სიკვდილი ბარე ბევრს შეშურდებაო.

მოამზადა
მაია დანელიამ

რამ გააბოროტა ქართველი და რატომ არ განსხვავდება ის ამ კუთხით სხვა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისგან, მამუკა ღლონტის აზრით

მინი-დოსიე:

პროფესია: ტელემენეჯერი; არქიტექტორი.

საცხოვრებელი ადგილი: რუსთავი.

სამუშაო ადგილი: რადიო „მაესტრო".

ოჯახი: მეუღლე, სამი შვილი, ერთი შვილიშვილი.

მამუკა ღლონტი: ქართველები ვართ ჩვეულებრივი ხალხი, ისევე, როგორც მსოფლიოს დანარჩენი ხალხები და, არანაირ განსაკუთრებულ ფენომენს არ წარმოვადგენთ. უბრალოდ, გვაქვს ჩვენი ცხოვრების ინდივიდუალური წესი და მსოფლმხედველობა იმასთან მიმართებაში, როგორი უნდა იყოს ჩვენი ყოფა – მხოლოდ ამით გამოვირჩევით სხვა ერებისგან, სხვა არანაირი განსაკუთრებულობა ჩვენ არ გაგავაჩნია და არც რაიმე მოვლენას წარმოვადგენთ.

ჩვენ ახლა საკუთარ თავში ვართ ჩაკეტილები; გვირჩევნია, გავიხსენოთ, რა კარგად ვცხოვრობდით გუშინ და არ ვიფიქროთ მომავალზე, არ გავანძრიოთ ხელი ამ მომავლის შესაქმნელად და ჩვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად

– მაშ, რამ მოიტანა იმის განცდა, რომ, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ?

– ჩემი ვარაუდით, ამაში დამნაშავეა ჩვენი მიწა და ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის მიწა არ მოითხოვს განსაკუთრებულ დამუშავებასა და დიდ ძალისხმევას; ჩვენთან არ არის მკაცრი ზამთარი და ძალიან ცხელი ზაფხული; გვაქვს მთა, გვაქვს ზღვა და ყოველთვის ადვილად ხდებოდა სარჩოს მოპოვება და თავის გატანა; აქ არ არის არც ნიანგი და არც ლომი, რომ თავის დაცვა გვიწევდეს მისგან... ანუ, ვინაიდან ჩვენ გვერგო ძალიან კარგი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, გაგვიჩნდა იმისი განცდა, რომ, რადგან გვაქვს ასეთი კარგი მიწა, ჩვენ ვართ ყველაზე კარგები.

– სამაგიეროდ, ლომებისგან თუ არა, საკმაოდ ძლიერი ქვეყნებისგან გვიწევდა თავის დაცვა მუდმივად

– თუ იმ ომებს გულისხმობთ, რომლებიც საქართველომ თავისი არსებობის განმავლობაში გადაიტანა, არც ევროპის ქვეყნები ყოფილან უკეთეს დღეში. ომები ისეთი უნდა, ევროპაში რომ იყო. ის სახელმწიფოებიც, მარტო ჩვენ არ გვეომებოდნენ, ერთმანეთშიც ომობდნენ. სიმშვიდე მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა ხანგრძლივად. ნგრევა და უბედურება ევროპასაც არ დაჰკლებია. ქვეყნები და ერები ყოველთვის ომობდნენ, კიდევ იომებენ ერთმანეთში და ეს არ იყო ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მოვლენა. იმაში, რომ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდით, დამნაშავეა ისევ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ის, რომ გვყავს იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილი მეზობელი, რომელიც თვითონაც ვერ ვითარდება დემოკრატიული და ტექნოლოგიური გზით და, ჩვენც გვაიძულებს და მუდმივად გვაიძულებდა, ვყოფილიყავით განვითარების მასზე დაბალ საფეხურზე, – რუსეთზე მაქვს საუბარი. ჩვენი ბევრი პრობლემა სწორედ აქედან იჩენს თავს და, ჩვენი სურვილიც, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს ევროპასთან, აქედან მოდის. თუ ეს გამოვიდა, კულტურულად, სულიერად, ტექნოლოგიურად და პოლიტიკურადაც, შესამჩნევად წავალთ წინ, რადგან, ევროპას ახასიათებს ჰარმონიული განვითარება.

– ხომ არ დევს ქართველ ერში თვითგანადგურების მექანიზმი, ანუ, ხომ არ ვუშავებთ საკუთარ თავს იმაზე მეტს, ვიდრე გვიშავებენ სხვები?

– ლეგიტიმური კითხვაა. რა თქმა უნდა, ის სტერეოტიპი, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარს და ერთმანეთის გატანა არ ვიცით, სწორი არ არის. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი გამოწვეულია მძიმე სოციალური ფონის გამო. – ასეთი მძიმე ყოფა გააბორროტებდა ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა. როცა ადამიანს არ აქვს საჭმელი, სცივა და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, ის ბოროტდება და, მისი ქმედებები თუ ემოციები არის მხოლოდ უარყოფითი. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენთან სოციალური ფონი ოდესმე ოდნავ მაინც გაუმჯობესდება, ქართველი მაშინვე გახდება ლაღი, კეთილი და კეთილმოსურნე ერი.

– „ქართველობას გვართმევენ!" – რა დევს ამ ფრაზის მიღმა?

– ქართველობას მხოლოდ თვითონ ქართველი თუ წაართმევს საკუთარ თავს. ერთმა ამერიკელმა ძალიან კარგად თქვა – მიწა აქვს აქ ნაყიდი და ამუშავებს: ქართველებს ქართველობას ისევ ქართველი თუ წაართმევსო. ქართველობა არ ნიშნავს არატოლერანტობას, სუსტის დაჩაგვრას, სხვა ერის დაკნინებას; პირიქით, ქართველობა ყოველთვის საპირისპიროს ნიშნავდა – კეთილგანწყობას სხვების მიმართ. ის არ არის ქართველობა, სკამზე დამდგარმა ყანწით რომ დალიო საქართველოს სადღეგრძელო. შემდეგ კი გარეთ გამოხვიდე და შენზე სუსტს სცემო და აგინო; ქართველობაა შრომა, დოვლათის შექმნა და იმ ადამიანზე ზრუნვა, რომელსაც ბევრი სიკეთე აკლია და არაფერი აქვს. იდეალურისკენ უნდა ვისწრაფოთ და ვიაროთ ყოველთვის, რათა საშუალო დონის ქვეყანა მაინც გვქონდეს.

– ხომ არ შემოგვრჩა მხოლოდ სიამაყე განვლილ დღეთა და უაზრო ამბიციები?

– კი, ეგ გვახასიათებს. ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უფრო წარსულზე დამოკიდებული ხალხი ვართ. ეს უნდა შეიცვალოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მანამდე არ მოხდება, სანამ ტოტალურად არ შეიცვლება ქვეყანაში განათლების პრინციპები; სანამ არ გაიზრდებიან განათლებული თაობები, რომლებიც ევროპაშიც მიიღებენ განათლებას. მერე კი დაბრუნდებიან და გამოადგებიან ქვეყანას. ჩვენ ახლა საკუთარ თავში ვართ ჩაკეტილები; გვირჩევნია, გავიხსენოთ, რა კარგად ვცხოვრობდით გუშინ, არ ვიფიქროთ მომავალზე, არ გავანძრიოთ ხელი ამ მომავლის შესაქმნელად და ჩვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად.

– როგორ ფიქრობთ, ძალიან განვსხვავდებით დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართველისგან?

– ვფიქრობ, რომ – არა. ადამიანის ბუნება დიდად არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ის გონიერი გახდა და ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისტორიის გამოცდილებამ ბევრი ვერაფერი გვასწავლა, თანაც, არა მარტო ქართველს, არამედ, ზოგადად ადამიანებს. მაშინდელი საქართველოც, ალბათ, იმით განსხვავდებოდა დღევანდელი საქართველოსგან, რომ ჰყავდა გონიერი მმართველი დავით აღმაშენებლის სახით რომელიც, უპირველესად, ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ჩვენი დღევანდელი ჩინოვნიკები კი საკუთარ კეთილდღეობას აყენებენ ქვეყნის კეთილდღეობაზე წინ. სამწუხარო ის არის, რომ არჩევნის საშუალებაც კი არ გვაქვს დიდი – ყოველთვის ცუდსა და უარესს შორის ვირჩევთ.

– არ არის ეს ჩვენი ტრაგედია?

– ტრაგედია ნამდვილად არ არის, თუმცა, ცუდია, რა თქმა უნდა. ჩვენ რომ გადავხედოთ სხვა ქვეყნებს, ძალიან ბევრია ისეთი, სადაც ჩვენზე გაცილებით უარესი მდგომარეობაა: მძვინვარებს შიმშილი; ხალხს უფრო მეტად უჭირს; ინფრასტრუქტურა არა აქვთ მოწყობილი... ბევრ ქვეყანასთან შედარებით, ჩვენ ძალიან კარგი პერსპექტივა გვაქვს, თუკი გონივრულად მოვიქცევით. ასეა თუ ისე, მაინც სწორი მიმართულებით მივდივართ და არც ჩვენი ყოფაა ტრაგიკული.

– ანუ, ქართველი მაინც ევროპელია თუ აზიელი?

– *(იცინის)* ჩვენ ვართ ჰიბრიდული ერი. ჩვენზე ძალიან დიდი გავლენა იქონია აზიამ, რადგან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიცხოვრეთ აზიურ სისტემაში, მაგრამ, ჩვენი მენტალობა და ჩვენი სულიერება მაინც ევროპულია; ჰიბრიდულობა კი მეტად საინტერესოს გვხდის ჩვენც და ქვეყანასაც. ისე, აზიური ქვეყანაა იაპონიაც, მაგრამ შეუდარებელია თავისი ტრადიციულობითა და განვითარების დონით.

– ქართველის სამი მთავარი ნაკლი...

– სიზარმაცე, ცრუ მოლოდინები და გულუბრყვილობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ველით უკეთეს მომავალს და არ ვანძრევთ ხელს;

ასევე, საზოგადოების ინტერესებზე წინ საკუთარი ინტერესების დაყენება.

– დღევანდელ ქართველს რა ღირსებები აქვს?

– სწრაფა ცივილიზაციისკენ. რომელიც დღეს არ შეგვიძენია; ალბათ, ტოლერანტობა, რაც ასევე ისტორიულად მოგვდევს და – გონიერება, რომელიც ნამდვილად გვაქვს, მაგრამ, ხანდახან მას სიზარმაცე ჯაბნის, ხოლმე.

– როგორი უნდა იყოს კარგი ქართველი?

– კარგი ადამიანი უნდა იყოს.

ნინო წულუკიძე

მომღერალ ზურა მანჯავიძეს პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში” მონაწილეობის მიღებაზე შემოთავაზება, მართალია, შარშანაც ჰქონდა, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ მონაწილეობაზე უარი თქვა. თუმცა, წლევანდელ სეზონზე ძალიან მოინდომა და შედეგიც სახეზეა. ზურას, როგორც თავად ამბობს, ცეკვის გარეშე ვეღარ წარმოუდგენია ცხოვრება და, აღარც ის ფაქტი უქმნის დისკომფორტს, ქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება რომ უწევს. მას ნამდვილად გაუმართლა, რომ მეწყვილედ მზია ორველაშვილი შემხვდა, რადგან, იმდენად შეეწყვნენ ერთმანეთს, რომ, უკვე სიტყვის გარეშეც ხვდებიან, როგორ დაიძვრინონ თავი ცეკვის დროს შექმნილი რთული სიტუაციიდან.

როდის მოსდიოდა სერიოზული კამათი ზურა მანჯავიძეს მეწყვილესთან და რა დროს იბმება მასა და მზია ორველაშვილს შორის ინტიმურ-სასიყვარულო, უხილავი ძაფები

ზურა მანჯავიძე: ბავშვობაში ქართულ ცეკვებზე დავდიოდი მთელი ხუთი წელი, სამეჯლისო ცეკვებთან კი არანაირი შეხება არ მქონია. სხვათა შორის, „ცეკვავენ ვარსკვლავებში” შარშან უნდა მიმეღო მონაწილეობა, და, თან მაშინაც მზია ორველაშვილი უნდა ყოფილიყო ჩემი მეწყვილე, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, უარის თქმა მომიწია, არადა, ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მეცეკვა.

– ასეთი რა მიზეზი იყო?

– ცხვირის ძგიდის ოპერაცია გავიკეთე და ახალი გამოსული ვიყავი საავადმყოფოდან, ნოე სულაბერიძემ რომ დამირეკა. თავიდან დავთანხმდი, რამდენიმე რეპეტიციაც გავიარე, მაგრამ, ექიმთან კონსულტაციის მერე დავანებე თავი – არ შეიძლებოდა იმ პერიოდში ჩემი ცეკვა. ამიტომ, თიელმა ჩამანაცვლა, საკმაოდ წარმატებულად გამოვიდა – ფინალში მოხვდა და, არ დავმალავ, რომ მას ვგულშემატკივრობდი. წელს ვმონაწილეობ, მაგრამ, ცოტა შემეშინდა – ვფიქრობდი, რომ არ გამომივიდეს ცეკვა, რა ვქნა- მეთქი, მაგრამ, დავძლიე.

– როდის შეგეშინდა და როგორ დაძლიე ეს შიში?

– თავიდან, პირველივე რეპეტიციაზე შემეშინდა, მერე კი გადავლახე და ახლა მაგარ აზარტში ვარ *(იცინის)*. თავიდან, თითქოს ყველაფერს ვასრულებდი, ვსწავლობდი, მაგრამ, დამახსოვრება მიჭირდა. ახლა კი, როცა პარკეტზე უნდა გავიდე, არც სხვა განზომილებაში ვხვდები და არც გონება მეთიშება, ყველაფერს კარგად ვხედავ, ვამჩნევ და, თან, ცეკვასაც ვახერხებ. პანიკური შიში ახლა არ მაქვს, თორემ, პირველ ტურში, სანამ სცენაზე გავიდოდი, ცუდად გავხდი, ისეთი შინაგანი ღელვა დამეწყო: გული ამიჩქარდა, ხელ-ფეხი წამერთვა და ექიმის ფსიქოლოგიური ჩარევა დამჭირდა. მზიაც ჩემ გვერდით იყო და მამხნევებდა.

– როგორი პარტნიორი ხარ მზია ორველაშვილისთვის და, თუ „მოსულა” რეპეტიციებზე პატარ-პატარა, პროფესიონალური ჩხუბები?

– მზია არაჩვეულებრივი პარტნიორი და ადამიანია, რეპეტიციებზე კი, პატარ-პატარა კი არა, დიდი ჩხუბებიც მომხდარა *(იცინის)*. მზია ძალიან მომთხოვნია; მეუბნება, იმხელა პოტენციალს ვხედავ შენში, ამას რომ არ იყენებ, ვგიჟდებიო. ისე მთხოვს ყველაფრის გაკეთებას, როგორც პროფესიონალ მოცეკვავეს. თავიდან ამის გამო ვკამათობდით და ორჯერ სერიოზულადაც ვიჩხუბეთ. ეს ვარჯიშისა და რეპეტიციის თავმდები პროცესია, თუმცა, ახლა ნამდვილად აღარ ვჩხუბობთ; არც ისაა ბოლმა, არც მე და, ამიტომ, შემორიგებები არ გაგვჭირვებია, თან, უფრო დავიხვეწე და ვუჯერებ *(იცინის)*. ასეთი, ერთწუთიანი ჩხუბები უკვე სამი კვირაა, აღარ გვქონია. ძალიან მომწონს, რასაც ვაკეთებ.

– ყველაზე მეტად რომელი ცეკვა გაითავისე და, შენი აზრით, რომელი შეასრულე ყველაზე კარგად?

– მომეწონა ჩემი „ქვიქსტეტი”, „ფოქსტროტი” და „შალახო” – უი, მგონი, ყველა მომწონს! *(იცინის)* თუმცა, „შალახო” უფრო ჩემი იყო – შემოვიდგი ბოთლი თავზე და კომფორტულად ვიცეკვე. საერთოდ, ნებისმიერი ცეკვის შესრულების დროს, პასუხისმგებლობას ვგრძნობ როგორც მეწყვილის, ისე მაყურებლისა და ჟიურის მიმართ.

– ყველაზე მეტად როდის ღელავ: როცა ჟიური აფასებს შენს ცეკვას თუ – ქულების დაწერის მომენტში?

– ქულებზე მეტად შეფასებას ველოდები.

ყველაზე საპასუხიმგებლო მომენტია, ჟიური როგორ შეაფასებს ჩემს შესრულებას. და, ზუსტად იმას მეუბნებიან, რაც მე თვითონვე არ მომწონს ხოლმე. აი, ყველაზე გულიანი საცეკვაო ესპანური იყო, რომლითაც კმაყოფილი არ ვარ – უფრო მეტი შემეძლო და ცოტა გული მწყდება. თუმცა, ჩვენს ნომერზე – 95 106, ეტყობა, ბევრმა დაამესიჯა და დღეს პროექტში ვართ მეც და ჩემი მშვენიერი მეწყვილე მზიაც *(იცინის)*. მაგრამ, ყველაზე ამაღელვებელი ჩემთვის მაინც „ფოქსტროტი” იყო, რომელიც ჩემი დაღუპული მეგობრის ხსოვნას მივუძღვენი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი ცეკვის დროს. იმ მომენტში ჩემი მთავარი მისია იყო, არ ავტირებულიყავი და ეს განცდა მზიასაც არ გადასდებოდა. თუმცა, ისიც ზუსტად იმ განცდით ცეკვავდა, როგორითაც მე.

– როდის ხვდები, რომ ისე ვერ იცეკვე, როგორც გინდოდა ან რაღაც ვერ გამოგივიდა – როცა ჟიური გაფასებს თუ ცეკვის მომენტშივე?

– ცეკვის დროსვე ვხვდები, რომ რაღაც არ გამომდის. აი, ესპანური ცეკვა რეპეტიციაზე კარგად გამომდიოდა, მაყურებლისა და ჟიურის წინაშე კი ისე არ გამომივიდა. ერთი კარგი თვისება მაქვს სიმღერაშიც და ცეკვაშიც: თუ შემეშალა, არ ვჩერდები, არ ვნერვიულობ და ვაგრძელებ; მზიაც ასეა – თუ მეშლება, არ იმჩნევს და განვაგრძობთ. ცეკვა ცხოვრებასავითაა – თუ რამე შეგეშალა, არ უნდა გაჩერდე, წაცეკული უნდა ნამოდგე და გააგრძელო გზა, ანუ, უნდა „გამოძვრე”. რამდენჯერმე შემშლია ცეკვის დროს, მაგრამ, მე და მზია ისე „გამოვმძვრალვართ” სიტუაციიდან, რომ აუდიტორია ვერც კი მიმხვდარა, თუმცა, ჟიურის რას გამოაპარებ *(იცინის)*! სიმღერის დროსაც დამავიწყებია ტექსტი, მაგრამ, რაღაც სიტყვები ჩამიჩურთავს და „გამოვმძვრალვარ” *(იცინის)*.

– ალბათ, დამეთანხმები, რომ ასეთი „ჩაჩურთვები” ცეკვაში ვერ გიშველის, მით უმეტეს – კონკურსზე, როცა ამდენი ადამიანი გადევნებს თვალს და ასეთი ძლიერი კონკურენტები გყავს.

– კი, გეთანხმები, კონკურსზე „ჩაჩურთვები” არ მოსულა, მაგრამ, არ უნდა დაიბნე, უნდა შეგეძლოს, თავი დაიძვრინო და მთავარი ესაა. ფანტაზია თუ გაქვს, რამეს მოიფიქრებ. სამეჯლისო ცეკვა ისეთი რამაა, თუ ცოტა ინტიმი, გრძნობა და უხილავი სასიყვარულო ძაფები არ გააბი პარტნიორთან, ისე ვერ იცეკვებ.

– ასეთი ინტიმურ-სასიყვარულო ძაფები იბმება შენსა და მზიას შორის?

– პარკეტზე, ის სამი წუთი, როცა ვცეკვავთ, ასეთი ინტიმურ-სასიყვარულო უხილავი ძაფები ნამდვილად იბმება ჩვენს შორის – ეს აშკარაა და საჭიროც, თუმცა, მხოლოდ სამ წუთს კი არა, უფრო მეტხანსაც გრძელდება.

– მეტხანში რას გულისხმობ?

– რეპეტიციას – მაშინაც ხომ ვცეკვავთ?! *(იცინის)* ამ პროექტში თავიდანვე იმ შემართებით მივედი, რომ გავიმარჯვებდი. მერე, რეპეტიციების დროს, მივხვდი, რომ ძალიან ძლიერი კონკურსანტები მყავდა და ამას დაემატა ის, რომ ღირსეულად გამოვსულიყავი; ახლა კი, გამარჯვების ამბიცია მაქვს.

– თუმცა, აუტსაიდერებში დგომა მაინც მოგიწია.

– გული კი დამწყდა აუტსაიდერი რომ გავხდი, მაგრამ, ეს პროექტია და ასეთი რამეც მოსულა. აი, რომ გავვარდე, მერე ძალიან ვინანებ და გული დამწყდება. „ცეკვავენ ვარსკვლავები” ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. მივეჩვიე ამ რიტმს, ფორმაში ჩავდექი – რვა კილო დავიკელი, ღიპი დავიგდე *(იცინის)*. შარვლები გამიდიდდა და ამ პროექტის დამთავრებისთანავე მომიწევს გარდერობის განახლება, ანუ, „ცეკვავენ ვარსკვლავები” ხარჯიანიც აღმოჩნდა *(იცინის)*; თან, „არტ პალასში” ვმუშაობ და იქაც შვებულება ავიღე.

– როგორ გგონია, რამდენ ხანს მოგიწევს შვებულებაში ყოფნა?

– „შვებულება გამოგდებამდე” *(იცინის)* – მართლა ასე გაგაფორმეს. ჩემი შვებულების ტიპური ფურცელი არ მოიძებნა და ასეთი ახალი სტილით გავაკეთეთ *(იცინის)*. აი, სიმღერისთვის და თამადობისთვის კი დრო სულ მაქვს და არ მჭირდება შვებულება.

– ფოტოხელოვანი გიორგი ცაავა საოცრად ლამაზ ფოტოებს გიღებთ „ცეკვავენ ვარსკვლავების” მონაწილეებს, რომლებსაც ჩვენც გვანვდის. როდესაც ამ სურათებს უყურებ, რა განცდა გაქვს?

– ძალიან მომწონს გიორგის გადაღებული სურათები, მაგრამ, თავიდან რომ ვნახე, ბევრი ვიცინე.

– რა გაცინებდა?

– ცეკვის დროს ქუსლიან ფეხსაცმელს ვერ აღვიქვამ, მაგრამ, ფოტოზე რომ ვნახე ჩემი თავი გამოწკეპილი და ქუსლებზე „შეხტარი”, ბევრი ვიცინე, ახლა კი შევეჩვიე და მოვირგე კიდეც ქუსლიანი ფეხსაცმელი.

ნონა დათეშიძე

გვ. 41

ვინ არის ქართველი მეტროსექსუალი დიზაინერი, რომელიც მოდის ტენდენციებს ვერ იტანს და როგორ შექმნა მან 12 თვისთვის განსხვავებული 12 ლუქი

გვ. 67

რატომ დასრულდა მიშა ბაღათურიას ერთწლიანი რომანი და შეიყვანს თუ არა ის შვილს წყალბურთზე

გვ. 36

ვინ აჩუქა ჯანეტ ქერდიყოშვილს ახალი ავტომობილი და რისი შიში დასჩემდა მას

ობილისი

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლ

ყოველკვირეული ჟურნალი * 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი * №43 (722) * ფასი 1,50 ლარი

ISSN 1987-5695X